ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: სოციოლოგია

ანა პაპიაშვილი

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კვლევა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში: ნორმატიული, ეთიკური და პრაქტიკული გზები

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია სოციოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

იაგო კაჭკაჭიშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სრული პროფესორი

თბილისი, 2024

ანოტაცია

„აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა“ ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ახლად დამკვიდრებული ტერმინია. იგი მოიცავს როგორც ინტერნალურ, ისე ექსტერნალურ პროცესებს/აქტივობებს. კვლევის მიზანია საქართველოს საუნივერსიტეტო სივრცეში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით არსებული ცოდნის შეფასება; ამასთან, გატარებული რეფორმების საფუძველზე, ამ მხრივ განხორციელებული ცვლილებების ანალიზი. კვლევის ფარგლებში, ერთი მხრივ, შეფასდა ნორმატიული ცვლილებების როლი აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა-განვითარების პროცესში, ხოლო, მეორე მხრივ, განისაზღვრა ცალკეული სამიზნე ჯგუფების ინფორმირებულობისა და პრაქტიკული ჩართულობის დონე. მიზნის მისაღწევად გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. საკითხის შესახებ არსებული სახელმძღვანელო მითითებების, ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტების, უმაღლესი განათლების შესახებ საკანონმდებლო აქტებისა და რეფორმების ეფექტიანობის შემფასებელი დოკუმენტების შესასწავლად გამოყენებულ იქნა სამაგიდე კვლევის მეთოდი. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის შეხედულებების გასაცნობად სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა, სტუდენტები კი - თვითადმინისტრირებული კითხვარის საფუძველზე გამოიკითხნენ. სულ კვლევის ფარგლებში 30 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა. გამოკითხვამ კი ხუთი საუნივერსიტეტო ქალაქის - თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, თელავის, ახალციხის - ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის 1815 სტუდენტი მოიცვა.

კვლევამ გამოავლინა, რომ ქართულ უნივერსიტეტებში სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების მასშტაბურობის გაზრდა 2005 წლიდან საგანმანათლებლო სივრცეში განხორციელებულ ცვლილებებს უკავშირდება. ბოლონიის პროცესთან შეერთებით, საუნივერსიტეტო სივრცეში რეფორმების პერიოდი დაიწყო, რაც აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური კომპონენტების რეალიზებას მიემართებოდა. ბოლონიის პროცესის წევრობას ქართულ საგანმანათლებლო სისტემაზე პოზიტიური გავლენა ჰქონდა.

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტები, აკადემიურ სოციალურ პასუხისმგებლობაზე მსჯელობისას უფრო მეტად ინტერნალურ ფაქტორებზე

ამახვილებენ ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუების ფარგლებში სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა განსხვავებულ შიდა პოლიტიკაზე, აკადემიური თავისუფლების ხარისხზე ისაუბრეს, სტუდენტების გამოკითხვის მიხედვით, უსდ-ების ტიპის ჭრილში სტატისტიკურად სანდო განსხვავებები არ იკვეთება ($p>0.05$). კვლევის ძირითადი ჰიპოთეზა, რომ ბიზნესის/ეკონომიკის მიმართულების სტუდენტები, სხვა სასწავლო მიმართულებების სტუდენტებთან შედარებით, საკვლევი საკითხის შესახებ უფრო მეტად ინფორმირებულები იქნებოდნენ, არ გამართლდა ($p>0.05$). თუმცა, დამატებითი ჰიპოთეზა, რომ მაგისტრატურის სტუდენტებს უფრო მეტი ინფორმაცია ექნებოდათ საკითხთან მიმართებით, დადასტურდა ($p<0.05$).

კვლევის ორივე კომპონენტმა - თვისებრივმა და რაოდენობრივმა - აჩვენა, რომ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა, ძირითადად, ზოგადი სოციალური პასუხისმგებლობის პერსპექტივიდან განიხილება შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტები უფრო მეტად არიან ორიენტირებულები საკუთარი იმიჯის გაზრდაზე, ვიდრე საზოგადოებაში პოზიტიური წვლილის შეტანასა და საზოგადო სიკეთის შექმნაზე. მსგავსი დამოკიდებულების გამო, უნივერსიტეტებისადმი ნდობის ხარისხი მცირდება, რამდენადაც აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ექსტერნალურ კომპონენტებზე ყურადღების გაუმახვილებლობით უნივერსიტეტები საზოგადოებაში მიმდინარე აქტიურ მოვლენებს ჩამორჩებიან, რადგან საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას ერიდება. რესპონდენტთა შეფასებით, უნივერსიტეტი არ უნდა იყოს პოლარიზებული, თუმცა, ექსტერნალური კომპონენტების რეალიზების ჭრილში, აქტუალური საკითხების შესახებ პოზიციას უნდა გამოხატავდეს, რაც ინსტიტუციის რეალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია.

საკვანძო სიტყვები: სოციალური პასუხისმგებლობა, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა, ბოლონიის პროცესი, ინტერნალური ფაქტორები, ექსტერნალური ფაქტორები, მონაწილეობითი პოლიტიკა.

Annotation

‘Academic social responsibility’ is a newly established term in the Georgian higher education space. It includes both internal and external processes/activities. The aim of the research is to assess the existing knowledge in the direction of academic social responsibility in the university space of Georgia; In addition, on the basis of the carried out reforms, the analysis of the changes made in this regard. Within the framework of this study, the research aimed to evaluate the impact of normative changes on the introduction and development of academic social responsibility. Simultaneously, it sought to gauge the awareness levels and practical involvement of various target groups. To achieve these goals, a combination of qualitative and quantitative research methods was employed

The desk research method was utilized to examine existing guidelines on the subject, key documents related to the Bologna process, legislative acts pertaining to higher education, and documents assessing the effectiveness of reforms. Furthermore, in-depth interviews were conducted to capture the perspectives of administrative and academic staff. Additionally, a self-administered questionnaire was administered to students. In total, 30 in-depth interviews were carried out as part of the research. The survey phase covered five university cities - Tbilisi, Batumi, Kutaisi, Telavi, and Akhaltsikhe - involving 1815 undergraduate and graduate students.

The study findings indicate that the expansion of social responsibility implementation within Georgian universities is closely linked to educational reforms initiated in the higher education sector since 2005. These reforms, aligned with the Bologna Process, were aimed at actualizing the internal facets of academic social responsibility. The membership of the Bologna Process has had a positive and constructive influence on the Georgian educational system.

In both qualitative and quantitative research, respondents primarily emphasize internal factors when discussing academic social responsibility. Although the representatives of state and private universities mentioned different internal policies and the degree of academic freedom during the interviews, according to the students' survey, no statistically reliable differences can be seen in terms of the type of universities ($p>0.05$). The main hypothesis of the study, that students of business/economics, compared to students of other study areas, would be more informed about the research issue, was not justified ($p>0.05$). However, the additional hypothesis that master's students would have more information regarding the issue was confirmed ($p<0.05$).

Both facets of the study reveal that academic social responsibility is predominantly perceived through the lens of general social responsibility. It can be inferred that universities are more inclined to enhance their own image than to actively contribute to society and generate public benefits. This approach results in a decline in the level of trust in universities, as they tend to lag behind ongoing social developments by neglecting the external dimensions of academic social responsibility and failing to establish their own stance. According to the

respondents, universities should avoid polarization but, with regards to the realization of external components, should express positions on contemporary issues. This active engagement is deemed essential for the genuine and effective functioning of educational institutions.

Key words: Social responsibility, Academic social responsibility, Bologna Process, Internal factors, External factors, Participatory politics

სარჩევი

პრობლემის აქტუალობა 1

მეთოდოლოგია 4

შერჩევა 6

თვისებრივი კვლევა 7

რაოდენობრივი კვლევა 9

კვლევის ინსტრუმენტები 17

თვისებრივი კვლევა 17

რაოდენობრივი კვლევა 17

კვლევის შეზღუდვა 18

კვლევის მეცნიერული ღირებულება 19

ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო 20

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აკადემიაში განვითარება 20

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა 22

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეპტუალური ჩარჩო 28

ეთიკის საკითხი, როგორც აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელი კომპონენტი 29

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ არსებული ემპირიული კვლევებისა და პროექტების მიმოხილვა 31

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ონტოლოგია 32

რუმინული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგალითი 34

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა: საერთო ევროპული საცნობარო ჩარჩო 37

თბილისის უნივერსიტეტების მაგალითი 40

1. სამაგიდე კვლევა 44

1.1. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ტიპოლოგია და გაიდლაინები 44

1.2. უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო მითითებები 46

1.3. უნივერსიტეტები, როგორც კორპორატიული სუბიექტები: სოციალური პასუხისმგებლობის როლი მათ სტრატეგიულ მართვაში 53

1.4. უნივერსიტეტის „მესამე მისია“ 56

1.4.1. უნივერსიტეტების როლი რეგიონულ განვითარებაში 57

1.4.2. „მესამე მისიის“ ხარისხის და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში - SQUARE 61

1.5. ბოლონიის პროცესი და მისი შედეგები უმაღლესი განათლების სფეროში 65

1.6. უმაღლესი განათლების შესახებ კანონი 68

1.7. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ავტორიზაცია / აკრედიტაცია) 70
1.7.1. ავტორიზაცია 72
1.7.2. აკრედიტაცია 73
1.8. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ეთიკურობის კომპონენტი 76
1.9. კოვიდ-19 და ელექტრონული სწავლება 80
1.10. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტების რეალიზების მაგალითები (უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება) 84
1.10.1. კადისისა და კატალონიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტების მაგალითი 85
1.10.2. ბუქარესტის სპირუ ჰარეტის უნივერსიტეტის მაგალითი 88
1.10.3. დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და ბულგარეთის უნივერსიტეტების მაგალითი 90
1.10.4. ჰაშემიტის უნივერსიტეტის (იორდანია) მაგალითი 93
1.10.5. ჩუნგ შანის სამედიცინო უნივერსიტეტის მაგალითი 95
1.11. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტების რეალიზების მაგალითები (ქართული უნივერსიტეტების გამოცდილება) 97
1.11.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 97
1.11.2. კავკასიის უნივერსიტეტი 99
1.11.3. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი 102
2. კვლევის ძირითადი შედეგები 106
2.1. ტერმინთა დეფინიცია - „აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა“ და უნივერსიტეტის „მესამე მისია“ - და ზოგადი კომპონენტები 106
2.2. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური (შიდასაუნივერსიტეტო) კომპონენტების შეფასება 135
2.2.1. ბოლონიის პროცესის წევრობით გამოწვეული აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური კომპონენტების ცვლილების შეფასება 137
2.2.1.1. ბოლონიის დეკლარაციაზე ხელმოწერის შემდგომი მდგომარეობა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში 138
2.2.1.2. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ეფექტიანობის შეფასება 141
2.2.1.3. განათლების ხარისხის უზრუნველყოფა 144
2.2.2. აკადემიური პერსონალის მიმართ უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა 146
2.2.3. აკადემიური თავისუფლება და აკადემიური კეთილსინდისიერება 150
2.2.4. ინფრასტრუქტურული აღჭურვილობა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული აქტივობები 163
2.2.5. კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტის მხრიდან გამოვლენილი მხარდაჭერა 170

2.3. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ექსტერნალური (უნივერსიტეტსგარე) კომპონენტების შეფასება 185
2.3.1. სოციალური და გარემოსდაცვითი აქტივობები 186
2.3.2. ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურთან კავშირი 189
2.3.3. ბიზნეს სექტორთან კავშირი 192
2.3.4. კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა 206
2.3.5. განათლების ინტერნაციონალიზაცია 213
2.4. დებულებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლო მახასიათებლების შესახებ 219
2.5. უნივერსიტეტების რეაგირება ჰიპოთეტურ სიტუაციებზე 230
2.6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების როლი საზოგადოების ფორმირების პროცესში 233
2.6.1. აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობა 233
2.6.2. სტუდენტის, როგორც მოქალაქის, გააზრება 235
2.6.3. უნივერსიტეტის, როგორც ბიზნეს სექტორის გააზრება 250
2.6.4. უნივერსიტეტის როლი საზოგადოების ფორმირებაში 252
2.7. შემაჯამებელი საკითხები (უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ზოგადი (მთლიანი/ერთიანი) აღქმა, მომსახურების ხარისხი, კმაყოფილება) 260
დასკვნა 270
გამოყენებული ლიტერატურა 277
დანართები 285

სქემების ჩამონათვალი

სქემა 1- სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი კომპონენტები.....1
სქემა 2 - სამყაროსთან თანამშრომლობის განზომილებები 26
სქემა 3 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ოთხი სფერო 27
სქემა 4 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის უნივერსიტეტის სტრატეგიულ მართვაში გათვალისწინება 54
სქემა 5 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესი, აკრედიტაციის დებულების თანახმად.....74
სქემა 6 - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები 75

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1 - საქართველოში ბიზნესის კეთებისთვის გამომწვევი ფაქტორები, 2017 წელი 60
დიაგრამა 2 - კორპორატიული და აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობა (სუბიექტური შეფასება).....108
დიაგრამა 3 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის დონე.....115
დიაგრამა 4 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობა (კატეგორიზირებული).....116
დიაგრამა 5 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობა (სასწავლო საფეხურისა და სასწავლო მიმართულების ჭრილში) 117
დიაგრამა 6 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი კომპონენტები 130
დიაგრამა 7 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი კომპონენტები (უსდ-ის ტიპის ჭრილში) 131
დიაგრამა 8 - ძირითადი სასწავლო პროგრამის კურსების კომპონენტები (სასწავლო საფეხურის ჭრილში) 157
დიაგრამა 9 - კოვიდპანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მხრივ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობის შეფასება 179
დიაგრამა 10 - კოვიდპანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მხრივ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობის შეფასება (უსდ-ის ტიპის ჭრილში) 180
დიაგრამა 11 - კოვიდპანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მხრივ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობის შეფასება (სასწავლო საფეხურის ჭრილში).....182
დიაგრამა 12 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების მხრივ გარე აქტორების იდენტიფიცირება.....186
დიაგრამა 13 - უნივერსიტეტის ბიზნეს სექტორთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა.....195
დიაგრამა 14 - უნივერსიტეტის ბიზნეს სექტორთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა (უსდ-ის ტიპის ჭრილში) 195
დიაგრამა 15 - უნივერსიტეტის ბიზნეს სექტორთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა (სასწავლო საფეხურის ჭრილში).....196

დიაგრამა 16 - უნივერსიტეტის ბიზნეს სექტორთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის ეფექტიანობის შეფასება....199
დიაგრამა 17 - შრომის ბაზრის მოთხოვნების სასწავლო პროგრამებსა და კურიკულუმებში გათვალისწინება....200
დიაგრამა 18 - შრომის ბაზრის მოთხოვნების სასწავლო პროგრამებსა და კურიკულუმებში გათვალისწინება (სასწავლო საფეხურის ჭრილში)....201
დიაგრამა 19 - უნივერსიტეტის თანამშრომლობა კურსდამთავრებულებთან....208
დიაგრამა 20 - უნივერსიტეტის თანამშრომლობა კურსდამთავრებულებთან (უსდ-ის ტიპის ჭრილში) 209
დიაგრამა 21 - უნივერსიტეტის თანამშრომლობა კურსდამთავრებულებთან (სასწავლო საფეხურის ჭრილში) 210
დიაგრამა 22 - ადგილობრივი (საქართველოს) უნივერსიტეტების თანამშრომლობა....217
დიაგრამა 23 - ადგილობრივი (საქართველოს) უნივერსიტეტების ერთობლივი აქტივობები..218
დიაგრამა 24 - უნივერსიტეტის მხარდაჭერის დონე აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივების დაკმაყოფილების მხრივ (უსდ-ის ტიპის ჭრილში)....245
დიაგრამა 25 - უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ჩართულობა 245
დიაგრამა 26 - სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებულ მოხალისეობრივ აქტივობებში ან თემზე/საზოგადოებაზე მიმართულ აქტივობებში მონაწილეობის სიხშირე....247
დიაგრამა 27 - პოზიტიური სოციალური გავლენის შესაქმნელად და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად საზოგადოებრივ პროცესებში უნივერსიტეტის ჩართულობის ეფექტიანობის შეფასება....254
დიაგრამა 28 - საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებზე უნივერსიტეტის მხრიდან პოზიციის დაფიქსირების პრაქტიკა....254
დიაგრამა 29 - საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებზე უნივერსიტეტის მხრიდან პოზიციის დაფიქსირების პრაქტიკა (უსდ-ის ტიპის ჭრილში) 255
დიაგრამა 30 - სოციალური პრობლემების მოგვარებაში უნივერსიტეტის წვლილის შეფასება (უსდ-ის ტიპის ჭრილში) 262
დიაგრამა 31 - სასწავლო პროგრამების ხარისხის შეფასება (სასწავლო საფეხურის ჭრილში) ..264
დიაგრამა 32 - უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურებით კმაყოფილება (უსდ-ის ტიპის ჭრილში) 267
დიაგრამა 33 - უნივერსიტეტის მიერ მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის შესრულებით კმაყოფილება (სასწავლო საფეხურის ჭრილში)....268

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1 - გამოკითხულ სტუდენტთა სტრატებში გადანაწილება 12
ცხრილი 2 - შერჩევის მოდელი....14
ცხრილი 3 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტები 28
ცხრილი 4 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ყველაზე ხშირი კომპონენტები, მათი შეწონილი პროცენტები და მნიშვნელოვნება....33
ცხრილი 5 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის რეგრესიული მოდელი (რუმინეთის უნივერსიტეტების მაგალითი) 36
ცხრილი 6 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეგრესიის მოდელი (თბილისის უნივერსიტეტების მაგალითი)....42

ცხრილი 7 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორები და ბარიერები 52
ცხრილი 8 - განათლების ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სტანდარტები (ESG-ის მიხედვით) 71
ცხრილი 9 - პრაქტიკულ დონეზე გამოხატული სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკები (კადისის და კატალონიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტების მაგალითზე) 86
ცხრილი 10 - პასუხისმგებლიანი მენეჯმენტის სწავლების პრინციპები 90
ცხრილი 11 - პიეჩევას კვლევაში ჩართული უნივერსიტეტების ჩამონათვალი 91
ცხრილი 12- ორგანიზაციების სოციალური პასუხისმგებლობის განმარტება 109
ცხრილი 13 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის აღმწერი დებულებები (ჭეშმარიტი დებულებების ამოცნობა) 111
ცხრილი 14 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის აღმწერი დებულებები (მცდარი დებულებების ამოცნობა) 112
ცხრილი 15 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის აღმწერი დებულებები (არამართებული დებულებების მართებულად მიჩნევა) 114
ცხრილი 16 - რეგრესიის პირველი მოდელი 121
ცხრილი 17 - რეგრესიის მეორე მოდელი 122
ცხრილი 18 - რეგრესიის მესამე მოდელი 123
ცხრილი 19 - რეგრესიის მეოთხე მოდელი 125
ცხრილი 20 - რეგრესიის 4-საფეხურიანი მოდელი 126
ცხრილი 21 - ძირითადი სასწავლო პროგრამის კურსების კომპონენტები 155
ცხრილი 22 - ძირითადი სასწავლო პროგრამის კურსების კომპონენტები (სასწავლო მიმართულების ჭრილში) 158
ცხრილი 23 - უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ პლაგიატთან დაკავშირებულ ტრენინგზე/შეხვედრაზე დაუსწრებლობის მიზეზები 162
ცხრილი 24 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადაპტირებულობა ფიზიკური გარემოს და სასწავლო რესურსების მხრივ 165
ცხრილი 25 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადაპტირებულობა ფიზიკური გარემოს და სასწავლო რესურსების მხრივ (უსდ-ის ტიპის ჭრილში) 166
ცხრილი 26 - კოვიდპანდემიის პერიოდში უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების აღმწერი დებულებები 175
ცხრილი 27 - კოვიდპანდემიის პერიოდში უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების აღმწერი დებულებები (უსდ-ის ტიპის ჭრილში) 177
ცხრილი 28 - კოვიდპანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მხრივ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობის შეფასება (სასწავლო მიმართულების ჭრილში) 184
ცხრილი 29 - უნივერსიტეტის ბიზნეს სექტორთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა (სასწავლო მიმართულების ჭრილში) 197
ცხრილი 30 - უნივერსიტეტის ბიზნეს სექტორთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გამომხატველი აქტივობები 198
ცხრილი 31 - შრომის ბაზრის მოთხოვნების სასწავლო პროგრამებსა და კურიკულუმებში გათვალისწინება (სასწავლო მიმართულების ჭრილში) 202
ცხრილი 32 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით, უნივერსიტეტსა და გარე დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის ხელისშემშლელი ფაქტორები 204

ცხრილი 33 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით, უნივერსიტეტსა და გარე დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის ხელისშემშლელი ფაქტორები (უსდ-ის ტიპის ჭრილში) 205
ცხრილი 34 - უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის ფორმატი 211
ცხრილი 35 - უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის ფორმატი (უსდ-ის ტიპის ჭრილში) 212
ცხრილი 36 - კონკრეტული აქტივობების უნივერსიტეტში განხორციელების სიხშირე.....221
ცხრილი 37- ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოყოფილი ჯგუფები 224
ცხრილი 38 - ფაქტორული ანალიზის მოდელის მახასიათებლები.....225
ცხრილი 39 - ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოყოფილი ჯგუფები და მათი დამახასიათებელი პრაქტიკების სიხშირე.....227
ცხრილი 40 - ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოყოფილი ჯგუფები და მათი დამახასიათებელი პრაქტიკების სიხშირე (უსდ-ის ტიპის ჭრილში).....229
ცხრილი 41 - სხვადასხვა სიტუაციაში უნივერსიტეტების პოზიციის შეფასება.....231
ცხრილი 42 - სხვადასხვა სიტუაციაში უნივერსიტეტების პოზიციის შეფასება.....232
ცხრილი 43 - სოციალური პასუხისმგებლობის ინდივიდუალურ/პერსონალურ ქცევაში რეალიზება 236
ცხრილი 44 - სოციალური პასუხისმგებლობის ინდივიდუალურ/პერსონალურ ქცევაში რეალიზება (სასწავლო საფეხურის ჭრილში) 237
ცხრილი 45 - უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისთვის ინიციატივით მიმართვის გამოცდილება 240
ცხრილი 46 - უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისთვის ინიციატივით მიმართვის გამოცდილება (სასწავლო საფეხურის ჭრილში) 242
ცხრილი 47 - უნივერსიტეტის მხარდაჭერის დონე აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივების დაკმაყოფილების მხრივ.....244
ცხრილი 48 - უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიუღებლობის მიზეზები.....246
ცხრილი 49 - სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებულ მოხალისეობრივ აქტივობებში ან თემზე/საზოგადოებაზე მიმართულ აქტივობებში მონაწილეობის სიხშირე (სასწავლო მიმართულების ჭრილში) 248
ცხრილი 50 - სოციალური საკითხებისა და საზოგადოების განვითარების პროცესებში ჩართულობის მხრივ პირადი პასუხისმგებლობის შეგრძნება.....249
ცხრილი 51 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ზოგადი (ერთიანი) აღქმა 261
ცხრილი 52 - უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასება 263
ცხრილი 53 - უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასება (სასწავლო მიმართულების ჭრილში) 265
ცხრილი 54 - უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურებით კმაყოფილება 266
ცხრილი 55 - უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურებით კმაყოფილება (სასწავლო მიმართულების ჭრილში) 269

დანართების ჩამონათვალი

დანართი 1 - თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული გზამკვლევები.....285
დანართი 2 - რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული კითხვარი.....305

დანართი 3 - სტუდენტების შესახებ ინფორმაცია (დემოგრაფია, საგანმანათლებლო ფონი)....324
დანართი 4 - კონკრეტული აქტივობების უნივერსიტეტში განხორციელების სიხშირე (უსდ-ის ტიპის ჭრილში) 325

აბრევიატურები

ASR	აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა
CENN	სენი - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
CSR	კორპორატიული სოციალური პასუხისმგელობა
ECTS	კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა
ESG	უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები
IDB	ინტერამერიკული განვითარების ბანკი
IDFI	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
ISO	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
USR	უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა
WBCSD	მსოფლიო ბიზნეს საბჭო - მდგრადი განვითარებისთვის
ეეგ	ერთიანი ეროვნული გამოცდები
უსდ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

პრობლემის აქტუალობა

სოციალური პასუხისმგებლობა ესაა ეთიკური და ნებაყოფლობითი მიდგომა, რომლის ფარგლებშიც ინდივიდები გრძნობენ პასუხისმგებლობას სამოქალაქო ვალდებულების შესრულების მხრივ. მათ მიერ განხორციელებული ქმედებები კი საზოგადო მნიშვნელობისაა და საზოგადოებისთვის სასარგებლოდ მიიჩნევა (Chen, Nasongkhla, & Donaldson, 2015).

სქემა 1- სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი კომპონენტები

სოციალური პასუხისმგებლობა ჰოლისტური მიდგომით გამოირჩევა. ISO სტანდარტის მიხედვით, სოციალური პასუხისმგებლობის ექვსი ძირითადი მიმართულება/კომპონენტი არსებობს, რომლებიც კონცეფციის შინაარსობრივი მახასიათებლებია (იხ. სქემა #1) (ISO, 2010).

ყოველდღიურობის დონეზე სოციალური პასუხისმგებლობა თავდაპირველად ბიზნეს სექტორში **„კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის“** (Corporate Social Responsibility (CSR)) ცნებით მკვიდრდება. კორპორაციებში გამოვლენილი პასუხისმგებლობა, მოგებაზე ორიენტირების გარდა, მიზნად ისახავს, კეთილი ნების საფუძველზე, საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობას. საგულისხმოა, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, თავისი არსით, უკავშირდება და მოიცავს გარემოსდაცვით მიმართულებასაც (Ganti, 2019). ის ბევრად სცილდება „ფილანტროპიას“, როგორც ადრე მიიჩნეოდა, რამდენადაც ბიზნესი მნიშვნელოვნად ერთვება მდგრად განვითარებასა და საზოგადოებრივი გამოწვევების გადაჭრაში (Bokhari, 2017).

სოციალური პასუხისმგებლობა მხოლოდ ბიზნეს სექტორის მახასიათებელი კონცეფცია არ არის. საზოგადო მნიშვნელობიდან გამომდინარე, თანდათან საგანმანათლებლო სფეროსთვისაც აქტუალური საკითხი გახდა და **„აკადემიური**

სოციალური პასუხისმგებლობის“ (ASR) სახელით დაინერგა. აღნიშნული კონცეფცია, ძირითადად, უმაღლეს საგანმანათლებლო საფეხურს მოიაზრებს, ამდენად, ხშირად „უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობითაც“ (USR) მოიხსენიებენ. მსგავსი გააზრება ეფუძნება მიდგომას, რომ უნივერსიტეტს, საგანმანათლებლო ფუნქციის გარდა, სოციალური დატვირთვა აქვს/უნდა ჰქონდეს. განათლების სფერო უნდა ზრუნავდეს და აქტიურად მონაწილეობდეს სამოქალაქო ღირებულებებისა და, ზოგადად, პასუხისმგებლობის განვითარების პროცესში (Dima, Vasilache, Ghinea, & Agoston, 2013). უნივერსიტეტი ქმნის „ჭკვიან ძალას“, რომელიც თანამედროვე პროცესებზე გავლენის მომხდენი შეიძლება აღმოჩნდეს. ამდენად, განათლების სფეროს ერთ-ერთი ვექტორი სწორედ სოციალური პასუხისმგებლობა უნდა იყოს, რაც აკადემიური სივრცისთვის არა თუ გამოწვევად, არამედ მიზნად უნდა განისაზღვროს (Marinescu, Toma, & Constantin, 2010).

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა, შინაარსობრივი გააზრებით, ორდონიანი კონცეპტია - ერთი მხრივ, ორიენტირებულია შიდასაუნივერსიტეტო სივრცესა და აქტივობებზე, რაც აკადემიურობის ნაწილს ფარავს, ხოლო, მეორე მხრივ, მოიაზრებს უნივერსიტეტსგარე ჩართულობას, რაც მის სოციალურ ბუნებას უსვამს ხაზს. ამდენად, გამოიყოფა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური და ექსტერნალური ფაქტორები. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების **ინტერნალური** ფაქტორები ფარავს შიდასაუნივერსიტეტო დონეს, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის, აგრეთვე, სტუდენტების მიმართ დაკისრებულ პასუხისმგებლობას. **ექსტერნალური** ფაქტორები კი ცდება საუნივერსიტეტო სივრცეს და აქცენტს ამახვილებს სოციალურ თუ გარემოსდაცვის აქტივობებზე, რომლებშიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები საკუთარი სურვილით, ნებაყოფლობით მონაწილეობენ (Vallaeys, 2013).

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი კონცეფცია მსგავსია მისი აკადემიურ სფეროში გადმოტანის შემთხვევაშიც, მიიჩნევა, რომ ცნება „აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა“ ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის სრულად ორგანული არ არის, რამდენადაც, თუნდაც როგორც ტერმინი, აქტიურად არ გამოიყენება. როგორც ზოგადად, ისე ქართულ აკადემიურ

სფეროში, საკითხის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია კონცეფციის ინტერნალური და ექსტერნალური ფაქტორების გამოვლენისა და განხორციელების შესწავლა.

ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის მნიშვნელოვანი პერიოდია 2005 წელი, როდესაც საქართველო **ბოლონიის პროცესს** შეუერთდა, რომლის ფარგლებშიც გამოკვეთილია უნივერსიტეტების ცენტრალური როლი ევროპის კულტურული განზომილებების განვითარების მხრივ; გააზრებულია, რომ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნას პოზიტიური გავლენა ექნება ევროპის ყოველმხრივ განვითარებაზე, მათ შორის მოქალაქეთა მობილობასა და დასაქმებაზე. ბოლონიის დეკლარაციაზე ხელმოწერა უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბებაში მონაწილეობაზე მზაობას უსვამს ხაზს. იგი საუნივერსიტეტო სივრცეს მოუწოდებს, რომ მუდმივად შესაბამისი იყოს ცვალებად საჭიროებებთან, მეცნიერული ცოდნის განვითარებასა და საზოგადოების მოთხოვნებთან (ბოლონიის დეკლარაცია, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, 1999). ევროპულ ქვეყნებში არსებული პრაქტიკისა და პოლიტიკის გაანალიზების შედეგად პროექტ „უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა: საერთო ევროპული საცნობარო ჩარჩოს“ *(„University Social Responsibility: A Common European Reference Framework“)* ფარგლებში გამოიკვეთა უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის საორიენტაციო სტანდარტები, რომლებიც 4 განსხვავებულ სფეროს მოიცავს:

1. კვლევა, სწავლება, სწავლის მხარდაჭერა და საზოგადოების ჩართულობა
2. მმართველობა
3. გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობა
4. სამართლიანობის პრაქტიკა (University Social Responsibility: A Common European Reference Framework, 2015)

ბოლონიის პროცესთან შეერთების შემდეგ საგანმანათლებლო სივრცეში მეტად გამოიკვეთა უნივერსიტეტთა სოციალური დანიშნულება და მათი საზოგადო მნიშვნელობა, რაც აკადემიური პასუხისმგებლობის ფუნდამენტური გააზრებაა. ამდენად, განათლების რეფორმის შედეგად განხორციელებული ცვლილებების პრაქტიკულ დონეზე გაანალიზება და მათ სოციალურ დატვირთვაზე აქცენტირებაა საჭირო. რეფორმის გააზრებასთან ერთად, სწორედ საუნივერსიტეტო სივრცის

აქტორების ინფორმირებულობის დონისა და სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობის შეფასების შედეგადაა შესაძლებელი განისაზღვროს, თუ რამდენად სრულყოფილად რეალიზდება სხვადასხვა ტიპისა და გეოგრაფიული მდებარეობის მქონე უნივერსიტეტებში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტები.

მეთოდოლოგია

აღნიშნული კვლევა **მიზნად** ისახავდა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირებულობის დონის შესწავლას, როგორც რეგიონულ, ისე თბილისის უნივერსიტეტებში, განსხვავებულ სასწავლო საფეხურსა და მიმართულებაზე. აგრეთვე გაანალიზდა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური და ექსტერნალური კომპონენტების რეალიზების დონე და არეალი. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა საქართველოში გატარებული უმაღლესი განათლების რეფორმების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების ჭრილში.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად კვლევის ფარგლებში შემდეგი **ამოცანებია** შემუშავებული:

- ნორმატიული ცვლილებების როლის შეფასება აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა-განვითარების პროცესში - მნიშვნელოვანია რა ეტაპები გაიარა საქართველოს საუნივერსიტეტო სივრცემ ბოლონიის პროცესთან შესაერთებლად. ამავდროულად, იმის გამოკვეთა, თუ როგორ მოხდა განათლების რეფორმის შედეგად განახლებული ნორმატიული აქტების დანერგვა და რამდენად იყო ახალ საგანმანათლებლო სფეროში გათვალისწინებული სოციალური პასუხისმგებლობის ის ელემენტები, რომლებიც შესაძლოა აკადემიურ სივრცეში რეალიზდეს.
- სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლების ინფორმირებულობის დონის შესწავლა - ერთი მხრივ, მოიაზრება ტერმინის მნიშვნელობა, ხოლო, მეორე მხრივ, შემადგენელი კომპონენტების სწორად განსაზღვრა.

- სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლების მიერ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელი აქტივობების განხორციელებისა და მათში მონაწილეობის შესწავლა (პრაქტიკული დონე) - მოიაზრება, როგორც შიდასაუნივერსიტეტო სივრცე, ისე უნივერსიტეტსგარე აქტივობები, რომლებიც, თავისი შინაარსითა და დატვირთვით, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტებს შეესაბამება.
- აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტების განხორციელების მიმართულებით უნივერსიტეტთაშორისი და მიმართულებათაშორისი განსხვავებების დადგენა - იმის გათვალისწინებით, რომ, კერძო და სახელმწიფო ტიპის უნივერსიტეტებს შესაძლოა განსხვავებული შინაგანაწესი და სამოქმედო მოდელი ჰქონდეთ, მნიშვნელოვანია შედარებითი ანალიზის განხორციელება. მეორე მხრივ კი, საკითხის ბიზნესის მიმართულებასთან მჭიდრო ბმის გათვალისწინებით, საჭიროა, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ჭრილში, სასწავლო მიმართულებებს შორის არსებული განსხვავებების წარმოჩენა. შედარებითი ანალიზის ფარგლებში წარმოდგენილია სასწავლო საფეხურების მიხედვით გამოვლენილი განსხვავებებიც.

ამდენად, კვლევის **ობიექტს** წარმოადგენს საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, უნივერსიტეტები.[1] კვლევის **საგანი** კი ამ დონეზე აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესწავლა, მისი პრაქტიკული გამოვლინებების გაანალიზება და, ნორმატიულ დონეზე, განათლების რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების გაცნობაა.

უცხოური უნივერსიტეტების შესახებ ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია სხვადასხვა სასწავლო მიმართულების სტუდენტებისთვის განსხვავებულ დატვირთვას იძენს. ამასთან, რადგანაც უშუალოდ ტერმინი საფუძველს ბიზნეს სფეროდან იღებს (კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა), თეორიული ჩარჩოსა და სხვა

[1] კვლევაში მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტებმა, ანუ იმ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რომელთაც სამივე სასწავლო საფეხური აქვს - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა

ქვეყნებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე, სავარაუდოა, რომ ბიზნესის/ეკონომიკის მიმართულების სტუდენტებს უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. ამასთან, საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ თბილისის უნივერსიტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი/სტუდენტები მეტად ინფორმირებულები იქნებიან **(ძირითადი ჰიპოთეზა).**

ამავდროულად, თეორიული ჩარჩოს გათვალისწინებით, კვლევის ფარგლებში **დამატებითი ჰიპოთეზები** განისაზღვრა:

- აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის საგანმანათლებლო სფეროსთან მჭიდრო შინაარსობრივი ბმის გამო, სავარაუდოა, რომ უნივერსიტეტების საქმიანობა კონცეფციის ინტერნალური კომპონენტების განხორციელებაზე მეტად იქნება მიმართული, ვიდრე ექსტერნალურის
- იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში დამკვიდრებული ფენომენი ნაკლებადაა, სავარაუდოა, რომ ამ ეტაპზე სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებს მკვეთრად განსხვავებული პოლიტიკა არ აქვთ. ამდენად, შესასწავლ საკითხთან მიმართებით ნაკლებსავარაუდოა, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდეს - უნივერსიტეტის ტიპი სტუდენტების ინფორმირებულობასა და მათ შიდასაუნივერსიტეტო თუ უნივერსიტეტსგარე აქტივობებში მონაწილეობაზე გავლენას არ მოახდენს
- აკადემიურ სივრცეში გატარებული დროის გათვალისწინებით, მეტად სავარაუდოა, რომ მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები უფრო ინფორმირებულნი იქნებიან შესასწავლი საკითხის შესახებ, რაც მათ სხვადასხვა ტიპის აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილებას დაეფუძნება

შერჩევა

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის დონის შესასწავლად და, აგრეთვე, მისი კომპონენტების პრაქტიკულსა თუ ნორმატიულ დონეზე გამოვლენის გასაანალიზებლად კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა

ტრიანგულაციური მიდგომა. მსგავსი პრინციპი გულისხმობს კვლევითი მეთოდების შენაცვლებას, მონაცვლეობას, რაც მიზნად ისახავს საკვლევი საკითხის დეტალურ და სიღრმისეულ შესწავლას (Olsen, 2004). ამდენად, კვლევის ფარგლებში გამოყენებულია, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.

საველე სამუშაოები ჩატარდა 2023 წლის მარტი-ივლისის პერიოდში. სადისერტაციო თემის პროექტი დაფინანსდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთწლიანი გრანტით [PHDF-22-1430].

თვისებრივი კვლევა

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, თვისებრივი კვლევა ორი ძირითადი კომპონენტითაა წარმოდგენილი: სამაგიდე კვლევა (desk research) და სიღრმისეული ინტერვიუები.

სამაგიდე კვლევის ფარგლებში გაანალიზდა, ზოგადად, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის გაიდლაინები და, ამასთან, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო მითითებები. დამატებით განხილული იქნა უმაღლესი განათლების შესახებ საკანონმდებლო აქტები, ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები და რეფორმების ეფექტიანობის შემფასებელი ანგარიშები. სამაგიდე კვლევის ფარგლებში, გაანალიზებული იქნა 2005 წლის რეფორმამდელი მდგომარეობა, რაც არსებულთან შედარების შესაძლებლობას შექმნის. სამაგიდე კვლევამ დაფარა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტების რეალიზების უცხოური და ადგილობრივი მაგალითები.

სიღრმისეული ინტერვიუებისთვის კვლევის ფარგლებში განისაზღვრა რამდენიმე სამიზნე ჯგუფი:

- განათლების რეფორმაზე მომუშავე ექსპერტები
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი (ხარისხის მართვის დეპარტამენტი, ეთიკის საბჭო) და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები

- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (როგორც პროფესორები, ისე მოწვეული ლექტორები)

თითოეული სამიზნე ჯგუფის განსაზღვრას განსხვავებული საფუძველი ჰქონდა. განათლების რეფორმაზე მომუშავე ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში, ერთი მხრივ, შეფასდა 2005 წლის რეფორმამდელი მდგომარეობა, მეორე მხრივ კი, - განხორციელებული ცვლილებების მნიშვნელობა და დატვირთვა. ამასთანავე, ამ ჯგუფის რესპონდენტებთან ინტერვიუებში გამოიკვეთა, თუ რამდენად იყო ინტეგრირებული დაგეგმილ ცვლილებებში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტები, რამდენადაა არსებული მოდელი მორგებული უნივერსიტეტსგარე აქტივობებს, ზოგადად, რამდენად ასრულებს უნივერსიტეტი მასზე დაკისრებულ სოციალურ პასუხისმგებლობას.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს, მათთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე შესაძლებელი გახდა უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობის გაანალიზება, თუ რა აქტივობები ხორციელდება შიდასაუნივერსიტეტო და უნივერსიტეტსგარე დონეზე, როგორ უზრუნველყოფს უნივერსიტეტი სტუდენტების ინფორმირებულობას. ამასთან, შეფასდა ეთიკის საბჭოს მუშაობის პრინციპი და გამოცდილება. სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებმა კი განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს უნივერსიტეტსგარე აქტივობებზე, რომელთა ორგანიზატორები ხშირად თავად არიან და, შესაბამისად, ადეკვატურ ინფორმაციასაც ფლობენ.

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, რესპონდენტები შეირჩნენ არაალბათური შერჩევის მოდელის საფუძველზე, კერძოდ, გამოყენებული იქნა მიზნობრივი შერჩევა. ზოგიერთ შემთხვევაში, შერჩევა თოვლის გუნდას პრინციპით განხორციელდა. რესპონდენტების შესარჩევად გამოყენებული იქნა უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სტრუქტურისა და დეპარტამენტების წარმომადგენლების შესახებ.

სულ კვლევის ფარგლებში ჩატარდა 30 სიღრმისეული ინტერვიუ, რაც სამიზნე ჯგუფების მიხედვით, შემდეგნაირად გადანაწილდა:

- განათლების რეფორმაზე მომუშავე ექსპერტები - 5 ინტერვიუ

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი (ხარისხის მართვის დეპარტამენტი, ეთიკის საბჭო) და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები – 10 ინტერვიუ
- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (როგორც პროფესორები, ისე მოწვეული ლექტორები) – 15 ინტერვიუ

აკადემიური პერსონალის შემთხვევაში განსაზღვრული რაოდენობა მოიცავს, კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების სხვადასხვა სასწავლო მიმართულების პროფესორებსა და მოწვეულ ლექტორებს.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში შესაძლებელი გახდა, თითოეულ სამიზნე რეგიონში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, თელავი, ახალციხე) მდებარე უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან ჩატარებულიყო სიღრმისეული ინტერვიუები.

ინტერვიუების ჩასატარებლად გამოყენებული იქნა, როგორც პირისპირი, ისე დისტანციური ფორმატი - დედაქალაქში ინტერვიუების ძირითადი ნაწილი ჩატარდა პირისპირ, ხოლო რეგიონული უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან - დისტანციურად, ონლაინ პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით.

.

რაოდენობრივი კვლევა

კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანია თბილისსა და სხვა ქალაქებში მოქმედ უნივერსიტეტებში არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების გამოკვეთა. დასახული მიზნის მისაღწევად და შედარებითი ანალიზისთვის კვლევის ლოკაციად განისაზღვრა 5 საუნივერსიტეტო ქალაქი; ის ქალაქები, სადაც ფუნქციონირებს სამივე სასწავლო საფეხურის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები - უნივერსიტეტები.[2] ამდენად, კვლევა ჩატარდა შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, თელავი, ახალციხე.

რაოდენობრივი კვლევის ძირითადი მიზანი იყო, ერთი მხრივ, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ სტუდენტების ინფორმირებულობის

[2] კვლევა არ მოიცავს სასწავლო უნივერსიტეტებს, რომლებშიც სწავლების მხოლოდ ორი საფეხურია - ბაკალავრიატი და მაგისტრატურა.

შესწავლა, ხოლო, მეორე მხრივ, უნივერსიტეტს შიდა და გარე დონეზე პრაქტიკული გამოვლინებების ანალიზი - ის, თუ რა გზებით ცდილობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაკისრებული აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზებას, რა ნაბიჯები გადაიდგა კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პერიოდში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის, როგორ უყურებენ სტუდენტები საკუთარ სოციალურ პასუხისმგებლობას და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საქმეებში ჩართულობას, ანუ რამდენად სოციალურად პასუხისმგებლიან აქტორად მიაჩნიათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

რაოდენობრივი კვლევის საწყის ეტაპზე უნივერსიტეტების შერჩევა დაეფუძნა პრინციპს, რომ თითოეული საუნივერსიტეტო ქალაქი მოცულიყო და ამავდროულად შესაძლებელი ყოფილიყო კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების შედარება. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონებში, ძირითადად, სახელმწიფო უნივერსიტეტები ფუნქციონირებს, კერძო უნივერსიტეტები მხოლოდ თბილისსა და ქუთაისში შეირჩა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებმა.

რაოდენობრივი კვლევის ჩასატარებლად შემუშავდა ალბათური შერჩევის მოდელი, კერძოდ მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის მიდგომა წინასწარი სტრატიფიკაციით. კვლევის ფარგლებში გამოიყო სამი ძირითადი, დამოუკიდებელი სტრატა - უნივერსიტეტის ტიპი, სასწავლო საფეხური, სასწავლო მიმართულება.

შერჩევის მოდელის ასაგებად თითოეული სტრატის შემადგენლობა დაზუსტდა. უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით, ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყო: სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტი. რაც შეეხება სასწავლო საფეხურს, საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მოდელი გადაჯგუფდა და საბოლოოდ ორ კატეგორიად ჩამოყალიბდა - ბაკალავრიატი და მაგისტრატურა:

ბაკალავრიატი და ბაკალავრის ხარისხთან გათანაბრებული პროგრამები:

- ბაკალავრიატი
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

მაგისტრატურა და მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული პროგრამები:

- მაგისტრატურა
- ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა
- ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა
- მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა

მოქმედი სასწავლო მიმართულებების სტრატა კი 5 კატეგორიად გადაჯგუფდა:

- ბიზნესი / ეკონომიკა
- სოციალური / ჰუმანიტარული მეცნიერებები
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები / ტექნიკური მიმართულება
- სამედიცინო მიმართულება
- სახელოვნებო მიმართულება

სტრატების განსაზღვრის შემდეგ კლასტერიზაციის პროცესი განხორციელდა. კვლევის ფარგლებში კლასტერს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთა შერჩევა სტრატებს შიგნით შემთხვევითი შერჩევის პრინციპს დაეფუძნა. შერჩევის მოდელისთვის გამოყენებულია სამსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის მიდგომა, სადაც განსაზღვრულია პირველადი, მეორეული და საბოლოო შერჩევის წერტილები:

- პირველადი შერჩევის წერტილი (PSU): უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- მეორეული შერჩევის წერტილი (SSU): უნივერსიტეტის რომელიმე სასწავლო საფეხურის ესა თუ ის სპეციალობა
- საბოლოო შერჩევის წერტილი (FSU): კონკრეტული სტუდენტი

სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო **1815-მა სტუდენტმა.** მიღებული მონაცემები რეპრეზენტატულია უნივერსიტეტის ტიპის, სასწავლო საფეხურისა და სასწავლო მიმართულებების დონეზე, რაც სტატისტიკურად სანდო განსხვავებებზე მსჯელობის საშუალებას იძლევა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მთელი შერჩევის ცდომილება ±2.3%-ია (95%-იანი სანდოობის დონე). სტრატებს შიგნით გამოსაკითხ

რესპონდენტთა რაოდენობა ცალკეულ უნივერსიტეტში სტუდენტთა ოდენობის პროპორციულად განისაზღვრა. გადანაწილება იხილეთ ცხრილში #1.

ცხრილი 1 - გამოკითხულ სტუდენტთა სტრატებში გადანაწილება

	სტუდენტთა რაოდენობა	ცდომილება (95%-იანი სანდოობის დონე)
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპი		
სახელმწიფო	1135	2.9%
კერძო	680	3.7%
სასწავლო საფეხური		
ბაკალავრიატი	1362	2.6%
მაგისტრატურა	453	4.6%
სასწავლო მიმართულება		
ბიზნესი / ეკონომიკა	372	5%
სოციალური / ჰუმანიტარული მეცნიერებები	374	5%
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები / ტექნიკური მიმართულება	372	5%
სამედიცინო მიმართულება	371	5%
სახელოვნებო მიმართულება	326	5%
სულ	**1815**	**2.3%**

რაოდენობრივი კვლევის საველე სამუშაოები ჩატარდა ორგვარი მიდგომით - სტუდენტთა ნაწილი გამოიკითხა პირისპირ, საუნივერსიტეტო სივრცეებში, ინტერვიუერის თანდასწრებით, ნაწილი კი დისტანციურად, კითხვარის ელექტრონული მისამართი („ლინკის“) გაზიარებით. როგორც აღინიშნა, თითოეულ შემთხვევაში გამოყენებულ იქნა თვითადმინისტრირებული ანკეტირების მეთოდი, რაც ნიშნავს, რომ ინტერვიუერის მიწოდებული ელექტრონული მოწყობილობის, პლანშეტის, გამოყენებით, თუ კითხვარის ლინკის მიღების შედეგად სტუდენტებმა თავად შეავსეს კითხვარი, ინტერვიუერის/სხვა პირების ჩარევის გარეშე.

შედეგად, 1203-მა სტუდენტმა პლანშეტებში ჩატვირთული ელექტრონული ანკეტა შეავსო, ხოლო 612 ონლაინ, „ლინკის“ გამოყენებით, ჩაერთო კვლევაში.

კლასტერიზაციის პროცესში შემთხვევითად შეირჩა 19 კერძო და 12 სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელთა შორისაც სტრატებში განსაზღვრული გამოსაკითხ სტუდენტთა რაოდენობა გადანაწილდა (იხ. ცხრილი #2).[3]

[3] სასწავლო საფეხურების ჭრილში განსაზღვრული საერთო ოდენობა სასწავლო მიმართულებების დონეზეა ჩაშლილი.

ცხრილი 2 - შერჩევის მოდელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	ბიზნესი/ეკონომიკა	სოციალური/ჰუმანიტარული მეცნიერებები	ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ტექნიკური მიმართულება	სამედიცინო მიმართულება	სახელოვნებო მიმართულება
სახელმწიფო უნივერსიტეტი							
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	68	21	12	25	21	19	12
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	48	19	16	22	10	19	-
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	85	4	-	-	-	-	94
სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	52	1	-	-	-	-	58
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	41	111	-	-	-	159	-
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	13	-	1	8	5	-	-
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	116	46	35	60	31	32	4
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	160	24	110	25	14	-	35
სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	17	-	2	14	1	-	-
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	200	31	51	18	130	-	25
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	46	-	-	-	-	-	50
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	30	2	5	20	5	2	-
სულ (სახელმწიფო უნივერსიტეტი)	**876**	**259**	**232**	**192**	**217**	**231**	**278**
კერძო უნივერსიტეტი							
ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	4	38	1	5	-	36	-
ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	36	5	9	-	32	-	-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	ბიზნესი/ეკონომიკა	სოციალური/ჰუმანიტარული მეცნიერებები	ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ტექნიკური მიმართულება	სამედიცინო მიმართულება	სახელოვნებო მიმართულება
ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია	6	3	-	4	-	-	5
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	25	3	5	21	2	-	-
ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	14	11	5	4	-	-	-
ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი	2	-	-	-	-	2	-
შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	33	6	20	-	19	-	-
შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	21	7	8	15	-	5	-
შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი	-	18	-	-	-	18	-
შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	48	6	18	-	-	-	36
შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	42	27	9	32	-	27	-
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	72	10	18	27	32	1	5
შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	15	1	6	-	11	-	-
შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	99	30	19	41	44	25	-
შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	20	8	6	8	8	4	2
შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი	5	-	3	2	-	-	-
შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	30	2	9	16	7	-	-
შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	8	6	2	2	-	10	-
შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	6	13	2	5	-	12	-
სულ (კერძო უნივერსიტეტი)	**486**	**194**	**140**	**182**	**155**	**140**	**48**
სულ	**1362**	**453**	**372**	**374**	**372**	**371**	**326**

კვლევის ინსტრუმენტები

თვისებრივი კვლევა

თვისებრივი კვლევისთვის, სამიზნე ჯგუფების მიხედვით, განსხვავებული გზამკვლევი შემუშავდა (სულ 5 გზამკვლევი), რომლებიც თემატურ ბლოკებად დაიყო; შეკითხვები, ერთი მხრივ, დაკავშირებული იყო აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის დონის განსაზღვრასთან, თუმცა, უმეტესწილად აფასებდა შიდასაუნივერსიტეტო და უნივერსიტეტსგარე საქმიანობას, ეთიკის მიმართულებით შემუშავებულ დებულებებსა და ნორმებს. განათლების რეფორმაზე მომუშავე ექსპერტებისთვის შედგენილი გზამკვლევი აფასებდა რეფორმამდელ მდგომარეობას, მისი განხორციელების საჭიროებებსა და ეფექტიანობას. ამასთან, უმაღლესი განათლების ექსპერტებთან ინტერვიუებმა დაფარა ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის ბოლონიის პროცესის წევრობის მნიშვნელობა და ის შედეგები, რაც ამ პროცესთან შეერთებამ ქვეყანას მოუტანა.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული გზამკვლევები წარმოდგენილია დანართში #1.

რაოდენობრივი კვლევა

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, სტუდენტების გამოსაკითხად, სტრუქტურირებული კითხვარი შემუშავდა, რომელიც შინაარსობრივ ბლოკებად დაიყო. შესავალი ბლოკი დაეთმო სტუდენტების დემოგრაფიული მონაცემების აღწერას, აგრეთვე, გამოიკვეთა, თუ რომელი უნივერსიტეტის, სასწავლო საფეხურის, მიმართულების, კურსის სტუდენტია, რამაც რესპონდენტების ინფორმირებულობასა და გამოცდილებაზე სწორედ აღნიშნული ცვლადების გავლენის შეფასების შესაძლებლობა შექმნა.

კითხვარის შინაარსობრივი ადაპტირებისა და სრულყოფის მიზნით ჩატარდა პილოტაჟი. საბოლოო ვერსიის შემუშავების შემდეგ კი დოკუმენტი, KoboToolbox-ის სისტემის გამოყენებით, ინტეგრირდა ელექტრონულ ფორმატში, რამაც ელექტრონული მოწყობილობებიდან, პლანშეტიდან (ტაბლეტებიდან), სერვერის გამოყენებით, მონაცემების პირდაპირ ელექტრონული სახით მიღება უზრუნველყო.

რაოდენობრივი კვლევის კითხვარში წარმოდგენილია აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის დონის შემაფასებელი შეკითხვები; აგრეთვე, ბლოკები, რომლებიც დაკავშირებულია საუნივერსიტეტო გარემოსთან, განხორციელებულ შიდასაუნივერსიტეტო თუ გარე ტიპის ღონისძიებებთან. ამ ტიპის შეკითხვებმა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი კომპონენტების რეალიზების გზებისა და პრაქტიკის კვლევის შესაძლებლობა შექმნა. აქვე გაანალიზდა შესასწავლი საკითხის ინდივიდუალურ დონეზე გამოვლენის პრაქტიკები/აქტივობები. ამასთანავე, კითხვარში წარმოდგენილია საუნივერსიტეტო საქმიანობის მხრივ ეთიკასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ცოდნისა და გამოცდილების შემაფასებელი შეკითხვები. კითხვარმა ასევე მოიცვა კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში უნივერსიტეტების ქცევის შემფასებელი სიტუაციური დებულებები.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული კითხვარი წარმოდგენილია დანართში #2.

კვლევის შეზღუდვა

მიუხედავად იმისა, რომ კვლევა მოიცავს საქართველოს ყველა საუნივერსიტეტო ქალაქს, კვლევის შეზღუდვად შეიძლება უნივერსიტეტების დიფერენციაცია მივიჩნიოთ. ის ფაქტი, რომ კვლევის ფარგლებში გამოიკითხება მხოლოდ ისეთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთაც სწავლების სამივე საფეხური აქვთ, ქვეყნის უმაღლესი განათლების დონეზე არსებულ მდგომარეობას სრულად არ აღწერს. მსგავსი გადაწყვეტილება დაფუძნებულია შერჩევის ტექნიკურ მხარესა და შემუშავებული მოდელის ხელმისაწვდომობაზე. ამას თან ერთვის ისიც, რომ კვლევაში არ მიუღიათ მონაწილეობა დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებს, რომელთაც შესაძლოა რადიკალურად განსხვავებული ცოდნა და გამოცდილება ჰქონოდათ უნივერსიტეტში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტების განხორციელებისა და მათში ჩართულობის მხრივ.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ისევე როგორც სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგნელები დას განათლების რეფორმებზე მომუშავე ექსპერტები, მიზნობრივად შეირჩნენ, მათ მიერ გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები კი უშუალოდ მათ გამოცდილებას, პირად წარმოდგენებს ეფუძნება. შესაძლოა სხვა რესპონდენტთან ჩატარებული ინტერვიუ განსხვავებული შედეგის მომცემი ყოფილიყო საკითხის ნებისმიერ დონეზე გაანალიზების მხრივ. თუმცა, მიღებული ინფორმაცია ზოგადი ტენდენციების გამოკვეთს, რაც საკვლევი საკითხის შესახებ მსჯელობის შესაძლებლობას ქმნის.

კვლევის მეცნიერული ღირებულება

ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია შედარებით ახლად დამკვიდრებულია, შესაბამისად, ამ მიმართულებით კვლევითი საქმიანობაც იშვიათია. სამიზნე ჯგუფებთან აკადემიურ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბარი, მათი და, ზოგადად, უნივერსიტეტის პასუხისმგებლობების გაანალიზება, არსებული პრაქტიკისა და გამოცდილებების შესწავლა აღნიშნული თემის მიმართ უფრო დიდ ინტერესს გამოიწვევს. რესპონდენტები უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ, თუ რამდენად სრულყოფილად ხორციელდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განსაზღვრული ძირითადი კრიტერიუმები.

ამავდროულად, განათლების რეფორმაზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფთან ჩატარებული ინტერვიუებმა შესაძლებლობა შექმნა, შედარებულიყო რეფორმამდელი და ამჟამინდელი ვითარება, რაც საგანმანათლებლო სივრცეში ნორმატიულ დონეზე სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინების და გაანალიზების წინაპირობაა.

საყურადღებოა სტუდენტების გამოკითხვის ნაწილის დანიშნულება. იმის გამო, რომ შერჩევის მოდელი ფარავს ყველა საუნივერსიტეტო ქალაქს, მიღებული მონაცემების რამდენიმე ჭრილში განხილვის საშუალება შეიქმნა. კვლევის შედეგად დადგინდა, თუ რა განსხვავება არსებობს უნივერსიტეტის ტიპებს, სასწავლო საფეხურებსა და

სასწავლო მიმართულებებს შორის. გამოვლინდა, რომ ძირითად შემთხვევაში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა მხოლოდ საგანმანათლებლო კომპონენტთან ასოცირდება და უმეტესწილად ინტერნალური კომპონენტები რეალიზდება; რეალურად, კონცეპტის ძირითადი დანიშნულებაა გარესაუნივერსიტეტო აქტივობებში ჩართულობაც, რისი სიმწირეც შეინიშნება. მიღებული შედეგები შესაძლოა, გათვალისწინებულ იქნას სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვის პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ კვლევის ფარგლებში სტრატების დონეზე მხოლოდ ინფორმირებულობის დონე არ შედარებულა, არამედ გაანალიზდა სტუდენტების გამოცდილება - როგორც ნორმატიულ, ისე პრაქტიკულ და ეთიკურ ჭრილში, რაც აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი მახასიათებლებია. მსგავსი მიდგომა კი, შესაძლებელს გახდის შესასწავლი კონცეფციის დანერგვის გზებისა და პრაქტიკების კვლევას, ამჟამად არსებული ხარვეზების გამოკვეთას და მათი გამოსწორების მიდგომებზე მსჯელობას.

ამასთან, ხაზგასასმელია, რომ სამეცნიერო სფეროში არ არსებობს აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცოდნის გამზომი აპრობირებული სკალა/დებულებები. საკითხის შესაფასებლად საჭირო გახდა კონცეპტის შინაარსობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით სხვადასხვა სიტუაციას მორგებული მოსაზრებების შემუშავება. ამდენად, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის გამზომი ცვლადები/დებულებები/ სკალები მე თავად შევქმენი, რაც წარმოდგენილ ნაშრომს, სამეცნიერო თვალსაზრისით, უფრო მეტად ღირებულს ხდის.

ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აკადემიაში განვითარება

მსოფლიო ბიზნეს საბჭო - მდგრადი განვითარებისთვის (WBCSD) განმარტებით, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ბიზნესის მუდმივი მოწოდებაა/მიზანია, იმოქმედოს ეთიკურად და თანამშრომელთა ცხოვრების

ხარისხის, მათი ოჯახების მდგომარეობის, ზოგადად, საზოგადოების გაუმჯობესების საშუალებით წვლილი შეიტანოს ეკონომიკურ განვითარებაში (Yakovleva, 2020). კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის წარმოშობის ერთგვარად ვალდებულება უკავშირდება ბიზნეს სექტორში არსებულ უარყოფით პრაქტიკებს - ბავშვთა შრომა, ცუდი სამუშაო პირობები, აუნაზღაურებელი ზეგანაკვეთური მუშაობა, გარემოს დეგრადაცია. ამჟამად კი, კორპორაციებსა და სხვა სოციალურ აქტორებს, საზოგადოებას შორის არაკომერციული ურთიერთობების აღსაწერად გამოიყენება. ხშირად გამოიყენება მოგებიანი ორგანიზაციების მიმართ, როგორებიცაა კომერციული საწარმოები, ბიზნესები, კორპორაციები, ფირმები, კომპანიები, მაგრამ ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს არამოგებიან ორგანიზაციებთანაც, როგორებიცაა სამთავრობო სტრუქტურები, მუნიციპალური ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სოციალური საწარმოები (Yakovleva, 2020).

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, ესაა ნებაყოფლობითი კონცეფცია, რომელიც კომპანიის წინასწარგანსაზღვრული ქმედებების საფუძველზე ორიენტირებულია საზოგადოებაზე დადებითი გავლენის მაქსიმიზაციისაკენ. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ემსახურება ორგანიზაციის თანამშრომლების, თემის, საზოგადოების მდგრადი განვითარების ხელშეწყობას. შედეგად აღნიშნული კონცეფცია არის ორგანიზაციის შიდა თუ გარე პოლიტიკის, პროგრამების, მიმართულებების ერთობლიობა, რომლებიც ორიენტირებულია დასაქმებულებთან, მომხმარებლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვ. ურთიერთობაზე (Jamali, Hallal, & Abdallah, 2010).

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ფოკუსირებულია კორპორატიული ქმედებების ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობაზე, რაც სოციალურ, ეთიკურ, გარემოსდაცვით და ეკონომიკურ ძალისხმევას აერთიანებს (Yakovleva, 2020). კომპანიის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ოთხი ტიპის სოციალური პასუხისმგებლობისგან შედგება - ეკონომიკური, სამართლებრივი, ეთიკური და დისკრეციული ან ფილანტროპული. აღნიშნული კომპონენტები პირამიდისებურადაა დალაგებული. პირამიდის ფუძე, საწყისი კატეგორია არის ეკონომიკური პასუხისმგებლობა, როგორც ბიზნესის ძირითადი დანიშნულება საზოგადოებაში, რომ აწარმოოს მომხმარებლებისთვის საჭირო მომსახურება და

მიიღოს შესაფერისი მოგება. მომდევნო დონე არის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რამდენადაც ბიზნესს მოეთხოვება არსებული სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოცემულ კანონებსა და რეგულაციებთან თანხვედრა. მესამე კომპონენტი/შრე არის ეთიკური პასუხისმგებლობა, რაც შეესაბამება იმ ქმედებებს, რომლებიც, მართალია, კანონში არ არის გაწერილი, თუმცა საზოგადოებაში აკრძალული და მიუღებელია. პირამიდის მწვერვალში ექცევა ფილანტროპული პასუხისმგებლობა, რაც განსაზღვრავს კორპორატიულ ქმედებებს, რომლებიც პასუხობს საზოგადოების მოლოდინს, რომ ბიზნესები კარგი კორპორატიული მოქალაქეები არიან (Yakovleva, 2020). ამდენად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ესაა სოციალურ კეთილდღეობაზე მიმართული მორალური პასუხისმგებლობა, რომელიც ბიზნესის სტრატეგიასა და საქმიანობებთან ერთად მოიაზრება და არ არის განცალკევებული.

კორპორაციების შემდეგ, სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია, მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს არაკომერციულ ორგანიზაციებშიც. ამჟამად, კორპორაციული მმართველობა მხოლოდ ბიზნეს სფეროს ინტერესს აღარ წარმოადგენს. სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტები და მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულ როლს აკადემიურ გარემოშიც იძენს.

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეპტის ონტოლოგია და განვითარება საგანმანათლებლო სივრცეში 1980-იანი წლებიდან იწყება (Esfijani, Hussain, & Chang, 2013). სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პროცესის აღსანიშნად სხვადასხვა ტერმინი გამოიყენება, როგორებიცაა: სამოქალაქო ჩართულობა, საჯარო სერვისები, საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობა, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა. თითოეული მათგანი მიემართება გააზრებას, რომ უნივერსიტეტი არ არის მხოლოდ ცოდნის შემქმნელი ინსტიტუცია. მას თემის, საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების წინაშეც აკისრია პასუხიმგებლობა. მსგავსი მიდგომით საუნივერსიტეტო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებში შესაძლოა მოიაზრებოდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, აკადემიური

პერსონალი, სტუდენტები, მშობლები, კურსდამთავრებულები, სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციები, ბიზნესები, საწარმოები, დასაქმებულები, პროფესიული ასოციაციები, ადგილობრივი მმართველობები და ა.შ. (Esfijani, Hussain, & Chang, 2013). სამოქმედო არეალის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ტერმინია აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის სინონიმურ ცნებად გამოიყენება.

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკა 2001 წელს ჩილეში 13 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთობლივი მოქმედებით დაინერგა. მათ შექმნეს ქსელი, რომლის მიზანიც ჩილეს უნივერსიტეტებში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტებისა და პრაქტიკის გაფართოებას ემსახურებოდა (Gomez-Vasquez, 2014). ინტერამერიკული განვითარების ბანკის (IDB) პარტნიორობით, 13-მა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ წამოიწყო ინიციატივა „ეთიკა, სოციალური კაპიტალი და განვითარება“, რათა სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული აქტივობების შესახებ ცნობადობა გაზრდილიყო (Gomez, Naveira, & Bernabel, 2018).

სოციალური პასუხისმგებლობის საგანმანათლებლო სივრცეში გადმოტანისა და უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანი იყო 2008 წელს სან-ფრანცისკოში უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ალიანსის დაარსება. ალიანსის დამფუძნებლის მიერ შემუშავებული ჩარჩოს მიხედვით, უნივერსიტეტი ყველა დაინტერესებული მხარის სპეციფიკურ საჭიროებებზე უნდა ორიენტირდეს. საორიენტაციო საკითხებად კი კურსდამთავრებულები, სოციალური ცნობიერება, გამჭვირვალობა და კეთილდღეობა დასახელდა (Esfijani, Hussain, & Chang, 2013).

ვასილესკუმ და სხვებმა (Vasilescu, Barna, Epure, & Baicu, 2010) ნაშრომში „უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება: მოდელი სამოქალაქო საზოგადოების გამოწვევებისთვის“ *(„Developing university social responsibility: A model for the challenges of the new civil society“)* უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა უნივერსალურ კონტექსტში განიხილეს და განსაზღვრეს, როგორც „აქტიური მოქალაქეობისა და, ზოგადად, სამოქალაქო

ვალდებულებების გაძლიერების საჭიროება“, რაც ეკოლოგიურ და გარემოსდაცვით აქტივობებსაც მოიაზრებს. ნაშრომში აღწერილია, რომ უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა არის ეთიკური მიდგომა, რაც მხარს უჭერს/წაახალისებს საუნივერსიტეტო საზოგადოების - აკადემიური პერსონალის, სტუდენტების - სამოქალაქო ვალდებულებასა და სოციალური მომსახურებების გაწევაში მათ ნებაყოფლობით ჩართულობას. ავტორთა მოსაზრებით, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი მდგრადი განვითარების მისაღწევად მოქალაქედ ყოფნის შეგრძნების განვითარებაა (Vasilescu, Barna, Epure, & Baicu, 2010).

როგორც აღინიშნა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საგანმანთლებლო ფუნქციასთან ერთად სოციალური, საზოგადო, მნიშვნელობაც აქვს. ეს შეფასება ეფუძნება გააზრებას, რომ უნივერსიტეტები არის სივრცე, სადაც შესაძლებელია მომავალი ლიდერების აღზრდა, რაც საზოგადო სიკეთის შექმნასა და მიღებაზეა ორიენტირებული. აკადემიამ უნდა შექმნას სივრცე სტუდენტებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მათ მომავალზე ორიენტირებულობას, უნდა განავითაროს განჭვრეტის/წინასწარ დაგეგმვის შესაძლებლობები. მსგავსი მიდგომა შესაძლებელს ხდის, რომ საზოგადოების მოსალოდნელი საჭიროებები წინასწარ განისაზღვროს და ახალი თაობები სწორედ საჭირო ინფორმაციისა და უნარების შესწავლის საფუძველზე აღიზარდონ.

მე-20 საუკუნის ბოლოს გამოქვეყნებულ ნაშრომებში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის განხილვისას ორი ძირითადი მიმართულება გამოიყოფოდა. ბოკის (1982) გააზრებით, **პირველი** მათგანი დაკავშირებულია საუნივერსიტეტო საზოგადოების, მათ შორის სტუდენტების, მორალურ განვითარებასთან. კონკრეტულად კი იმასთან, თუ რა როლის შესრულება შეუძლია უნივერსიტეტს სტუდენტების ეთიკურ საკითხებზე დაფიქრებისა და მორალური განსჯის (moral reasoning) განვითარების მიმართულებით, როგორ შეუძლია აკადემიას ამ მხრივ საკუთარი სტრატეგიული პოზიციის გამოყენება (Bok, 1982). ზოგიერთი ავტორის მიხედვით, საუნივერსიტეტო სივრცეში სწავლების პროცესში ჩართული თეორიული კურსები სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას ხელს არ უწყობს და ღირებულებებზე დაფუძნებულ მმართველობაზე აქცენტს არ აკეთებს. ბოკის

საპასუხოდ აგოსტონი ავითარებს მოსაზრებას, რომ ეთიკა უნივერსიტეტების ცენტრალურ საკითხს არ წარმოადგენს. სამომავლო პერსპექტივიდან კი მნიშვნელოვნად აფასებს ისეთი უნარების განვითარებაზე ორიენტირებას, როგორებიცაა: კრიტიკული აზროვნება და მორალური განსჯა (Agoston, 2009).

ბოკის (1982) მიხედვით, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის **მეორე** ძირითადი ასპექტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებულ სოციალური გავლენის მქონე პროექტებს უკავშირდება (Bok, 1982). სხვა ავტორთა გააზრებითაც, მზარდია იმ უნივერსიტეტთა რაოდენობა, რომლებიც ბიზნესისთვის დამახასიათებელ ინდიკატორებს აერთიანებს (Nagy & Robb, 2008). ნეგის და რობის მიხედვით, მსგავსი გააზრება ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას უკავშირდება. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ბიზნეს სექტორის მსგავსად, დიდი ძალისხმევის გაწევა უწევთ - სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით ინტენსიური აქტივობების დაგეგმვა. უნივერსიტეტი შესაძლოა გავაიგივოთ ბიზნესთან. მსგავსი გააზრება ეფუძნება ანალოგიას, რომ როგორც მომხმარებელი არჩევს სანდო კომპანიას და მის პროდუქციას/მომსახურებას ყიდულობს, სტუდენტიც იმ უნივერსიტეტს ირჩევს და მის პროგრამებს ესწრება, რომელსაც ენდობა. უნივერსიტეტმა უნდა გააცნობიეროს, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, სტუდენტების სიმპათიისა და ნდობის მისაღწევად სოციალური გავლენის მქონე პროექტების დანერგვა-განხორციელებაც საჭიროა. ნეგის და რობის (2008) მიხედვით, აკადემიკოსთა, ლექტორთა უმრავლესობა მის სოციალურ პასუხისმგებლობას, საზოგადო დატვირთვას ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს და საჯარო განხილვებში არ ერთვება; ამდენად არსებობს რისკი, რომ „თუკი აკადემიის წევრები კრიტიკულ საქმიანობას მეტ ყურადღებას არ მიაქცევენ, 21-ე საუკუნის კორპორატიზებულ (corporatized) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საჯარო ინტერესი ადგილს ვერ დაიმკვიდრებს“. ამასთანავე, აღწერილია, რომ სოციალურად არააქტიური ჯგუფი, სოციალურ აქტივობებში მონაწილე აქტიური კურსდამთავრებულის აღზრდას ვერ შეძლებს. აკადემიკოსთა, ლექტორთა გააქტიურების აუცილებლობა განპირობებულია მიდგომით, რომ უნივერსიტეტების განახლების პროცესი როლური მოდელების განვითარებას გულისხმობს (Nagy & Robb, 2008).

ადრეულ ნაშრომებში ვხვდებით „სოციალური პასუხისმგებლობის სწავლების“ განზომილებებს, რომლებიც ახალგაზრდათა ისეთ აღზრდას ემსახურება, რათა მათ განუვითარდეთ სოციალური დამოუკიდებლობა იმ მიზნით, რომ თავი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილად იგრძნონ. ამ განზომილებებს ბერმანი (1990) აყალიბებს თავის ნაშრომში *„განათლება სოციალური პასუხისმგებლობისთვის“ („Educating for social responsibility”)* (Berman, 1990) (იხ. სქემა #2).

სქემა 2 - სამყაროსთან თანამშრომლობის განზომილებები

ფრანსის ვალისი (Vallaeys, 2013) უნივერსიტეტის სოციალურ პასუხისმგებლობის კონცეპტის განხილვისას აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის 4 ძირითად ტიპს გამოყოფს:

- **ორგანიზაციული** - მოაზრებულია ინტერნალური (შიდა) ორგანიზაციული გავლენა, რაც უნივერსიტეტის გარემოსა და აკადემიის წევრებზე ახდენს გავლენას

- **კოგნიტური** - ძირითადად, ორიენტირებულია ახალი ცოდნის დაგროვებაზე
- **საგანმანათლებლო** - განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ შემთხვევაში მიღებული ცოდნის გაზიარება იძენს
- **სოციალური** - ორიენტირდება ექსტერნალურ (გარე) ორგანიზაციულ გავლენაზე, რაც უშუალოდ საზოგადოებას (არა აკადემიის წევრებს) უკავშირდება (Vallaeys, 2013)

ვალისის მიხედვით, საწყის ეტაპზე უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს ის კონკრეტული ჯგუფები, რომელთა მიმართაც იღებს პასუხისმგებლობას და ის აქტივობები, თუ როგორ შეუძლია ამის განხორციელება. ნაშრომში აღწერილია, რომ ამ პრინციპის დაცვით, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის მახასიათებელი კომპონენტების განსაზღვრა 4 ძირითადი მიმართულებით ხდება: პასუხისმგებლიანი კამპუსი, პროფესიული და სამოქალაქო განათლება, სოციალური ჩართულობა, სოციალური ცოდნის მენეჯმენტი. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის 4 ძირითად ტიპსა და ზემოაღნიშნულ მიმართულებებს შორის დამოკიდებულება წარმოდგენილია სქემა #3-ზე (Vallaeys, 2013).

სქემა 3 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ოთხი სფერო



უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეპტუალური ჩარჩო

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის სრულყოფილი კონცეპტუალური ჩარჩოს განხილვისას მნიშვნელოვანია ჩენის (2015) ნაშრომის „ღია სასწავლო რესურსების განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მოდელი“ *(“A strategic planning model for developing open educational resources”)* მიმოხილვა, რომელშიც წარმოდგენილია საკვლევი საკითხის ძირითადი კომპონენტები (იხ. ცხრილი #3) (Chen S.-h. , 2015).

ცხრილი 3 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტები

სოციალური	ადამიანის უფლებები
	ადამიანის მდგრადი განვითარება
სუბ-სოციალური	დასაქმების პოლიტიკა
	ფაკულტეტის & პერსონალის გადამზადება
კოგნიტური	ეთნიკურობა
	გენდერი
	სიღარიბე
	შეზღუდული შესაძლებლობა (უუნარობა)
ორგანიზაციული	მართვის / მენეჯმენტის ეთიკა
	სამუშაო კულტურა
ფილანტროპული	საუნივერსიტეტო მოხალისეობა
	საუნივერსიტეტო ქველმოქმედება
ეკონომიკური	გამჭვირვალობა
	კორპორაციული მართვის პრინციპები
	მიწოდებული პროდუქციის & მომსახურების უსაფრთხოება და ხარისხი
ეთიკური	ეთიკის წესები
	ინტელექტუალური საკუთრების დაცვა
	საავტორო უფლებების დაცვა
გარემოსდაცვითი	გარემოსდაცვითი ორგანიზაციული სტრუქტურა
	ბუნებრივი რესურსების დაცვა
	გარემოსდაცვით პროდუქტებში & სერვისებში ინვესტირება
საგანმანათლებლო	სტუდენტის აღზრდა

	დაინტერესებული მხარეების/პირების ცნობიერება ღირებულებებსა და იმ სოციუმის პრინციპების გაგებაში, რომლის ნაწილსაც წარმოადგენენ

ეთიკის საკითხი, როგორც აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელი კომპონენტი

მართალია, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელ კომპონენტები სხვადასხვა ავტორის მიერ განსხვავებულად აღიქმება, თუმცა, ეთიკა თითოეული მათგანისთვის მნიშვნელოვანი კატეგორიაა. ამას მოწმობს ტეტრევოვასა და საბოლოვას (Tetrevova & Sabolova, 2010) ნაშრომიც „უნივერსიტეტის დაინტერესებული მხარეების მენეჯმენტი და უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა“ *(„University Stakeholder Management and University Social Responsibility“)*, რომელშიც აღწერილ კომპონენტებს შორის ერთ-ერთი სწორედ ეთიკას მიემართება:

- **ეკონომიკა:** კორპორაციული მმართველობის პრინციპები, მომსახურების ხარისხი და უსაფრთხოება, შიდასაუნივერსიტეტო საქმიანობასა და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა
- **ეთიკა:** ინტელექტუალური საკუთრება, საავტორო უფლებების დაცვა
- **სუბ-სოციალური გააზრება:** დასაქმების პოლიტიკა, დასაქმებულთა გადამზადება, დასაქმებულთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, გენდერული თანასწორობა, ბალანსი მუშაობასა და სხვა ყოველდღიურ აქტივობებს შორის
- **ფილანტროპია:** უნივერსიტეტის მოხალისეობრიობა და ქველმოქმედება
- **გარემოსდაცვითი კომპონენტი:** ბუნებრივი რესურსების დაცვა, ეკოლოგიური პროექტები, ეკო-მეგობრული ტექნოლოგიების განვითარება (Tetrevova & Sabolova, 2010)

თითოეულ ზემოაღნიშნულ კომპონენტზე ორიენტაცია ადვილი არ არის. უნივერსიტეტის მმართველმა რგოლმა ეს კონცეპტები დაგეგმვის პროცესში უნდა

გაითვალისწინოს და გრძელვადიანი გადაწყვეტილებების სტრატეგიის გეგმას მოარგოს (Nardo, Codreanu, & Roberto, 2021).

ზოგადად, ეთიკა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ცოდნის ის სფერო/უბანი, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოების მორალური ქმედებების, მისი კომპონენტების, ქცევითი ნორმებისა და წესების შესწავლაზე. ეთიკა ეს არის თეორიული დისციპლინა, რომელიც პრაქტიკულს შეესაბამება; ის მოქმედების ჩარჩო, რომელსაც თითოეული ადამიანი გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს. გალვეზის (2017) სტატიაში „სოციალურ გარემოში უნივერსიტეტის ეთიკა და პასუხისმგებლობა“ *(“The responsibility and ethics of the University in the social environment”)* აღწერილია, რომ უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა ესაა ეთიკური მიდგომა, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საზოგადოებას შორის კავშირს ითვალისწინებს. ამ მხრივ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა დაკავშირებულია უნივერსიტეტის შესაძლებლობასთან, გამოიყენოს ღირებულებებისა და პრინციპების ნაკრები, რომელიც განსაზღვრულია მისი მმართველობის მიდგომაში, ძირითად ფუნქციებში: მართვა (გამჭვირვალობა და ხარისხი), სწავლება (სოციალური პრობლემების გადაჭრის დამკვიდრებული პრაქტიკები), კვლევა (Gálvez, 2017).

რუიტერისა და შინკელის (2017) სტატიაში აღწერილია ეთიკის სწავლების ოთხი ტიპი (Ruyter & Schinkel, 2017):

- აკადემიური ეთიკური თეორიების მოდულის სწავლება
- სტუდენტების პროფესიულ ეთიკაში ჩართულობა - პროფესიული ეთიკისა და აკადემიური მოქალაქეობის მიღწევის მიზნით, ეთიკა შეეხება სწორედ პროფესიონალებისა და მოქალაქეების მორალურობას
- აკადემიური მოქალაქეობა
- კარგი ცხოვრების უნარის განვითარება - ეთიკა შეიძლება უკავშირდებოდეს კარგ ცხოვრებას, როგორც პიროვნული, ისე მორალური გაგებით (როგორც სხვებისთვის მისაბაძი ცხოვრების სტილი)

ეთიკის შესახებ სხვადასხვა თეორიის სწავლება არის ეთიკურობის მიღწევის საწყისი დონე, თუმცა, აკადემიურ სივრცეში განსაკუთრებულ დატვირთვას პირის „აკადემიურ მოქალაქედ“ ჩამოყალიბება იძენს (Ruyter & Schinkel, 2017).

მარტინის სტატიაში „პლაგიატი და პასუხისმგებლობა“ *(“Plagiarism and Responsibility”)* აკადემიაში ეთიკის საკითხის განხილვისას უმნიშვნელოვანეს მიმართულებად საავტორო უფლებების დაცვაა წარმოდგენილი. მეორე მხრივ კი, აღნიშნულია, რომ პლაგიატი საუნივერსიტეტო სივრცეში უფრო მეტად გავრცელებულია, ვიდრე ეს ჩვეულებრივ აღიარებულია (Martin, 1984). პლაგიატი განისაზღვრება, როგორც სხვისი მოსაზრებების, ნაწერის, გამოგონების ან რამე სხვა მასალის მითვისება და გამოყენება. ყველაზე გავრცელებული ფორმა არის სხვისი ნამუშევრის პირდაპირ მოპარვა - სიტყვა-სიტყვითი პლაგიატი. აკადემიურ სივრცეებში ვხვდებით პლაგიატის ისეთ ფორმასაც, რაც შედარებით რთული ამოსაცნობია - უცნობი წყაროდან პერიფრაზი. პერიფრაზი ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა და უმეტესწილად მისაღებად მიიჩნევა, როდესაც გადამოწმების შესაძლებლობა არსებობს (Martin, 1984).

პლაგიატს ხშირად ვხვდებით სტუდენტების ნაშრომებში. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ხშირად „აკადემიური ქურდობა“ წინასწარ განსაზღვრული არ არის - სტუდენტმა არ იცის, რომ აუცილებელია ავტორის მითითება, რამდენადაც აკადემიური პერსონალი ამაზე ნაკლებ ყურადღებას ამახვილებს და შესაბამის ცოდნას არ გასცემს (Martin, 1984).

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ არსებული ემპირიული კვლევებისა და პროექტების მიმოხილვა

ბოლო პერიოდში საგანმანათლებლო სივრცეში გააქტიურებული სოციალური პასუხისმგებლობის მიუხედავად, ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევები, კვლავ მცირეა. სამეცნიერო კვლევების ნაწილი შეეხება უშუალოდ ტერმინ „აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის“ გააზრებას.

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ონტოლოგია

ესფიჯანის, ჰუსეინისა და ჩანგის კვლევაში (2013) „უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ონტოლოგია“ *(“University Social Responsibility Ontology”)* აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ბუნებასა და მის ძირითად შემადგენელ კომპონენტებს შორის ურთიერთმიმართების აღსაწერად, ონტოლოგიის პირველი მონახაზის გაანალიზების მიზნით, გამოყენებულია ნახევრად ავტომატიზირებული და ინტერაქციული მიდგომა, რომელიც ოთხ ძირითად ეტაპს მოიცავს (Esfijani, Hussain, & Chang, 2013):

- შესაბამისი ცოდნის ამოცნობა
- ძირითადი ცნებების ამოსაცნობად ინფორმაციის გაანალიზება
- ურთიერთმიმართების დასადგენად ინფორმაციის გაანალიზება
- ონტოლოგიის დახვეწა

ტექნიკურად ზემოაღნიშნული ეტაპები მოიცავდა საერთო განსაზღვრებების ამოცნობას, გამოტოვებული შინაარსის გაანალიზებას და ონტოლოგიისთვის ახალი იდენტიფიცირებული კონცეპტების დამატებასა და სრულყოფას.

კვლევის (Esfijani, Hussain, & Chang, 2013) პირველ ეტაპზე უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნაშრომები გაანალიზდა - 1996-2011 წლის პერიოდში წარმოდგენილი 18 განსხვავებული კვლევა. იმის გათვალისწინებით, რომ არსებული განმარტებები უმეტესწილად უფრო ვრცელი დისკუსიების აბსტრაქტული ვერსიებია, ანალიზში თითოეული მათგანი არ გათვალისწინებულა. ინფორმირებული მოდელის შესაქმნელად უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის აღმწერი ლიტერატურის შესაბამისი ტექსტური ფრაგმენტები გაანალიზდა.

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი კომპონენტების ამოსაცნობად გამოყენებულ იქნა თვისებრივ მონაცემთა დამუშავების პროგრამა NVivo და Leximancer. მიდგომა გულისხმობდა შესასწავლი საკითხის შესახებ ხშირად გამოყენებული სიტყვების ამოცნობას და მათ შორის სემანტიკური მიმართების დადგენას. ონტოლოგიის დახვეწის მიზნით სინონიმური სიტყვების შეწონილი პროცენტული წილი განისაზღვრა. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი ინდიკატორებია: დაინტერესებული პირები (თემი, საზოგადოება, მმართველობა, ბიზნესი, გარემო), ჩართულობა, განათლება, კვლევა, სტიპენდია, სწავლა, მომსახურება, ცოდნა, სწავლება, ეთიკა (Esfijani, Hussain, & Chang, 2013) (იხ. ცხრილი #4).

ცხრილი 4 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ყველაზე ხშირი კომპონენტები, მათი შეწონილი პროცენტები და მნიშვნელოვნება

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტები	შეწონილი პროცენტი	მნიშვნელოვნება
დაინტერესებული მხარეები	9.96	48.75%
ჩართულობა	2.77	13.56%
განათლება	1.35	6.61%
კვლევა	1.32	6.46%
სტიპენდია	1.32	6.46%
სწავლა	1.16	5.68%
მომსახურება	1	4.89%
ცოდნა	0.79	3.87%
სწავლება	0.55	2.69%
ეთიკა	0.21	1.03%
სულ	**20.43**	**100%**

ლიტერატურის კროსანალიზმა გამოავლინა, რომ ზემოაღნიშნულ ინდიკატორებთან ერთად სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი კომპონენტი არის განხორციელებული აქტივობების მიმართულებით გამჭვირვალობა. ანგარიშში აღწერილია, რომ ზოგიერთ ლიტერატურაში აღნიშნული ფაქტორი ხაზგასმულია, თუმცა, ძირითადად, გამოტოვებულია. მსგავსი შედეგი შესაძლოა იმით იყოს განპირობებული, რომ უშუალოდ ტერმინ „უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის“ განხილვისას აღნიშნული ცნება იძენს მნიშვნელობას, თუმცა, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის სხვა სინონიმური ცნებების ანალიზისას განსაკუთრებული დატვირთვა აღარ ენიჭება (Esfijani, Hussain, & Chang, 2013).

რუმინული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგალითი

2013 წელს გამოქვეყნდა დიმას, ვასილაშეს, გინეასა და აგოსტონის კვლევა „აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მოდელი“ *(“A model of academic social responsibility”)*, რომელიც ჩატარდა რუმინეთის უნივერსიტეტებში. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტთა გაერთიანებების როლსა და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის აუცილებლობას. აღწერილია, რომ რუმინეთში ხშირად სოციალური კამპანიები უფრო აქტიურად უშუალოდ სტუდენტთა ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ იგეგმება, ვიდრე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან. ამავე კვლევაში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს საგანმანათლებლო საფეხურებს შორის თანამშრომლობა, ძირითადი მნიშვნელობა კი სკოლებთან ურთიერთობას ენიჭება (Dima, Vasilache, Ghinea, & Agoston, 2013).

კვლევის ფარგლებში სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია 6 ძირითადი განზომილებითაა განსაზღვრული:

- კურსდამთავრებულებზე მიმართული პროექტები/პროგრამები
- უნივერსიტეტებს შორის არსებული თანამშრომლობა
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სკოლების თანამშრომლობა
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ბიზნესის თანამშრომლობა
- საერთაშორისო პარტნიორობა
- ეკოლოგიური და სოციალურ-კულტურული პროექტები/პროგრამები (Dima, Vasilache, Ghinea, & Agoston, 2013)

კვლევაში რუმინეთის სამმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მიიღო მონაწილეობა, რომლებიც გამოირჩეოდნენ სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობებითა და ხილვადობით (Dima, Vasilache, Ghinea, & Agoston, 2013). სტარკისა და ტემპესტის (2008) კვლევის საფუძველზე, ობიექტად ბიზნეს სკოლები/მიმართულებები განისაზღვრა. მსგავსი

გადაწყვეტილება ნაშრომში განმარტებულია იმ გააზრებით, რომ ბიზნეს სკოლებს უნივერსიტეტების, ცალკეული ბიზნესების, საზოგადოებისა თუ მთლიანად სამყაროს ფორმირების მხრივ განსაკუთრებული როლი ენიჭება (Starkey & Tempest, 2008).

კვლევის ფარგლებში ორი ჰიპოთეზა შემოწმდა:

1) **პირველი ჰიპოთეზა** - ბიზნეს სკოლები, სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიების მხრივ, ძირითადად, ბიზნესის მიდგომებს იმეორებენ. ამის საფუძველი კი მათი კორპორატიულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირია
2) **მეორე ჰიპოთეზა** - ხშირად რუმინულ უნივერსიტეტებში სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო მოდელები შერეულია (Dima, Vasilache, Ghinea, & Agoston, 2013).

კვლევის ძირითად მიზანს რუმინულ უნივერსიტეტებში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის შესწავლა წარმოადგენდა. ამისათვის ავტორებმა გამოიყენეს, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. თვისებრივი კვლევა მოიცავდა ინტერვიუს მეთოდს - სულ ჩატარდა 50 ინტერვიუ. თვისებრივი კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა მაღალ და საშუალო მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული პირები/ექსპერტები.

რაოდენობრივი კვლევის ანალიზი კი, ძირითადად, დაეფუძნა ფაქტორულ ანალიზსა და მრავალგანზომილებიანი რეგრესიული მოდელის აგებას. ამისათვის გამოყენებულ იქნა კვლევის ფარგლებში განსაზღვრული სოციალური პასუხისმგებლობის 6 ძირითადი განზომილება. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მოდელის თითოეული კომპონენტი ლიკერტის 5-ქულიან სკალაზე შეფასდა - ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „უმნიშვნელო“, ხოლო ქულა 5 კატეგორიას - „მნიშვნელოვანი“. შემდგომ ეტაპზე კი, იმის გასაანალიზებლად, თუ როგორია თითოეული კომპონენტის გავლენა მრავალგანზომილებიანი რეგრესიული მოდელი ააგეს და დამატებით თითოეული ფაქტორის ცალკეული მოდელის განმაპირობებლობის ხარისხი შეაფასეს. კვლევის ფარგლებში სულ გამოიყო რეგრესიის ოთხი მოდელი. ანალიზის ძირითადი ვარაუდი ეფუძნებოდა მიდგომას,

რომ რა ცვლილებებიც პირველი ჯგუფის ცვლადებით ვერ აიხსნა, სავარაუდოდ, რეგრესიული მოდელის დამატებითი ფაქტორებით აიხსნებოდა.

მრავალგანზომილებიანი რეგრესიული მოდელის პირველ ცვლადთა ჯგუფი უკავშირდებოდა კურსდამთავრებულებზე ორიენტირებულ პროექტებს, უნივერსიტეტთაშორისი და სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურის დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას (Dima, Vasilache, Ghinea, & Agoston, 2013). რეგრესიულ მოდელში პირველად დამატებულ ცვლადთა ჯგუფი უნივერსიტეტებისა და ბიზნესის თანამშრომლობას აერთიანებდა. თუმცა, გამოვლინდა, რომ ამ ცვლადის გააზრებას R^2-ის მონაცემში მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოუხდენია. განსაკუთრებული საზრისის მქონე აღმოჩნდა მესამე მოდელის შემადგენელი კომპონენტი, საერთაშორისო თანამშრომლობა. მისი დამატებით R^2-ის მონაცემი თითქმის 4%-ით გაიზარდა, რაც ყველაზე მკვეთრად გამოხატული ცვლილებაა. ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტისა და ბიზნესის თანამშრომლობის ცვლადის დამატებას ისეთი გავლენა არ მოუხდენია, როგორიც საერთაშორისო თანამშრომლობის განხილვას, კვლევის პირველ ჰიპოთეზას უარყოფს, ხოლო მეორეს ადასტურებს (იხ. ცხრილი #5).

კვლევაში გამოყენებული ფაქტორული ანალიზიც, მრავალგანზომილებიანი რეგრესიული მოდელის მსგავსად, ადასტურებს, რომ საერთაშორისო თანამშრომლობა, ერთი მხრივ, მჭიდროდაა დაკავშირებული უნივერსიტეტის სოციალურ პასუხისმგებლობასთან, ხოლო, მეორე მხრივ, იმაზე მიანიშნებს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ბიზნესის თანამშრომლობას მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს (Dima, Vasilache, Ghinea, & Agoston, 2013).

ცხრილი 5 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის რეგრესიული მოდელი (რუმინეთის უნივერსიტეტების მაგალითი)

	მოდელი 1	მოდელი 2	მოდელი 3	მოდელი 4
Constant	5.032	4.131	3.531	3.720
კურსდამთავრებულებზე მიმართული პროექტები/პროგრამები	0.371	0.336	-0.044	0.051

	მოდელი 1	მოდელი 2	მოდელი 3	მოდელი 4
უნივერსიტეტებს შორის არსებული თანამშრომლობა	0.215	0.214	0.104	0.041
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სკოლების თანამშრომლობა	0.051	-0.018	-0.091	-0.044
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ბიზნესის თანამშრომლობა		-0.029	-0.121	0.098
საერთაშორისო პარტნიორობა			0.199	0.071
ეკოლოგიური და სოციალურ-კულტურული პროექტები/პროგრამები				0.245
R^2 adjusted	1.1%	2.3%	7.4%	13%
R^2-ის მაჩვენებლის ცვლილება		1.2%	5.1%	5.6%

კვლევაში აღწერილია, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის ფაქტორის დადებითი კოეფიციენტი მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ პასუხისმგებლობასთან, რამდენადაც იგი უნივერსიტეტის ხილვადობას და საერთაშორისო ასპარეზზე ჩართულობას ზრდის და უცხოეთის უნივერსიტეტებთან საერთო პროექტების შესაძლებლობას ქმნის.

მრავალგანზომილებიანი რეგრესიის ბოლო, მეოთხე, მოდელს ყველაზე მეტად აქვს ამხსნელის ფუნქცია, რამდენადაც იგი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ განზომილებას აერთიანებს. როგორც R^2 adjusted-ის ველშია მითითებული, ერთიანი რეგრესიის მოდელის ამხსნელი ფუნქცია 13%-ს უტოლდება (Dima, Vasilache, Ghinea, & Agoston, 2013).

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა: საერთო ევროპული საცნობარო ჩარჩო

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ევროპულ საზოგადოებას ღირებულებების განსაზღვრისა და გადაცემის გზით ავითარებენ. ამჟამად ევროპული უნივერსიტეტების უმეტესობა აცნობიერებს მათზე დაკისრებული „სოციალური

განზომილების“ მნიშვნელობას და ცდილობს, რომ იგი არა მხოლოდ პოლიტიკის ნაწილად აქციოს, არამედ ყოველდღიურ პრაქტიკაშიც დანერგოს. თუმცა, არ არსებობს რეგულირებული ჩარჩო, რომელიც ამ ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეს (EHEA) ხელს შეუწყობს (University Social Responsibility: A Common European Reference Framework, 2015).

სწორედ ზემოაღნიშნული ჩარჩოს განსაზღვრას მიემართება 2015 წლის EU-USR პროექტი - „უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა: საერთო ევროპული საცნობარო ჩარჩო“ *(„University Social Responsibility: A Common European Reference Framework“).* მისი მიზანი იყო საერთო ევროპული საცნობარო ჩარჩოს შექმნა, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უნივერსიტეტების სოციალურ პასუხისმგებლობას გააძლიერებს. ამისათვის კი, პროექტის ფარგლები შემუშავებულ იქნა ქვემოდან ზევით მიდგომა, რომელიც გულისხმობს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგელობის სფეროში პრაქტიკისა და გამოცდილების შესწავლას და, მასზე დაყრდნობით, საერთო ჩარჩოს შემუშავებას. აღნიშნული კი, სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, ევროპულ უნივერსიტეტებს შორის ქსელის განვითარებას შეუწყობდა ხელს, რათა გაეძლიერებინა უნივერსიტეტის სოციალური მოქმედება და ისეთ პოლიტიკასა და პრაქტიკებზე მოეხდინა გავლენა, როგორებიცაა:

- ორგანიზაციული მმართველობა
- შრომითი პრაქტიკა
- გარემო
- სამართლიანი ოპერირების პრაქტიკა
- მომხმარებელთა საკითხები
- საზოგადოების ჩართულობა და განვითარება
- ადამიანის უფლებები და დემოკრატიული მოქალაქეობა (University Social Responsibility: A Common European Reference Framework, 2015)

პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა წყაროს გაცნობის საფუძველზე, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა განისაზღვრა, როგორც ეთიკური და გამჭვირვალე სტრატეგიების მეშვეობით, უნივერსიტეტების გადაწყვეტილებების, საქმიანობის

საზოგადოებასა და გარემოზე ზემოქმედების პროცესი. უფრო ზუსტად კი გამოყენებული იქნა შემდეგი დეფინიცია: „უნივერსიტეტების მიერ ნებაყოფლობით განხორციელებული პოლიტიკის, სტრატეგიებისა და პრაქტიკის არაერთგვაროვანი სპექტრი, რაც ხელს შეუწყობს სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით კეთილდღეობას“. პროექტმა გამოკვეთა, რომ უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის მიდგომის შემუშავებისას სამი ნაბიჯია გასათვალისწინებელი:

1. ცოდნა
2. ცნობიერების ამაღლება და დარწმუნება
3. კომპრომისი და ჩართულობა (University Social Responsibility: A Common European Reference Framework, 2015)

ევროპული უნივერსიტეტების უმრავლესობა, მათივე თვალსაზრისით, უკვე გადასულია მეორე ნაბიჯზე, რამდენადაც გაცნობიერებული აქვთ სოციალური პასუხისმგებლობის არსი და მისი მნიშვნელობა. ასეთ შემთხვევაში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია განიხილება უნივერსიტეტის მენეჯმენტის დონეზე და შესაძლოა არსებობდეს სპეციფიკური ორგანიზაციული პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის, სტრატეგიებისა და ქმედებების კოორდინაციისა და განხორციელების მხრივ.

მესამე ნაბიჯი მიღწეულია, როდესაც უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა ხდება ტრანსვერსული საკითხი და მთლიანად ინტეგრირდება უნივერსიტეტის სტრუქტურაში, სტუდენტები მოთავსებულნი არიან ცენტრში და სოციალური ცვლილებები ხდება პრიორიტეტული (University Social Responsibility: A Common European Reference Framework, 2015).

მასთან, პროექტის ფარგლებში განხორციელდა ევროპის ფარგლებში უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკების ე.წ. „მეფინგი“ (mapping). კვლევა განხორციელდა ევროპის სხვადასხვა გეოგრაფიული მდებარეობის მქონე (ჩრდილოეთი, ცენტრალური, აღმოსავლეთი, სამხრეთი) 15 ქვეყანაში. სულ გამოვლინდა პრაქტიკის 40 სახეობა. თემატურმა ანალიზმა ცხადყო, რომ 10 შემთხვევაში ყველაზე ხშირი ფოკუსი „საზოგადოების ჩართულობასა და

განვითარებას“ ეთმობა. მეორე ყველაზე ხშირი თემატური ფოკუსი მიემართება „გარემოს“ (9 უნივერსიტეტი როგორც ცენტრალური, ისე სამხრეთ ევროპიდან). „ადამიანის უფლებები“ უკავშირდება რვა პროექტს, ძირითადად, სამხრეთულ უნივერსიტეტებს, შემდგომი პოზიცია კი ეთმობა „ორგანიზაციულ მმართველობას“. „მეფინგის“ შედეგად გამოიკვეთა, რომ ცენტრალური ევროპის სამ უნივერსიტეტს ჰქონდა სოციალური პასუხისმგებლობის კურიკულუმები, რომლებიც, ძირითადად, აერთიანებდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კურსებს (University Social Responsibility: A Common European Reference Framework, 2015).

პროექტის ფარგლებში შეფასდა სოციალური პასუხისმგებლობის ჭრილში ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინები. გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა ყველაზე მეტად უკავშირდება ისეთ ცნებებს, როგორებიცაა: „განვითარება“, „განათლება“, „სოციალური“, „საზოგადოება“. ამასთან, გამოიკვეთა, რომ ტერმინი „კვლევა“ და „ტრენინგები“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს უმაღლესი განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით. შესწავლილი პროექტები, როგორც წესი, ფოკუსირებული იყო მდგრადობაზე, გარემოს დაცვაზე, ადამიანის უფლებებზე და, ამავდროულად, უმრავლესობა მათგანი მოიცავდა ინოვაციების, თანამშრომლობისა და ჩართულობის ასპექტებს (University Social Responsibility: A Common European Reference Framework, 2015).

თბილისის უნივერსიტეტების მაგალითი

2020 წელს პაპიაშვილის შესრულებული სამაგისტრო ნაშრომის „აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კვლევა თბილისის საუნივერსიტეტო სივრცეში: ინფორმირებულობის დონისა და პრაქტიკული გზების შესწავლა (შედარებითი ანალიზი)“ ძირითადი მიზანი უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცოდნის/გამოცდილების შეფასება იყო, რაც ამავდროულად სხვადასხვა ტიპის აქტივობებში მონაწილეობის შესწავლასაც გულისხმობდა (პაპიაშვილი, 2020). კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა 4 უნივერსიტეტი; მათ შორის 2 სახელმწიფო (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), 2 კი - კერძო (ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი,

კავკასიის უნივერსიტეტი). სამიზნე სასწავლო მიმართულებებად სოციალური/ჰუმანიტარული მეცნიერებები და ბიზნესი/ეკონომიკა განისაზღვრა. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. თვისებრივი კვლევა მოიცავდა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლებსა და აკადემიურ პერსონალთან სიღრმისეულ ინტერვიუებს, ხოლო კვლევის რაოდენობრივი კომპონენტი სტუდენტების გამოკითხვას ითვალისწინებდა. კვლევის ძირითად ჰიპოთეზას წარმოადგენდა შემდეგი: აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ბიზნესის/ეკონომიკის მიმართულების სტუდენტების ინფორმირებულობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე სოციალური/ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულების სტუდენტების. ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო მაგისტრატურის საფეხურის 300-მა სტუდენტმა (პაპიაშვილი, 2020).

მონაცემთა ანალიზის ეტაპზე გამოყენებულ იქნა ჯგუფთაშორისი T-ტესტი, რომლის მიხედვითაც, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის მხრივ უნივერსიტეტის ტიპისა და სასწავლო მიმართულებების დონეზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა. ხოლო პირველ და მეორეკურსელი მაგისტრანტების ინფორმირებულობის დონეს შორის სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განისაზღვრა (პაპიაშვილი, 2020).

ნაშრომში (პაპიაშვილი, 2020) აღწერილია, რომ, ჯგუფთაშორისი საშუალო მაჩვენებლების შედარების საფუძველზე გამოვლენილი შედეგების მიხედვით, რეგრესიული მოდელი შემუშავდა, რომლის მიზანიც რესპონდენტთა ინფორმირებულობაზე გავლენის მომხდენი ფაქტორებისა და გავლენის ხარისხის შეფასება იყო. რეგრესიის პირველი, დემოგრაფიული, მოდელის შემდეგ, მნიშვნელოვან ცვლადად განისაზღვრა უნივერსიტეტის ტიპის გავლენის შეფასება, თუმცა, ჯგუფთაშორისი T-ტესტის შედეგების მსგავსად, რეგრესიულმა მოდელმაც მისი გავლენის არარსებობაზე მიუთითა. საბოლოოდ, მონაცემთა მულტივარიაციული ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა ინფორმირებულობაზე გავლენის მომხდენი მხოლოდ სასწავლო კურსი და სტუდენტის ასაკია. რეგრესიული მოდელის მიხედვით, მეორეკურსელ

მაგისტრანტებს ინფორმირებულობის უფრო მაღალი დონე აქვთ, ვიდრე - პირველკურსელებს (იხ. ცხრილი #6) (პაპიაშვილი, 2020).

ცხრილი 6 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეგრესიის მოდელი (თბილისის უნივერსიტეტების მაგალითი)

	მოდელი 1 (დემოგრაფიული მოდელი)	მოდელი 2	მოდელი 3	მოდელი 4
_cons	149.501 (10.661)	150.969 (10.759)	147.831 (11.013)	147.071 (9.940)
სქესი (SEX) (IV)	-4.847 (1.865)***	-5.061 (1.877)***	-5.195 (1.878)**	-2.302 (1.731)
ასაკი (AGE)	-2.019 (0.422)***	-1.962 (0.426)***	-1.960 (0.426)***	-3.087 (0.408)***
უნივერსიტეტის ტიპი (HEI_TYPE) (IV)		-1.996 (1.975)	-2.060 (1.973)	-0.039 (1.798)
სასწავლო მიმართულება (FACULTY) (IV)			2.327 (1.785)	0.541 (1.625)
კურსი (COURSE) (IV)				14.919 (1.808)***
R-squared (R^2)	0.091	0.094	0.099	0.269

*ფრჩხილებში წარმოდგენილია სტანდარტული შეცდომის მაჩვენებლები. *, **, *** ნიშნები აღწერს სანდოობას 90%-იან, 95%-იან და 99%-იან სანდოობის დონეზე*

საბოლოოდ, 2020 წელს ჩატარებულმა კვლევამ (პაპიაშვილი, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კვლევა თბილისის საუნივერსიტეტო სივრცეში: ინფორმირებულობის დონისა და პრაქტიკული გზების შესწავლა (შედარებითი ანალიზი), 2020) აჩვენა, რომ ცნება „აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა“ საუნივერსიტეტო სივრცეში სრულყოფილად დამკვიდრებული ტერმინი არ არის, რამდენადაც მის შესახებ ინფორმირებულობის დონე დაბალია და რესპონდენტებს, საგანმანათლებლო კომპონენტის გარდა, სხვა მახასიათებლების განსაზღვრა გაუჭირდათ. როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის შედეგების გათვალისწინებით, რესპონდენტები აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალურ ფაქტორებზე მეტად ამახვილებენ ყურადღებას, ვიდრე ექსტერნალურზე.

ნაშრომში აღწერილია, რომ ჯგუფთაშორისი T-ტესტისა და რეგრესიის მოდელის საფუძველზე კვლევის ძირითადი ჰიპოთეზა არ დადასტურდა - სასწავლო მიმართულებას რესპონდენტთა ინფორმირებულობის დონეზე გავლენა არ მოუხდენია (პაპიაშვილი, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კვლევა თბილისის საუნივერსიტეტო სივრცეში: ინფორმირებულობის დონისა და პრაქტიკული გზების შესწავლა (შედარებითი ანალიზი), 2020).

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით, მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდა, როგორც გამოცდილების/ინფორმირებულობის ისე ჩართულობის თვალსაზრისით. უნივერსიტეტსგარე აქტივობები უფრო მეტად კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვისაა დამახასიათებელი, რაც ხშირად უნივერსიტეტის პიარსა და რეკლამირებას ემსახურება.

2020 წელს შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი (პაპიაშვილი, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კვლევა თბილისის საუნივერსიტეტო სივრცეში: ინფორმირებულობის დონისა და პრაქტიკული გზების შესწავლა (შედარებითი ანალიზი), 2020) ადასტურებს, რომ უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის აღქმა, ძირითადად, ვალდებულებებისა და მოვალეობების შესრულების დონეზე განიხილება, რაც, უმეტესწილად, რესპონდენტთა აღქმით, მხოლოდ ინტერნალურ კომპონენტებში ვლინდება. ექსტერნალური აქტივობების განხორციელება და მათში ჩართულობა საუნივერსიტეტო დონეზე დაბალია.

1. სამაგიდე კვლევა

1.1. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ტიპოლოგია და გაიდლაინები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (უსდ-ების) როლი ფუნდამენტურია არა მხოლოდ ცოდნისა და პროფესიული უნარების გამომუშავების, არამედ ინფორმირებული, კრიტიკული, დემოკრატიულად და ცივილურად განვითარებული საზოგადოების ჩამოყალიბების მხრივ. უნივერსიტეტებს საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში წვლილის შეტანის პასუხისმგებლობა აქვთ.

უნივერსიტეტების აკადემიური პასუხისმგებლობა გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, როგორც ავტონომიური სტრუქტურის განხილვას, რომელიც „დემოკრატიული მოქალაქეობის“ განვითარებას ემსახურება და, ფართო გაგებით, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნისა და საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირდება. ხელშეწყობა გამოიხატება უნივერსიტეტების ღიაობის და მისი პროდუქტის, შიდასაუნივერსიტეტო დონეზე გენერირებული ცოდნის, ფართო მასებისთვის გადაცემით (Ronsisvalle, Coniglione, & Ronsisvalle, 2021).

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა ოთხ ძირითად სფეროს მოიცავს:

- კვლევა, სწავლება, სწავლაში მხარდაჭერა და საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართულობა
- მმართველობა
- გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობა
- სამართლიანო პრაქტიკა (Coelho, Rodrigues, Evans, Menezes, & Brian, 2017)

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ხელი უნდა შეუწყონ სოციალური პასუხისმგებლობის როლს საზოგადოებასა და მეწარმეობაში. სოციალური პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრატეგიაა რეპუტაციისა და კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად; CSR სტრატეგიაში წარმატების მისაღწევად, CSR ქმედებები შესაძლოა მენეჯმენტის მიერ იყოს ინტერნალიზებული და მხარდაჭერილი (Dahan & Senol, 2012).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიზნეს კორპორაციად განხილვის შემთხვევაში, უნივერსიტეტი იკავებს საგანმანათლებლო მომსახურების დაწესებულების ადგილს, რომელიც მუდამ მიმართული უნდა იყოს მომხმარებლის, ამ შეთხვევაში სტუდენტის, ინტერესებისა და სურვილების დაკმაყოფილებაზე. კომპანიის/ინსტიტუციის იმიჯი იწყება და იგება სწორედ მომხმარებელთა დამოკიდებულებების მიხედვით - გარკვეული პროდუქტის წარმოებისა და მისი შეფასების საფუძველზე.

სუნარდის კვლევაში „უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა, უნივერსიტეტის იმიჯი და უმაღლესი განათლების შესრულება“ *('University Social Responsibility, University Image, And Higher Education Performance')* (2019) აღწერილია, რომ მარკეტინგული კომუნიკაციის ეფექტიანობა სწორედ კომპანიის იმიჯზეა დამოკიდებული. თანამედროვე დრომდე, ტრადიციული გაგებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შეფასება „დამოკიდებული იყო მხოლოდ აკადემიური აქტივობების ასპექტებზე, როგორებიცაა კვლევა და სწავლება. მეტიც, უნივერსიტეტების შესაფასებლად გამოყენებული სხვადასხვა ფაქტორის გაფართოებაც კი არ მოიცავდა უნივერსიტეტების სოციალური გავლენის განზომილებას“ (Sunardi, 2019).

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია გაერთიანებულია სამ შეკითხვაში:

- რაზეა უნივერსიტეტი პასუხისმგებელი?
- ვის მიმართაა უნივერსიტეტი პასუხისმგებელი?
- როგორაა უნივერსიტეტი პასუხისმგებელი?

სუნარდის კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საკვლევ უნივერსიტეტებში:

- საინფორმაციო ტექნოლოგიები არაეფექტიანად გამოიყენება, რასაც რეალურად ხელი უნდა შეეწყო დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის გაზრდაში
- გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია უნივერსიტეტების ვებ-გვერდებსა და ანგარიშებში რთული მოსაძებნია

- კვლევის რესპონდენტები და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის დონე უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ დაბალია
- უნივერსიტეტების სოციალური პასუხისმგებლობა უფრო მეტადაა ორიენტირებული საზოგადოების იმიჯსა და ლეგიტიმაციაზე, ვიდრე იმ თემის/საზოგადოების საჭიროებებსა და მოთხოვნებზე, რომელშიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ოპერირებს (Sunardi, 2019)

1.2. უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო მითითებები

Erasmus+ პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა“ *(‘University Meets Social Responsibility (UNIBILITY)’)* ფარგლებში შემუშავებულია სოციალურ პასუხისმგებლობაში უნივერსიტეტების ჩართულობისთვის საჭირო სახელმძღვანელო მითითებები/გაიდლაინები. როგორც დოკუმენტშია აღწერილი, ეს მითითებები შექმნილია იმისთვის, რომ უნივერსიტეტებს წარედგინოთ რეკომენდაციები და კარგი პრაქტიკის სასწავლო მაგალითები, რათა უპასუხონ მათზე დაკისრებულ ცვალებად სოციალურ როლს, როგორც რეგიონულ, ისე ეროვნულ, ევროპულ თუ გლობალურ დონეზე. უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ სტადიაზეა - საბოლოო შეთანხმება ტერმინოლოგიის კონცეფციის თვალსაზრისითაც კი არ არსებობს. თუმცა, ფართო გააზრებით, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა მოიცავს საზოგადოებასთან დაკავშირებულ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: სოციალური განზომილება, სამოქალაქო ჩართულობა, მესამე მისია და ა.შ. (University Meets Social Responsiblity (UNIBILITY), 2017).

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ცხადად არ წარედგინება კორპორატიული მოთხოვნები, უნივერსიტეტებსა და კორპორაციებს შორის კავშირი გამოკვეთილია: თანამედროვე უნივერსიტეტები კორპორატიული სფეროსგან აღარაა დამოუკიდებელი; მეტიც, ურთიერთთანამშრომლობა უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

ტერმინოლოგიის შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა, ფართო გაგებით, განისაზღვრება, როგორც სტრატეგიული ვალდებულება, განიხილოს საზოგადოება, როგორც უნივერსიტეტის დაინტერესებული მხარე და შესაბამისად იმოქმედოს. ამასთან, უსდ-ების პასუხისმგებლობა ეხება გარე დაინტერესებული მხარეების კონკრეტული ჯგუფების იდენტიფიცირებას და ორივე როგორც ინტერნალურ, ისე ექსტერნალურ, დონეზე სარგებლის მომტანი პოლიტიკის გატარებას.

„უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო მითითებებში“ აღწერილია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ ავტონომია, დამოუკიდებლობა, თავად გადაწყვიტონ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ის ხარისხი, რის განხორციელებასაც შეძლებენ. ამასთან, რეალიზებული პასუხისმგებლობა უნივერსიტეტებისთვისაც სარგებლის მომტანია, მაგალითად ამ მიმართულებებით:

- უნივერსიტეტის გავლენის გაზრდა საზოგადოებაში და საზოგადოებრივი გამოწვევების მოგვარებაში
- საუნივერსიტეტო კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობისადმი საზოგადოების ინფორმირებულობის/გაგების გაზრდა
- თანამშრომლობის გაზრდა ინდუსტრიასთან/წარმოებასთან ან საჯარო ორგანოებთან
- ადგილობრივი საზოგადოების სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე საუნივერსიტეტო კვლევების გავლენის გაზრდა
- უნივერსიტეტის ჩართულობის პოპულარიზაცია პოლიტიკის შემუშავებაში (University Meets Social Responsiblity (UNIBILITY), 2017)

უნივერსიტეტები, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებები, სოციალური პასუხისმგებლობით, თანამშრომლებისა და სტუდენტების მედიატორობით, ხელს უწყობენ საზოგადოების კეთილდღეობას. დოკუმენტში წარმოდგენილია ის

პრინციპები, რომლებიც მოეთხოვება უნივერსიტეტს აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზებაში სრულად ჩართვისთვის:

- **უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც მართვის/მენეჯმენტის მოდელი, რომელიც მუშაობს „ზემოდან ქვემოთ“ პრინციპით:** იმ გავრცელებული ხედვის საპირისპიროდ, რომელიც აკადემიურ სოციალურ პასუხისმგებლობას აკავშირებს ქველმოქმედებასთან, სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა უნდა განიხილებოდეს, როგორც უნივერსიტეტის მენეჯმენტის/მართვის პრინციპი, რამაც გავლენა უნდა მოახდინოს მის ყველა სფეროზე - სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებიდან დაწყებული ადამიანური რესურსების მართვით დამთავრებული. სწორედ ამას გულისხმობს „ზემოდან ქვემოთ“ მოდელი - პირველი რგოლი უნდა იყოს უნივერსიტეტის მენეჯმენტი, თუმცა, უნდა ითვალისწინებდეს ყველა პერსონალს. მართვის პრინციპი გავლენას უნდა ახდენდეს მათ ყოველდღიურ საქმიანობასა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციასა და თანამშრომლობაზე.
- **უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა არ დაიყვანება მხოლოდ ადმინისტრაციულ ერთეულებზე:** როგორც ზემოთ აღინიშნა, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი, საწყისი რგოლი მენეჯმენტია, თუმცა, ეს მიდგომა არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ადმინისტრაციული ერთეულია ექსკლუზიურად პასუხისმგებელი. ადმინისტრაციული განყოფილება ერთგვარ კოორდინაციასა და ზედამხედველობას უნდა უწევდეს შიდა თუ გარესაუნივერსიტეტო დონეზე მიმდინარე პროცესებს. თუმცა, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა უფრო ფართო, მოცულობითი საკითხია, რომელიც სხვა აქტორებსაც ფარავს. დოკუმენტში აღწერილია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე ნაგულისხმევი სოციალური პასუხისმგებლობა მოიცავს, მათ შორის აკადემიური პერსონალის, მკვლევრების სტუდენტებთან დამოკიდებულებას, იმის მონიტორინგს თუ როგორ ატარებენ სტუდენტები კვლევებს, როგორ უმკლავდებიან ეთიკურ პრობლემებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ა.შ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა მხოლოდ ადმინისტრაციის ერთეულისთვის

დამახასიათებელი პროცესი არ არის, არამედ მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე აქტორებს.

- **უნივერსიტეტის ზემოქმედების გაგება და შეფასება:** აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა, ძირითადად, გულისხმობს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სხვადასხვა პროგრამისა თუ აქტივობის საზოგადოებაზე, კონკრეტულად კი დაინტერესებულ მხარეებზე, გავლენის გაგებას, მონიტორინგსა და შეფასებას. მსგავსი მიდგომა უსდ-ებს ეხმარება ახალი მიზნების დასახვაში და დაინტერესებული მხარეების მოლოდინებზე ორიენტირებული მართვის მოდელის შემუშავებაში. მეტიც, ამ პრინციპით შესაძლებელი იქნება დაინტერესებული მხარეების შესახებ ინფორმაციის მოძიება („მეფინგი“), რაც გარე აქტორებთან სამომავლო ფორმალიზებული ურთიერთობის საწყისად შეიძლება იქნეს მიჩნეული.
- **დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგი:** დაინტერესებულ მხარეებთან უწყვეტი დიალოგის ფორმალიზაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯმენტის კიდევ ერთი ინსტრუმენტია, რომელიც უნივერსიტეტს სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის განხორციელებაში ეხმარება. სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით, რეკომენდებულია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ერთობლივი დიალოგის გამართვა. ამისთვის კი ეფექტიან ინსტრუმენტად სწორედ დაინტერესებული მხარეებისა და უსდ-ების მენეჯმენტის წარმომადგენლებით „დაგეგმვის კომიტეტისა“ და „უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის კომიტეტის“ შექმნა განიხილება. აღნიშნული კომიტეტები პასუხისმგებელი იქნება ყოველწლიური ანგარიშების მომზადებაზე, სამომავლო გეგმებისა და სტრატეგიული პროექტების განხორციელებაზე და ა.შ.
- **უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელი კომპონენტების განსაზღვრა და პრიორიტეტიზაცია:** როგორც უკვე აღინიშნა, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა ორ განზომილებას მოიცავს: შიდა (ინტერნალური) და გარე (ექსტერნალური). ძირითად შემთხვევაში, აღქმის დონეზე, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა, თითქოს, გარე აქტორებთან თანამშრომლობას უფრო მოიცავს, თუმცა, ეს შიდა ფაქტორებიც თანაბრად მნიშვნელოვანია. შიდა პრაქტიკის ორი ძირითადი სფეროა ადამიანური რესურსების მართვა და უსაფრთხოება/პროფესიული რისკების პრევენცია. ხოლო ექსტერნალური

განზომილება გარე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობას გულისხმობს. პოლიტიკის დაგეგმვის მნიშვნელობა სწორედ იმ მხრივ იკვეთება, რომ, ზემოაღნიშნული გააზრებით, უნივერსიტეტის პრაქტიკა მოიცავს ყველაფერს და მნიშვნელობა სწორედ აქტივობებისა და დარგების პრიორიტეტიზაციას ენიჭება.

- **უნივერსიტეტის გამჭვირვალობა და დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგის შედეგების შეფასება:** რამდენადაც უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა გაგებულია, როგორც უსდ-ების გაუმჯობესების მართვის ინსტრუმენტი, პროცესების გამჭვირვალობა აუცილებელია. თუმცა, სახელმძღვანელო მითითებებში ვკითხულობთ, რომ საჭიროა უშუალოდ უსდ-ების საქმიანობაზე ორიენტირებული შეფასების ინდიკატორების შემუშავება. მასში გათვალისწინებული უნდა იყოს ნებისმიერი ტიპის უნივერსიტეტის მართვის მოდელი, რათა არსებული მდგომარეობა და საჭიროებები სრულყოფილად შეფასდეს. დამატებით, აღნიშნულია, რომ ძირითადი პერსონალის გადამზადება პირველადი მნიშვნელობისაა (University Meets Social Responsiblity (UNIBILITY), 2017).

„უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო მითითებების“ დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ექსტერნალურ ფაქტორებზე. მითითებულია, რომ, ბიზნესთან თანამშრომლობის მხრივ, უსდ-ები შემდეგი ბარიერების წინაშე დგანან:

- საუნივერსიტეტო და აკადემიური კვლევის ბიზნეს ინტერესებსა და საჭიროებებთან დაკავშირების პრობლემა
- ბიზნეს პარტნიორებთან გრძელვადიანი სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების პრობლემა
- სასწავლო დაწესებულებების ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის მოტივაციის ნაკლებობა

ზემოაღნიშნული დაბრკოლებების საპირწონედ დოკუმენტში შემოთავაზებულია თანამშრომლობის ტიპები, რაც ევროპული უნივერსიტეტების ძირითად ნაწილში უკვე დანერგილია:

- სასწავლო სილაბუსებში ისეთი კურსების დანერგვა, რომლებსაც ბიზნეს ექსპერტები შეასწავლიან

- კომპანიების თანამშრომლობისთვის ისეთი ტრენინგ-კურსების ორგანიზება, რომლებსაც აკადემიკოსები (უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი) შეასწავლიან
- კომპანიებში უნივერსიტეტების სტუდენტების სტაჟირების ხელშეწყობა
- ადგილობრივი/საერთაშორისო ორგანიზაციების ან/და ბიზნეს სექტორის მიერ დაფინანსებული ერთობლივი კვლევითი პროექტები
- უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო/კვლევით ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა (University Meets Social Responsiblity (UNIBILITY), 2017).

დოკუმენტში „უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა: საერთო ევროპული საცნობარო ჩარჩო“ აღწერილია უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის სამსაფეხურიანი სტრატეგია:

1. პირველი ნაბიჯი: ცოდნა
2. მეორე ნაბიჯი: ცნობიერების ამაღლება და დარწმუნება
3. მესამე ნაბიჯი: კომპრომისი და ჩართულობა (University Social Responsibility: A Common European Reference Framework, 2015)

ამ თვალსაზრისით, ევროპის უნივერსიტეტების დიდი ნაწილი საკუთარ თავს მეორე ნაბიჯზე მყოფ ინსტიტუციად მიიჩნევს, რამდენადაც უკვე გაცნობიერებული აქვთ სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა. ამ ეტაპზე უსდ-ების მენეჯმენტი სოციალურ პასუხისმგებლობას აქტივობების ერთ-ერთ ამოცანად მიიჩნევენ და შესაძლოა მისი დანერგვისთვის შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების ეტაპზე იყოს.

მესამე ეტაპი მიიღწევა მაშინ, როდესაც აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა ხდება საყოველთაო საკითხი, ანუ სრულად ინტეგრირდება საუნივერსიტეტო სტრუქტურაში - თითოეული რგოლი გარკვეული ხარისხით ჩართულია პროცესში. ამ შემთხვევაში სოციალური ცვლილებებია პრიორიტეტული და სტუდენტები წარმოადგენენ საუნივერსიტეტო საქმიანობის ბირთვს.

დოკუმენტში დამატებით აღწერილია უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი ხელისშემწყობი ფაქტორები და ბარიერები (იხ. ცხრილი #7).

ცხრილი 7 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორები და ბარიერები

ძირითადი ხელისშემწყობი ფაქტორები	ძირითადი ბარიერები
კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გზები	ეკონომიკური რესურსების ნაკლებობა
პიროვნული მზაობა და ჩართულობა	შიდა მონიტორინგისა და განხორციელების სისტემების ნაკლებობა
კოორდინაცია	გადამეტებული ფორმალობები და ბიუროკრატია
სტრატეგიული გეგმები	შიდა დემოკრატიის დაბალი ხარისხი
საზოგადოების მიერ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა	ორგანიზაციული კულტურის ნაკლებობა
პროგრამების განხორციელება	სტუდენტების მიმართ მწირი ინსტიტუციური მხარდაჭერა

წყარო: *„უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა: საერთო ევროპული საცნობარო ჩარჩო,* (University Social Responsibility: A Common European Reference Framework, 2015)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დეკლარაციაში „უნივერისტეტების ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ“ აღწერილია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მთავარი დანიშნულებაა, რომ შიდასაუნივერსიტეტო დონეზე გენერირებული ცოდნა არა მარტო სტუდენტებს, არამედ მთელ საზოგადოებას გაუზიაროს, ანუ ღიაობის პრინციპი დაიცვას. მსგავსი პროცესი ავტონომიური ინდივიდის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რაც სამოქალაქო პროცესებზე პოზიტიურ გავლენას მოახდენს. აღნიშნული დეკლარაცია ადასტურებს სწავლა-სწავლების პროცესის მნიშვნელოვნებას. მის მიხედვით, უნივერსიტეტი ვალდებულია სწავლის პროცესში გაითვალისწინოს კვლევის უახლესი შედეგები, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება სტუდენტებისთვის სიღრმისეული და მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდება. ამასთან, მსგავსი მიდგომით სამეცნიერო-კვლევით მიმართულებასა და მიღწევებს უფრო მასშტაბური საზოგადოებრივი დატვირთვა ექნება. ამ პროცესებში სტუდენტების აქტიური ჩართულობა კი გააჩენს ინიციატივას, მეტად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დეკლარაციის მიხედვით, *„სტუდენტი არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ სწავლების ობიექტად, არამედ უნდა*

გამოიკვეთოს მისი, თანასწორი მონაწილეობა როგორც სასწავლო, ისე კვლევით პროცესებში" (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013).

1.3. უნივერსიტეტები, როგორც კორპორატიული სუბიექტები: სოციალური პასუხისმგებლობის როლი მათ სტრატეგიულ მართვაში

ელვა რამოს-მონგეს, ხავიერ ლინას აუდეტის და სხვათა წიგნში „უნივერსიტეტები, როგორც კორპორატიული სუბიექტები: სოციალური პასუხისმგებლობის როლი მათ სტრატეგიულ მართვაში" *('Universities as Corporate Entities: The Role of Social Responsibility in Their Strategic Management')* აღწერილია, რომ უნივერსიტეტის დონეზე აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესასწავლად მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ რამდენად სრულყოფილად ფუნქციონირებს უნივერსიტეტის სტრატეგიული მენეჯმენტი. იკვეთება, რომ ბევრი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული გეგმა მხოლოდ მოკლევადიანი ხასიათისაა და ერთი კონკრეტული პრობლემის იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრაზეა პასუხისმგებელი, მაშინ, როდესაც სტრატეგიული დაგეგმვის ორიენტირი გრძელვადიანი გადაწყვეტილებებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება უნდა იყოს, რაც რესურსების სრულყოფილად გამოყენებით ხორციელდება. ნაშრომში აღწერილია, რომ სტრატეგიული დაგეგმვა ავტონომიურობის განცდას უზრუნველყოფს, ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესს და შიდა თუ გარე დონეზე ჩართულ აქტორებთან კომუნიკაციას აუმჯობესებს. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ არ არსებობს ერთი სტანდარტიზებული მეთოდოლოგია, რომელიც შეაფასებდა სტრატეგიული დაგეგმვის ან ინსტიტუციური სწავლის სტრატეგიების ეფექტიანობას. არის შემთხვევები, როდესაც შემუშავებული გეგმის განხორციელება ვერ ხერხდება, ამდენად უნივერსიტეტს უჭირს მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის როგორც ინტერნალური, ისე ექსტერნალური ფაქტორებისა და კომპონენტების სრულად რეალიზება (Ramos-Monge, Audet, & Martínez, 2017).

სტრატეგიული დაგეგმვა უნივერსიტეტს ეხმარება სწორედ სამომავლო სამოქმედო ნაბიჯების განსაზღვრაში და აკადემიური საზოგადოების მოთხოვნილებების, საჭიროებების დაკმაყოფილებაში. საერთო მეთოდოლოგიური ჩარჩოს არარსებობას

ისიც ადასტურებს და ნაწილობრივ „ამართლებს“, რომ თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს, განსხვავებული გარემოსა და რესურსების გამო, სხვადასხვანაირი სტრატეგია სჭირდება. მეთოდოლოგიისა და სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად მნიშვნელოვანია მიზნებსა და ორიენტირების განსაზღვრა; იმის იდენტიფიცირება, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვს საჯარო ხასიათი; რომ საჭიროა საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის აღება, მათ შორის გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მიმართულებით. სტრატეგიების შემუშავებისას სწორედ ეს კომპონენტები უნდა იყოს გათვალისწინებული, მათ შორის უნივერსიტეტის მისიასა და ამოცანებში (Neave, 2000).

ავტორები გვთავაზობენ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის უნივერსიტეტის სტრატეგიულ მართვაში გათვალისწინების სქემას (იხ. სქემა #4) (Ramos-Monge, Audet, & Martínez, 2017):

სქემა 4 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის უნივერსიტეტის სტრატეგიულ მართვაში გათვალისწინება



ავტორები ხაზს უსვამენ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის განზოგადებულ მიზანს - უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების

საჭიროებებისა და მოლოდინების შესრულება. ამდენად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირებას. „დაინტერესებული მხარეების თეორიის“ (stakeholder's theory) მიხედვით, არსებობენ ჯგუფები, რომლებიც გავლენას ახდენენ/მოახდენენ დაწესებულების (ამ შემთხვევაში უნივერსიტეტის) მისიაზე, მიზნებსა და ქმედებებზე. ამასთან, არსებობენ ჯგუფები, რომელთაც, საკუთარი ინტერესის საფუძველზე, შეუძლიათ პროცესებში მონაწილეობის მიღება (Ramos-Monge, Audet, & Martínez, 2017).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში გამოიყოფა შემდეგი დაინტერესებული მხარეები: სტუდენტები და მათი ოჯახები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი, მომსახურების მიმწოდებლები, საგანმანათლებლო სექტორი, სხვა უნივერსიტეტები, კომერცია და მრეწველობა, ერი/საზოგადოება, მთავრობა, ადგილობრივი და ეროვნული გადასახადის გადამხდელები, ხელისუფლება და პროფესიული ორგანოები. უნივერსიტეტის დონეზე სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა-განხორციელებისთვის საჭიროა თითოეული დაინტერესებული მხარის გათვალისწინება. ზოგიერთი ავტორის შეფასებით, თითოეული ზემოაღნიშნული ჯგუფი თანაბრად მნიშვნელოვანია და არცერთს აქვს რამე სახის პრივილეგია (Freeman & Mcvea, 2001). სხვა კვლევებზე დაფუძნებით კი, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პირდაპირი გავლენის მომხდენ ჯგუფებს. ამ ლოგიკით, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი ვექტორი უპირველეს ყოვლისა სტუდენტებისკენ უნდა მიემართებოდეს, რადგან სწორედ ისინი არიან იმ პროდუქტის ყველაზე მნიშვნელოვანი მომხმარებლები, რასაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ქმნის. სტუდენტები არიან ის პირები, რომლებიც ყველაზე მეტ სარგებელს უნდა იღებდნენ უნივერსიტეტისგან, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნის თვალსაზრისით. თუმცა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, დაინტერესებულ მხარეებში ერთიანდება საუნივერსიტეტო საზოგადოების სხვა წევრებიც, მათ შორის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, რომელთა სარგებელიც შეიძლება პროფესიულ გადამზადებაში გამოიხატებოდეს. პასუხისმგებლობის კონტექსტში გასათვალისწინებელია ის ვალდებულება, რაც უნივერსიტეტს ეკისრება „კურსდამთავრებულების“ ფენომენით - სწორედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული ცოდნით საქმდება ინდივიდი;

შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის ინტერნალურ დონეზე დაკისრებული პასუხისმგებლობის რეალიზების ერთგვარი შეფასებაა მოახერხებს თუ არა კურსდამთავრებული სპეციალობით დასაქმებას, კვლევითი საქმიანობის გაგრძელებას, საზოგადოების ფორმირებაში მონაწილოების მიღებას (Ramos-Monge, Audet, & Martínez, 2017).

ზოგადი რჩევის სახით გასათვალისწინებელია, რომ როდესაც უნივერსიტეტი ცდილობს კონკურენტუნარიანობის გაზრდას, უნდა შეაფასოს რამდენად შეესაბამება მის მიერ გაცემული ცოდნა, პროექტები, აქტივობები დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს.

1.4. უნივერსიტეტის „მესამე მისია“

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის სოციალური ფუნქციის მინიჭების გათვალისწინებით, მზარდი მოთხოვნაა, რომ უნივერსიტეტებმა წვლილი შეიტანონ საზოგადოების კეთილდღეობაში, შიდა სივრცეში გენერირებული ცოდნა მიმართონ სოციალური თუ ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრაზე. თუკი აქამდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გააჩნდათ ორი ტრადიციული მიზანი - კვლევა და სწავლება - უნივერსიტეტის თანამედროვე როლი მესამე მისიის დამატებასაც გულისხმობს. თუკი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განისაზღვრებოდა, როგორც სამეცნიერო-კვლევითი სივრცე და მხოლოდ შიდასაუნივერსიტეტო დონეზე სწავლა-სწავლების მიზანს ემსახურებოდა, ახლა მის როლში პასუხისმგებლიანი მოქალაქეების აღზრდაც შედის, რასაც ბაზისი სწორედ შიდასაუნივერსიტეტო დონეზე უნდა ჰქონდეს (CENTRAL, 2020).

უნივერსიტეტის „მესამე მისიას“ ორი ძირითადი პრიორიტეტი აქვს:

- აკადემიური ცოდნის მიზნობრივი გამოყენება და არსებული სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრისკენ მიმართვა
- საჯარო და კერძო საწარმოებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენება/გადაცემა

„მესამე მისიის“ ფარგლებში უნივერსიტეტებს წაეყენებათ მოთხოვნა, რომ იყოს ღია აქტუალურ საკითხებზე სამსჯელოდ და შიდასაუნივერსიტეტო დონეზე შექმნილი აკადემიური, სამეცნიერო პროდუქტების ფართო საზოგადოებისთვის გასაზიარებლად (CENTRAL, 2020).

1.4.1. უნივერსიტეტების როლი რეგიონულ განვითარებაში

საქართველოში Erasmus+ ეროვნული ოფისის მიერ გამოცემულ ანალიტიკურ ანგარიშში „უნივერსიტეტების როლი რეგიონულ განვითარებაში“ აღწერილია უნივერსიტეტების მნიშვნელობა იმ თემის, რეგიონის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში, რომელშიც ლოკალიზებულნი არიან.

დოკუმენტში აღწერილია ის ბარიერები, წინააღმდეგობრივი მოთხოვნები, რომელთა წინაშეც უსდ-ები „მესამე მისიის“ განხორციელებისას აღმოჩნდებიან ხოლმე:

- ექსკლუზიური ნიშის ფორმირება - უმაღლესი განათლების მასიფიკაციის ფონზე პროდუქტის მრავალფეროვანი სპექტრის შექმნა
- საჯარო ინვესტიციებზე უკუგების გაზრდა - ფინანსური დამოუკიდებლობა
- მზარდი კონკურენცია კერძო სექტორთან იმ თვალსაზრისით, რომ აღნიშნული სექტორი ქმნის და აწვდის ცოდნას, მათ შორის პროფესიულს
- ზოგადად, შრომის ბაზრის, მათ შორის საჯარო თუ კერძო სექტორის დამსაქმებლების, ცვალებადი მოთხოვნები კურსდამთავრებულთა კომპეტენციების მიმართ

ნაშრომში აღწერილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეგიონული კონტრიბუციის მიხედვით ტიპოლოგიის ოთხი მოდელი (ტაქსონომია) (ბრეგვაძე, გურჩიანი, გრძელიძე, & კახიძე, 2017):

- **მეწარმეობის მოდელი** - ამ მოდელის მიხედვით, უნივერსიტეტები, გარდა ტრადიციული მისიისა, დამატებით, ორიენტირებულია ექსკლუზიურად ეკონომიკურ განვითარებაზე მიმართულ მიზანზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მეწარმეობის მოდელი ყველა რეგიონისთვის არ არის რელევანტური, რადგან დადებითი შედეგი აქვს მხოლოდ იქ, სადაც სპეციფიკური დარგები

ვითარდება. უსდ-ების მიერ გამოხატული რეგიონული მხარდაჭერა დაკავშირებულია ცოდნის კომერციალიზაციასთან (ამ შემთხვევაში, მაგალითად, ლიცენზიები, პატენტები და ა.შ.). ამ პროცესზე კი განსაკუთრებულ გავლენას პოლიტიკის ისეთი ასპექტები ახდენს, როგორებიცაა მათ შორის დაფინანსება და ინტელექტუალური საკუთრების უფლების მხარდამჭერი პოლიტიკა.

- **რეგიონული ინოვაციური სისტემების მოდელი** - ამ მოდელის ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სხვა ორგანიზაციებსა და აქტორებთან თანამშრომლობით, ორიენტირდებიან რეგიონის სისტემურ ინოვაციურ განვითარებაზე. უსდ-ები წარმოადგენს მედიატორს, დამაკავშირებელ რგოლს, ინოვაციასა და წარმოებას შორის, რაც, გარდა ცოდნის კომერციალიზაციისა, ცოდნის გადაცემის უფრო ფართო სპექტრს გულისხმობს. აღნიშნული მოდელი, მეწარმეობის მოდელთან შედარებით, უფრო ხშირად გამოიყენება.
- **ე.წ. „მეორე მოდალობის“ უნივერსიტეტის მოდელი** - პირველი მოდალობა ორიენტირებულია ცოდნის შექმნის სწორხაზოვან მოდელზე ერთი დისციპლინის ფარგლებში, ხოლო ახალი, მეორე მოდალობა, ცოდნის შექმნის ინტერდისციპლინურ ხასიათს გულისხმობს, რაც პირდაპირ კავშირშია საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებსა და გამოწვევებთან. განსახილველ დოკუმენტში აღწერილია, რომ „მეორე მოდალობის“ განმსაზღვრელი ელემენტებია: ჰეტეროგენულობა, რეფლექსურობა, ინტერდისციპლინურობა, გამოყენებადობა და მეცნიერების მართვის ახალი მიდგომა. აღნიშნული მოდელის ფარგლებში უნივერსიტეტები შესაძლოა ასრულებდნენ ისეთ საქმიანობებს, რომლებიც, მაგალითად, უკავშირდება ურბანულ განვითარებას, გარემოსდაცვით საკითხებს, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და ა.შ.
- **ჩართული უნივერსიტეტის მოდელი** - აღნიშნული მოდელის ფარგლებში უნივერსიტეტებს ტრადიციული მიზნის მაგივრად, რაც გულისხმობს ცოდნის წარმოებას, ეკისრებათ რეგიონულ განვითარებაზე ორიენტირებული მისიის შესრულება. იკვეთება, რომ დიდი ურბანული ცენტრების მიღმა არსებული

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ მხრივ უფრო ეფექტიანად მუშაობენ.

კვლევა „უნივერსიტეტების როლი რეგიონულ განვითარებაში“ ორ სამიზნე რეგიონში - იმერეთსა და აჭარაში ჩატარდა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა შეფასებით, რეგიონულ განვითარებაში უნივერსიტეტების როლი ეკონომიკური განვითარების ჭრილში განიხილება, რაც, ინოვაციური სისტემის მოდელს უკავშირდება. დაკონკრეტებისთვის უნდა ითქვას, რომ კვლევაში აქცენტირებულია უნივერსიტეტის როლი შრომის ბაზრისთვის შესაბამისი ადამიანური კაპიტალის ფორმირების მიმართულებით. თუმცა, რესპონდენტთა შეფასებით, უნივერსიტეტები ხშირ შემთხვევაში ამ ფუნქციის შესრულებას სათანადოდ ვერ ახერხებენ, რადგან მაღალი მოთხოვნის პროფესიებისთვის შესაფერისი კადრების მაგივრად, უფრო მეტად ისეთ ცოდნას გადასცემენ სტუდენტებს, რითაც დაბალი საფეხურის სამუშაო ძალის წარმოებაა შესაძლებელი (ბრეგვაძე, გურჩიანი, გრძელიძე, & კახიძე, 2017).

IDFI-ის კვლევის „განათლების სექტორის მიმოხილვა COVID-19 პანდემიის პირობებში“ (2021) ერთ-ერთ შედეგად განხილულია უნივერსიტეტში მიღებული ცოდნისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თანხვედრის საკითხი. დოკუმენტში აღწერილია, რომ საქართველოში ბიზნესის კეთებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას სწორედ შეუსაბამო განათლების მქონე ადამიანთა კაპიტალი და ცუდი სამუშაო ეთიკა წარმოადგენს. როგორც იკვეთება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დიპლომი (კერძოსა და სახელმწიფოს უნივერსიტეტს შორს განსხვავება არ იკვეთება) მაღალანაზღაურებად სამსახურში დასაქმების წინაპირობა არ არის. პრობლემურია პროფესიით დასაქმებაც. უმაღლესი განათლების საფეხურების გავლის შემდეგ, როგორც IDFI-ის ანგარიშშია ხაზგასმული, კურსდამთავრებულები, ცოდნის დონისა და შინაარსის გათვალისწინებით, არ არიან მზად შრომის ბაზრის მოთხოვნების საპასუხოდ (იხ. დიაგრამა #1) (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2021).

დიაგრამა 1 - საქართველოში ბიზნესის კეთებისთვის გამომწვევი ფაქტორები, 2017 წელი



წყარო: *მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (Executive Opinion Survey 2017), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი*

უნივერსიტეტებისთვის პრობლემურია ახალი ცოდნის დროულად ინტეგრირება სასწავლო პროცესებში, რაც შესაძლოა შემაფერხებელი ფაქტორი იყოს განათლების საერთაშორისო არეალში ყოფნისთვის. „მესამე მისიის“ ფარგლებში უნივერსიტეტებს წაეყენება ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მოთხოვნა, თუმცა, თანამშრომლობა ინდივიდუალურ და არა ინსტიტუციურ დონეზე ხდება. მიზეზად კი უნივერსიტეტების ფინანსური დამოუკიდებლობის არარსებობა განიხილება (ბრეგვაძე, გურჩიანი, გრძელიძე, & კახიძე, 2017).

ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ბარიერად უნივერსიტეტების მხრიდან ინიციატივების ნაკლებობა/არარსებობა მიიჩნევა. ამასთან, ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეფასებით, უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას ისიც აფერხებს, რომ რეგიონული უნივერსიტეტების ძირითად ნაწილში არ არის სპეციალური სამსახური, რომელიც, მაგალითად, პროექტების მოძიებასა თუ გარე აქტორებთან კომუნიკაციაზე იქნებოდა პასუხისმგებელი. არსებული გამოცდილების გათვალისწინებით კი, შეიძლება ითქვას, რომ რეგიონული უნივერსიტეტები უფრო

მეტად დახურული ინსტიტუციებია, რომლებიც არაა მოქნილი სიახლეების მიღების/გაზიარების და გარე პირებთან თანამშრომლობის მიმართულებით.

რამდენადაც თეორიული რაკურსის მიხედვით, უნივერსიტეტების „მესამე მისია“ და, ზოგადად, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა ითვალისწინებს სტუდენტზე ორიენტირებულ ისეთ მიდგომას, რაც სამომავლოდ მას „კარგ მოქალაქედ“ ჩამოყალიბებაში დაეხმარება, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა იმ ცოდნას, რასაც უნივერსიტეტი გასცემს. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეფასებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ეფექტიანად ვერ ახორციელებს უწყვეტი განათლების პროცესს და სრულყოფილად ვერ უწყობს ხელს კვალიფიციური კადრების მომზადებას. მიზეზად შეიძლება ისიც დასახელდეს, რომ უნივერსიტეტს მიღმა არსებული ტრენინგები და გადამზადების კურსები კონკურენციას უწევს იმ თეორიულ ცოდნას, რასაც უნივერსიტეტი სტუდენტს აწვდის. უნივერსიტეტის სოციალური ფუნქციის არასრულფასოვან შესრულებაზე მიუთითებენ როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კვლევის ფარგლებში დამატებით განხილულია უშუალოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა შეფასებებიც. მათი აზრით, ზემოაღნიშნული მოდელებიდან უნივერსიტეტებისთვის ყველაზე პერსპექტიული „ჩართული უნივერსიტეტის“, „რეგიონული ინოვაციების სისტემისა“ და „მეორე მოდალობის უნივერსიტეტების“ მოდელის განვითარებაა, რამდენადაც სწორედ ეს მოდელები ითვალისწინებს, უნივერსიტეტების ტრადიციულ მიზნებთან ერთად, მისი სოციალური ფუნქციის განვითარების აუცილებლობას (ბრეგვაძე, გურჩიანი, გრძელიძე, & კახიძე, 2017).

1.4.2. „მესამე მისიის“ ხარისხის და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში - SQUARE

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აქტიურადაა ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერაში და, ამავდროულად, პარტნიორის სტატუსით, მონაწილეობს

პროექტში „მესამე მისიის ხარისხის და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში (SQUARE)“. აღნიშნული პროექტისთვის ევროკომისიის დაფინანსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოიპოვა და სწორედ მისი კოორდინატორობით ხორციელდება (მესამე მისიის ხარისხის და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში - SQUARE, 2022).

პროექტის მიზნად განსაზღვრულია უსდ-ების სწორედ „მესამე მისიის“ ხარისხის გაუმჯობესება. პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, განსაზღვრულია მეთოდოლოგიის, გზამკვლევებისა და სტრატეგიების შემუშავება (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2020)

პროექტის ამოცანებად განსაზღვრულია შემდეგი:

- „მესამე მისიის“ მნიშვნელობის აღიარება, ინსტიტუციურ დონეზე დადასტურება, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი აკისრია უნივერსიტეტს და ეს მისი ფუნდამენტური ვალდებულებაა; ის, რაზეც უნივერსიტეტი ანგარიშვალდებული იქნება
- „მესამე მისიის“ კრიტერიუმების, ინდიკატორების, მეთოდოლოგიის, მონიტორინგის სქემის შემუშავება და ტესტირება, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებისა და აკრედიტაციის პროცედურების განახლება, რაც მესამე მისიის სისტემატურ შეფასებას მიემართება
- „მესამე მისიის“ სტრატეგიული დაგეგმვა - არსებული აქტივობების გაანალიზება, პოტენციური შესაძლებლობების განსაზღვრა, საჭირო რესურსების გამოყოფა და მონიტორინგი, შედეგების შეფასება; იმის განსაზღვრა თუ რა სამომავლო აქტივობების განხორციელებაა საჭირო მესამე მისიის კრიტერიუმების სრულყოფილად შესასრულებლად
- „მესამე მისიის“ საქმიანობისა და გავლენის ოპტიმიზაციისთვის რელევანტური პირობების (SQUARE, 2020)

ივანე ჯავახიშვილის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე პროექტის შესახებ განთავსებულ ინფორმაციაში აღწერილია, რომ აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს „მესამე მისიის“ შესახებ უნივერსიტეტის წევრების ინფორმირებულობის

ამაღლებას. პროექტის კონსორციუმის თითოეულ წევრ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტრატეგიული გეგმის შემუშავების შემდეგ მოხდება მესამე მისიის ერთი პროექტის პილოტირება, რაც მის ინსტიტუციურ დონეზე დანერგვას შეუწყობს ხელს. ამავდროულად გამოკვეთს, არსებულ ხარვეზებს და სამომავლო აქტივობებს, რომლებიც საჭირო იქნება მესამე მისიის განვითარებისა და სრულყოფილად რეალიზებისთვის (მესამე მისიის ხარისხის და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში - SQUARE, 2022).

პროექტი მიზნად ისახავს საზოგადოების განვითარებაში უნივერსიტეტების წვლილის შეტანას და მათი როლის გაძლიერებას. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციით, 2022 წლის ზაფხულში უნივერსიტეტის რექტორი და ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი ტურკუს უნივერსიტეტს (ფინეთი) ეწვივნენ, გამოცდილებების გასაზიარებლად. ფინეთის აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება პირველია, რომელმაც მესამე მისიის სტრატეგია შეიმუშავა. აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები, ძირითადად, შეეხებოდა მესამე მისიის აქტივობების განხორციელებას და უნივერსიტეტის შინაგანაწესსა თუ ზოგად სტრატეგიულ დოკუმენტებში მათ ინტეგრირებას (მესამე მისიის სასწავლო ტური ტურკუს უნივერსიტეტში, 2022).

უნივერსიტეტების და გარე დაინტერესებული მხარეების კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გასაძლიერებლად 2022 წლის სექტემბერში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ევროპული გაერთიანება მენეჯმენტი განვითარებისთვის EFMD-ის (ბრიუსელი), ტურკუს უნივერსიტეტის (ფინეთი) წარმომადგენლები თბილისის საკრებულოს ხელმძღვანელობას შეხვდნენ. შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს თანამშრომლობის აუცილებლობაზე, ინტელექტუალური და ფინანსური რესურსების მაქსიმალურ გამოყენებაზე. შეხვედრის ფარგლებში კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მესამე მისიის მნიშვნელობას, სამომავლო სარგებელს ქვეყნების სოციალური სისტემისთვის, უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, პროფესორებისთვის, ადგილობრივ ორგანოებისა და, ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოებისთვის (უნივერსიტეტის მესამე მისია - შეხვედრა თბილისის საკრებულოში, 2022).

2021 წლის 5-7 ივლისს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტის ფარგლებში სამ-დღიანი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ინფორმაციის მიხედვით, პირველი ორი დღე ტრენინგს მიეძღვნა, ხოლო მესამე - პროექტის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. პროექტის საბოლოო მიზნად განსაზღვრულია მარეგულირებელი დოკუმენტის შექმნა, რის საფუძველზეც მესამე მისიის იდეა და როლი ეროვნულ, ინსტიტუციურ დონეზე უნდა განისაზღვროს, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სავალდებულო კომპონენტი (მესამე მისიის ხარისხისა და აქტუალურობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში - SQUARE, 2021).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების „მესამე მისიაზე“ მსჯელობისას, გასათვალისწინებელია სიმონ ჯანაშიას სტატია „აკადემიური თავისუფლების პასუხისმგებლობა“ (ჯანაშია, 2013). მასში აღწერილია, რომ უნივერსიტეტები საზოგადოებასა და საზოგადოებრივ ინტერესს მოწყდნენ იმ გააზრებითაც, რომ უსდ-ების ფარგლებში ნაწარმოებ ცოდნას და ამ ცოდნის შემქმნელებს სოციალური გარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობებზე, ძირითადად, ხელი არ მიუწვდებათ, საკმარისი გავლენა არ აქვთ. პრობლემურია აგრეთვე პრაქტიკული კვლევების ნაკლებობაც. იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა შეასრულოს მასზე დაკისრებული აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური ასპექტები, მნიშვნელოვანი და საჭიროა კვლევების დაფინანსების ზრდა და პოლიტიკური სისტემებისგან დამოუკიდებელი, სტაბილური შემოსავალი.

არსებული მდგომარეობით, უნივერსიტეტების საქმიანობა/წარმატება, ძირითადად, სწავლა-სწავლების პროცესით ფასდება და ნაწილობრივ ყურადღება კვლევით კომპონენტსაც ექცევა. რეალურად კი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმატება „მესამე მისიის“ შესრულებითა და შესაბამისად აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტების რეალიზებით უნდა განისაზღვრებოდეს, ანუ აკადემიური და სოციალური სფეროების თანამშრომლობის წარმატებული გამოცდილებით (ჯანაშია, 2013).

1.5. ბოლონიის პროცესი და მისი შედეგები უმაღლესი განათლების სფეროში

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა, დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, საბჭოთა სისტემის ნაწილი იყო, რაც მისი სტრუქტურისა და სწავლების მეთოდების სტანდარტიზებას გულისხმობდა. საქართველოს უმაღლესი განათლების რეფორმამდელი სისტემა პოსტსაბჭოთა მახასიათებლებით გამოირჩეოდა, რაც სწავლება/სწავლის მეთოდებისა და სასწავლო მასალების შეზღუდულობაში გამოიხატებოდა. პოსტსაბჭოთა ტრანზიციის პროცესში უმაღლესი განათლების სფეროც რეფორმირდა (Chakhaia & Bregvadze, 2018). პოსტსაბჭოთა სივრცის ძირითადი მახასიათებელი იყო არასისტემატურობა, რაც შემდეგით იყო გამოწვეული - საბჭოთა კავშირში არსებული რეგულაციები, წესები, ნორმები უკვე არარელევანტურად მიიჩნეოდა, თუმცა, არ არსებობდა ახალი წესრიგი, მათ შორის განათლების მიმართულებით, რასაც ქვეყანა პოლიტიკის განსაზღვრისას ორიენტირად მიიჩნევდა.

პოსტ-საბჭოთა ტრანზიციის პროცესში უმაღლესი განათლების სფეროც რეფორმირდა. ამ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა უმაღლესი განათლების პრივატიზაციის საკითხმა (Chakhaia & Bregvadze, 2018). ამდენად, მე-20 საუკუნის მიწურულს 200-ზე მეტი კერძო უნივერსიტეტი დაარსდა.

საქართველოში მიმდინარე პროცესების პარალელურად, 1998 წელს სორბონაში საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების მინისტრების მიერ ხელი მოეწერა დეკლარაციას, რომელიც ევროპის ქვეყნების განათლების სისტემის ჰარმონიზაციის აუცილებლობას გამოკვეთდა და ორიენტირდებოდა სტუდენტების მობილობის ხელშეწყობაზე, განათლების საერთაშორისო აღიარებაზე და, ზოგადად, ევროპის ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მჭიდრო კავშირის მნიშვნელოვნებაზე (Sorbonne Joint Declaration, 1998).

სწორედ სორბონის დეკლარაციას დაეფუძნა 1999 წლის 19 ივნისს ხელმოწერილი ბოლონიის დეკლარაცია, რომელთანაც უმაღლესი განათლების საერთო ევროპული

სივრცის შექმნაა დაკავშირებული. აღნიშნულ დეკლარაციას ევროპის 29 ქვეყნის[4] წარმომადგენელმა მოაწერა ხელი, რითაც ევროპის ქვეყნები შეთანხმდნენ თანამშრომლობის შემდეგ მიმართულებებზე:

- ერთმანეთთან თავსებადი აკადემიური ხარისხების სისტემების დანერგვა
- საუნივერსიტეტო განათლების ორსაფეხურიანი სისტემის ჩამოყალიბება - დიპლომამდელი (ბაკალავრიატი) და დიპლომისშემდგომი (მაგისტრატურა/დოქტორანტურა). ლონდონის კომუნიკეს ფარგლებში, 2007 წელს, სამსაფეხურიანი საგანმანათლებლო სისტემის მოდელი დაინერგა - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა
- კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შექმნა
- ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეებში მობილობის ხელშეწყობა
- ხარისხის უზრუნველყოფის შესადარებელი კრიტერიუმების ჩამოყალიბება
- უმაღლეს განათლებაში ევროპული განზომილებების დანერგვა (კურიკულუმების შემუშავება, ინტერ-ინსტიტუციური თანამშრომლობა, ინტეგრირებული პროგრამები, კვლევა) (The Bologna Declaration of 19 June 1999)

ბოლონიის პროცესით გათვალისწინებული ხარისხის ერთიანი ჩარჩოს დანერგვა გულისხმობდა ეროვნულ დონეზე, მასთან შესაბამისობაში მყოფი, კვალიფიკაციათა ჩარჩოს შექმნას, რაც ხელს შეუწყობდა სტუდენტების მობილობას, დასაქმებას. ე.წ. „დუბლინის დესკრიპტორების“[5] მიხედვით, განისაზღვრა ხუთი ძირითადი კომპონენტი, რომლებიც სტუდენტის მიერ სწავლის შედეგად მიღებულ კომპეტენციებს შეესაბამებოდა:

- ცოდნა და გაცნობიერება - კონკრეტული სპეციალობისთვის რელევანტური ცოდნის ქონას

[4] ავსტრია, ბელგია, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, ირლანდია, ისლანდია, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია, ჩეხეთი.

[5] „დუბლინის დესკრიპტორები“, ისევე როგორც კვალიფიკაციათა ჩარჩო, ეროვნულ დონეზე უნდა დამუშავდეს და ადაპტირდეს; ისინი მხოლოდ ზოგადი ხასიათის ინსტრუქციაა.

- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება - თეორიული ცოდნის პრაქტიკულ დონეზე გამოყენების უნარი
- დასკვნის უნარი - მიღებული ინფორმაციის გაანალიზების უნარი, კრიტიკული აზროვნება
- კომუნიკაცია - მონაცემების, კვლევის შედეგების, ზოგადად, ინფორმაციის საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის მიწოდების უნარი
- სწავლის უნარი - ცალკეული საფეხურის ფარგლებში გამომუშავებული უნარები, რომელთა საშუალებითაც, ინდივიდი მომდევნო საგანმანათლებლო საფეხურზე აგრძელებს სწავლას (ლეჟავა & ამაშუკელი, 2016)

ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცისთვის სტუდენტი წარმოადგენს ბირთვს, რომელიც, ერთი მხრივ, უმაღლესი განათლების მიზანიცაა, ხოლო, მეორე მხრივ, უმაღლესი განათლების პოლიტიკის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს. ამდენად, უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე ორიენტირებულია სტუდენტების დასაქმებისთვის მომზადებაზე, აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებაზე (ცოტნიაშვილი, 2020).

2005 წელს საქართველო შეუერთდა საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეს, ბოლონიის პროცესს, რამაც უმაღლესი განათლების სისტემის ძირეული ცვლილებები გამოიწვია როგორც ნორმატიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე.

სწორედ 2005 წელს, უნივერსიტეტებში ფესვგადგმული კორუფციული პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც უმეტესწილად გულისხმობდა თანხის სანაცვლოს უნივერსიტეტში ჩაბარებას („მოწყობას“), ერთიანი ეროვნული გამოცდების (ეეგ) სისტემა შეიქმნა (ერთიანი ეროვნული გამოცდები - ზოგადი ინფორმაცია, 2016). ამ პროცესების შედეგად უმაღლესი განათლების მასიფიკაცია მოხდა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, 2020 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, უნივერსიტეტების სტუდენტთა რაოდენობა 237 ათასს უტოლდებოდა. თეორიული მიმოხილვა აჩვენებს, რომ უმაღლესების მასიფიკაცია სწორედ იმ მოლოდინს უკავშირდებოდა, რომ უნივერსიტეტში მიღებული განათლება უმუშევრობის, სიღარიბის დაძლევის შესაძლებლობას შექმნიდა (სამნიაშვილი, 2017) (ბაქრაძე თ. , 2019).

2005 წელს, საქართველოს ბოლონიის პროცესთან შეერთების შემდეგ, 200-ზე მეტმა უნივერსიტეტმა აკრედიტაცია დაკარგა და სტუდენტებმა არააკრედიტებულ უნივერსიტეტებში გააგრძელეს სწავლა. ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ადრეულ პერიოდში განსაკუთრებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის არათუ ექსტერნალური (გარეგან), არამედ ინტერნალურ (შიდა) კომპონენტებსაც კი ვერ აკმაყოფილებდა, რომლებიც, ძირითადად, საგანმანათლებლო აქტივობებსა და ვალდებულებებზეა ორიენტირებული (ჯანაშია, 2013).

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში პრობლემურად იკვეთება საუნივერსიტეტო კვლევის ფრაგმენტულობა - კვლევითი პრიორიტეტების ჩამოუყალიბებლობა, შეფასებისა და მონიტორინგის სქემებში „მესამე მისიისა“ და გამოყენებით კვლევების კრიტერიუმების სიმცირე. პრობლემურია ე.წ. „გარე მოთხოვნის არარსებობა“ - არ არის გამოკვეთილი პრიორიტეტები კვლევისთვის, რაც ინტერდისციპლინარული ჯგუფების კლასტერების ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს (ბრეგვაძე, 2020).

1.6. უმაღლესი განათლების შესახებ კანონი

საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტები შიდა პოლიტიკის დონეზე „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონს ექვემდებარება, რომელიც აწესრიგებს *„საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს“* (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004).

კანონში მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ უმაღლესი განათლება ორიენტირებული უნდა იყოს პიროვნული პოტენციალის რეალიზებაზე, განათლების ხელმისაწვდომობასა და ღიაობაზე, აკადემიურ სივრცეში მეცნიერების ინტეგრაციაზე, თუმცა, განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნებია *„ღირებულებების ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა,*

დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისთვის“ (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004). აღნიშნული კი, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საუნივერსიტეტო გარემო არ უნდა იყოს მხოლოდ თეორიული ცოდნის ცირკულირებაზე ორიენტირებული, არამედ საუნივერსიტეტო განათლებამ, დამატებით, ყურადღება უნდა გაამახვილოს ინდივიდის სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართულობაზე, მისი საზოგადო პასუხისმგებლობის განვითარებაზე, რათა სტუდენტის ინტერესები არ იყოს ვიწრო, მხოლოდ საკუთარ თავზე მიმართული, არამედ აცნობიერებდეს საკუთარ როლს ქვეყნის განვითარების პროცესში - გააჩნდეს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის თავი III მიემართება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დანიშნულებას, სახეებს, დაფუძნებას, სტატუსის მოპოვებას, რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას. კანონში განსაზღვრულია, რომ კონკრეტულად უნივერსიტეტს (საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც აქვს სწავლების სამივე საფეხური - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად სათანადო ბაზა უნდა ჰქონდეს; ხოლო მსგავსი ბაზის არარსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტს, ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციასთან უნდა ჰქონდეს ხელშეკრულება გაფორმებული (თავი III, მუხლი 9, პუნქტი 1[1]) (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004).

მე-10[1] მუხლში კი აღწერილია თუ რაზეა უფლებამოსილი უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულება - პირველი სწორედ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაა. ამ ჩამონათვალში ვხვდებით ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა „სამეცნიერო-კვლევითი და ლაბორატორიული საქმიანობის პროცესში შექმნილი პროდუქციის (გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის) წარმოება და რეალიზება“ და „საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზება“. აღნიშნული პუნქტებიც მოწმობს

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ცოდნის გაზიარების აუცილებლობის კომპონენტზე (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004).

უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საქმიანობის შიდა შეფასების წესს, კანონის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს და შემდგომ აკადემიურ საბჭოს წარუდგენს. საქმიანობის შიდა შეფასების წესი საერთაშორისო სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს, რაც გულისხმობს პროცესში უცხოელი ექსპერტების/შემფასებლების ჩართულობას, სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებას და ა.შ.) (მუხლი 31, პუნქტი 3^1, 3^2, 3^3) (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004)

ამასთან, კანონის ფარგლებში, შიდასაუნივერსიტეტო აქტივობებისა და ვალდებულებების გარდა, განსაზღვრულია გარესაუნივერსიტეტო მოთხოვნები, რომლებიც, ძირითად შემთხვევაში, სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას გულისხმობს. კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების მისაღწევად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვ) „თანამშრომლობს საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან“ და ზ) „ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტთა და პროფესორთა ურთიერთგაცვლას“ (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004).

1.7. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ავტორიზაცია / აკრედიტაცია)

ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განზომილება განათლების ხარისხის უზრუნველყოფაა. პროცესში ჩართულ ქვეყნებს წაეყენებათ ვალდებულება, რომ ხელი შეუწყონ ხარისხის განვითარებას ინსტიტუციურ, ეროვნულ და ევროპულ დონეებზე. ამ პასუხისმგებლობას კი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იღებს. ხარისხის უზრუნველყოფის რელიზების მხრივ რეფორმის აუცილებლობა გულისხმობდა შემდეგს:

- უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების შექმნას
- უნივერსიტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია-სერტიფიცირებას
- აკადემიური პროგრამების შიდა და გარე შეფასების მექანიზმების დანერგვას (ლეჟავა & ამაშუკელი, 2016)

საქართველოში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები 2005-2006 წლიდანაა დანერგილი. ეს ის პერიოდია, როცა ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სავალდებულო გახდა. პერიოდიზაციისთვის აღსანიშნავია, რომ 2010 წლიდან უნივერსიტეტების ავტორიზაციის შეფასების პროცესი დაიწყო, ხოლო 2011 წლიდან უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა. 2016 წელს მომზადდა საკანონმდებლო ჩარჩო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გასავითარებლად, რომელიც შეესაბამებოდა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტსა და პრინციპებს (საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა, 2016).

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) მთავარი მიზანია, რომ სწავლა-სწავლების ხარისხის ერთიან გაგებას შეუწყოს ხელი. სწორედ ESG გამოიყენება განათლების ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სისტემების რეფერირების დოკუმენტად. იგი ორიენტირდება მათ შორის სასწავლო გარემოზე, კვლევასა და ინოვაციაზე (უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG 2015), 2015).

ESG-ის მიხედვით, შემაჯამებელი სახით რომ წარმოვადგინოთ, ასეთია სტანდარტების ჩამონათვალი (იხ. ცხრილი #8):

ცხრილი 8 - განათლების ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სტანდარტები (ESG-ის მიხედვით)

ხარისხის შიდა უზრუნველყოფისთვის	ხარისხის გარე უზრუნველყოფისთვის
ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა	ხარისხის შიდა უზრუნველყოფის გათვალისწინება

ხარისხის შიდა უზრუნველყოფისთვის	ხარისხის გარე უზრუნველყოფისთვის
პროგრამების შემუშავება და დამტკიცება	დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიზანთან შესაბამისობა
სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სწავლება და შეფასება	პროცესების განხორციელება (თვითშეფასება, ექსპერტების ვიზიტი, ანგარიშის შემუშავება, მისი გათვალისწინებით საქმიანობის დაგეგმვა)
სტუდენტის მიღება, პროგრესია, აღიარება და სერტიფიცირება	შეფასების ექსპერტები
მასწავლებლები/ლექტორები	შედეგების კრიტერიუმები
სასწავლო რესურსები და სტუდენტების მხარდაჭერა	ანგარიშგება
ინფორმაციის მენეჯმენტი	საჩივრები და აპელაცია
საჯარო ინფორმაცია	
მიმდინარე მონიტორინგი და პროგრამების პერიოდული შეფასება	
პერიოდული ხარისხის გარე უზრუნველყოფა	

წყარო: (უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG 2015), 2015)

1.7.1. ავტორიზაცია

ავტორიზაცია, როგორც განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციურ შეფასებას გულისხმობს, რის ფარგლებშიც დგინდება მისი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ავტორიზაციას ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ავტორიზაციის დასკვნის შედეგად უნივერსიტეტების მიმართ იდენტიფიცირებული პრობლემის/გამოწვევების გადასაჭრელად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცემა რეკომენდაციები. ავტორიზაციის პროცესის გავლა სავალდებულოა საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. ამდენად, მხოლოდ ავტორიზებული უნივერსიტეტი გასცემს დიპლომს - სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ავტორიზაცია, 2016).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესი უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობის დადგენა-შედარების შედეგად ხორციელდება.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე აღწერილია ის ასპექტები, რასაც მიემართება ავტორიზაციის პროცესი:

- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარება
- უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
- საგანმანათლებლო პროგრამები
- უნივერსიტეტის პერსონალი
- სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები/აქტივობები
- კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა
- მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაცია ენიჭება 6 წლის ვადით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი უნივერსიტეტი ვერ მიიღებს ავტორიზაციას, სტუდენტებს უფლება აქვთ გადავიდნენ სხვა დაწესებულებაში. ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ფუნქციონირება (ავტორიზაცია, 2016).

1.7.2. აკრედიტაცია

ავტორიზაციასთან ერთად, უნივერსტიტეტების სრულყოფილად ფუნქციონირების მიზნით განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრი აკრედიტაციის პროცესს ახორციელებს, რაც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას გულისხმობს. აკრედიტაციის სტანდარტი შემუშავებულია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) მიხედვით. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე ვკითხულობთ, რომ აკრედიტაციის მიზანია *„განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის*

მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა, რომელთანაც დაკავშირებულია სახელმწიფო დაფინანსების მიღება - აკრედიტაციის საფუძველზე გაიცემა სახელმწიფო სასწავლო გრანტი და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი (უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე).“ (აკრედიტაცია, 2016) აკრედიტაციის პროცესში შემფასებლები გასცემენ პროგრამის შინაარსის, რესურსების, სტუდენტური მომსახურებების, ხარისხის უზრუნველყოფის და სხვა კომპონენტების განვითარებაზე ორიენტირებული რეკომენდაციებს.

წარმოდგენილი სქემა აღწერს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესს (იხ. სქემა #5).

სქემა 5 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესი, აკრედიტაციის დებულების თანახმად



წყარო: *უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, 2016*

2020 წლიდან ქვეყანაში არსებული კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო, სწავლა-სწავლების პროცესი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც შეიცვალა და სრულად დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა. ამ რეალობის გათვალისწინებით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2022 წელს განახლებული აკრედიტაციის სტანდარტებში გათვალისწინებულია დისტანციური სწავლების თავისებურებები. ამდენად, აკრედიტაციის სტანდარტები ბოლო განახლების შემდეგ მოიცავს ქვემოთ წარმოდგენილ საკითხებს (იხ. სქემა #6).

სქემა 6 - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

წყარო: *განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი*

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ (2016) შესწავლის შედეგად აკრედიტაციის პროცესის თითქმის ყველა ეტაპზე ნაკლოვანებები გამოვლინდა, რაც, ფართო პერსპექტივით, მუდმივად ცვალებადი მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი კომპეტენტური სპეციალისტის მომზადებას აფერხებს. ანგარიშის მიხედვით, ერთობლივი სახით არ არსებობს წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები, რაც პროცესის ეფექტიანობას ხელს უშლის - უნივერსიტეტები, ვალდებულების არქონის გამო, თვითშეფასების ანგარიშისთვის შესაბამის, სრულყოფილ ინფორმაციასა და მტკიცებულებებს არ წარმოადგენენ.

აუდიტის ანგარიშის მიხედვით, პრობლემურია ექსპერტთა კორპუსი - ექსპერტთა რაოდენობა, სააკრედიტაციო დოკუმენტების შესასწავლად გამოყოფილი ვადა, ექსპერტთა კვალიფიკაციის დონე: *„ექსპერტთა ჯგუფების უსდ-ებში ვიზიტების გრძანებებისა და ვიზიტის თარიღების შესწავლამ ცხადყო, რომ შემთხვევათა 41%-ში ვიზიტამდე მოსამზადებელი დრო და/ან ექსპერტების რაოდენობა არ იყო შესაფასებელი პროგრამების რაოდენობის პროპორციული.“* ამასთან, იმის გამო, რომ აკრედიტაციის პროცესში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, ზეპირ მოსმენამდე გონივრული ვადით ადრე, არ აქვს საშუალება/მექანიზმი, რომ საბჭოს ექსპერტთა დასკვნასთან დაკავშირებული არგუმენტები წარუდგინოს, საბჭოს ორივე მხარის პოზიციების თანაბრად შეფასება არ შეუძლია (სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2016).

1.8. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ეთიკურობის კომპონენტი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედებს შიდა დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს საუნივერსიტეტო საზოგადოების ქცევის წესებს, მოვალეობებს, პასუხისმგებლობებსა და უფლებებს. თითოეულ უნივერსიტეტს აქვს ეთიკის კოდექსი, რომელიც განკუთვნილია საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ანუ აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალისთვის, მასწავლებლების, მოწვეული პედაგოგებისა და სტუდენტებისთვის და მათი ქცევის ნორმებს არეგულირებს.

უნივერსიტეტთა ეთიკის კოდექსში აღწერილია ისეთი ფუნდამენტური ვალდებულებები, როგორებიცაა სასწავლო პროცესის სასწავლო გეგმის მიხედვით წარმართვა, სტუდენტებისთვის ინტელექტუალური და აკადემიური ხელმძღვანელობის გაწევა, აკადემიური პერსონალის ლექციაზე მომზადებულად და ორგანიზებულად შესვლა, გამჭვირვალე აკადემიური გარემოს ფორმირება, სტუდენტებისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება შეფასების სისტემის შესახებ. ამასთან, ეთიკის კოდექსით, სამეცნიერო-კვლევით პერსონალს ევალება, რომ კვლევისა და ინოვაციების საშუალებით შექმნას ბაზა, რაც უზრუნველყოფს, რომ

სასწავლო პროცესი საზოგადოების ცვალებად მოთხოვნებსა და სამეცნიერო მიღწევებს არ ჩამორჩეს. ამისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალთან აქტიური კომუნიკაცია და მათი ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში.

უნივერსიტეტების სოციალური პასუხისმგებლობის ეთიკური კომპონენტის მნიშვნელოვან კატეგორიას წარმოადგენს აკადემიური თავისუფლების ცნება. საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ვკითხულობთ, რომ აკადემიური თავისუფლება ესაა *„აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლება დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო კვლევა, სწავლება და სწავლა“* (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004).

რევაზ ხოფერია ნაშრომში „აკადემიური თავისუფლება, როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლება (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანიის, აშშ-ის და საქართველოს მაგალითზე“ (2021) განმარტავს, რომ აკადემიური თავისუფლება ნიშნავს *„აზრის, კვლევის, ანალიზის, დისკუსიის, პრობლემების პრეზენტაციას, კონკრეტულ ან მომიჯნავე, მონათესავე სფეროებში არსებული თეორიის გამოკვლევის თავისუფლებას“* და შედგება სამი კომპონენტისგან: 1) კვლევის თავისუფლება, 2) სწავლების თავისუფლება, 3) აზრის გამოხატვის და ქმედების თავისუფლება საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ.

ავტორის მითითებით, აკადემიური თავისუფლება სტუდენტს ანიჭებს სწავლის, ხოლო მასწავლებელს - სწავლების უფლებას. ეს პროცესი უნდა იყოს თავისუფალი პოლიტიკური გავლენებისგან, გარე ჩარევებისგან, ცენზურისგან. ნაშრომში განხილულია სამართლებრივი მიმართულებებიც და აღწერილია, რომ ბოლონიის პროცესთან შეერთების შემდეგ, ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან მიერთების, ჰარმონიზაციის ვალდებულების მიუხედავად, აკადემიური თავისუფლების, ზოგადად თავისუფლებისა და ავტონომიის პრინციპების კონსტიტუციურ უფლებებად აღიარებაზე ერთგვაროვანი მოსაზრებები არ არსებობდა. თუმცა, 2018 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით, აკადემიური თავისუფლება კონსტიტუციურ უფლებად

იქნა აღიარებული. აქვე აღწერილია, რომ ეს არ არის აბსოლუტური თავისუფლება და მისი შეზღუდვა დასაშვები და შესაძლებელია (ხოფერია, 2021).

საქართველოს უნივერსიტეტების ეთიკის კოდექსშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აკადემიური თავისუფლების ფენომენსა და მისი დაცვის აუცილებლობას. აღწერილია, რომ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პერსონალს უნდა ჰქონდეს კვლევების თავისუფლად განხორციელების სურვილი და შესაძლებლობები. ამასთან სტუდენტებთან მიმართებით, აკადემიური თავისუფლება შესაძლოა გულისხმობდეს საკუთარი მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის უფლებას. თუმცა, ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში მნიშვნელოვანია შიდა საზოგადოების თითოეული წევრის თავისუფლების დაცვა.

სიმონ ჯანაშიას სტატიაში „აკადემიური თავისუფლების პასუხისმგებლობა“ აღწერილია, რომ აკადემიურ თავისუფლებაზე მსჯელობისას, ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეებში იკვეთებოდა/იკვეთება ხოლმე შემთხვევები, როდესაც საუნივერსიტეტო დონეზე ჩატარებული კვლევის შედეგების გაზიარება, შესაძლებელია აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტიდან გაშვების მიზეზი გამხდარიყო. ასეთ დროს განსაკუთრებით იჩენს თავს აკადემიური თავისუფლების აქტუალობა, რაც ხშირად ძალაუფლების მქონე სხვადასხვა სტრუქტურის მიერ იზღუდება - ჩარევა შესაძლებელია როგორც სახელმწიფო მხრიდან, ისე ამ ბოლოს აქტუალობას იძენს ბიზნეს სექტორის გავლენები. ავტორის აზრით, აკადემიური თავისუფლების დაცვისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესორთა ასოციაციების შექმნა, რომელიც ცალკეული უნივერსიტეტისგან დამოუკიდებელი ორგანო იქნება (ჯანაშია, 2013).

რამდენადაც უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური ფაქტორები მიმართულია შიდასაუნივერსიტეტო დონეზე თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნაზე, სტუდენტების აკადემიურ წინსვლასა და განვითარებაზე, მათ სამეცნიერო აქტივობებში ჩართულობაზე, განსაკურებით ხისტი რეაგირებაა ხოლმე პლაგიატის დაფიქსირების შემთხვევებისას. პლაგიატი, ესაა სხვადასხვა ინფორმაციის, იდეის, სიტყვების ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე გამოყენება და, რაც მთავარია, მისაკუთრება. მართალია, ტექნოლოგიების

განვითარებამ დააახლოვა აკადემიური სივრცეები ერთმანეთს და შექმნა ერთიანი სისტემა, თუმცა, პლაგიატის ზრდა მნიშვნელოვან სამეცნიერო პრობლემად მიიჩნევა (Diekhoff, და სხვ., 1996). აქვე გასათვალისწინებელია, რომ პოსტსაბჭოთა აკადემიური სივრცის აკადემიური კეთილსინდისიერების მახასიათებლები დასავლურ-ევროპულ და ჩრდილო ამერიკულ გააზრებისგან განსხვავებულია. პოსტსაბჭოთა სივრცისთვის დამახასიათებელია: 1) ავტორიტეტების უპირობო აღიარება; 2) ინტერტექსტუალობა; 3) ინდივიდუალიზმის და კრიტიკული აზროვნების დახშობა; 4) არსებული წესების წინააღმდეგ ყოველდღიური ტაქტიკის ფართოდ გამოყენება. პოსტსაბჭოთა სივრცეში პლაგიატის გავრცელებული შემთხვევები, ერთი მხრივ, შესაძლოა დაკავშირებული იყოს სწორედ კრიტიკული აზროვნების განდევნასთან, ხოლო, მეორე მხრივ, ავტორიტეტების ერთგულებასთან და საკუთარი თავის, როგორც მასზე „დამოკიდებულის“ გააზრებასთან (ბაქრაძე, და სხვ., 2016)

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დისციპლინის მონიტორინგი და დისციპლინური წარმოება ევალება ფაკულტეტის ეთიკის კომისიასა და შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს. დისციპლინური სახდელი, სანქცია იერარქიულად შემდეგ კომპონენტებს მოიცავს: შენიშვნა, საყვედური, მკაცრი საყვედური. სტუდენტების შემთხვევაში სანქციის უკიდურესი ფორმა შეილება იყოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, ხოლო აკადემიური პერსონალის შემთხვევაში შესაძლოა ეთიკის კოდექსის დამრღვევი პირი სამსახურიდან გაათავისუფლონ.

პლაგიატის პრევენციის მიზნით, შედარებით არაეფექტიან მექანიზმებად ფასდება სპეციალური სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები. ყველაზე გავრცელებული ფორმა საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების შეფასების წესში პლაგიატთან დაკავშირებული საკითხების ასახვაა, აგრეთვე სტუდენტებთან საორიენტაციო შეხვედრები და სილაბუსში მისი განმარტება. პლაგიატის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მექანიზმად განსაზღვრულია „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსი, თუმცა, როგორც იკვეთება, აღნიშნული საგანი შედეგის მომცემი არ არის და დეტალურად არ ხდება პლაგიატთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. პრობლემურად განიხილება ცალკეულ უნივერსიტეტში აღნიშნული კურსის არასავალდებულოობა (ბაქრაძე, და სხვ., 2016).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები იყენებენ ავტორიზებულ პროგრამას - საუნივერსიტეტო სივრცეში შექმნილი ნებისმიერი კვლევითი ნაშრომი თუ სტატია სავალდებულო წესით გაივლის ამ პროგრამაში შემოწმება (Turnitin სისტემა) (ბაქრაძე, და სხვ., 2016).

ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში აკადემიურ თავისუფლებაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია პროექტ 'INTEGRITY'-ის განხილვა. აღნიშნული პროექტი ევროკავშირის მიერ Erasmus+ის ინსტიტუციური განვითარების 2017 წლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლებისა და შეფასების ხარისხის განვითარებას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით". ამდენად, პროექტი ორიენტირდებოდა სწორედ ისეთი პოლიტიკისა და მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებიც პლაგიატის შემთხვევების გამოვლენას, მის პრევენციასა და აღმოფხვრას მიემართება (INTEGRITY პროექტის სამუშაო შეხვედრა და პროგრამის TURNITIN გამოყენების სპეციფიკა, 2019).

პროექტი INTEGRITY-ის დასრულების შემდეგ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კოორდინატორობით, საქართველოს რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების პროგრამის ERASMUS-EDU-2022-CBHE-STRAND-3 ფარგლებში დაფინანსებულ პირველ ეროვნულ პროექტს 'Responsible Conduct of Research – Research Integrity and Ethics in Georgian Universities (ETHICS)' შეუერთდა. მის მიზნად განსაზღვრულია კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების მიმართულებით საუნივერსიტეტო დონეზე არსებული პროცედურებისა და სერვისების გაუმჯობესება (პირველი ეროვნული პროექტი ETHICS, 2022).

1.9. კოვიდ-19 და ელექტრონული სწავლება

საქართველოში გავრცელებულმა კოვიდ-19-ის პანდემიამ ყოველდღიური ცხოვრება შეცვალა საზოგადოების ყველა დონეზე, მათ შორის უმაღლესი განათლების სფეროში. ქვეყანაში დადგენილი რეგულაციების გამო, აუცილებელი გახდა

სწავლების ფორმატის შეცვლა და სრულად დისტანციურ ან შერეული სწავლების რეჟიმზე გადასვლა. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოუწიათ სასწავლო გეგმისა და შეფასების სისტემის ელექტრონული სწავლების ფორმატის შესაბამისად მოდიფიცირება.

ლალი ბაქრაძის კვლევაში „ახალი საგანმანათლებლო რეალობა - ტერმინები გამოწვევები, რეკომენდაციები“ (2020) აღწერილია, რომ შერეული და ექსკლუზიურად ონლაინ სწავლების დანერგვა სასწავლო პროცესის განსხვავებული სახით ორგანიზებას საჭიროებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სწავლა-სწავლებისა და შეფასების განახლებული მიდგომების, სისტემების დანერგვას, შესაბამის ინფრასტრუქტურასა და რესურსებს. დოკუმენტში დისტანციური სწავლების გამოწვევებად განხილულია შემდეგი:

- ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მზაობა
- ინფრასტრუქტურა და ელექტრონული რესურსები
- ვირტუალური მობილობა (ბაქრაძე ლ. , 2020)

ავტორს განსაკუთრებით პრობლემურად მიაჩნია აკადემიური პერსონალის ციფრული უნარები. კვლევაში აღწერილია, რომ ონლაინ კურსების სასწავლებლად აკადემიურ პერსონალს უნდა ჰქონდეს თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი ცოდნა და გამოყენების უნარი და მათი შეფასების სისტემაც ონლაინ სწავლებაზე უნდა იყოს მორგებული. კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტებში შეცვლილმა სწავლების ფორმატმა გამოკვეთა, რომ აკადემიური პერსონალის ძირითადი ნაწილი არ იყო მზად თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისთვის (ბაქრაძე ლ. , ახალი საგანმანათლებლო რეალობა - ტერმინები, გამოწვევები, რეკომენდაციები, 2020). ამდენად, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური კომპონენტები, რომლებიც, ძირითადად, სრულად მიემართება სწავლა-სწავლების პროცესს, ხარვეზებით მიმდინარეობდა.

ამ პროცესის მეორე მხარეს, სტუდენტებს, თუ განვიხილავთ, პრობლემურად შეიძლება მივიჩნიოთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინტერნეტ კავშირი. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების თვალსაზრისით,

უნივერსიტეტი უნდა უზრუნველყოფდეს ტექნიკურ მხარდაჭერას, მაგალითად, ცხელი ხაზის ფორმით, რომელიც ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში დაეხმარებოდა (ბაქრაძე ლ. , 2020).

ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების დიდი ნაწილისთვის დისტანციური სწავლება, სააუდიტორიო ფორმატთან შედარებით, პრობლემურია, რადგან პროაქტიული ტექნიკების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება ვერ ხერხდება. განსაკუთრებით პრობლემურად პრაქტიკული საგნების სწავლება მიიჩნევა. ანა პაპიაშვილის და თემო ბეჟანიძის „სტუდენტთა სოციალური საჭიროებების კვლევა“ (2022) აჩვენებს, რომ სტუდენტთა ნაწილი სწორედ ტექნიკური ბაზის არარსებობის ან ოჯახის წევრებთან გაზიარების გამო ვერ ერთვებოდა საგანმანათლებლო პროცესში. ამასთან, პრობლემურადაა განხილული ინტერნეტის ყოველთვიური სააბონენტო გადასახადიც. ინტერნეტის ხარისხისა და მასზე ხელმისაწვდომობის პრობლემა განსაკუთრებით რეგიონებში მაცხოვრებელ სტუდენტებს შეეხოთ. კვლევის ფარგლებში დისტანციური სწავლების ფორმატი შედარებით პოზიტიურადაა შეფასებული, მხოლოდ დროის მენეჯმენტისა და ყოველდღიური ხარჯების (მათ შორის საცხოვრისი, კვება, ტრანსპორტირება) შემცირების თვალსაზრისით (პაპიაშვილი & ბეჟანიძე, 2022).

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მიმართულებით, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 150 000 და ნაკლები ქულის მქონე სოციალურად დაუცველ 15000-მდე სტუდენტს სწავლის საფასური დაუფინანსდა. ანგარიშში განხილულია უნივერსიტეტების მიმართ გაცემული რეკომენდაციაც, რომელიც შეეხებოდა სწავლის საფასურის გადახდის საშეღავათო პოლიტიკას - გადავადებას ან მოქნილი ინდივიდუალური გრაფიკის შეთავაზებას (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2020).

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, ხაზგასასმელია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, უნივერსიტეტებმა ვერ შეძლეს სოციალური პასუხისმგებლობის ისეთი ინტერნალური ფაქტორების დაკმაყოფილებაც კი, როგორებიცაა განათლებაზე

ხელმისაწვდომობა და სწავლა-სწავლების პროცესში სტუდენტების აქტიური მონაწილეობა.

„სტუდენტთა სოციალური საჭიროებების კვლევის“ შედეგების მიხედვით, ზოგიერთმა, მათ შორის განსაკუთრებით კერძო უნივერსიტეტმა, კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიის მდგომარეობის, ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური ფონისა და სახელმწიფოს მიერ გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, სტუდენტებს გადასახადი არ გადაუვადა, რის გამოც მათ სტუდენტის აქტიური სტატუსის შეჩერება მოუწიათ. ამ კვლევის მიხედვით, პანდემიის სიტუაციაში სტუდენტების მიმართ ემპათიით სახელმწიფო უნივერსიტეტები უფრო გამოირჩეოდა, ვიდრე - კერძო (პაპიაშვილი & ბეჟანიძე, 2022).

როგორც აღინიშნა, დისტანციურ რეჟიმში სრულყოფილად ჩართვისთვის საჭიროა უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურა და ვირტუალური სასწავლო გარემო - ვირტუალური ლაბორატორიები, ლექციის ჩანაწერები, ციფრული ბიბლიოთეკები, ელექტრონული სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები (ბაქრაძე ლ. , 2020).

რეალურად გამოიკვეთა, რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება ვერ მოხდა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ დისტანციურ რეჟიმში უნივერსიტეტთა ნაწილმა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის საგანმანათლებლო კომპონენტის სრულყოფილად რეალიზება ვერ მოახერხა. სწავლის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლისას ზოგიერთი უნივერსიტეტის (განსაკუთრებით კერძო უნივერსიტეტის) სტუდენტებისთვის გართულებული იყო სასწავლო მასალაზე ხელმისაწვდომობა. „სტუდენტთა სოციალური საჭიროებების კვლევაში“ აღნიშნულია, რომ სტუდენტები ასეთი არჩევანის წინაშე დადგნენ - ან უნივერისტეტებისთვის შეეტყობინებინათ და გარკვეული თანხის სანაცვლოდ გამოეწერათ სასწავლო წიგნები ან ესარგებლათ მათი ელექტრონული ვერსიებით. ლოგიკური უნდა ყოფილიყო, რომ ელექტრონული მასალის არსებობის შემთხვევაში სტუდენტს განათლების მიღების პრობლემა არ უნდა შექმნოდა. თუმცა, როგორც კვლევის შედეგებშია აღწერილი, ფოკუს-ჯგუფების შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის სასწავლო პლატფორმაზე განთავსებული სასწავლო ლიტერატურა

იყო ფასიანი და მხოლოდ სასწავლო პროგრამაში იყო შესაძლებელი მისი წაკითხვა. ამდენად, სტუდენტებს ელექტრონული მასალების გასაცნობად განსაზღვრული ოდენობის თანხის გადახდა უწევდათ (პაპიაშვილი & ბეჟანიძე, 2022).

1.10. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტების რეალიზების მაგალითები (უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება)

ზოგადად, აკადემიურ პასუხისმგებლობაზე მსჯელობისას, გასათვალისწინებელია, რომ ყველაზე დიდ დატვირთვას უნივერისტეტების სხვადასხვა პროცესში ჩართულობა იძენს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა იყვნენ მაგალითის მიმცემნი, როგორც „სოციალურად შეგნებული“ ინსტიტუტები, რომლებიც მხარს უჭერენ საზოგადოების წევრების მხარდაჭერას (How Universities Can Encourage Social Responsibility in Their Students, 2019).

ქვემოთ წარმოდგენილია ნაბიჯები, რომლებიც უნივერსიტეტს შეუძლია გადადგას სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების მიმართულებით:

- სტუდენტთა შორის ფილანტროპიის წახალისება, მათ შორის მოხალისეობა, საზოგადოებაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება, სტუდენტთა ხელმძღვანელობით საქველმოქმედო ფონდების შექმნა და დაფინანსების მოზიდვა (fundrise)
- უნივერსიტეტის სახსრების საქველმოქმედო შემოწირულობებისთვის გადანაწილება
- პოლიტიკისა და ინიციატივების კონცეპტუალიზაცია, რომლებიც სოციალური პასუხისმგებელობის ღირებულებებს მიემართება (How Universities Can Encourage Social Responsibility in Their Students, 2019).

ზემოაღნიშნული ნაბიჯები მხოლოდ რამდენიმე გზაა, რითაც უნივერსიტეტს შეუძლია სოციალურად მეტად პასუხისმგებლიანი გახდეს. თუმცა, ამისთვის სხვა არაერთი გზა არსებობს. მაგალითად, ლესტერის უნივერსიტეტმა, ადგილობრივ თემში/ტერიტორიაზე სოციალური პრობლემების იდენტიფიცირების შემდეგ, წარადგინა ინიციატივა „აფსქილინგი (კვალიფიკაციის ამაღლება) 21-ე

საუკუნისთვის“. აღნიშნული ინიციატივა შეიქმნა უახლოეს გარემოში ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად, რათა მან ადგილობრივ ბიზნესებთან, სკოლებთან, საქველმოქმედო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარებით მოახერხოს ადგილობრივ შრომის ბაზარზე არსებული შესამჩნევი ხარვეზების გამოსწორება.

იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტის მთავარი ფუნქციაა სწავლა-სწავლების პროცესი და, რაც მთავარია, ცოდნის გაზიარება, მას სწორედ განათლების მიწოდებით აქვს ერთგვარი ბერკეტი, რომ სტუდენტთა შორის სოციალური პასუხისმგებლობის წახალისებას შეუწყოს ხელი, რაც საბოლოოდ უშუალოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პასუხისმგებლობის რეალიზებას გულისხმობს. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა კვლევითი პროექტების განხორციელებით, შესაძლებელია ხელი შეუწყოს სტუდენტის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას და თავადაც ჩაერთოს ისეთ აქტივობებში, როგორებიცაა სოციალური კამპანიები, გარემოსდაცვითი ღონისძიებები - ისეთი აქტივობები, რაც კვლევის შედეგად მნიშვნელოვნად გამოიკვეთება. მაგალითად, ბრუნეის ტექნოლოგიის უნივერსიტეტმა განახორციელა ისეთი კვლევითი პროექტები, რომლებიც მდგრად მართვასა და მწვანე ტექნოლოგიებს შეეხება. მსგავს პროექტებში სტუდენტების ჩართულობა, ერთი მხრივ, მათი ინფორმირებულობის გაზრდას უწყობს ხელს, ხოლო, მეორე მხრივ, ინტერესს უღვივებს შესასწავლო საკითხების მიმართ, რომლებიც, თავისი არსით, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ექსტერნალურ კომპონენტებს ესადაგება (How Universities Can Encourage Social Responsibility in Their Students, 2019).

1.10.1. კადისისა და კატალონიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტების მაგალითი

როგორც უკვე აღინიშნა, უნივერსიტეტების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ არსებული ზოგადი თეორიული ცოდნის გარდა, მნიშვნელოვანია მისი პრაქტიკულ დონეზე დანერგვა და განხორციელება - მათ შორის უნივერსიტეტის სტრატეგიულ პროგრამებში გათვალისწინება. ელვა რამოს-მონგემ, ხავიერ ლინას აუდეტიმა და სხვებმა ორი უნივერსიტეტის - კატალონიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის,

კადისის უნივერსიტეტის - ვებ-გვერდების კონტენტ-ანალიზის საშუალებით გამოავლინეს პრაქტიკულ დონეზე გამოხატული სოციალური პასუხისმგებლობის მახასიათებლები (იხ. ცხრილი #9) (Ramos-Monge, Audet, & Martínez, 2017).

ცხრილი 9 - პრაქტიკულ დონეზე გამოხატული სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკები (კადისის და კატალონიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტების მაგალითზე)

კადისის უნივერსიტეტი	კატალონიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი
სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამების შემუშავება და კოორდინაცია	სასწავლო პროგრამებში „მდგრადობისა და სოციალური ვალდებულებების“ ინტეგრირება
ბიბლიოთეკისა და „საინფორმაციო სისტემების გენერალური დირექტორატის“ მიზნებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება	STEP 2015 პროგრამის შექმნა
წიგნების პოპულარიზაციისა და წერა-კითხვის ხელშემწყობი პროგრამის კოორდინაცია	სასწავლო ინოვაციური ჯგუფი VISCA-ს შექმნა
ყოფილ სტუდენტებთან ურთიერთობის კოორდინაცია	სოციალური პასუხისმგებლობის განზომილებებთან დაკავშირებული კვლევები
ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამებში მონაწილეობა, მოხალისეობრივი პროექტების კოორდინაცია	სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული კვლევითი ჯგუფების არსებობა
სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებით, სტუდენტთა ტრენინგების ორგანიზება	სოციალური პასუხისმგებლობის პარადიგმის შესახებ შიდა ქსელის შექმნა, ფორუმების, დებატების გამართვა, მისი პოპულარიცაზია და საზოგადოების ჩართულობა
საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობით კულტურული აქტივობების ორგანიზების ხელშეწყობა	
საუნივერსიტეტო დონეზე სპორტული აქტივობების განხორციელება, რათა ხელი შეუწყოს ადამიანების ინტეგრაციას	
სეზონური პროგრამებით საჯარო და კერძო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა საზოგადოებაში კულტურის გავრცელების მიზნით	

კადისის უნივერსიტეტი	კატალონიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი
„ინფრასტრუქტურისა და მემკვიდრეობის გენერალურ დირექტორატთან“ თანამშრომლობით, გარემოსდაცვითი პოლიტიკის, მდგრადობისა და ენერგოეფექტურობის კოორდინაცია	
საუნივერსიტეტო საზოგადოების მონაწილეობის, მოხალისეობის და სოციალური ვალდებულების შესრულების ხელშეწყობა; მრავალფეროვნებისადმი ყურადღების გამახვილება (სოციო-კულტურული ფაქტორი, ჯანმრთელობის მდგომარეობა)	
სოლიდარობასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პროგრამების კოორდინირება	

წყარო: *„უნივერსიტეტები, როგორც კორპორატიული სუბიექტები: სოციალური პასუხისმგებლობის როლი მათ სტრატეგიულ მართვაში“* (Ramos-Monge, Audet, & Martínez, 2017)

ზემოაღნიშნული უნივერსიტეტების მახასიათებლებად შეიძლება ითქვას, რომ ორივე მათგანში გამოვლინდა რამდენიმე კულტურული, გარემოსდაცვითი და საგანმანათლებლო აქტივობა, რომელიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის საქმიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის ინტეგრაციასთან. საყურადღებოა, რომ აქტივობების ძირითადი ნაწილი ორიენტირდება საუნივერსიტეტო საზოგადოების, დაინტერესებულ მხარეთა, ორ ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფზე: თანამშრომლებზე და სტუდენტებზე. ჩატარებული კონტენტ-ანალიზის საფუძველზე კატალონიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის შემთხვევაში გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკის დანერგვისას ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია: კვლევა, სწავლება, ორგანიზაცია, რეფლექსია.

1.10.2.ბუქარესტის სპირუ ჰარეტის უნივერსიტეტის მაგალითი

ვასილესკუს და სხვების (Vasilescu, Barna, Epure, & Baicu, 2010) ნაშრომში „უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება: მოდელი სამოქალაქო საზოგადოების გამოწვევებისთვის“ *(‘Developing university social responsibility: A model for the challenges of the new civil society’)* აღწერილია ბუქარესტის სპირუ ჰარეტის უნივერსიტეტის ამოცანები, რომლებიც სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზებაზეა ორიენტირებული. უნივერსიტეტი, როგორც ბოლონიის პროცესის წევრი საგანმანათლებლო დაწესებულება, ყოველთვის მიმართულია აკადემიურ ავტონომიასა და სხვადასხვა სოციალური პროგრამის ხელშეწყობაზე. უნივერსიტეტი სტუდენტს, როგორც პარტნიორს, ისე უყურებს.

რეფორმატორული გადასვლა ტრადიციული მიდგომიდან თანამედროვე განათლებაზე, რაც ბოლონიის პროცესითაა განსაზღვრული, შემდეგი მიზნებით მატერიალიზდება (Vasilescu, Barna, Epure, & Baicu, 2010):

- უნივერსიტეტის სოციალური ჩართულობა - უნივერსიტეტი გრძნობს პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას, რომ უმაღლესი განათლება ყველა სოციალური ჯგუფისთვის იყოს ხელმისაწვდომი, მიუხედავად მატერიალური რესურსებისა. ამ შედეგის მიღწევისთვის კი ოპერირებს ისეთი აქტივობებით, როგორებიცაა: სწავლის დაბალი გადასახადი, (სასწავლო) წიგნების სუბსიდიები, სტუდენტური გრანტები, სპეციალური შეღავათები სწავლის გადასახადზე იმ სტუდენტებისთვის, რომელთა მშობლების საპენსიო ასაკის არიან. მსგავსი მიდგომა უმაღლესი განათლების მასიფიკაციას ემსახურება.
- დისტანციური სწავლების ცენტრებით განათლების პროცესის დელოკალიზაცია - უნივერსიტეტი ამ მეთოდს იმის უზრუნველსაყოფად იყენებს, რომ საგანმანათლებლო რესურსები, ონლაინ თუ ბეჭდური ფორმით, ყველასთვის იყოს ხელმისაწვდომი. თანამედროვე ტექნოლოგებისა და დისტანციური სწავლების მოდელის ხელშეწყობით შესაძლებელი ხდება უნივერსიტეტებში სტუდენტების ასაკობრივი დიაპაზონის მუდმივი ზრდა. ამასთან, მსგავსი მიდგომა დასაქმებულ პირებსაც კი აძლევს საშუალებას, რომ უწყვეტი განათლების პროცესში ჩაერთონ. განათლება ხდება ხელმისაწვდომი,

როგორც სახლიდან ისე სამსახურიდან. შეიძლება ითქვას, რომ „უნივერსიტეტი მიდის სახლში, სამუშაო ადგილას ან ქალაქში“.

- სტუდენტისთვის (განსაკუთრებით ემიგრანტებისთვის) მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ხელმისაწვდომობა - საზღვარგარეთ დისტანციური სწავლების ცენტრების გახსნა, განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, საშუალებას აძლევს რუმინელებს რომ უმაღლეს განათლებაზე წვდომა მშობლიურ ენაზე ჰქონდეთ. ეს მიდგომა განსაკუთრებით აქტუალურია რუმინელებისთვის, რადგან ახალგაზრდათა დიდი ნაწილი ემიგრირებულია იტალიასა და ესპანეთში, უკეთესი სამუშაო და საცხოვრებელი პირობების გამო. უცხო გარემოში ადაპტაციისა და სოციალიზაციის პროცესის სრულად გავლამდე, სტუდენტებს ეფექტიანად მიაჩნიათ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა.
- „სპირუ ჰარეტის ეროვნული საზოგადოება“ (Spiru Haret National Society) - არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც მიზნად ისახავს სასოფლო დასახლებებში ცოდნისა და კულტურის პოპულარიზაციას და ამ პროცესებში საზოგადოების ჩართულობის გაზრდას, ცოდნაზე დაფუძნებული თემის შექმნის მიზნით. სწორედ ამ ორიენტირის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა დააარსა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მსგავს მიზანს ემსახურება - ხელს უწყობს რურალურ დასახლებებში მცხოვრები ადამიანების მხარდაჭერას ეროვნულ დონეზე აღიარების, „დანახვის“ მიმართულებით, მათთვის ცოდნის გადაცემის პროცესს და, რაც მთავარია მედიაზე წვდომით, სოციალური ღონისძიებების ორგანიზებით, თემის წევრები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის შესაძლებლობას ქმნის.
- მცირე რესურსების მქონე მწერლების, მხატვრების და ა.შ. მხარდაჭერა და პოპულარიზაცია - ეს არის „სპირუ ჰარეტის ეროვნული საზოგადოების“ დამატებითი მიზანი. სამიზნე ჯგუფების საგამომცემლო ხარჯების დამფინანსებელ გამომცემლობებზე და/ან თანამედროვე სტამბებზე ხელმისაწვდომობა საზოგადოების საერთო კეთილდღეობისთვის საჭირო ქმედებად შეიძლება ჩაითვალოს (Vasilescu, Barna, Epure, & Baicu, 2010).

1.10.3. დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და ბულგარეთის უნივერსიტეტების მაგალითი

მიროსლავა პეიჩევას ნაშრომი „ევროპის უნივერსიტეტების სოციალური პასუხისმგებლობა - პრაქტიკების მრავალფეროვნების კვლევა“ *('Social Responsibility of the Universities in Europe – Research of Diversity of Practices')* (2019) უკავშირდება დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და ბულგარეთის უნივერსიტეტებში სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტებისა და რეალიზების საშუალებების შესწავლას. ნაშრომში აღწერილია, რომ უნივერსიტეტებს აკისრიათ გადამწყვეტი მნიშვნელობა სტუდენტების პასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში, რასაც სწორედ სწავლა-სწავლების პროცესით უწყობენ ხელს. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა აღზარდოს სტუდენტი ისეთი ორიენტირით, რაც მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევასთან დააახლოვებს, ანუ ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებას, სოციალურ თანასწორობას, სამართლიანობას, გარემოს დაცვას. ნაშრომში აღწერილია, რომ 2017 წელს პირველად გამოქვეყნდა პასუხისმგებლიანი მენეჯმენტის სწავლების პრინციპები (Principles for Responsible Management Education) (იხ. ცხრილი #10) (Peicheva, 2019).

ცხრილი 10 - პასუხისმგებლიანი მენეჯმენტის სწავლების პრინციპები

პრინციპი	შინაარსი	
პრინციპი 1	მიზანი:	განუვითაროს სტუდენტებს უნარები, რომ იმუშაონ ინკლუზიური და მდგრადი გლობალური ეკონომიკისთვის; ხელი შეუწყონ ბიზნესისა და საზოგადოების მდგრადი ღირებულებების რეალიზებას.
პრინციპი 2	ღირებულება:	საერთაშორისო ინიციატივების მსგავსად, სასწავლო გეგმებსა და ორგანიზაციულ პრაქტიკაში გლობალური სოციალური პასუხისმგებლობის ღირებულებების ჩართვა
პრინციპი 3	მეთოდი:	პასუხისმგებლიანი ლიდერების, მოქალაქეების აღსაზრდელად საჭირო საგანმანათლებლო ჩარჩოების, მასალების, ადეკვატური გარემოს შექმნა და პროცესებში ჩართულობა
პრინციპი 4	კვლევა:	თეორიულ და ემპირიულ კვლევებში ჩართულობა, რომლებიც სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ღირებულებების შექმნაში

პრინციპი	შინაარსი	
		კორპორაციების როლის, დინამიკისა და გავლენის შესახებ ცნობადობას ზრდის
პრინციპი 5	პარტნიორობა:	სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების რეალიზების მხრივ არსებული გამოწვევების შესაფასებლად და გასააზრებლად ბიზნეს კორპორაციების ხელმძღვანელებთან თანამშრომლობა. არსებული ხარვეზების/გამოწვევების დაძლევის ერთობლივი ეფექტიანი მექანიზმების გამოკვლევა
პრინციპი 6	დიალოგი:	გლობალურ სოციალურ პასუხისმგებლობასა და მდგრადობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ აკადემიური პერსონალს, სტუდენტებს, ბიზნესის წარმომადგენლებს, მთავრობას, მომხმარებლებს, მედიას, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის, მოლაპარაკებების ხელშეწყობა

წყარო: *ევროპის უნივერსიტეტების სოციალური პასუხისმგებლობა - პრაქტიკების მრავალფეროვნების კვლევა*

პეიჩევას კვლევა ითვალისწინებდა ევროპული უნივერსიტეტების პრაქტიკების შესწავლას. კვლევაში სულ ჩაერთო 16 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის 5-5 უნივერსიტეტი და ბულგარეთის 1 უნივერსიტეტი (იხ. ცხრილი #11) (Peicheva, 2019).

ცხრილი 11 - პეიჩევას კვლევაში ჩართული უნივერსიტეტების ჩამონათვალი

ქვეყანა	უნივერსიტეტი	პოზიცია „მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგში“ (2018)
დიდი ბრიტანეთი	University of Cambridge	5
	University of Oxford	6
	UCL (University College London)	7
	Imperial College London	8
	King’s College London	23
	The University of Edinburgh	23
საფრანგეთი	Ecole normale superieure, Paris	43
	Ecole Polytechnique	59
	Universite Pierre et Marie Curie (UPMC)	131

ქვეყანა	უნივერსიტეტი	პოზიცია „მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგში“ (2018)
	École Normale Superieure de Lyon	157
	CentraleSupélec	177
გერმანია	Technical University of Munich	64
	Ludwig-MaximiliansUniversität München	66
	Rupre cht-Karls-Universität Heidelberg	68
	KIT, Karlsruhe Institute of Technology	107
	Humboldt- Universität zu BerlinMore	120
ბულგარეთი	University of National and World Economy	

წყარო: *ევროპის უნივერსიტეტების სოციალური პასუხისმგებლობა - პრაქტიკების მრავალფეროვნების კვლევა*

კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები „მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგის (2018)“ მიხედვით შეირჩნენ - სამიზნე ქვეყნებში 5 ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტი შეირჩა. უშუალოდ კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა თითოეული სასწავლებლის ვებ-გვერდები, რომელთა საფუძველზეც, სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკები გაანალიზდა. თეორიული მიმოხილვის გათვალისწინებით, კვლევის ჰიპოთეზად შემუშავდა შემდეგი: საუკეთესო უნივერსიტეტებს აქვთ სოციალურად პასუხისმგებლიანი პრაქტიკები, რომლებიც საზოგადოებრივ დონეს უკავშირდება.

პეიჩევას კვლევის (2019) შედეგად აღნიშნული ჰიპოთეზა დადასტურდა, რამდენადაც თითოეული სამიზნე უნივერსიტეტი სოციალურად პასუხისმგებლიანი ინსტიტუციებია და საკუთარ ინიციატივებს სწორედ საზოგადოებისკენ მიმართავენ. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ „მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგში“ წამყვან პოზიციებზე მყოფ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტები, მიდგომები უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის ნაწილია. ამასთან, საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეული წევრი ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების აქტივობებში (Peicheva, 2019).

კვლევის ფარგლებში შესწავლილი უნივერსიტეტების ძირითად ნაწილს სოციალური პასუხისმგებლობის, გარემოსდაცვითი მდგრადობის, მრავალფეროვნების პატივისცემისა და თანასწორუფლებიანობის სტრატეგიები/სტრატეგიული დოკუმენტები აქვს შემუშავებული. ამასთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აქტიურად მუშაობს მოხალისეობრივი ერთეული. უნივერსიტეტებში მოქმედებს თანაბარი შესაძლებლობებისა და განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებზე მორგებული პოლიტიკა. უნივერსიტეტების ნაწილი განსაკუთრებულ ყურადღებას გარემოსდაცვით საკითხებს აქცევს - აარსებს მდგრადი ტყეებისა და ლანდშაფტების ცენტრს. ცალკეულ შემთხვევებში გამოიკვეთა სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადობის დეპარტამენტის არსებობაც კი. ამასთან, კვლევის ფარგლებში შესწავლილი უნივერსიტეტები ერთვებიან საქველმოქმედო ღონისძიებებსა და სოციალურ კამპანიებში, აორგანიზებენ საზაფხულო სკოლებს.

აღნიშნული კვლევიდან პრაქტიკულ რჩევად უნივერსიტეტებმა შეიძლება გაითვალისწინონ შემდეგი - კვლევაში მონაწილე იმ უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებებს, რომლებიც სრულყოფილად აცნობიერებენ სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას და სოციალური ინიციატივების გავრცელების საჭიროებას, ინფორმაციის გასაზიარებლად ცალკე ვებ-გვერდი აქვთ შექმნილი, რაც დაინტერესებული მხარეებისთვის ადვილმად ხელმისაწვდომია (Peicheva, 2019).

1.10.4.ჰაშემიტის უნივერსიტეტის (იორდანია) მაგალითი

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტების რეალიზებაზე მსჯელობისას, ევროპული პრაქტიკების გარდა, შეგვიძლია შუა აღმოსავლეთის პრაქტიკებიც განვიხილოთ. სუკაინა ალზიოუდისა და ქამალ ბანი-ჰანის კვლევაში „სოციალური პასუხისმგებლობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: შუა აღმოსავლეთის შემთხვევა“ *(‘Social responsibility in higher education institutions: application case from the middle east’)* აღწერილია, რომ უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა კვლევისა და განათლების ინტერნაციონალიზაციის მიღწევას ემსახურება. ნაშრომში წარმოდგენილია დოქტორ გაჯასენის მიერ ჩამოყალიბებული

რამდენიმე სამოქმედო პუნქტი კვლევისა და განათლების ინტერნაციონალიზაციის ჭრილში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის დასანერგად და განსახორციელებლად (Alzyoud & Bani-Hani, 2015):

1. უნივერსიტეტებმა უნდა იმუშაონ სასწავლო გეგმების რეფორმირებაზე მასში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტების ინტეგრირებით და დაუკავშიროს „ათასწლეულის განვითარების მიზნებს“ (Millennium Development Goals (MDGs), რათა საზოგადოებას ემსახურონ
2. უნივერსიტეტები უნდა დაუახლოვდნენ სოციალურ მეწარმეობას, შემოიტანონ არაფორმალური სწავლის კომპონენტი, რათა აღმოფხვრას შიმშილი, სიღარიბე. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ა) საზოგადოებისთვის დისტანციური სწავლის სტრატეგიების გაზიარებით, ბ) სტუდენტებში, პერსონალსა და, ზოგადად, საუნივერსიტეტო საზოგადოებაში, პროგრამებისა და ინვესტიციების გზით, „სამეწარმეო სულის“ წახალისებით.
3. უნივერსიტეტებმა უნდა გააძლიერონ კვლევითი მიმართულება, რათა ადეკვატური, კვალიფიციური კადრები შესთავაზოს ადგილობრივ და გლობალურ ბაზრებს, რეაგირება მოახდინონ „ათასწლეულის განვითარების მიზნებზე“. ზოგადად რომ ითქვას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევა უნდა ჩატარდეს საზოგადოებასა და ინდუსტრიასთან მჭიდრო თანამშრომლობით.
4. უნივერსიტეტებმა ხელი უნდა შეუწყოს სოციალური პასუხისმგებლობის როლს და ყველა დაინტერესებულ მხარესთან ეფექტიანი კომუნიკაცი უნდა უზრუნველყონ.
5. უნივერსიტეტებმა თანამშრომლობის საკითხი მხოლოდ ქვეყნის შიგნით კი არ უნდა განიხილონ, არამედ უნდა გაავრცელონ მსოფლიოს სხვა ქვეყნებსა და რეგიონებში

ნაშრომში აღწერილია ჰაშემიტის უნივერსიტეტის (იორდანია) შემთხვევა. არსებული რესურსების გათვალისწინებით (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კამპუსი, პერსონალი), მან ისეთ თანამშრომლობებში აიღო ლიდერის როლი, რომლებიც ჯანმრთელობას, გარემოსდაცვით განვითარებას, საზოგადოების მდგრადობას და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას შეეხება. უნივერსიტეტი სოციალური

პასუხისმგებლობის რეალიზებას სერვისის სწავლის კონცეფციითაც ახდენს, რაც გულისხმობს რომ სტუდენტებს კურსის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობებით, სერვისებით, სამოქალაქო პროცესებში ჩართვის საშუალება აქვთ. შესაბამისად, უნივერსიტეტს აქვს თემზე/საზოგადოებაზე მიმართული სერვისები, რომელთა შემსრულებლები სწორედ სტუდენტები არიან. აღნიშნული პროექტი ლიბანის, ირლანდიის, დიდი ბრიტანეთისა და იორდანიის უნივერსიტეტების თანამშრომლობით ხორციელდება. ექსტერნალური კომპონენტების მხრივ იკვეთება, რომ ჰეშიმიტის უნივერსიტეტი გამორჩეულია სკოლებთან თანამშრომლობითაც - განსაკუთრებით კი ისეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ცენტრს მოწყვეტილია. უნივერსიტეტი, ჯანდაცვის სხვადასხვა დეპარტამენტთან თანამშრომლობით, სკოლებს აწვდის საგანმანათლებლო, ჯანდაცვის პროგრამებს. ამ პროცესებში განსაკუთრებული როლი ჰქონდათ ფაკულტეტის იმ წევრებს, რომლებიც თემის ჯანმრთელობის მიმართულებით სპეციალიზებულნი არიან. პროცესი გულისხმობდა „აუთრიჩ“ პროგრამის შემუშავებას ოჯახებისთვის, დაწყებითი და საშუალო საფეხურის სკოლებისთვის, ადგილობრივი საზოგადოების სხვა წევრებისთვის ჯანდაცვის სერვისების უზრუნველსაყოფად. ამასთან, უნივერსიტეტმა დააარსა სათემო სარეაბილიტაციო ცენტრიც, რომელიც სპეციალური საჭიროებების მქონე ოჯახებისა და თემის სხვა წევრებისთვის სხვადასხვა მომსახურებას უზრუნველყოფს (Alzyoud & Bani-Hani, 2015).

1.10.5.ჩუნგ შანის სამედიცინო უნივერსიტეტის მაგალითი

ზოგადად, აკადემიურ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პროექტები სტუდენტებს საშუალებას აძლევს მზრუნველობა განივითაროონ, აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობაში, ისწავლონ ალტრუისტული მუშაობა სხვადასხვა დისციპლინის/დარგის სპეციალისტებთან, ემსახურონ სხვებს და მიაღწიონ სასწავლო მიზნებს პრაქტიკული გამოცდილების შეძენით. მაგალითად, ტაივანში მოქმედი „უმაღლესი განათლების გავრცელების პროექტი“ მიზნად ისახავს, მხარი დაუჭიროს უნივერსიტეტებს, განახორციელონ ინდივიდებზე ორიენტირებული პროექტები, რომლებიც ადგილობრივ საჭიროებებს ითვალისწინებს. მსგავსი მიდგომით კი შესაძლებელი გახდება გადაიჭრას არსებული

პრობლემები, განვითარდეს ადგილობრივი გარემო და გაუმჯობესეს ცხოვრების ხარისხი (Hung, Huang, Wang, & Ho, 2022).

პროექტის ფარგლებში შემუშავებულია ხუთი ძირითადი თემა: ადგილობრივი ქმედება და კავშირი, სამრეწველო თანამშრომლობა, გარემოს მდგრადობა, სურსათის უსაფრთხოება, გრძელვადიანი ზრუნვა და სხვა სოციალური პრაქტიკები. 2017 წელს, ამ ქოლგა პროექტის ფარგლებში, ჩუნგ შანის სამედიცინო უნივერსიტეტმა წამოიწყო პროექტი „ცოცხალი შიგანგი, მდგრადი ჯანმრთელობა“. შიგანგი, თემი, რომელიც ადრეულ წლებში „აყვავებული“ იყო, თანამედროვე დროში ისეთი პრობლემების წინაშე დგას, როგორებიცაა: მოსახლეობის მიგრაცია, დაბერება და სამედიცინო რესურსებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა. პროექტის ფარგლებში მიჩნეულია, რომ ინტერდისციპლინური გუნდური მუშაობით, სამედიცინო უნივერსიტეტს შეუძლია სამიზნე თემისთვის პრევენციული ჯანდაცვის მომსახურებების შეთავაზება, ჯანმრთელობის ხელშეწყობა და, შესაბამისად, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა. თემში პოზიტიური ცვლილებებისთვის კი აქცენტი მდგრადი განვითარების ისეთ კონცეპტებზე უნდა გაკეთდეს, როგორებიცაა „არა სიღარიბეს“, „კარგი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“, „ხარისხიანი განათლება“, „პასუხისმგებლიანი მოხმარება და წარმოება“ (Hung, Huang, Wang, & Ho, 2022).

პროექტის ფარგლებში, მედიცინის კოლეჯში, საზოგადოების ჯანმრთელობის პრობლემების საპასუხოდ და სტუდენტებში პასუხისმგებლობის განსავითარებლად, ინტეგრირებულია კურსები სხვადასხვა, მათ შორის საექთნო, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფსიქოლოგიის, დეპარტამენტიდან. მსგავსი მიდგომით, კოლეჯი ცდილობს განავითაროს აკადემიური მონაწილეობითი სასწავლო პროგრამები, რომლებიც სტუდენტებს ადგილობრივებთან კონტაქტსა და საზოგადოებრივ პრაქტიკებში მონაწილეობას ასწავლის.

1.11. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტების რეალიზების მაგალითები (ქართული უნივერსიტეტების გამოცდილება)

1.11.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ისეთი ექსტერნალური კომპონენტების რეალიზებას ახდენს, როგორებიცაა უნივერსიტეტთაშორისი თანამშრომლობა და სკოლებთან ურთიერთობა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით, სტუდენტებისთვის საზაფხულო სკოლებს აორგანიზებს. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული აქტივობები განსხვავებული სასწავლო პროგრამის/მიმართულების სტუდენტებისთვისაა რელევანტური.

თსუ-ის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია „ევროკომისიის ერთობლივი კვლევითი ცენტრის (JRC) საზაფხულო სკოლის“ შესახებ, რომელიც 2023 წლის 10-14 ივლისს იტალიის ქალაქ ისპრაში გაიმართება. აღნიშნული კურსი ორიენტირებულია ინჟინერიის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიმართულების სტუდენტებზე (თსუ, ევროკომისიის ერთობლივი კვლევითი ცენტრის (JRC) საზაფხულო სკოლა, 2023).

სასწავლო მიმართულებით ხაზგასასმელია თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ჩართულობა პროექტში „კვლევის მოცულობის გაზრდა აღმოსავლეთ ევროპაში“. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს აშშ-ის ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის (National Institutes of Health) მიერ დაფინანსებული საერთაშორისო კვლევითი პროექტების განხორციელებას: 1) კვლევის მოცულობის გაზრდა აღმოსავლეთ ევროპაში; 2) საერთაშორისო თანამშრომლობა ევროპაში თავის ტვინის ტრავმული დაზიანების ზედამხედველობის გაზრდის მიზნით. პროექტის განხორციელების ვადა 2017-2021 წლებია და ამ პერიოდში დაგეგმილია ტრავმისა და ძალადობის შესახებ კვლევებისა და ტრენინგების ჩატარება პროექტის პარტნიორ ქვეყნებში, რომელთა შორისაცაა საქართველო, სომხეთი და მოლდოვა. აღნიშნული პროექტი საუნივერსიტეტო საზოგადოების მობილობას უწყობს ხელს აიოვისა და ბაბეშ-ბოლიაის უნივერსიტეტში, ერთობლივი კვლევების ჩატარებისა და

პუბლიკაციების მომზადების მიზნით (თსუ, პროექტი - კვლევის მოცულობის გაზრდა აღმოსავლეთ ევროპაში, 2021).

საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისით, ხაზგასასმელია, რომ თსუ ჩართულია Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამაში, რაც ითვალისწინებს სამივე საფეხურის სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო უნივერსიტეტებში მობილობას. 2019-2022 წლის მონაცემებით, Erasmus+ პროგრამის ფარგლებში თსუ-ის სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს 68 უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეუძლია სწავლის გაგრძელება (თსუ, ERASMUS+ გაცვლითი პროგრამა, 2022). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ექსტერნალური კომპონენტის, უნივერსიტეტთაშორისი თანამშრომლობის, რეალიზებაზე პარტნიორი უნივერსიტეტების რიცხვიც მეტყველებს. თსუ-ს მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში ჰყავს პარტნიორი უნივერსიტეტები, რომლებიც სწორედ გაცვლით პროგრამებსა თუ საერთო სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების განხორციელებაში იღებენ მონაწილეობას (თსუ, პარტნიორი უნივერსიტეტები, 2023).

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქტიური თანამშრომლობა აქვს ზოგადი განათლების საფეხურთან. ამ მიმართულებით ყველაზე მასშტაბური პროექტი არის „თსუ - საბავშვო უნივერსიტეტი“. პროექტის ფარგლებში დაინტერესებული სკოლების მოსწავლეებისთვის საუნივერსიტეტო სივრცეში ეწყობა ლექციები, ლაბორატორიული მეცადინეობები, კონფერენციები, ვიქტორინები და ა.შ. ამასთან, აღნიშნული პროექტები რეგიონის სკოლებში გასვლით ღონისძიებებსაც ითვალისწინებს (თსუ, საბავშვო უნივერსიტეტში მიღების წესები, 2023). „თსუ - საბავშვო უნივერსიტეტის“ პროექტი 2007-2008 წლებიდან ეწყობა, ხოლო 2011 წლიდან უკვე ევროპის უნივერსიტეტების საბავშვო უნივერსიტეტების გაერთიანების (EUCU NET – the European Children’s Universities Network) წევრია (თსუ, საბავშვო უნივერსიტეტი, 2022).

სკოლებთან თანამშრომლობისა და კომუნიკაციის თვალსაზრისით ხაზგასასმელი პროექტია „თსუ დესპანი“. ეს არის საბავშვო უნივერსიტეტის პროექტი, რომელიც

მიზნად ისახავს, რომ ნებისმიერი საფეხურის სტუდენტმა მშობლიური სკოლის მოსწავლეებს (უფროსკლასელებს) გააცნოს უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის მიაწოდოს ცნობები საგანმანათლებლო პროგრამების, დაფინანსების შესახებ, ამასთან ესაუბროს, ზოგადად, სტუდენტურ ცხოვრებაზე. „თსუ დესპანი“ 11 წელია ხორციელდება და 5000-ზე მეტი სტუდენტია ჩართული. აღნიშნული პროექტი სტუდენტებსა და მათ განვითარებაზეცაა ორიენტირებული, რამდენადაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისეთ ტრენინგებში მიიღონ მონაწილეობა, როგორებიცაა: პროექტის წერა, გუნდური მუშაობა და პრობლემის გადაჭრა, კარიერის მართვის კურსი, პრეზენტაციის უნარები (თსუ, ჯაბა სამუშია "თსუ დესპანი 2023"-ის მონაწილე სტუდენტებს შეხვდა, 2023).

ამასთან, 2023 წლის თებერვალში გაიმართა თსუ ზამთრის სკოლის მონაწილეებთან, ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის მოსწავლეებთან, საჯარო ლექციების სერია, რაც შემდეგ თემებს მოიცავდა: „რა არის უნივერსიტეტი?“, „უნივერსიტეტის ისტორია“, „პირველი უნივერსიტეტის მნიშვნელობა“, „თანამედროვე უნივერსიტეტი“, „უნივერსიტეტის როლი საზოგადოებაში“ (თსუ, თსუ ზამთრის სკოლის მონაწილეებისთვის ჯაბა სამუშიან I საჯარო ლექცია გამართა, 2023). აღნიშნული თემები ორიენტირდება სწორედ უნივერსიტეტის რაობის განსაზღვრაზე და საზოგადოებრივ აქტივობებში მისი ჩართულობის მნიშვნელოვნებაზე.

1.11.2.კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის უნივერსიტეტი შედარებით მეტად გამოირჩევა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ისეთი ექსტერნალური კომპონენტებით, რომლებიც გარემოსდაცვით საკითხებს უკავშირდება. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ინფორმაცია, რომ გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კავკასიის უნივერსიტეტისა და კომპანია “Esco-S•ესკო-ესი”-ის თანამშრომლობით, ორდღიანი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა. აღნიშნული შეხვედრის მიზანი იყო სტუდენტებისთვის „მწვანე“ უნარ-ჩვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ამასთან, შეხვედრის ფარგლებში, მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით, განხილულ იქნა წყლის რესურსების დაცვის პერსპექტივა.

პროექტის ორი დღე მოიცავდა საჯარო ლექციებს, სემინარს/ვორქშოფს, გარემოსდაცვით თავისუფალ აქტივობებს. ვოქშოფში მონაწილეობა მიიღო კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა, აკადემიურმა პერსონალმა და ლიდერთა სკოლის სტუდენტებმა.

პროექტის საზოგადოებაზე ორიენტირს ისიც უსვამს ხაზს, რომ ვორქშოფის ფარგლებში კონკრეტულად ბაზალეთის ტბის წყალშემკრები აუზში გასათავსებელი კრეატიული საინფორმაციო ბანერები შეიქმნა, ანუ პროექტი პირდაპირ მიემართებოდა კონკრეტულ მუნიციპალიტეტს და უკეთესი პირობების შექმნას (ვორქშოპი გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 2022).

გარემოსდაცვითი მიმართულებით კავკასიის უნივერსიტეტის აქტიურობას ისიც ადასტურებს, რომ 2019 წელს CENN-თან, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან, ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან და სხვა პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად ხელი მოაწერა მრავალმხრივი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. აღნიშნული მიმართული იყო „მწვანე ეკონომიკის სკოლის“ მხარდაჭერაზე, რომლის მიზანია საუნივერსიტეტო რესურსების სახელმწიფო და საერთაშორისო ეკონომიკურ პროგრამებთან დაკავშირება. ზემოაღნიშნული მემორანდუმი გაფორმდა იმისთვის, რომ „მწვანე ეკონომიკის სკოლის“ მონაწილე სტუდენტებმა განავითარონ მდგრადი ტყითსარგებლობის ბიზნესმოდელები, რომლებიც ორიენტირებული იქნება ადგილობრივ შესაძლებლობებზე და, რაც მთავარია, უპასუხებს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ, რომ პროგრამაში ჩართული სტუდენტები გადამზადდებიან და საქართველოს რეგიონებში გადანაწილდებიან *„ტყის რესურსების გამოყენების საოჯახო, კერძო, სათემო, მუნიციპალური, ან ეროვნული მოდელების შესამუშავებლად“.* ეს ინფორმაცია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ აღნიშნული აქტივობები საბოლოოდ საზოგადოების მხარდაჭერასა და განვითარებაზეა მიმართული (სტუდენტური პროგრამა მწვანე ეკონომიკის სკოლა, 2019).

კავკასიის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან და უზრუნველყოფს ამ პროცესში საკუთარი პერსონალის ჩართულობასაც. როგორც ჩანს, უნივერსიტეტში 2023 წლის 22-26 მაისს დაიგეგმა პირველი „პერსონალის გადამზადების საერთაშორისო კვირეული" (International Staff Training Week (ISTW)). ღონისძიების ძირითადი მიზანი იყო პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავება, ახალი პარტნიორობის დამყარების ხელშეწყობის მიზნით ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით არსებული გამოცდილების გაზიარება (International Staff Week 2023, 2023).

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ისეთი ექსტერნალური კომპონენტის რეალიზებაზე, როგორიცაა უნივერსიტეტთაშორისო თანამშრომლობა, კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო დონეზე ოპერირების გამოცდილებაც მიუთითებს. აღნიშნული უნივერსიტეტის Erasmus+ გაცვლითი პროგრამის წევრია. ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, Erasmus+ პროგრამის საერთაშორისო პარტნიორთა ქსელი ყოველწლიურად იზრდება (Erasmus+ Partners, 2020).

ამასთან, უნივერსიტეტი გაცვლით პროგრამებთან ერთად სტუდენტებს სთავაზობს ორმაგი ხარისხის პროგრამებს, რაც გულისხმობს, როგორც კავკასიის უნივერსიტეტში, ისე პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტში სწავლას. სწავლის დასრულების შემდეგ კი სტუდენტი ორ დიპლომს იღებს (ორმაგი ხარისხის პროგრამები, 2020).

კავკასიის უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურთან. ერთობლივ პროექტებში, ძირითადად, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებიც არიან ჩართულები. მაგალითად, 2018 წელს გამართული სასკოლო ღონისძიების "Start-up Weekend Youth Tbilisi" გამარჯვებულებს კავკასიის უნივერსიტეტისგან გადაეცათ 1000 ლარიანი სასწავლო ვაუჩერი, რაც ამ უნივერსიტეტში ჩაბარების შემთხვევაში სტუდენტებს სწავლის საფასურს დაუფინანსებს. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს მოსწავლეებში ინოვაციური, შემოქმედებითი და სამეწარმეო უნარების განვითარებას. ღონისძიებაში ჩართულნი იყვნენ ბიზნეს სფეროს წარმომადგენლებიც, რომლებიც მოსწავლეებს პროდუქციის

დახვეწაში ეხმარებოდნენ. როგორც ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში ვკითხულობ, ვორქშოფებში მონაწილე მიიღო კავკასიის უნივერსიტეტის სტარტაპ აქსელერატორმა C10 (Start-up Weekend Youth Tbilisi, 2018).

2019 წელს კავკასიის უნივერსიტეტისა და ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს 4 მუნიციპალიტეტის - მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის - 47 მაღალმთიან სკოლაში განხორციელდა პროექტი „მეტი ევროპა“. პროექტის მიზნებია:

- საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მომავლის შესახებ მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება
- ანტიდასავლურ დეზინფორმაციასთან ბრძოლა
- სტუდენტური პლატფორმის შექმნა
- მთაში სამოქალაქო აქტივიზმის გამოცოცხლება (მეტი ევროპა მთაში, 2019)

პროექტის ბოლო მიზანი განსაკუთრებით გამოკვეთს საზოგადოების განვითარებაზე ორიენტირს, რაც უნივერსიტეტების „მესამე მისიას“ უკავშირდება.

1.11.3. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია გარემოსდაცვითი აქტივობების შესახებ, რომლებიც შეეხება ზამთრის სკოლებს, გარემოსდაცვით საკითხებზე დებატებს, ტრენინგებს, კონფერენციებს. ამასთან წინა წლების გამოცდილებით, აღწერილია, რომ უნივერსიტეტი „დედამიწის დღის“ კვირეულის ფარგლებში დასუფთავების აქციას შეუერთდა (ზამთრის სკოლა ბულაჩაურის მწვანე ცენტრში, 2018) („გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“-ის დებატი და ტრენინგები სტუდენტებისთვის, 2017) (ეკო-საგანმანათლებლო სამეცნიერო კონფერენცია თესაუ-ში, 2022) (თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი დასუფთავების აქციას შეუერთდა, 2017). აღნიშნული აქტივობები, ერთი მხრივ, ზრდის

სტუდენტების გარემოსდაცვითი ცნობიერების დონეს, ანუ აწვდის მათ თეორიულ ცოდნას, ხოლო, მეორე მხრივ, პრაქტიკული აქტივობებით ხელს უწყობს სტუდენტების გააქტიურებას.

ამასთან, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სკოლებთანაც. ეს თანამშრომლობა უმეტეს შემთხვევაში უნივერსიტეტის ისტორიის, აკადემიური სიახლეების, საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობას ეხება. თესაუ-ის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციით იკვეთება, რომ შეხვედრები, ფიზიკურად, ორივე სივრცეში ეწყობა, როგორც სკოლაში უნივერსიტეტის წარმომადგენლების მისვლით, ისე უნივერსიტეტში სკოლის მოსწავლეების სტუმრობით (თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები სოფელ ჭანდრის საჯარო სკოლაში, 2022) (საჯარო სკოლების მოსწავლეები თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2023).

ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. 2022 წლის 12-19 ოქტომბერს Erasmus+-ის ფარგლებში მიმდინარე საერთაშორისო პროექტის 'Educating Science Teachers for All' (ESTA) თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წევრები აკადემიური მიზნით ეწვივნენ ლიმერიკის უნივერსიტეტის ბერნალის ინსტიტუტს (ირლანდია) და ლუდვიგსბურგის უნივერსიტეტს (გერმანია). აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე მიუთითებს ის, რომ ვიზიტი ითვალისწინებდა პრაქტიკულ სამუშაოს სასწავლო ლაბორატორიებში, კონფერენციაზე დასწრებას, სწავლების ახალი მეთოდების (CLIL-ის მეთოდი, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, კულტურის და ბუნებისმეტყველების კავშირი) განხილვას (თესაუ-ს პროფესორები, აკადემიური ტურის ფარგლებში, ირლანდიისა და გერმანიის უნივერსიტეტებში იმყოფებოდნენ, 2022).

ამასთან ექსტერნალური კომპონენტების გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია იმის აღნიშნვა, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია ინკლუზიური სკოლამდელი და ზოგადი განათლების მხარდამჭერ პროგრამაში. პროექტი მიზნად ისახავს მომავალი და მოქმედი სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელების

გადამზადების პროგრამების მიწოდების გაუმჯობესებას, ინკლუზიური განათლების სფეროში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სპეციალიზირებული ცოდნის გაღრმავების გზით, ინკლუზიური განათლების მიმართულებით სკოლის მასწავლებლების კომპეტენციების გაძლიერებას. პროექტი ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდისა და უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე დაფუძნებული ბავშვის უფლებათა ცენტრის თანამშრომლობით. პროექტის ფარგლებში სულ 9 აკადემიური პერსონალი გადამზადდა - მათგან 3 ინკლუზიური სკოლამდელი განათლების მიმართულებით, ხოლო 6 - სწავლების უნივერსალური დიზაინის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიმართულებით, მიეწოდათ ინფორმაცია კურიკულუმის დანერგვის სტრატეგიების, სკოლაში უსაფრთხო გარემოსა და პოზიტიური მშობლობის შესახებ („უნივერსიტეტის შესაძლებლობების გაძლიერება ინკლუზიური სკოლამდელი და ზოგადი განათლების მხარდასაჭერად“_თესაუ ახალ პროექტში ჩაერთო, 2022). აღნიშნული შემთხვევა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რადგან, ერთი მხრივ, მოიცავს აკადემიური პერსონალის პროფესიულ გადამზადებას, ხოლო, მეორე მხრივ, ორიენტირებულია სასკოლო საფეხურზე და მასწავლებლების განვითარებაზე, რაც საბოლოოდ პოზიტიურ გავლენას მოახდენს მოსწავლეების მიმართ დამოკიდებულებაზე, მათ სასწავლო პროცესში ჩართულობაზე და, ფართო სპექტრით, მათ სოციალიზაციაზე.

ზოგადად, ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე მსჯელობისას უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტებისა და სკოლების თანამშრომლობა, ძირითად შემთხვევაში, მოსწავლეებისთვის უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს ან, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასწავლო ვაუჩერების გადაცემას, რითიც იმავე უნივერსიტეტში ჩაბარებისას სწავლის გადასახადის დაფარვა იქნება შესაძლებელი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტების ძირითადი ნაწილის ექსტერნალური კომპონენტების რეალიზება, განსაკუთრებით კი სკოლებთან თანამშრომლობა, საკუთარ პიარზე მეტადაა ორიენტირებული, ვიდრე სარგებლის მიღების გარეშე მოსწავლეებისთვის სხვადასხვა აქტივობის ორგანიზებაზე, მათთვის ცოდნის გაზიარებაზე, სამოქალაქო პასუხისმგებლობის

გაზრდაზე და ა.შ. ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეებში ექსტერნალური კომპონენტის მიმართულებით განსაკუთრებით აქტუალურია უნივერსიტეტთაშორისი თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე, საუნივერსიტეტო სივრცეში უცხოელ პარტნიორებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, საჯარო ლექციების მოწყობა და ა.შ. ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაცია, ზოგად ჭრილში, შედარებით ნაკლებად ფარავს სოციალური კამპანიებსა და გარემოსდაცვით აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილებას.

2. კვლევის ძირითადი შედეგები

2.1. ტერმინთა დეფინიცია - „აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა“ და უნივერსიტეტის „მესამე მისია“ - და ზოგადი კომპონენტები

უნივერსიტეტის როგორც სოციალური პასუხისმგებლობა, ისე მისი მესამე მისია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების არა მხოლოდ შიდა, არამედ გარე დონეზე ოპერირებასაც მოიცავს, ანუ უნივერსიტეტში აკუმულირებული ცოდნა ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოების თითოეული წევრისთვის; მეტიც, უნივერსიტეტი ისეთ ღონისძიებებში უნდა მონაწილეობდეს, რაც საზოგადოებას გარკვეულ სარგებელს მოუტანს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, მათ შორის, არასაგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობა.

საკითხის შესახებ ინფორმირებულობის შესაფასებლად ინტერვიუების დასაწყისშივე რესპონდენტებმა განმარტეს, **თუ რა საზრისს დებენ ტერმინებში - „აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა“ და „უნივერსიტეტის მესამე მისია“.** გამოიკვეთა, რომ უმაღლესი განათლების რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის ექსპერტები, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებსა თუ აკადემიურ პერსონალთან შედარებით, საკითხის შესახებ მეტად ინფორმირებულნი არიან. თუკი უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი უნივერსიტეტის სოციალურ პასუხისმგებლობას სრულად საგანმანათლებლო ასპექტებს უკავშირებს და არ ითვალისწინებს სოციალურ, გარემოსდაცვით, ფილანტროპულ ასპექტებს, ექსპერტთა შეფასებით, სოციალური პასუხისმგებლობის აკადემიაში ინტეგრირება უნივერსიტეტის სოციალურ როლს გამოკვეთს. ლექტორთა ნაწილი აკადემიურ სოციალურ პასუხისმგებლობაში აერთიანებს: ა) უნივერსიტეტის როლს, ხელი შეუწყოს პროფესორების, მოწვეული პედაგოგებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის დონის ამაღლებას, ბ) ლექტორების პასუხისმგებლობას - არ გააცდინონ სალექციო საათები და სტუდენტებს ცოდნა გადასცენ; გ) უნივერსიტეტის წესდების ზედმიწევნით შესრულებას; დ) სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობას.

„სოციალური პასუხისმგებლობა, ალბათ, სტუდენტების, უნივერსიტეტის წინაშე პასუხისმგებლობაა, როგორც ლექტორის. იმ ცოდნის და გამოცდილების გადაცემა სტუდენტებისთვის, რაც მაქვს, ისე, რომ მაქსიმალურად აითვისონ სტუდენტებმა. უნივერსიტეტისთვის რაღაც ღირებულის მოტანა, როგორც ლექტორის პოზიციიდან.“ (პროფესორი, ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულება, სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი)

რესპონდენტთა ნაწილმა, ტერმინის შემადგენელი კომპონენტების საშუალებით, განსაზღვრა, რომ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა, ერთი მხრივ, მოიცავს საგანმანათლებლო ასპექტს, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალურს - ანუ ერთია შიდა დონე, სადაც მნიშვნელობა ენიჭება უნივერსიტეტის როლს პერსონალისა და სტუდენტების მიმართ, ლექტორების პასუხისმგებლობას ადმინისტრაციისა და სტუდენტების მიმართ, რაც უნივერსიტეტის წესდების დაცვას გულისხმობს, ხოლო მეორე დონეა არასაგანმანათლებლო აქტივობები, საზოგადოების ფორმირებასა და სტუდენტების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების პროცესში ჩართულობა.

„ეს არის ორი მიმართულების სინთეზი - აკადემიურის და სოციალურის. აკადემიური განსაზღვრული გვაქვს, რასაც შინაგანაწესი არეგულირებს. რაც შეეხება სოციალურ პასუხისმგებლობას, გარდა სალექციო და აუდიტორიული საათებისა სტუდენტებთან, სოციალურ ასპექტებზეც უნდა იყოს მიმართული, სტუდენტების საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროსაც უნდა მიემართებოდეს. პედაგოგიკის ნომერ პირველი ამოცანა სწორედ ის უნდა იყოს, რომ არამხოლოდ რამე დარგი, დისციპლინა დავაზეპირებინოთ ან შევასწავლოთ სტუდენტებს, არამედ მათ სოციალურ განვითარებაში პიროვნების ჩამოყალიბებაშიც მივიღოთ უდიდესი მონაწილეობა“ (პროფესორი, აგრარულ მეცნიერებათა მიმართულება, სახელმწიფო უნივერსიტეტი, რეგიონი).

როგორც ლიტერატურის მიმოხილვაშია წარმოდგენილი, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა თეორიულ საფუძვლებს სწორედ ბიზნესში გამოვლენილი სოციალური პასუხისმგებლობიდან იღებს (Esfijani, Hussain, & Chang, 2013). ამდენად, კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვნად განისაზღვრა ორივე ტერმინის მიმართ სტუდენტთა ინფორმირებულობის დონის შეფასებაც.[6] გამოიკვეთა, რომ როგორც **კორპორატიული,** ისე **აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის** მიმართ

[6] გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტთა შესახებ ინფორმაცია (დემოგრაფია, საგანმანათლებლო ფონი) იხილეთ დანართში #3.

რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი თავს ინფორმირებულად მიიჩნევს (პასუხის კატეგორია „დიახ, მსმენია“): ბიზნეს კომპანიებისა და ორგანიზაციების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ - 58.6%, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ - 64% (იხ. დიაგრამა #2).

დიაგრამა 2 - კორპორატიული და აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობა (სუბიექტური შეფასება)



უსდ-ის ტიპის ჭრილში საკითხის გაანალიზებისას იკვეთება, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტების უფრო მეტ სტუდენტს სმენია (69.8%) აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, ვიდრე - კერძო უნივერსიტეტების (48%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=72372, p<0.05). **სასწავლო საფეხურების ჭრილში** კი, საკუთარი შეფასებით, უფრო მეტი მაგისტრანტია (73%) ინფორმირებული, ვიდრე - ბაკალავრიატის სტუდენტი (61.2%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=19714, p<0.05). რაც შეეხება **სასწავლო მიმართულებებს,** გამოიკვეთა, რომ სამედიცინო მიმართულების სტუდენტთა უმრავლესობას (55.3%) აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ არ სმენია, სხვა სასწავლო მიმართულებების სტუდენტებში კი პოზიტიური შედეგები დაფიქსირდა (პასუხის კატეგორია „დიახ, მსმენია“): ბიზნესი/ეკონომიკა - 70.9%, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები - 70.4%, ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ტექნიკური მიმართულებები - 61%, სახელოვნებო მიმართულება - 54.5% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=70821, p<0.05).

ერთია ინდივიდის სუბიექტური აღქმა, მიიჩნევს თუ არა თავს ინფორმირებულად, ხოლო მეორეა, რეალურად რა იცის აღნიშნული ტერმინების შესახებ. მიუხედავად

იმისა, სმენიათ თუ არა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, განსაზღვრეს, თუ **რა საზრისებს დებენ აღნიშნულ ტერმინში.** გამოიკვეთა, რომ ყოველმა მეორე სტუდენტმა მართებულად ამოიცნო ცნების მნიშვნელობა - „ბიზნეს კომპანიებისა და ორგანიზაციების მიერ ინდივიდუალურ და კოლექტიურ დონეზე საზოგადოების განვითარებაში პოზიტიური წვლილის შეტანა“ (49.9%). თითქმის მეხუთედის (18.5%) აზრით კი, კორპორატიული პასუხისმგებლობა ბიზნეს კომპანიებისა და ორგანიზაციების მიერ საზოგადოებაში საკუთარი ბრენდის შესახებ ცნობადობის ასამაღლებელი აქტივობების განხორციელებას ითვალისწინებს. ხაზგასასმელია, რომ გამოკითხულთა მეათედს (13.3%) კონკრეტული დეფინიციის იდენტიფიცირება გაუჭირდა (იხ. ცხრილი #12).

ცხრილი 12- ორგანიზაციების სოციალური პასუხისმგებლობის განმარტება

მიუხედავად იმისა, გსმენიათ თუ არა ტერმინის შესახებ, როგორ განმარტავდით ორგანიზაციების სოციალურ პასუხისმგებლობას? (N=1815)	%
ბიზნეს კომპანიებისა და ორგანიზაციისთვის სხვადასხვა აქტივობების განხორციელების ლეგალური მოთხოვნა	6.9
ბიზნეს კომპანიებისა და ორგანიზაციების მარკეტინგული სტრატეგია ბრენდის იმიჯის გასაუმჯობესებლად	3.9
ბიზნეს კომპანიებისა და ორგანიზაციების მიერ მოგების მაქსიმიზაციის პროცესი	3
ბიზნეს კომპანიებისა და ორგანიზაციების მიერ საზოგადოებაში/სოციუმში საკუთარი ბრენდის/ფირმის შესახებ ცნობადობის ასამაღლებელი აქტივობების განხორციელება	18.5
ბიზნეს კომპანიებისა და ორგანიზაციების მიერ ინდივიდუალურ და კოლექტიურ დონეზე საზოგადოების განვითარებაში პოზიტიური წვლილის შეტანა	49.9
უარი პასუხზე	4.5
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	13.3

ამასთან, გამოკითხულთა დიდმა უმრავლესობამ (90.3%) სწორად აღნიშნა, რომ სოციალური პასუხისმგებლობა შეიძლება ეკისრებოდეს **როგორც საჯარო, ისე კერძო ორგანიზაციებს**. ცალკეულ შემთხვევაში 3%-საც კი ვერ აღწევს იმ სტუდენტთა წილი, ვინც მიიჩნევს, რომ აღნიშნული კონცეფცია მხოლოდ კერძო (2.8%), ან მხოლოდ საჯარო ორგანიზაციებს (2.6%) უკავშირდება.

სუბიექტური ინფორმირებულობის მიღმა, კვლევამ, ტესტური შეკითხვების საფუძველზე, გაზომა სტუდენტების ინფორმირებულობის რეალური, ობიექტური

დონე. კერძოდ, მათთვის შეთავაზებულ იქნა ცალკეული დებულებები, რომლებიც შეფასდა მართებულია-მცდარიას დიქოტომიურ სკალაზე. სულ 15 დებულება წარედგინათ კვლევაში მონაწილე სტუდენტებს. **თითოეული დებულება ზომავდა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ რესპონდენტების „ობიექტური ინფორმირებულობის“ დონეს.** სტუდენტებისთვის შეთავაზებულ დებულებებში წარმოდგენილი იყო როგორც მართებული, ისე არასწორი მოსაზრებები. მათი მოვალეობა კი სწორედ ჭეშმარიტება-მცდარობის ერთმანეთისგან გამიჯვნა იყო. დებულებები დაეფუძნა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შინაარსობრივ განმარტებებს და აგრეთვე უნივერსიტეტის ინტერნალურ თუ ექსტერნალურ დონეზე გამოვლენილი პასუხისმგებლობის აღმწერ სიტუაციებს. დებულებების შეთავაზების მიზანს წარმოადგენდა, გამოვლენილიყო რესპონდენტთა რეალური ცოდნა უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკითხზე მსჯელობისას, ძირითადად, ისეთ მიმართულებებს გამოყოფენ, რისი ამოცნობაც უშუალოდ ტერმინიდან, სახელწოდებიდან არის შესაძლებელი. ამდენად, მნიშვნელოვანი იყო იმის გარკვევა, ე.წ. „ზედაპირული ცოდნის“ მიღმა, რეალურად, რამდენად ინფორმირებულნი არიან სტუდენტები.

ზოგადი შეფასებისთვის საჭიროა ითქვას, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (საშუალოდ 70%-ზე მეტი) მართებულ დებულებებს სწორად ამოიცნობს, ანუ ჭეშმარიტ დებულებებზე მიუთითებს, რომ უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელია (იხ. ცხრილი #13).[7]

[7] კითხვარის პირველი შინაარსობრივი ბლოკისთვის გაანალიზებულ იქნა რესპონდენტთა ცოდნა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. შემდგომ იმ რესპონდენტებმაც კი შეაფასეს კონცეპტის კომპონენტები, რომლებმაც დებულებების დონეზე საკითხი არასწორად განსაზღვრეს. თუმცა, ინტერნალური და ექსტერნალური აქტივობების შეფასებამდე მათ მიეწოდათ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის განმარტება, რაც ტექსტის შესაბამის ადგილას არის წარმოდგენილი. ლოგიკა არის ის, რომ შეფასებულიყო, ყოველგვარი დამატებითი ინფორმაციის მიწოდების გარეშე, რეალურად რა ცოდნას ფლობდნენ რესპონდენტები.

ცხრილი 13 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის აღმწერი დებულებები (ჭეშმარიტი დებულებების ამოცნობა)

გთხოვთ, ქვემოთ წარმოდგენილი თითოეულ დებულების გათვალისწინებით, მიუთითოთ როგორ განსაზღვრავდით უნივერსიტეტის პასუხისმგებლობებს. თქვენი შეფასებით, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა... (ჭეშმარიტი დებულებების ამოცნობა) (%) (N=1815)	დიახ	არა	ვარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
გულისხმობს უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის საზოგადოებრივი მომსახურებებისა და მოხალისეობრივი შესაძლებლობების შექმნას/ორგანიზებას?	83.1	4.8	3.5	8.5
გულისხმობს კურსდამთავრებულებთან კავშირის შენარჩუნებას და მათზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას?	66	18.4	5.1	10.4
გულისხმობს ფაკულტეტების წახალისებას სწავლის პროცესში გამოიყენონ რეალურ შემთხვევებზე დაფუძნებული მაგალითები, რომლებიც სოციალურ გამოწვევებს მიემართება?	73	12	5.2	9.8
გულისხმობს საუნივერსიტეტო სივრცეში ეკოლოგიურად მდგრადი პრაქტიკის დანერგვას, როგორებიცაა მაგალითად ენერგოეფექტური დანადგარები/ინვენტარი და ნარჩენების შემცირებაზე ორიენტირებული პროგრამები?	73.3	13	4.8	8.9
გულისხმობს სოციალურად მოწყვლადი პირებისთვის საგანმანათლებლო რესურსებსა და, ზოგადად, განათლებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას?	72.8	11.8	7.6	7.8
გულისხმობს ფინანსური მართვისა და რესურსების განაწილების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას?	72.6	12.3	5.5	9.6
გულისხმობს კვლევის, სწავლებისა და ინსტიტუციური გადაწყვეტილების მიღების ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბებასა და დაცვას?	71.8	10.4	6.8	11
გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების სწავლის პროცესში ხელშეწყობას?	78	8.7	3.7	9.5

სტუდენტთა უმრავლესობამ აკადემიურ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული **არამართებული დებულებების ამოცნობა შეძლო,** რაც მათი ინფორმირებულობის დონეს პოზიტიურად წარმოაჩენს. თითქმის 60%-ს უტოლდება იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ფლობს ობიექტურ ცოდნას იმის შესახებ, რომ: ა)

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა მხოლოდ დაწესებულების მოგებისა და შემოსავლების ზრდაზე ორიენტირებული არ არის - 59.1%, ბ) აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის უპირველესი მისიიდან - ხარისხიანი განათლების მიწოდებიდან - გადახვევა არ არის - 59.8%.

ზოგადი გააზრებით, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ექსტერნალური კომპონენტები მოიაზრებს როგორც საგანმანათლებლო, ისე კულტურულ, გარემოსდაცვით, სოციალურ, საქველმოქმედო ღონისძიებებში ჩართულობას ან მათ ორგანიზებას. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მეხუთე სტუდენტის აზრით, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა მხოლოდ საქველმოქმედო ღონისძიებებით შემოიფარგლება, რაც **არამართებული მსჯელობაა,** რესპონდენტთა უმრავლესობამ (62.8%) ამოიცნო, რომ ეს დებულება მცდარია. დამატებით, ყოველი მეორე სტუდენტი (49.6%) სწორად საზღვრავს, რომ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა, შემადგენელი კომპონენტებითა და რეალიზების სფეროებით, ყველა სასწავლო მიმართულებას უკავშირდება და გარკვეულ აკადემიურ დისციპლინებს ექსკლუზიურად არ მიეწერება, რაც მართებული მსჯელობაა. თუმცა, სტუდენტთა არასრულყოფილ ინფორმირებულობაზე მიუთითებს, რომ გამოკითხულთა მეოთხედზე მეტს (26.1%) აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა მხოლოდ ცალკეული სასწავლო მიმართულებებისთვის დამახასიათებელ კონცეპტად მიაჩნია (იხ. ცხრილი #14).

ცხრილი 14 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის აღმწერი დებულებები (მცდარი დებულებების ამოცნობა)

გთხოვთ, ქვემოთ წარმოდგენილი თითოეულ დებულების გათვალისწინებით, მიუთითოთ როგორ განსაზღვრავდით უნივერსიტეტის პასუხისმგებლობებს. თქვენი შეფასებით, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა... (მცდარი დებულებების ამოცნობა) (%) (N=1815)	**დიახ**	**არა**	**ვარი პასუხზე**	**არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა**
მხოლოდ დაწესებულების მოგებისა და შემოსავლების ზრდაზეა ორიენტირებული?	22.9	59.1	7.7	10.3
უნივერსიტეტის უპირველესი მისიიდან - ხარისხიანი განათლების მიწოდებიდან - გადახვევაა?	21.8	59.8	5.9	12.5

გთხოვთ, ქვემოთ წარმოდგენილი თითოეულ დებულების გათვალისწინებით, მიუთითოთ როგორ განსაზღვრავდით უნივერსიტეტის პასუხისმგებლობებს. თქვენი შეფასებით, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა... (მცდარი დებულებების ამოცნობა) (%) (N=1815)	დიახ	არა	ძნელი პასუხის	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
შემოიფარგლება მხოლოდ საქველმოქმედო ღონისძიებებით?	18.4	62.8	8.3	10.4
ახასიათებს მხოლოდ გარკვეულ აკადემიურ დისციპლინებს და ყველა სასწავლო მიმართულებით არ რეალიზდება?	26.1	49.6	8.7	15.6

მართალია, თითოეული მართებული დებულება კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობამ სწორად განსაზღვრა, როგორც აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მახასიათებელი, და ამასთან მცდარი დებულებების ძირითადი ნაწილის ამოცნობაც შეძლო, **სტუდენტთა ცოდნაში არის გარკვეული ჩავარდნები.** მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა, თავისი არსით, არ არის ორიენტირებული ადგილობრივ და საერთაშორისო რეიტინგებში სხვა უნივერსიტეტებისთვის კონკურენციის გაწევაზე და, პირიქით, ურთიერთთანამშრომლობითი კონცეპტია, გამოკითხულთა 61.6% ამ დებულებას იყენებს, როგორც აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელს, რაც საკითხის არასწორი გააზრებაა.

ზემოაღნიშნული დებულების მსგავსად, სტუდენტების ინფორმირებულობის თვალსაზრისით, ჩავარდნაა სკოლებთან თანამშრომლობისა და უნივერსიტეტის პოპულარიზაციაზე ორიენტირებულობის მხრივაც. ყოველი მეორე რესპონდენტი (51.9%) არამართებულად მსჯელობს, როდესაც აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში უნივერსიტეტისა და სკოლების თანამშრომლობა მხოლოდ უსდ-ების მხრიდან პოტენციური სტუდენტების მოზიდვას ემსახურება. თეორიულ ჩარჩოზე დაყრდნობით, უნივერსიტეტები, სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების მხრივ, სკოლებთან უნდა თანამშრომლობდეს საერთო საგანმანათლებლო, შემეცნებითი, გარემოსდაცვით, კულტურული, სოციალური და სხვ. პროექტების სახით. თანამშრომლობის ფორმა არ უნდა

უკავშირდებოდეს მხოლოდ უნივერსიტეტის პოპულარიზაციას და აბიტურიენტების მოზიდვას.

საკითხის შესახებ **არასრულყოფილ ინფორმირებულობას** გამოკვეთს ისიც, რომ სტუდენტების 41.1% აკადემიურ სოციალურ პასუხისმგებლობად მიიჩნევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მარკეტინგული სტრატეგიის იმიჯის/ცნობადობის გაზრდაზე ორიენტირებულობას. მსგავსი მიდგომა საკითხის არამართებული გააზრებაა და უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის რეალურ მოტივსა და საზრისს არ შეესაბამება (იხ. ცხრილი #15).

ცხრილი 15 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის აღმწერი დებულებები (არამართებული დებულებების მართებულად მიჩნევა)

გთხოვთ, ქვემოთ წარმოდგენილი თითოეულ დებულების გათვალისწინებით, მიუთითოთ როგორ განსაზღვრავდით უნივერსიტეტის პასუხისმგებლობებს. თქვენი შეფასებით, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა... (არამართებული დებულებების მართებულად მიჩნევა) (%) (N=1815)	**დიახ**	**არა**	**უარი პასუხზე**	**არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა**
ორიენტირებულია ადგილობრივ და საერთაშორისო რეიტინგებში სხვა უნივერსიტეტებისთვის კონკურენციის გაწევაზე?	61.6	20	6.2	12.1
საგანმანათლებლო დაწესებულების იმიჯის/ცნობადობის გაზრდაზე ორიენტირებული მარკეტინგული სტრატეგიაა?	41.1	30.2	11.8	16.8
გულისხმობს სკოლებთან თანამშრომლობას პოტენციური სტუდენტების მოზიდვის მიზნით?	51.9	25.1	7.1	15.9

იმისათვის, რომ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის გამზომი ცვლადი შექმნილიყო, საჭირო გახდა დებულებების **რეკოდირება.** #3 და #4 ცხრილში მოცემული ის დებულებები, რომლებიც რეალურად არ არის უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი მოსაზრებები, წარმოდგენილ იქნა შებრუნებული მნიშვნელობებით - 1=0; 0=1, რამაც შესაძლებელი გახადა, თითოეული დებულება შინაარსობრივად ერთნაირად ყოფილიყო გაზომილი. რეკოდირების შედეგად თითოეულ დებულებაში მონიშნული კოდი 1, ნიშნავს რომ სტუდენტს ჭეშმარიტი ცოდნა აქვს აკადემიური

სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. ამდენად, შეიქმნა **ინდექსური ცვლადი,** რომელიც გადაიზომა 0-15 სკალაზე - 0 ნიშნავს, რომ სტუდენტმა უნივერსიტეტის სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ვერცერთი დებულება სწორად ვერ ამოიცნო, ხოლო 15 ქულა ნიშნავს, რომ ყოველი მათგანი ამოიცნო. შესაბამისად, ინდექსის ცვლადში მნიშვნელობების ზრდა ინფორმირებულობის ზრდასთანაა დაკავშირებული. კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, დამოკიდებულ ცვლადად სწორედ აღნიშნული განისაზღვრა. ინფორმირებულობის შემსწავლელი ინდექსური ცვლადის სიხშირული გადანაწილება მოწმობს, რომ მხოლოდ 2%-ს უტოლდება მათი წილი, ვინც 15-ვე დებულება სწორად შეაფასა. მეორე მხრივ კი, რესპონდენტთა 2.5%-მა ვერცერთი დებულების ამოცნობა ვერ მოახერხა.

ზოგადი ინფორმირებულობის შესაფასებლად მიზანშეწონილია ცვლადის ორ ნაწილად გაყოფა: 1 – ის რესპონდენტები, რომელთაც 7 ქულა ან ნაკლები აქვს; 2 - ის სტუდენტები, რომელთაც ჯამურად 8 ქულა ან მეტი აქვთ. პირველს შეგვიძლია ვუწოდოთ არაინფორმირებულთა ჯგუფი, ხოლო მეორეს, შესაბამისად, ინფორმირებულთა ჯგუფი. გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (73.2%) ინფორმირებულ რესპონდენტთა კატეგორიაში მოექცა, ხოლო 26.8% - არაინფორმირებულების (იხ. დიაგრამა #3).

დიაგრამა 3 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის დონე



რესპონდენტთა ინფორმირებულობის დონის უფრო დეტალურად შესაფასებლად, უმჯობესია ინდექსური ცვლადი დაიყოს რამდენიმე კატეგორიად. ამ მიზნით, მონაცემთა დამუშავების ეტაპზე ინფორმირებულობის ცვლადი 4 ჯგუფად გენერირდა, რომელთა შორისაც ქულობრივი და შინაარსობრივი გადანაწილება შემდეგია:

- კატეგორია 1: საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას ან ინფორმირებულობის დონე ძალიან დაბალია - 0-3 ქულა
- კატეგორია 2: უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის დონე საშუალოზე დაბალია - 4-7 ქულა
- კატეგორია 3: უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის დონე საშუალოზე მაღალია - 8-11 ქულა
- კატეგორია 4: უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის დონე მაღალი ან ძალიან მაღალია - 12-15 ქულა

მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ **რესპონდენტთა ძირითადი ნაწილის ინფორმირებულობის დონე საშუალოზე მაღალის კატეგორიაში ექცევა** - 46.9%, ხოლო ინფორმირებულობის მაღალი ან ძალიან მაღალი დონით სტუდენტთა მეოთხედზე მეტი (26.3%) გამოირჩევა (იხ. დიაგრამა #4).

დიაგრამა 4 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობა (კატეგორიზირებული)



რესპონდენტთა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის დონე გაანალიზდა სამიზნე დამოუკიდებელი ცვლადების ჭრილში. ეს ცვლადებია: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპი, სასწავლო საფეხური, სასწავლო მიმართულება. როგორც გამოიკვეთა, **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჭრილში მონაცემები სტატისტიკურად სანდო განსხვავებას არ აჩვენებს** ($p>0.05$).

რაც შეეხება სასწავლო საფეხურებს, კორელაციური ანალიზი აჩვენებს, რომ ორივე სამიზნე ჯგუფში ინფორმირებულ პირთა წილი მაღალია (ქულები 3 და 4), თუმცა, იკვეთება, რომ **არაინფორმირებული სტუდენტების შედარებით დიდი ნაწილი ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლობს** - 29% (მაგისტრატურა - 19.6%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X^2=27050$, $p<0.05$)

სასწავლო მიმართულებების ჭრილში ყველაზე არაინფორმირებულ სტუდენტებად სამედიცინო მიმართულების წარმომადგენლები იკვეთებიან (ქულები 1 და 2) – 41.5%, ხოლო ყველაზე ინფორმირებულებად - სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სტუდენტები - 78.5% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X^2=104802$, $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #5).

დიაგრამა 5 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობა (სასწავლო საფეხურისა და სასწავლო მიმართულების ჭრილში)



მხოლოდ კროსტაბულაციური ანალიზის საფუძველზე შეუძლებელია კვლევის ძირითადი და დამხმარე ჰიპოთეზების დადასტურება ან უარყოფა. ამდენად, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის ინდექსური ცვლადის გათვალისწინებით (დამოკიდებული ცვლადი), ჰიპოთეზების შესამოწმებლად, გამოყენებულ იქნა **საშუალოების შედარების მეთოდი - ჯგუფთაშორისი T-ტესტი (independent t-test).** მართალია, კორელაციურმა ანალიზმაც აჩვენა, რომ უსდ-ების ტიპის ჭრილში საკითხი მნიშვნელოვან განსხვავებას არ აჩვენებდა, თუმცა, პირველ დამაჯგუფებელ ცვლადად მაინც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის ცვლადი იქნა გამოყენებული. საშუალო მაჩვენებლების დონეზე სამიზნე ჯგუფებს შორის მკვეთრი განსხვავება არ ფიქსირდება - სახელმწიფო უნივერსიტეტების შემთხვევაში ინდექსური ცვლადის საშუალო მნიშვნელობა (mean) 8.94-ია, ხოლო კერძო უნივერსიტეტების შემთხვევაში - 9.07. **ჯგუფთაშორისმა T-ტესტმა, კროსტაბულაციური ანალიზის მსგავსად, დაადასტურა, რომ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ ფიქსირდება, ანუ ნულოვანი ჰიპოთეზა გამართლდა (p=0.653).** ამდენად, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ უსდ-ების ტიპის მიხედვით, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის დონე მნიშვნელოვნად არ განსხვავდება, ანუ კვლევის ერთ-ერთი დამხმარე ჰიპოთეზა

გამართლდა - გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ აკადემიური სოციალური პასუხისმგელობა ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში ახალი ტერმინია და დამკვიდრებულ ფენომენთა შორის ნაკლებად თუ შეგვიძლია მოვიაზროთ. სწორედ მსგავს ზოგად ვითარებას აღწერს ის ფაქტი, რომ, უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით, შესასწავლ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანი სხვაობები არ დაფიქსირებულა.

ჯგუფთაშორისი T-ტესტის შემდგომ დამაჯგუფებელ ცვლადად სასწავლო საფეხური განისაზღვრა. საშუალოების შედარების საფუძველზე იკვეთება, რომ, როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტების ინფორმირებულობის დონე, კვლევაში გამოყენებული დებულებების ჭეშმარიტება/მცდარობის ამოცნობის შედეგად, მაღალია - ორივე სამიზნე ჯგუფის შედეგი სკალის საშუალო ქულაზე (8 ქულა) მაღალია. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ, ბაკალავრიატის სტუდენტების შემთხვევაში, ინფორმირებულობის დონის საშუალო მნიშვნელობა (mean) 8.68 ქულას უტოლდება, ხოლო მაგისტრანტების შემთხვევაში - 9.93 ქულას. საკითხის სტატისტიკური მნიშვნელოვნების შეფასებისას იკვეთება, რომ ეს **1.25-ქულიანი სხვაობაც კი სანდო განსხვავებას იძლევა: p=0. ამდენად, ალტერნატიული ჰიპოთეზა დადასტურდა, რომ ჯგუფებს შორის განზოგადებული ფორმითაც არსებობს სხვაობა.** ჯგუფთაშორისმა T-ტესტმა აჩვენა, რომ მაგისტრანტები უფრო მეტად ინფორმირებულები არიან აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. **შესაბამისად, კვლევის ერთ-ერთი დამხმარე ჰიპოთეზაც დადასტურდა,** რომელიც სწორედ მსგავს გააზრებას გულისხმობდა, რომ მაგისტრანტები მეტად იქნებიან საკითხის შესახებ ინფორმირებულნი, რამდენადაც უფრო დიდი დრო აქვთ საუნივერსიტეტო სივრცეში გატარებული და შესაძლოა სხვადასხვა ტიპის აქტივობებში ჩართულობითაც მეტად გამოირჩეოდნენ.

სასწავლო მიმართულებების მიხედვით საშუალო მაჩვენებლების შედარებისთვის, ცვლადის მრავალმნიშვნელობიანობიდან გამომდინარე (კატეგორიების/სასწავლო მიმართულებების რაოდენობა 5) ჯგუფთაშორისი T-ტესტის ნაცვლად, გამოყენებულ იქნა **საშუალოთა შედარების მეთოდი ANOVA.** შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო მიმართულებებს შორის აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ

ინფორმირებულობის დონის შემფასებელი 15 დებულებიდან, სწორი პასუხების მიხედვით, საშუალო ქულათა გადანაწილება შემდეგია:

- ბიზნესი/ეკონომიკა - 9.12 ქულა
- სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები - 9.39 ქულა
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ტექნიკური მიმართულებები - 8.95 ქულა
- სამედიცინო მიმართულება - 7.74 ქულა
- სახელოვნებო მიმართულება - 9.33 ქულა

მიუხედავად იმისა, რომ ქულებს შორის რაოდენობრივი სხვაობები უმეტეს შემთხვევაში არ ფიქსირდება, **მსგავსი მინიმალური განსვლებიც კი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (p=0).** თუმცა, ძირითადი ჰიპოთეზის დასადასტურებლად ან უარსაყოფად საჭიროა გამოიყოს რომელი სასწავლო მიმართულება გამოირჩევა ინფორმირებულობის დონით. კვლევის საწყის ეტაპზე, ლიტერატურაზე დაყრდნობით, ხაზი გაესვა, რომ შესასწავლი საკითხი საფუძველს ბიზნეს პასუხისმგებლობიდან იღებს, ამდენად ჰიპოთეზად განისაზღვრა, რომ ბიზნესის/ეკონომიკის სტუდენტების უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის დონე უფრო მაღალი იქნებოდა. თუმცა, ANOVA-ს საფუძველზე მიღებული სტატისტიკურად სანდო შედეგები მოწმობს, რომ **კვლევის ძირითადი ჰიპოთეზა არ გამართლდა.** მართალია, ალტერნატიული ჰიპოთეზა გამართლებულია და ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობები ფიქსირდება, თუმცა, დომინანტურ პოზიციას ბიზნესის/ეკონომიკის მიმართულება არ იკავებს - ერთი მხრივ, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და, მეორე მხრივ, სახელოვნებო მიმართულების სტუდენტები შესასწავლი საკითხის მიმართ მეტად ინფორმირებულები არიან.

სამიზნე ცვლადებს შორის საშუალოების შედარების შემდეგ, იმისთვის, რომ შეფასებულიყო, უშუალოდ როგორ გავლენას ახდენს დამოუკიდებელი ცვლადები დამოკიდებულ ინდექსურ ცვლადზე, შემუშავებულ იქნა **მრავალეტაპიანი რეგრესიული მოდელი.** კვლევის დამოუკიდებელ ცვლადებად განსაზღვრული იყო ისინი, რომლებიც ჯგუფთაშორისი T-ტესტისა და ANOVA-ს ფარგლებში იქნა გამოყენებული: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპი, სასწავლო

საფეხური, სასწავლო მიმართულება. თეორიულ ჩარჩოში განხილულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, რეგრესიული მოდელის შემუშავებისას, არსებულ წინასწარ განსაზღვრულ დამოუკიდებელ ცვლადებს, სქესის და ასაკის ცვლადებიც დაემატა. დამოკიდებული ცვლადის ტიპიდან გამომდინარე, **წრფივი რეგრესია** იქნა გამოყენებული.

დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის მიმართებების დასადგენად რეგრესიის რამდენიმე მოდელი შემუშავდა. იმისათვის, რომ დეტალურად აღწერილიყო, თუ როგორც მოქმედებს თითოეული ცვლადი ინფორმირებულობის დონეზე და როგორ ცვლის რეგრესიის ერთიან მოდელს, პროგრამულად საფეხურეობრივი რეგრესიის მოდელი იქნა შემუშავებული. კვლევის ფარგლებში განსაზღვრული დამოუკიდებელი ცვლადების საფუძველზე პროგრამულად თავად შემუშავდა ოთხი მოდელი, რომელმაც თითოეულ ეტაპზე მხოლოდ მნიშვნელოვანი ცვლადები დატოვა, რაც რეალურად სტუდენტთა ინფორმირებულობაზე გავლენის მომხდენია. პრინციპი არის შემდეგი, რომ ყოველი მომდევნო მოდელის შემუშავებისას, ისეთი ცვლადები, რომლებიც მნიშვნელოვანი არ არის, ანალიზის მიღმა რჩება, თუმცა ახალ მოდელებში თავიდან ხდება მათი გავლენის შეფასება; ამდენად შესაძლებელია, რომ რომელიმე დამოუკიდებელი ცვლადი პირველ მოდელში არ იყოს მნიშვნელოვანი, ხოლო მეოთხე მოდელში გავლენიან ფაქტორად გამოიკვეთოს.

რეგრესიის პირველი მოდელის საფუძველზე გამოვლინდა, რომ დემოგრაფიული ცვლადები, სასწავლო საფეხურისა და უსდ-ის ტიპის ცვლადები დამოკიდებულ ცვლადზე გავლენას არ ახდენს ($p>0.05$). მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, სწავლობს თუ არა რესპონდენტი სამედიცინო მიმართულებაზე. იკვეთება, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ნაკლები ინფორმირებულობის დონით გამოირჩევიან (Beta=-0.159, p=0) (იხ. ცხრილი #16).

ცხრილი 16 - რეგრესიის პირველი მოდელი

	Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	sig
(Constant)	9.213	0.086		106.807	**0.000**
სამედიცინო	-1.468	0.214	-0.159	-6.862	**0.000**

	Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	sig
მიმართულებაზე სწავლა					
სქესი (მდედრობითი vs მამრობითი)	0.073	3.149	0.002	0.074	0.990
ასაკი	0.069	2.946	0.003	0.069	0.984
სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა	0.004	0.184	0.854	0.004	0.982
საბაკალავრო საფეხურზე სწავლა	0.127	5.402	0.000	0.126	0.952
ბიზნესის/ეკონომიკის მიმართულებაზე სწავლა	-0.015	-0.616	0.538	-0.014	0.952
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე სწავლა	0.050	2.009	0.045	0.047	0.868
ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ ტექნიკურ მიმართულებებზე სწავლა	-0.042	-1.765	0.078	-0.041	0.946
სახელოვნებო მიმართულებაზე სწავლა	0.005	0.209	0.835	0.005	0.996
ანკეტირების ფორმა (პლანშეტით vs ონლაინ)	0.014	0.517	0.848	0.013	0.913
საუნივერსიტეტო ქალაქი (თბილისი vs სხვა ქალაქი)	-0.033	-0.442	0.945	-0.032	0.722

რეგრესიის მეორე მოდელის მიხედვით, სამედიცინო მიმართულებაზე სწავლის დამოუკიდებელ ცვლადთან ერთად, გავლენის მომხდენად იდენტიფიცირდება საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გამოცდილება. ამ მოდელის მიხედვით ვლინდება, რომ სამედიცინო მიმართულების სტუდენტები ნაკლებად არიან ინფორმირებულები აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ (Beta=-0.131, p=0); მეორე მხრივ კი, T-ტესტის შედეგების დამადასტურებლად გამოიკვეთა, რომ მაგისტრანტებში, ბაკალავრიატის სტუდენტებთან შედარებით, ინფორმირებულობის დონე მაღალია (Beta=0.127, p=0) (იხ. ცხრილი #17).

ცხრილი 17 - რეგრესიის მეორე მოდელი

	Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	sig
(Constant)	7.909	0.256		30.893	**0.000**
სამედიცინო მიმართულებაზე სწავლა	-1.212	0.218	-0.131	-5.569	**0.000**
საბაკალავრო საფეხურზე სწავლა	1.020	0.189	0.127	5.402	**0.000**
სქესი (მდედრობითი vs მამრობითი)	0.078	3.369	0.001	0.079	0.988
ასაკი	0.000	-0.017	0.987	0.000	0.685
სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა	-0.008	-0.334	0.738	-0.008	0.973
ბიზნესის/ეკონომიკის მიმართულებაზე სწავლა	-0.045	-1.848	0.065	-0.043	0.907
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე სწავლა	0.078	3.100	0.002	0.073	0.837
ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ ტექნიკურ მიმართულებებზე სწავლა	-0.045	-1.898	0.058	-0.045	0.946
სახელოვნებო მიმართულებაზე სწავლა	0.012	0.529	0.597	0.012	0.993
ანკეტირების ფორმა (პლანშეტით vs ონლაინ)	0.072	0.416	0.733	0.070	0.527
საუნივერსიტეტო ქალაქი (თბილისი vs სხვა ქალაქი)	-0.079	-0.276	0.812	-0.077	0.951

რეგრესიის მესამე მოდელს რაც შეეხება, ამ შემთხვევაში, ზემოთ განხილულ დამოუკიდებელ ცვლადებს დაემატა სქესის ცვლადი, როგორც ინფორმირებულობის დონეზე გავლენის მომხდენი - მდედრობითი სქესის წარმომადგენლები აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის ინდექსურ ცვლადზე უფრო მაღალ მაჩვენებლებს აგროვებენ, ანუ უფრო მეტად ინფორმირებულები არიან, ვიდრე მამრობითი სქესის სტუდენტები (Beta=0.078, p=0.001) (იხ. ცხრილი #18).

ცხრილი 18 - რეგრესიის მესამე მოდელი

	Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	sig
(Constant)	7.507	0.282		26.635	**0.000**
სამედიცინო მიმართულებაზე სწავლა	-1.279	0.218	-0.139	-5.870	**0.000**
საბაკალავრო საფეხურზე სწავლა	1.043	0.188	0.130	5.534	**0.000**
სქესი (მდედრობითი vs მამრობითი)	0.567	0.168	0.078	3.369	**0.001**
ასაკი	0.000	-0.009	0.993	0.000	0.685
სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა	-0.002	-0.104	0.917	-0.002	0.968
ბიზნესის/ეკონომიკის მიმართულებაზე სწავლა	-0.034	-1.401	0.161	-0.033	0.889
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე სწავლა	0.066	2.582	0.010	0.061	0.814
ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ ტექნიკურ მიმართულებებზე სწავლა	-0.041	-1.722	0.085	-0.040	0.943
სახელოვნებო მიმართულებაზე სწავლა	0.013	0.543	0.587	0.013	0.993
ანკეტირების ფორმა (პლანშეტით vs ონლაინ)	0.064	0.8374	0.618	0.093	0.638
საუნივერსიტეტო ქალაქი (თბილისი vs სხვა ქალაქი)	-0.048	-0.394	0.725	-0.047	0.574

რეგრესიული მოდელის მეოთხე საფეხურზე, ინფორმირებულობის დონეზე ერთდროულად გავლენის მომხდენი აღმოჩნდა სამედიცინო მიმართულებაზე ან სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე სწავლის, საბაკალავრო საფეხურზე სწავლისა და სქესისა ცვლადები. საბოლოო რეგრესიული მოდელის მიხედვით იკვეთება, რომ ინფორმირებულობის დამოკიდებულ ცვლადზე გავლენა ცალკეული დამოუკიდებელი ცვლადის შემთხვევაში შემდეგნაირად ინტერპრეტირდება:

- სამედიცინო მიმართულების სტუდენტები ნაკლებად ინფორმირებულები არიან აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ (Beta=-0.111, p=0)

- სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სტუდენტები უფრო მეტად ინფორმირებულები არიან შესასწავლი საკითხის მიმართ (Beta=0.066, p=0.010)
- მდედრობითი სქესის სტუდენტებში ინფორმირებულობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე მამრობითი სქესის სტუდენტებში (Beta=0.068, p=0.004)
- სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებში უფრო მაღალია აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის დონე (Beta=0.142, p=0) (იხ. ცხრილი #19).

ცხრილი 19 - რეგრესიის მეოთხე მოდელი

	Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	sig
(Constant)	7.218	0.303		23.841	**0.000**
სამედიცინო მიმართულებაზე სწავლა	-1.027	0.239	-0.111	-4.305	**0.000**
საბაკალავრო საფეხურზე სწავლა	1.134	0.191	0.142	5.924	**0.000**
სქესი (მდედრობითი vs მამრობითი)	0.494	0.170	0.068	2.898	**0.004**
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე სწავლა	0.455	0.176	0.066	2.582	**0.010**
ასაკი	0.000	-0.002	0.998	0.000	0.685
სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა	-0.005	-0.213	0.831	-0.005	0.966
ბიზნესის/ეკონომიკის მიმართულებაზე სწავლა	-0.003	-0.107	0.915	-0.003	0.660
ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ ტექნიკურ მიმართულებებზე სწავლა	-0.008	-0.285	0.776	-0.007	0.629
სახელოვნებო მიმართულებაზე სწავლა	0.023	0.970	0.332	0.023	0.967
ანკეტირების ფორმა (პლანშეტით vs ონლაინ)	0.054	0.835	0.554	0.087	0.867
საუნივერსიტეტო ქალაქი	-0.038	-0.893	0.338	-0.037	0.662

	Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	sig
(თბილისი vs სხვა ქალაქი)					

საბოლოოდ, რეგრესიის 4-საფეხურიანი მოდელი შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ცხრილი #20).

ცხრილი 20 - რეგრესიის 4-საფეხურიანი მოდელი

		R^2 (R Square)	Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	sig
1	(Constant)	0.025	9.213	0.086		106.807	0.000
	სამედიცინო მიმართულებაზე სწავლა		-1.468	0.214	-0.159	-6.862	0.000
2	(Constant)	0.041	7.909	0.256		30.893	0.000
	სამედიცინო მიმართულებაზე სწავლა		-1.212	0.218	-0.131	-5.569	0.000
	საბაკალავრო საფეხურზე სწავლა		1.020	0.189	0.127	5.402	0.000
3	(Constant)	0.047	7.507	0.282		26.635	0.000
	სამედიცინო მიმართულებაზე სწავლა		-1.279	0.218	-0.139	-5.870	0.000
	საბაკალავრო საფეხურზე სწავლა		1.043	0.188	0.130	5.534	0.000
	სქესი (მდედრობითი vs მამრობითი)		0.567	0.168	0.078	3.369	0.001
4	(Constant)	0.050	7.218	0.303		23.841	0.000
	სამედიცინო მიმართულებაზე სწავლა		-1.027	0.239	-0.111	-4.305	0.000
	საბაკალავრო საფეხურზე სწავლა		1.134	0.191	0.142	5.924	0.000
	სქესი (მდედრობითი vs მამრობითი)		0.494	0.170	0.068	2.898	0.004
	სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე სწავლა		0.455	0.176	0.066	2.582	0.010

აქვე, დამატებით წარმოდგენილია **მოდელის ამხსნელი ძალის (R^2) კოეფიციენტი,** რომელიც მიუთითებს, რომ, შინაარსობრივი განსხვავებებისა და სტატისტიკურად

სანდო მიმართებების მიუხედავად, რეგრესიული მოდელის ამხსნელი ძალა ძალიან მცირეა. შეიძლება ითქვას, რეგრესიული მოდელი იმის საჩვენებლად იქნა წარმოდგენილი, რომ გავლენის კოეფიციენტების დონეზე დაედასტურებინა T-ტესტისა და ANOVA-ს გამოყენებით საშუალოების შედარების შედეგად მიღებული მონაცემები. R^2-ის მსგავსი დაბალი მაჩვენებელი შესაძლოა იმით იყოს განპირობებული, რომ ინფორმირებულობის დონის შემაფასებელი რაოდენობრივი მაჩვენებლები, სამიზნე ჯგუფების მიხედვით, მკვეთრად განსხვავებული არ არის.

ხაზგასასმელია ისიც, რომ არცერთ რეგრესიულ მოდელში სტატისტიკურად სანდო მიმართებები არ დადგენილა სამიზნე ლოკაციების, საუნივერსიტეტო ქალაქებისა, და ანკეტირების ფორმის (ა) პლანშეტის გამოყენებით, ბ) ელექტრონული მისამართის გამოყენებით) დონეზე. ამდენად, შესაძლოა ითქვას, რომ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის ობიექტურად წარმოჩენაზე გარე ფაქტორებს გავლენა არ მოუხდენია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორთა მცირე ნაწილმა ტერმინ „აკადემიურ სოციალურ პასუხისმგებლობაში“, გარდა ცალკე აკადემიური და ცალკე სოციალური კომპონენტისა, **ინდივიდუალური** (ცალკეული ლექტორის) და **კოლექტიური** (უნივერსიტეტის) **დონეები** განიხილა. ინდივიდუალურ დონეზე გამოიკვეთა ლექტორის როლი, რომელიც მხოლოდ რიტუალური აკადემიური პროცესის განვითარებაში არ უნდა იყოს ჩართული, არამედ საკუთარი საქმიანობით სამართლიან და თანასწორობაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნაში უნდა მონაწილეობდეს.

„მეცნიერი, ვისაც აქვს ცოტა მოსაწყენი ეთიკური ნეიტრალიტეტი, არ აინტერესებს რა ხდება სოციუმში და მხოლოდ საკუთარ პროფესიულ ბირთვში ინტერესდება, ვფიქრობ, ამ ყველაფერს უნდა გასცდეს და უფრო მეტი სოციალური თავდადება (commitment) უნდა ჰქონდეს;“ (პროფესორი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულება, კერძო უნივერსიტეტი, თბილისი)

რაც შეეხება ინსტიტუციურ მნიშვნელობას, რესპონდენტის შეფასებით, საუნივერსიტეტო კვლევა და სწავლება ვიწრო აკადემიური ელიტების გარემოში არ უნდა დარჩეს და საზოგადოებისთვის სარგებლის მომტანი უნდა გახდეს.

კვლევამ გამოკვეთა, რომ აკადემიურთან შედარებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების ძირითადი ნაწილი უკეთაა ინფორმირებული ტერმინთა დეფინიციის შესახებ, რადგან ხაზს უსვამენ საზოგადოებაზე გავლენის შესაძლებლობასა და აუცილებლობას. აქვე შემოჰყავთ **„თვითპასუხისმგებლობის“** კომპონენტი - თუკი აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა, მათ შორის, საზოგადოებაზე გავლენას, მომავალი თაობის კარგ მოქალაქეებად აღზრდას გულისხმობს, ამ პროცესში საუნივერსიტეტო საზოგადოებაა ჩართული, რომელიც ამ მიზნის მიღწევას საკუთარი საქმიანობით ცდილობს, ანუ მათი წილი პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის კოლექტიური პასუხისმგებლობის შემადგენელი კომპონენტია.

კვლევაში ჩართული უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტთა განმარტებები მეტადაა დაკავშირებული **უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მნიშვნელობასთან.** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სოციალური განზომილება ბოლონიის პროცესის ჭრილშიც განიხილება, როგორც განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა:

„სოციალურ განზომილებას ბოლონიის პროცესში უბრალოდ ვეძახით უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას, როდესაც ყველას ერთნაირად უნდა ჰქონდეს წვდომა მათი ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობის, ეთნიკური, რეგიონული, გეოგრაფიის წარმომავლობის თუ უმცირესობის მიუხედავად. ამას ვეძახით სოციალურ განზომილებას და სოციალური განზომილებიდან, ალბათ, შემოდის პასუხისმგებლობის მომენტიც. ამ ყველაფრის მხარდაჭერა ხდება უკვე პასუხისმგებლობა.“ (უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტი)

უმაღლესი განათლების ექსპერტთა ნაწილიც ორდონიან - ინდივიდუალურ და ინსტიტუციურ - პასუხისმგებლობაზე მიუთითებს, რომლის ბირთვადაც **ინკლუზიურობის კომპონენტს** ათავსებს, რაც, ცხადია, მხოლოდ ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემის მქონე სტუდენტს არ მიემართება. სოციალური პასუხისმგებლობის ინკლუზიურობის კომპონენტი აერთიანებს თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური, სოციალური საჭიროებების შესწავლას და მათ დაკმაყოფილებას. ამასთან, ექსპერტებმაც გამოკვეთეს უნივერსიტეტის, აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობა, როგორც სტუდენტებში სამოქალაქო კომპონენტის

გაღვივების საფუძველი, რაც, ცხადია, არ გულისხმობს რომელიმე პოლიტიკური პარტიის პროპაგანდასა და მისი ინტერესების გატარებას.

უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისგან განსხვავებით, უფრო დამოუკიდებლად და დისტანცირებულად აფასებენ სოციალური პასუხისმგებლობის გამოვლინებას. მათი შეფასებით, ამ ყველაფრის რეალიზების დონე საქართველოში დაბალია - გარე აქტორებთან თანამშრომლობა ხშირად მხოლოდ ფორმალური ხასიათით, მემორანდუმების გაფორმებით შემოიფარგლება და პრაქტიკულ დატვირთვას აღარ იღებს.

„კლასიკური განმარტებით, უნივერსიტეტებს სწავლების და კვლევის გარდა, აქვთ საზოგადოების და თავისი გარემოს მომსახურების მისია - ისეთი რაღაც უნდა ასწავლონ და იკვლიონ, რაც მათ ირგვლივ საზოგადოებას, თემს (საქართველოში თემი ხომ არ ვიცით რა არის, community რასაც ჰქვია, წარმოდგენა არ გვაქვს საერთოდ), ქვეყანას, სამშობლოს, ყველაფერს უნდა ემსახურონ. ეს თემა არ მუშაობს, არავის აქვს გაცნობიერებული.“ (უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტი)

აკადემიური პერსონალის შეფასებით, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის გააზრებისა და მისი კომპონენტების რეალიზების მხრივ, **სასწავლო მიმართულებებს შორის განსხვავებები ფიქსირდება.** რესპონდენტების აზრით, სოციალურ მეცნიერებებზე ორიენტირებული ფაკულტეტები, როგორებიცაა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ეკონომიკის ფაკულტეტი, იურიდიული ფაკულტეტი და ა.შ. ცდილობენ მეტად ორიენტირდნენ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ექსტერნალურ, გარე, ფაქტორებზე, აკადემიური პასუხისმგებლობის ტრადიციულ, შიდასაუნივერსიტეტო, გააზრებასთან ერთად. ექსტერნალური საკითხებით ნაკლებად დაინტერესებულ მიმართულებებად შესაძლოა ჩაითვალოს ე.წ. „ლაბორატორიულ საქმიანობასთან“ დაკავშირებული სასწავლო პროგრამები. ფაკულტეტებს შორის განსხვავებები ყველაზე თვალშისაცემია სწორედ ექსტერნალური კომპონენტების რეალიზებისას, მათ შორის, სამოქალაქო აქციებზე, პროტესტებსა თუ წინააღმდეგობებზე სტუდენტების ჩართულობით და, ზოგადად, ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ თემებზე გამოპასუხებით.

თეორიულ ჩარჩოზე დაყრდნობით, **აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა შემდეგ კომპონენტებს** ითვალისწინებს: სოციალური, სუბ-სოციალური, კოგნიტური, ორგანიზაციული, ფილანტროპული, ეკონომიკური, ეთიკური, გარემოსდაცვითი, საგანმანათლებლო (Chen S.-h. , 2015). გამოკითხვამ კი გამოავლინა, რომ ცალკეულ შემთხვევებში სტუდენტთა მეათედზე მეტის შეფასებით, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა გულისხმობს: ა) სოციალურ კომპონენტს - 19.5%, ბ) საგანმანათლებლო კომპონენტს - 17.2%, გ) ეთიკურ კომპონენტს - 13.8%, დ) ორგანიზაციულ კომპონენტს - 11.3%.

შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სოციალური და საგანმანათლებლო კომპონენტების შედარებით მაღალი მაჩვენებელი უშუალოდ ტერმინს უკავშირდება, რაც დასახელებაშივე მოიაზრებს ზემოაღნიშნულ ორ კონცეპტს. მინიმალური მაჩვენებლითაა წარმოდგენილი ფილანტროპული კომპონენტი (2.6%), რასაც რეალურად აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა მოიცავს. შესაძლოა მსგავსი შედეგი უშუალოდ ტერმინის არსის არცოდნასთან იყოს დაკავშირებული, თუმცა მთლიანობაში იკვეთება, რომ სტუდენტები სრულყოფილად არ ფლობენ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტების შესახებ ინფორმაციას (იხ. დიაგრამა #6).

დიაგრამა 6 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი კომპონენტები



აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტებზე მსჯელობისას, სტატისტიკურად სანდო მონაცემები დაფიქსირდა **უსდ-ის ტიპის ჭრილში** (X^2=79354,

$p<0.05$). როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა თითქმის მეხუთედი დომინანტურ კომპონენტად სოციალურს ასახელებს, რასაც პოზიციურად საგანმანათლებლო კომპონენტი მოჰყვება:

- სოციალური კომპონენტი: სახელმწიფო უნივერსიტეტი - 19.3%; კერძო უნივერსიტეტი - 19.8%
- საგანმანათლებლო კომპონენტი: სახელმწიფო უნივერსიტეტი - 17%; კერძო უნივერსიტეტი - 17.7%

ზოგადი ტენდენციის მსგავსად, ორივე ტიპის უნივერსიტეტის სტუდენტთა მეათედზე მეტი მიიჩნევს, რომ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა აერთიანებს როგორც ორგანიზაციულ (სახელმწიფო უნივერსიტეტი - 11.4%, კერძო უნივერსიტეტი - 11%), ისე ეთიკურ კომპონენტს (სახელმწიფო უნივერსიტეტი -- 13.6%, კერძო უნივერსიტეტი - 14.3%). თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ კერძო უნივერსიტეტის იმ სტუდენტთა რაოდენობა (10.7%), ვინც გარემოსდაცვით კომპონენტსაც აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილად მიიჩნევს, აღემატება სახელმწიფო უნივერსიტეტის მსგავს სტუდენტთა მაჩვენებელს (8.1%) (იხ. დიაგრამა #7).

დიაგრამა 7 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი კომპონენტები (უსდ-ის ტიპის ჭრილში)



იმ მიზნით, რომ ინფორმირებულობის შეფასების შემდეგ, მიუხედავად არსებული ცოდნისა, თითოეულ რესპონდენტს ჰქონოდა შესაძლებლობა გაეგრძელებინა შეკითხვებზე პასუხი, სტუდენტებს მიეწოდათ **აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის განმარტება.** მსგავსი გადაწყვეტილება უკავშირდებოდა, ინფორმირებულობის მხრივ, ყოველი რესპონდენტის დაახლოებით თანაბარ პირობებში ჩაყენებას. შეთავაზებული განმარტება იყო შემდეგი: *„აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა გულისხმობს, რომ უნივერსიტეტს, საგანმანათლებლო ფუნქციის გარდა, სოციალური დატვირთვა აქვს/უნდა ჰქონდეს. განათლების სფერო უნდა ზრუნავდეს და აქტიურად მონაწილეობდეს სამოქალაქო ღირებულებებისა და, ზოგადად, პასუხისმგებლობის განვითარების პროცესში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების **ინტერნალური** ფაქტორები ფარავს შიდასაუნივერსიტეტო დონეს, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის, აგრეთვე, სტუდენტების მიმართ დაკისრებულ პასუხისმგებლობას. **ექსტერნალური** ფაქტორები კი ცდება საუნივერსიტეტო სივრცეს და ყურადღებას ამახვილებს სოციალურ თუ გარემოსდაცვით აქტივობებზე, რომლებშიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები საკუთარი სურვილით, ნებაყოფლობით მონაწილეობენ.“*

საინტერესოა პოზიცია, რომ **სახელმწიფო უნივერსიტეტებს შესაძლოა მეტად მოეთხოვებოდეთ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტების დაკმაყოფილება** - მეტად ივალდებულებდეს უნივერსიტეტი თავს, რამდენადაც, ბიზნესის მიმართულების ლექტორის შეფასებით, სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებს შესაძლოა ძვირადღირებულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა არ ჰქონდეთ, კერძო უნივერსიტეტების სტუდენტების მსგავსად; ამდენად, სახელმწიფო უნივერსიტეტი მეტად უნდა იყოს დაინტერესებული და ჩართული სტუდენტებისთვის საჭირო მომსახურების შეთავაზებაში და, ზოგადად, სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზებაში.

„ვერ ვიტყოდი, რომ კერძო უნივერსიტეტებს უფრო მეტად აქვთ შანსი, რომ აკეთონ სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით რაიმე პროექტები, ვიდრე საჯაროებს, პირიქით, საჯაროების [შენიშვნა: პროექტები] უფრო მეტი მახსენდება და თან მგონია, რომ რესურსი მაგათ უფრო მეტი აქვთ; თან სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი მემგონი მაგათთვის [შენიშვნა: სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის] კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ზუსტად ეგეთი სამიზნე ჯგუფები ჰყავთ, ისეთებიც რომლისთვისაც ძვირადღირებული განათლება არაა ხელმისაწვდომი. ამიტომ პირიქით, მგონია, რომ საჯაროები კიდევ უფრო მეტად უნდა ივალდებულებდნენ თავს ამ სოციალურ კორპორატიული პასუხისმგებლობით“ (მოწვეული ლექტორი, ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულება, კერძო უნივერსიტეტი, თბილისი)

შესაძლოა ითქვას, რომ მსგავს პოზიციას უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტიც იზიარებს, რომლის შეფასებითაც, *„სახელმწიფო უნივერსიტეტები თავიდან ბოლომდე სოციალური პროექტია“.* სახელმწიფო უნივერსიტეტების უფრო გამოკვეთილ სოციალურ პასუხისმგებლობაზე ისიც მიანიშნებს, რომ ამ დაწესებულებებში არსებობს უფასო ფაკულტეტები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინკლუზიური სწავლების მიდგომები, რომლებიც განათლების ხელმისაწვდომობის იდეას ემსახურება. ექსპერტის შეფასებით, ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, კერძო უნივერსიტეტებშიც დაიწყო სოციალური ფაქტორების გათვალისწინება და პოზიტიური დინამიკა შეინიშნება.

უმაღლესი განათლების რეფორმაზე მომუშავე ექსპერტთა ნაწილი **უნივერსიტეტის მესამე მისიას აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელ კომპონენტად საზღვრავს.** ზოგიერთი ექსპერტი უნივერსიტეტების მესამე მისიად ასახელებს მიიჩნევს. კომუნიკაციას, საგანმანათლებლო-შემეცნებით თემასთან დაკავშირებით საჯარო ლექციების ორგანიზებას და, ზოგადად, სტუდენტების ჩართვას ექსტრაკურიკულურ აქტივობებში, მათ შორის კულტურულ ღონისძიებებში.

ექსპერტების აზრით, უნივერსიტეტის მესამე მისია ამ ეტაპზე შედარებით მიუღწეველია, რადგან ზოგიერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჯერ კიდევ ხარვეზულია პირველი და მეორე მისიის - სწავლებისა და კვლევის - რეალიზება.

„მესამე მისიის თემა საკმაოდ ახალია. ქართული უნივერსიტეტების უმრავლესობა პირველ და მეორე - სწავლების და კვლევის მისიებსაც ვერ ასრულებენ და თუ რამე რესურსი აქვთ, ამ ორი მისიის შესრულებაზე არიან უფრო კონცენტრირებული.“ (უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტი)

ამასთან, ექსპერტთა ნაწილი უნივერსიტეტის მისიების მსგავს დიფერენცირებას არ ეთანხმება. მათი აზრით, **შეუძლებელია მესამე მისიის გამიჯვნა სწავლისა და კვლევისგან,** რადგან საზოგადოებრივი ფუნქცია უნდა იყოს პირველი და მისი შეფასებით, *„მესამე მისია არის საზოგადოებრივი საქმიანობის მაკრო, უნივერსიტეტის დონეზე, განხილვა“.* ექსპერტის მიხედვით, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობისა და უნივერსიტეტის მესამე მისია სწორხაზოვნად განიხილავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართულობას. კონცეფციის მსგავსი გააზრების მიღმა რჩება საზოგადოების ჩართულობა/მისი რესურსის გამოყენება ახალი ცოდნის შექმნაში.

„ამ განზომილებებში [შენიშვნა: აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა, უნივერსიტეტის მესამე მისია] არ ჩანს, არის რომ საზოგადოება უნდა იყოს გათვალისწინებული. ანუ ერთია, რომ საზოგადოებას ვემსახურებით, მაგრამ მეორე არის საზოგადოებას როგორ ვიყენებთ ახალი ცოდნის შექმნის პროცესში. საზოგადოებრივი სერვისი - ერთია, რას ვუკეთებთ საზოგადოებას, მარა როგორ ვიყენებთ საზოგადოებას იმაში, რომ შევქმნათ ახალი ცოდნა? აქ იგულისხმება როგორ ვაკეთებთ სხვადასხვა

დაინტერესებული ჯგუფის ინტერესების ინტეგრირებას [საგანმანათლებლო] პოლიტიკაში.“ (უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტი)

ზოგიერთი ექსპერტისთვის საკვლევი საკითხები, ტერმინები ხელოვნურია, რადგან უნივერსიტეტის კონცეფცია ისედაც უნდა გულისხმობდეს საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას, ანუ, მათი შეფასებით, ესაა თავისთავად ნაგულისხმევი ცოდნა.

ზოგადი შეფასებისთვის შესაძლოა ითქვას, რომ რესპონდენტთა ინფორმირებულობის დონე, ტერმინთა დეფინიციის თვალსაზრისით, მაღალი არ არის, რადგან ძირითად შემთხვევაში მთავარი ორიენტირი საგანმანათლებლო კომპონენტს მიემართება და „სოციალურის“ ნაწილი მეორეხარისხოვნადაა შეფასებული. ინფორმირებულობის დონე უფრო მაღალია სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულების აკადემიურ პერსონალსა და უმაღლესი განათლების რეფორმაზე მომუშავე გუნდის ექსპერტებში, რომელთაც „აკადემიურ სოციალურ პასუხისმგებლობასა“ და „უნივერსიტეტის მესამე მისიას“ შორის მსგავსება-განსხვავებებზე მსჯელობაც შეუძლიათ.

2.2. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური (შიდასაუნივერსიტეტო) კომპონენტების შეფასება

ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების შესასწავლად განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საკითხის ინტერნალურ (შიდასაუნივერსიტეტო) დონეზე, რაც გულისხმობს აკადემიური, საგანმანათლებლო კუთხით განხორციელებულ აქტივობებს, რომლებიც ინტერვიუების ანალიზის შედეგად შემდეგ ქვესაკითხებად დაიყო: ა) უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა აკადემიური პერსონალის მიმართ; ბ) აკადემიური თავისუფლება და აკადემიური კეთილსინდისიერება; გ) ინფრასტრუქტურული აღჭურვილობა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული აქტივობები; დ) კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტის მხრიდან გამოვლენილი მხარდაჭერა.

ქართული უნივერსიტეტების წინაშე არსებული გამოწვევები, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირე, გლობალური სამეცნიერო საზოგადოებისგან ხანგრძლივი იზოლაციით გამოწვეული უარყოფითი ეფექტი სამეცნიერო კვლევების მიმართულებით, ადმინისტრაციული თუ სტრუქტურული გამოწვევები, ქვეყანაში კვლევაზე მიმართული მწირი დაფინანსების გამო არსებობს. ბრეგვაძის ნაშრომში აღწერილია, რომ *„კვლევაზე გაწეული დანახარჯის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 0.3%-ს შეადგენს, რაც, ევროპის ქვეყნების 2020 წლის სამიზნე ნიშნულთან შედარებით, ათჯერ უფრო დაბალია.“*(ბრეგვაძე, 2020)

ცალკეული ინტერნალური ქვეფაქტორების განხილვამდე, მნიშვნელოვანია გამოიყოს, რომ განსაკუთრებით რეგიონული უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების შეფასებით, უნივერსიტეტი მასზე დაკისრებული სოციალური კომპონენტის დაკმაყოფილებას სრულყოფილად ვერ ახერხებს. პრობლემურ საკითხად სახელდება **სტუდენტური საცხოვრებლის არარსებობა,** რაც მაღალმთიანი ან სასოფლო ტიპის დასახლებების სტუდენტებს ფინანსურ დანახარჯებს შეუმცირებდა. რესპონდენტთა შეფასებით, საცხოვრებლის კონცეფცია სრულად სოციალური პროექტია, რომელიც მოწყვლადი სტუდენტების საცხოვრებლით უზრუნველყოფას ემსახურება, რაც ამავდროულად პოზიტიურად მოქმედებს განათლების ხელმისაწვდომობაზე. შესაძლოა, საერთო საცხოვრებლით აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმაც ისარგებლოს. მსგავსი სივრცის არარსებობა უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზებაზე ნეგატიურად აისახება.

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალურ კომპონენტებზე მსჯელობისას, უმაღლესი განათლების რეფორმაზე მომუშავე ექსპერტებთან განხილულ იქნა უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს **ბოლონიის პროცესის წევრობით** გამოწვეული ცვლილებები. მსჯელობა შეეხებოდა სწორედ იმ პროცესებს, რაც ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის წევრობამ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შიდასაუნივერსიტეტო დონეზე განავითარა.

2.2.1. ბოლონიის პროცესის წევრობით გამოწვეული აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური კომპონენტების ცვლილების შეფასება

ქართული განათლების სისტემა ევროპულ ერთიან სივრცეს 2005 წელს, ბოლონიის პროცესში ჩართულობით, ბერგენის სამიტზე შეუერთდა. საქართველოს ბოლონიის პროცესის მონაწილეობა მნიშვნელოვანწილად სწორედ განათლების სისტემის რეფორმას გულისხმობდა, ანუ პოსტსაბჭოთა პერიოდის საგანმანათლებლო სივრციდან გამოსვლას. პოსტსაბჭოთა სივრცე ასოცირებული იყო კორუფციასთან, ნეპოტიზმთან, კვლევაზე დაფუძნებული სწავლების ნაკლებობასთან, ფინანსურ კრიზისთან (Glonti & Chitashvili, 2006).

საქართველოს უმაღლესი განათლების რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის წევრი ექსპერტების ინფორმაციით, 2005 წლამდე ქართული უმაღლესი განათლების სისტემისთვის უნივერსიტეტებთან კოოპერაციისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის რეალიზების მხრივ ნაკლები შესაძლებლობები არსებობდა. ძირითადი კავშირი კვლავ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან შეინიშნებოდა, რაც სასწავლო მასალების შინაარსზეც აისახებოდა - საუნივერსიტეტო სივრცეში არ მოიძებნებოდა თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა. ამასთან, როგორც გამოიკვეთა, აკადემიურ პერსონალს არ ჰქონდა შესაძლებლობა ჩართულიყო სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში, განსაკუთრებით ქვეყნის გარეთ. ლიტერატურული წყაროების მსგავსად, ექსპერტებიც გამოკვეთენ 2005 წლამდელ განათლების სისტემაში კორუფციის, ნეპოტიზმის შემთხვევებს, რეგულაციების მხოლოდ ფორმალურ არსებობას. ამ პერიოდისთვის საქართველოში ფუნქციონირებდა 200-ზე მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელთა ძირითად ნაწილში თანხის სანაცვლოდ ლამის მექანიკური ჩარიცხვა და დიპლომის გარანტირებული მიღება იყო შესაძლებელი.

ბოლონიის პროცესამდელი ქართული უმაღლესი განათლების სისტემისთვის პრობლემური იყო უნივერსიტეტის ავტონომიურობის შეზღუდვა, რაც უმეტესწილად ფინანსური შეზღუდვით გამოიხატებოდა - სახელმწიფოსგან ლობირების გზით, ზოგ უნივერსიტეტს მეტი დაფინანსება ჰქონდა, ზოგს კი -

ნაკლები. ამასთან, უნივერსიტეტის ავტონომიურობის დარღვევა რექტორის არჩევა/დანიშვნაშიც გამოიხატებოდა - ფორმალურად რექტორს აკადემიური საბჭო ირჩევდა, თუმცა, ექსპერტთა შეფასებით, ეს მხოლოდ ფორმალური პროცესი იყო, რაც რეალურად ხელისუფლების ინტერესების გატარებას გულისხმობდა, ირჩევდნენ მას, ვისაც ხელისუფლება ლობირებდა.

უმაღლესი განათლების რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის წევრ ექსპერტთა ინფორმაციით, რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გარდა, სხვა უნივერსიტეტებს, ვიწრო პროფესიული კადრების მომზადების დაწესებულების ფუნქცია ჰქონდა - ტექნიკური, პედაგოგიური, უცხო ენების ინსტიტუტი და ა.შ. კვლევა და სამეცნიერო საქმიანობა იყო გამიჯნული. კვლევა, ძირითადად, უნივერსიტეტსგარე აქტივობად მიიჩნეოდა, რაზეც პასუხისმგებლობას მეცნიერებათა აკადემია იღებდა, რამდენადაც არსებული კვლევითი ცენტრები სწორედ მის დაქვემდებარებაში შედიოდა.

უმაღლესი განათლების რეფორმამდელ მდგომარეობაში პრობლემური საკითხი იყო ახალგაზრდა კადრების ნაკლებობა. მათი შემოდინება სამეცნიერო საქმიანობაში, საუნივერსიტეტო სივრცეში, ნაკლებად ხდებოდა - მათ შორის უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის ფაქტორისა (მიმღებლობისა და სურვილის ნაკლებობა) და ანაზღაურების ოდენობის გამო. დამატებით პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ არსებული კადრების საუნივერსიტეტო სივრცეში დატოვება ან ახალი კადრების მიღება, ძირითადად, არაკონკურენტულ გარემოში ხდებოდა - ფორმალური და გაზომვადი კრიტერიუმების არსებობის გარეშე. აღნიშნული გადაწყვეტილებები მიიღებოდა პიროვნულად კათედრის გამგეებისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირების მიერ.

2.2.1.1. ბოლონიის დეკლარაციაზე ხელმოწერის შემდგომი მდგომარეობა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში

საქართველოსთვის ბოლონიის პროცესთან შეერთებას, ერთგვარად, პოლიტიკური შინაარსიც ჰქონდა - ეს გულისხმობდა ქვეყნის ცხადად გამოკვეთილ დასავლურ კურსს. უმაღლესი განათლების რეფორმაზე მომუშავე გუნდის წევრ ექსპერტთა

შეფასებით, აღნიშნული პროცესი ქვეყნის პროევროპული მისწრაფებებისა და ორიენტირების გამოკვეთას დაედო საფუძვლად. ქვეყანაში დოკუმენტების და ნორმატიული აქტების დონეზე არსებობდა მზაობა (ნათარგმნი დოკუმენტების სახით), იყო პოლიტიკური მხარდაჭერა განათლების რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით, ბოლონიის პროცესის წევრობა კი *„ამ პროცესის გაოფიციალურება და აღნიშნულ რეფორმებზე ევროკავშირის დროშის დადება იყო“ (უმაღლესი განათლების რეფორმაზე მომუშავე გუნდის წევრი ექსპერტი).*

ევროპის სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ მტკივნეული რეფორმები განათლების სფეროში ხშირად სწორედ ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს მიეწერება ხოლმე და ესაა ერთგვარი გამამართლებელი დოკუმენტი (ლეჟავა & ამაშუკელი, 2016). საქართველოშიც იდენტური მდგომარეობა იყო - ბოლონიის პროცესის წევრობის თანმდევი განათლების თითოეული რეფორმა და უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში გადადგმული თითოეული ნაბიჯი ბოლონიის დეკლარაციის მოთხოვნებითა და საერთო ევროპული სივრცის სრულფასოვანი წევრობის სურვილით არ იყო განპირობებული, თუმცა, სახელმწიფო, საკუთარი ნაბიჯების გასამართლებლად, არგუმენტად ხშირად სწორედ ბოლონიის პროცესს იყენებდა. მათ შორის, თუნდაც, საგამოცდო პერიოდში გარკვეული საგნისთვის მეტი/ნაკლები პრიორიტეტის მინიჭება, საგამოცდო ჩამონათვალიდან ამოღება/დამატება, ხელისუფლებისგან გაჟღერებული მოსაზრებით, ბოლონიის პროცესს უკავშირდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ პოსტსაბჭოთა უმაღლესი განათლების სისტემა მკვეთრად განსხვავებული იყო იმ მოთხოვნების რეალიზებისგან, რასაც ბოლონიის პროცესი გულისხმობდა, როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალისთვის რთული გასამიჯნი იყო, რა მოითხოვებოდა რეალურად ბოლონიის პროცესის მიერ და რა - არა.

უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის წევრი ექსპერტების შეფასებით, ბოლონიის პროცესის წევრობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია სასწავლო ლიტერატურის მხრივ, აგრეთვე, სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ონლაინ ლიტერატურის ხელმისაწვდომობაზე, რომელიც საბჭოთა დროინდელ სასწავლო რესურსებს

ანაცვლებდა. ექსპერტთა შეფასებით, ბოლონიის პროცესში ჩართვის შემდეგ მეცნიერების განვითარებისთვის უფრო მეტი შესაძლებლობა გაჩნდა.

უნივერსიტეტების აკადემიურმა პერსონალმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა უმაღლესი განათლების შიდასაუნივერსიტეტო კომპონენტების ამჟამინდელი მდგომარეობა პოზიტიურად შეაფასეს, რაც ბოლონიის პროცესის მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალიზების შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამ ჯგუფის რესპონდენტთა შეფასებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყოველსემესტრულად ეწყობა ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციები, აკადემიურ პერსონალს საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამითა თუ სხვა სამეცნიერო აქტივობით სარგებლობის შესაძლებლობა აქვს. ამასთან, საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრთა შეფასებით, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის ადეკვატური მატერიალურ-ტექნიკური ბაზით არიან აღჭურვილნი.

რესპონდენტთა მხრიდან პოზიტიურად შეფასდა ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, რაც ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი შეთანხმებაა ხელმომწერ ქვეყნებს შორის. როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უნივერისტეტები აქტიურად თანამშრომლობენ საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, მათ შორის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის თვალსაზრისით. ინტერნაციონალიზაციის საკითხი გაწერილია, როგორც შინაგანაწესებში, ისე აკრედიტაციის სტანდარტებშიც.

უმაღლესი განათლების რეფორმის გუნდის წევრ ექსპერტთა შეფასებით, მდგომარეობის გაუმჯობესება და ბოლონიის პროცესის წევრობით დაკისრებული ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება მეცნიერების გლობალიზაციისა და მეცნიერებაში ჩადებული თანხების დამსახურებაა; თუმცა, საჭიროდ მიიჩნევა უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემის ცვლილება. უმაღლესი განათლების ექსპერტთა შეფასებით, 2021 წლიდან მსოფლიო ბანკს წარდგენილი აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელი, თუმცა, მისი იმპლემენტაცია ჯერ არ განხორციელებულა. დაფინანსების ახალი მოდელი გულისხმობს სახელმწიფო

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საბაზო დაფინანსების მოცულობის განსაზღვრას „თვლად კრიტერიუმებზე“ დაფუძნებული ფორმულით, ხოლო რეგიონული უნივერსიტეტების ხელშეწყობისთვის გათვალისწინებული იქნება მიზნობრივი სპეციალიზაციის ინდიკატორი, რაც ითვალისწინებს რეგიონში გამოკვეთილი პრიორიტეტული დარგების დაფინანსებას.

ექსპერტთა შეფასებით, ქვეყანაში ასობით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დახურვამ გამოიწვია კორუფციის შემცირება. სწორედ კორუფციის, ხარისხის ამაღლების სურვილისა და არსებული მართვის არაეფექტიანი მექანიზმების გამო, მოხდა აკადემიური პერსონალის მასშტაბური ცვლილება.

2.2.1.2. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ეფექტიანობის შეფასება

ბოლონიის პროცესის წევრობამ ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი ჩარჩო-დოკუმენტების ტრანსფორმაცია ან ახალი რეგულაციების შემოტანა განაპირობა, მათ შორის „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, უნივერსიტეტების შინაგანაწესი თუ დებულებები, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტი; აგრეთვე, ისეთი შიდა დოკუმენტები, რომლებიც საუნივერსიტეტო საზოგადოების უფლება-მოვალეობებზე აკეთებს აქცენტს. უმაღლესი განათლების რეფორმის გუნდის წევრი ექსპერტების შეფასებით, არსებული დოკუმენტები ნორმატიულ დონეზე შემუშავებულია, თუმცა, მათი აღსრულება ჯერ კიდევ პრობლემურია.

ბოლონიის პროცესის ფარგლებში ხარისხის ერთიანი სისტემის დასანერგად მნიშვნელოვანი იყო ევროპული სივრცის კვალიფიკაციების შესაბამისი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავება (ლეჟავა & ამაშუკელი, 2016). საქართველოს გამოცდილება ასეთია - 2010 წელს, საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანებით, დამტკიცდა ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩო (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N120/ნ, 2010). ამჟამად მოქმედი ჩარჩო, სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან ერთად, 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებითაა გამოქვეყნებული.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ეფუძნება ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსა (EQF LLL) და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს (QF-EHEA) მოთხოვნებს. მისი მიზანია განსაზღვროს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის სწავლის შედეგები - ჩამოაყალიბოს ამა თუ იმ სასწავლო საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად რა ცოდნა, უნარი და პასუხისმგებლობა მოეთხოვება პირს (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, 2019).

ბოლონიის პროცესის წევრობის შედეგად, უმაღლესი განათლების ექსპერტთა შეფასებით, სწავლა-სწავლების ნორმატიული აქტები უფრო მეტად ორგანიზებული გახდა, რაც, ცხადია, საერთო ევროპულ კონტექსტს მოერგო. კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ერთგვარი ორიენტირი იმ მხრივ, თუ როგორ უნდა შემუშავებულიყო ესა თუ ის სასწავლო პროგრამა. რესპონდენტთა ნაწილის გააზრებით, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩო ბოლონიის დეკლარაციის ინტერნაციონალიზაციისა და სასწავლო კურსების საერთაშორისო დონეზე აღიარების კომპონენტზეა ორიენტირებული, რათა სტუდენტს მათ შორის ევროპულ შრომით ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობა ჰქონდეს.

ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოზე მსჯელობისას, ექსპერტთა მოსაზრებები ორად გაიყო: რესპონდენტთა ერთი ნაწილის აზრით, რამდენადაც კვალიფიკაციების ჩარჩო არის საორიენტაციო დოკუმენტი, რომელიც ადგილობრივ, საქართველოს, კონტექსტზეა მორგებული, იგი მაქსიმალურად ითვალისწინებს იმ მიზნებს, რომელთა განხორციელება აუცილებელია აკადემიური პერსონალის, ცალკეული სასწავლო პროგრამის და, ზოგადად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტიანი და პროდუქტიული ფუნქციონირებისთვის. ინტერვიუების ფარგლებში გამოიყო ბოლონიის პროცესის „ძალაუფლების გავრცელების არეალი“ - ბოლონიის პროცესის დეკლარაციები და სხვა ჩარჩო-დოკუმენტები არ ერეოდა სასწავლო კურსების შინაარსში და არცერთი რეკომენდაცია არ იყო მიმართული კონკრეტული სასწავლო რესურსების გამოყენებაზე. ამდენად, საერთო ევროპული საგანმანათლებლო სივრცის

წევრობისთვის ადაპტირებული ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩო აკადემიური თავისუფლების შემზღუდველ მექანიზმად არ მიიჩნევა.

„ცდება ყველა, ვისაც ჰგონია, რომ ბოლონიის პროცესი სასწავლო კურსების შინაარსში შედის. აკრედიტაციის დროს, როდესაც მოდის ექსპერტი, შეიძლება ის გეკამათოთ შინაარსზე, მაგრამ არანაირი შეზღუდვა, რომ ამ წიგნით უნდა ასწავლო, არ ყოფილა. არანაირი მსგავსი შეზღუდვა ბოლონიის პროცესში, არცერთ პოსტულატში, პრინციპში, რეკომენდაციაში არ არსებობს. კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოს შემზღუდველ ფაქტორად არ აღვიქვამ. აკადემიური თავისუფლების შემზღუდველი ეს როგორ არის, როცა მის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა ყველა ქართველი პროფესორი? იყო სამუშაო ჯგუფები და ვინც ამ სამუშაო ჯგუფში არ იყო, ეგზავნებოდა და ეკითხებოდნენ თავიანთ აზრს.“ (უმაღლესი განათლების რეფორმაზე მომუშავე გუნდის წევრი ექსპერტი).

ექსპერტთა მეორე ნაწილის აზრით, ბოლონიის პროცესის წევრობას, გარდა იმ სიკეთეებისა, რაც საუნივერსიტეტო სივრცისა და საზოგადოებისთვის მოიტანა, გარკვეული შეზღუდვებიც აქვს. მსგავსი მოსაზრებები ეფუძნება მოსაზრებას, რომ ნებისმიერი ჩარჩო-დოკუმენტი საკუთარი პროცედურებისა და დეფინიციების შემოთავაზებით, სხვა მიმართულებით განვითარების შესაძლებლობას ზღუდავს. რამდენადაც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო მიმართულებას აძლევს აკადემიურ პერსონალს წინასწარ დაგეგმოს და განსაზღვროს სწავლების პროცესი კომპეტენციების განვითარების ჭრილში, ცალკეული რესპონდენტის აზრით, სწორედ აქ იჩენს თავს აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა. ერთ-ერთი ექსპერტის შეფასებით, არსებული ჩარჩო-დოკუმენტები (მათ შორის, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩო) აკადემიურ პერსონალს არ უტოვებს იმის თავისუფლებასა თუ შესაძლებლობას, რომ კურსები საკუთარი ფორმულირებით ჩამოაყალიბოს, რაც ფორმალიზაციასა და ბიუროკრატიას მეტად უწყობს ხელს, ვიდრე სასწავლო პროგრამების, კურიკულუმების შინაარსობრივ განვითარებას.

„სწავლის შედეგების აღწერებს, სილაბუსებს რომ გადახედოთ, ტრაფარეტულ დოკუმენტებს ნახავთ. ეს ჩარჩო ხშირად კურსების სულს კლავს - ერთგვარად ზღუდავს აკადემიურ თავისუფლებას ამ კურსების ფორმულირების მხრივ, გარკვეულ ჩარჩოებში ათავსებს აკადემიურ პერსონალს. ხშირად მსმენია, რომ ამ მიდგომით სასწავლო პროცესის ბიუროკრატიზაცია ხდება.“ (უმაღლესი განათლების რეფორმაზე მომუშავე გუნდის წევრი ექსპერტი).

ცალკეული ექსპერტის მხრიდან გამოხატული ნეგატიური შეფასების მიუხედავად, ზოგადი ტენდენციის გათვალისწინებით, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩო მნიშვნელოვან ორიენტირს წარმოადგენს უმაღლესი განათლების სასწავლო პროგრამების შემუშავების თვალსაზრისით.

2.2.1.3. განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განზომილება განათლების ხარისხის უზრუნველყოფაა. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მონიტორინგის მექანიზმების ფუნქციონირების შედეგად შემდეგი სახის ხარვეზები გამოიკვეთა:

- აკრედიტაციის სტანდარტებს არ აქვს შეფასების ცხადი და გაზომვადი ინდიკატორები
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის სიმცირე
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესაფასებელ დარგთან მათი პროფესიული შეუსაბამობა
- აკრედიტაციის ექსპერტების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიზიტისას დროის სიმცირე (უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები, 2016).

უმაღლესი განათლების რეფორმის გუნდის წევრმა ექსპერტებმა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შიდასაუნივერსიტეტო კომპონენტის, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის, განვითარება სამ ეტაპად დააჯგუფეს:

1. 2005-2010 წლები - მათ შორის განსაკუთრებით ეფექტიანად შეფასდა 2005-2007 წლები, როდესაც ქვეყანაში მოქმედმა 200-მდე უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ აკრედიტაცია დაკარგა და დაიხურა. მოქმედი მექანიზმები ატარებდა „ინსტიტუციური აკრედიტაციისა“ და „პროგრამული აკრედიტაციის“ სახელწოდებებს.
2. 2011-2017 წლები - რესპონდენტთა შეფასებით, ამ პერიოდში რეალური ცვლილებები არ განხორციელებულა, დასახელებების შეცვლის გარდა - „ინსტიტუციურ აკრედიტაციას“ ეწოდა „ავტორიზაცია“, პროგრამულ აკრედიტაციას“ – „აკრედიტაცია“

3. 2018-დან დღემდე - არსებული კანონმდებლობის შეცვლით ჩამოყალიბდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ის ფორმა, რომლითაც ამჟამად სარგებლობენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და შეფასების ექსპერტთა ჯგუფები. რესპონდენტთა მხრიდან, არსებული კანონმდებლობა, დოკუმენტებისა და განსაზღვრული პუნქტების დონეზე, ფასდება, როგორც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი.

უმაღლესი განათლების რეფორმის გუნდის წევრი ექსპერტების შეფასებით, ხარისხის უზრუნველყოფის გარე მონიტორინგის მექანიზმებს შემდეგი სახის ხარვეზები აქვს: ა) ადამიანური რესურსის ნაკლებობა; ბ) ექსპერტების კომპეტენტურობის დონე; გ) ყურადღების მხოლოდ ტექნიკურ საკითხებსა თუ დეტალებზე გამახვილება; დ) აკრედიტაციის პროცესში პოლიტიკური საკითხების შემოტანა და სახელმწიფო თუ ბიზნესის დონეზე ლობირება; ე) აკრედიტაციის პროცესის ფორმალიზაცია, რაც საკითხის მხოლოდ დოკუმენტების დონეზე სრულყოფას ნიშნავს.

მეორე მხრივ, რესპონდენტები გამოკვეთენ არსებული მექანიზმების პოზიტიურ გავლენას: ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის შემცირება, რამაც შედარებით შესაძლებელი გახადა აკადემიური პასუხისმგებლობის სრულყოფილად რეალიზება და სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად განხორციელება; ბ) უნივერსიტეტების სტრატეგიული გეგმის, ადეკვატური ინფრასტრუქტურის, პროგრამების/სილაბუსების შექმნისა და მოწესრიგების ვალდებულება; გ) აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ორიენტირება; დ) ავტორიზაციის სტანდარტების გამო კერძო უნივერსიტეტებში მესამე მისიის გაძლიერება და სოციალური განზომილების ზრდა. მეტიც, ექსპერტთა შეფასებით, ავტორიზაციის სტანდარტში მოთხოვნის დონეზეა გაწერილი აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ისეთი შიდა თუ გარე საუნივერსიტეტო კომპონენტები, როგორებიცაა აკადემიური თავისუფლების დაცვა, მესამე მისიასთან დაკავშირებული მოთხოვნები: საზოგადოების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღება, უწყვეტი განათლების, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და ა.შ.

თუმცა, უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის წევრ ექსპერტთა საერთო შეფასებით, გარე მონიტორინგის მექანიზმები ხარისხის ზრდას ვეღარ უზრუნველყოფს, მხოლოდ კონტროლის ფუნქცია აქვს დარჩენილი, განვითარების კომპონენტები თითქმის აღარ ახასიათებს. რესპონდენტების მითითებით, აღნიშნულ მექანიზმებს უნდა ჰქონდეს განმავითარებელი ტიპის შეფასების ფორმატი, რომელიც უნივერსიტეტებს სამოქმედო ორიენტირს შესთავაზებს.

2.2.2. აკადემიური პერსონალის მიმართ უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა

აკადემიური პერსონალის მიმართ **უნივერსიტეტის პასუხისმგებლობაზე** საუბრისას, უპირველესად ყურადღება ექცევა იმ ხელშეწყობას, რაც ლექტორებს **პროფესიული ზრდისთვის** სჭირდებათ. რესპონდენტთა ძირითადი ნაწილის შეფასებით, უნივერსიტეტი ამ პასუხისმგებლობას, რომელიც მოიცავს კონფერენციებზე, სემინარებზე, ვორქშოფებში მონაწილეობის მიღებაში, სტატიისა თუ მონოგრაფიის გამოცემაში მხარდაჭერას, ასრულებს.

„თანამედროვე უმაღლესი განათლების კანონის შესაბამისად, უნივერისტეტს ჰყავს აფილირებული აკადემიური და არააფილირებული აკადემიური პერსონალი (ვინც შეიძლება სხვა უნივერსიტეტებთან იყვნენ აფილირებულნი). ნომერ პირველ ამოცანად უნივერსიტეტი ისახავს აფილირებული პერსონალისთვის მაქსიმალურ ხელშეწყობას, არამხოლოდ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, არამედ გარკვეულწილად ფინანსურ დახმარებასაც ითვალისწინებს - ამ ფულს შენს აკადემიურ ნაშრომებში დებენ, რომ საზოგადოებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს.“ (პროფესორი, აგრარულ მეცნიერებათა მიმართულება, სახელმწიფო უნივერსიტეტი, რეგიონი)

ამასთან, საგანმანათლებლო პროცესსა და პროფესიულ ზრდაში მხარდაჭერის გარდა, რესპონდენტთა ნაწილმა უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა სოციალურ საკითხებს დაუკავშირა, რაც ნაწილობრივ აკადემიურ თავისუფლებასაც მიემართება. ერთ-ერთი მოწვეული ლექტორის გამოცდილებით, უნივერსიტეტი მას აძლევს **თავისუფლებას,** რომ მნიშვნელოვანი სამოქალაქო პროტესტის დღეს, ამ მიზნით გაცდენილი ლექცია გადაიტანოს და სხვა დროს აღადგინოს. ამით უნივერსიტეტი ხელს უწყობს, როგორც

სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის საზოგადოებრივი მიმართულებით ჩართულობასა და გააქტიურებას.

„დამატებითი რესურსების თუ დამატებითი დროის გამოთავისუფლების საკითხში უნივერსიტეტი ხელს გიწყობს. როცა, დავუშვათ, მნიშვნელოვანი სამოქალაქო პროტესტია, შენ რომ გადაიტანო ლექცია და სხვა დროს აღადგინო, მინიმუმ იმიტომ რომ სტუდენტები აქციაზე არიან - ეს უნივერსიტეტს საკმაოდ გააზრებული აქვს. [...] სოციალური თავისუფლება შეუძლებელია აკადემიური თავისუფლების გარეშე.“ (მოწვეული ლექტორი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულება, კერძო უნივერსიტეტი, თბილისი)

ზემოთ აღწერილი პოზიტიური გამოცდილების გარდა, რესპონდენტთა ნაწილი უნივერსიტეტის პასუხისმგებლობის მხრივ **ნეგატიურ პრაქტიკებსაც** გამოკვეთს. მათი აზრით, უნივერსიტეტში თანამშრომლების მიმართ **ორგანიზაციის პასუხისმგებლობა ნაკლებია, ვიდრე მოთხოვნები.** ამასთან, რესპონდენტთა ნაწილი **სტაბილურად არ გრძნობს თავს საუნივერსიტეტო სივრცეში** - არ აქვს გარანტია, რომ ყოველ სემესტრში განსაზღვრული სალექციო და სასემინარო ჯგუფების რაოდენობა ეყოლება. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას მოწვეული ლექტორების შემთხვევაში, რომლებიც შესაძლოა მომდევნო სემესტრში, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, აღარ მოიწვიონ. ამ შემთხვევაში მკაფიოდაა წარმოჩენილი უნივერსიტეტის მხრიდან გამოვლენილი განსხვავებული პასუხისმგებლობა პროფესორებისა და მოწვეული ლექტორების მიმართ. პროფესორს, თავისი სტატუსიდან გამომდინარე, გარკვეული ოდენობის საათებით დატვირთვის აუცილებლობა აქვს; ამდენად, შესაძლებელია მოწვეული ლექტორები პროფესორებმა ჩაანაცვლონ, სააუდიტორიო სავალდებულო საათების შევსების მიზნით.

„განათლების სფერო წარმოადგენს ისეთ სფეროს, რომელიც სტაბილური არ არის, ანუ ყოველ სემესტრული დატვირთვა, რაშიც ვიღებთ ანაზღაურებას, არ არის თანაბარი და აკადემიური პოზიცია რომც გქონდეს, მაინც არ გაქვს იმის გარანტია, რომ ყოველ სემესტრში გექნება განსაზღვრული ჯგუფების რაოდენობა, ან საერთოდ გექნება თუ არა. [...] მოწვეული ლექტორების შემთხვევაში, საერთოდ არანაირი გარანტია არ ხდება, იმიტომ რომ 1 სემესტრი შეიძლება მოგიწვიონ და მერე შეიძლება საერთოდ აღარ შეგეხმიანონ. მიზეზიც არ კონკრეტდება. რაკი მოწვეული ხარ, ყოველთვის შეიძლება იმით გამართლება, რომ

აკადემიური პერსონალი გვყავს და ჯერ ის უნდა დაიტვირთოს და შენ - არა.“ (პროფესორი, ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულება, კერძო უნივერსიტეტი, თბილისი)

ლიტერატურის მიმოხილვაში განხილული დოკუმენტების მოწმობს, რომ ქვეყანაში არსებული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, აკადემიური პერსონალი ვალდებულია, რომ ერთდროულად რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმუშაოს და სტუდენტების არაერთ ჯგუფს გადასცეს საკუთარი ცოდნა, ჩართოს ისინი კვლევით პროცესში, მიუთითოს მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობებზე. თუმცა, არსებული დატვირთვიდან, მოკლევადიანი კონტრაქტებიდან და დაბალი ანაზღაურებიდან გამომდინარე, აკადემიური პერსონალის ძირითადი ნაწილი ვერ ახერხებს კვლევითი საქმიანობის განხორციელებასა და პროფესიულ განვითარებას, რაც, გრძელვადიან პერსპექტივაში ნეგატიურ გავლენას ახდენს უნივერსიტეტის „მესამე მისიისა“ და შესაბამისად აკადემიური სოციალური პასუხისმგელობის, როგორც ინტერნალური, ისე ექსტერნალური კომპონენტების რეალიზებაზე (ცოტნიაშვილი, 2020).

აკადემიური პერსონალის ნაწილს აქვს შეგრძნება, რომ უნივერსიტეტი მას მხოლოდ, როგორც დაქირავებულ მუშახელს ისე აღიქვამს და კონტრაქტით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას სთხოვს, თუმცა პრიორიტეტად მისი პროფესიული ზრდის, განვითარების, უკეთესი სასწავლო გარემო-პირობების შექმნის ხელშეწყობას არ ისახავს. მსგავსი პრობლემების გადაჭრის გზად, ერთი მხრივ, **სახელმწიფო განათლების პოლიტიკის შეცვლა, ხოლო, მეორე მხრივ, უნივერსიტეტის ნება** სახელდება.

პრობლემურ საკითხად დასახელდა აკადემიური პერსონალის **ანაზღაურება.** პრობლემა განსაკუთრებით გამოკვეთილია სახელმწიფო უნივერსიტეტების, უფრო კონკრეტულად კი მოწვეული ლექტორების შემთხვევაში. მათი შეფასებით, საუნივერსიტეტო სივრცე პრიორიტეტად პროფესორებს, შტატიან თანამშრომლებს განიხილავს და მოწვეული ლექტორები ამ მხრივ ყველა სარგებელს ვერ იღებენ/იყენებენ. რესპონდენტთა ნაწილის თქმით, აკადემიურ პერსონალს მიზერულ ანაზღაურებაზე, ფაქტობრივად ენთუზიაზმზე უწევს მუშაობა, რაც ხაზს უსვამს, რომ

უნივერსიტეტი სრულად ვერ ახერხებს დაკისრებული პასუხისმგებლობის შესრულებას.

„წახალისებას უნდა აკეთებდეს არა მხოლოდ გაცვლითით, არამედ ანაზღაურების კუთხითაც კი. ბევრი პროფესორისგან მომისმენია, რომ მოწვეულ ლექტორებს მიზერული ანაზღაურება აქვთ და ქველმოქმედები გამოვდივართ - ცოდნას ვაწვდით, რაც გამოცდილებით და დროით რესურსის ხარჯვითაა მიღწეული და ამაში ვიღებთ თითქმის არაფერს. [...] სასურველია, თუ ისე იქნება ფინანსური კუთხით უზრუნველყოფილი, რომ სხვა სამსახურში მუშაობა არ მოგიწიოს და მთელი დრო უნივერსიტეტს დაუთმო.“ (მოწვეული ლექტორი, ეკონომიკის მიმართულება, სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი)

პრობლემურ საკითხებზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებიც ამახვილებენ ყურადღებას. ერთ-ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლის შეფასებით, **პრობლემურია პერსონალის მართვის პოლიტიკა და მიდგომებიც.** არსებული პოლიტიკა გულისხმობს, მხოლოდ ფორმალური საკითხების მოგვარებას - ხელშეკრულების გაფორმებას, საბანკო რეკვიზიტებისა და ნასამართლეობის ცნობის მოტანას, თუმცა ყურადღება არ ექცევა ინდივიდის მონეტარულ თუ სხვა ტიპის მოტივაციას, ზოგადად, ადამიანური რესურსების მართვას.

ამდენად, მართალია, უნივერსიტეტი, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, გრძნობს საკუთარ პასუხისმგებლობას აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალის მიმართ, როგორც ჩანს, მის სრულყოფილად რეალიზებას ვერ ახდენს, რაც, ძირითადად, უნივერსიტეტის პოლიტიკასა და მიდგომებთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება ანაზღაურების პრობლემურ საკითხს, უნივერსიტეტის მონეტარული პოლიტიკა პერსონალის შრომის დაფასების ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორია. ის მიზერული ანაზღაურება, რაც სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორებს აქვთ, შესაძლოა ნათლად გამოკვეთდეს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლომდე ვერ იაზრებს, თუ როგორი მჭიდრო ბმაა ლექტორის მოტივაციასა და სტუდენტებისთვის ცოდნის გადაცემის პროცესს შორის. მინიმალური ანაზღაურებით უკმაყოფილებამ შესაძლოა, სასწავლო პროცესი დააზარალოს, რადგან ლექტორს გაუქრეს ენთუზიაზმი და „ანაზღაურების შესაბამისი ხარისხით“ ჩაერთოს სასწავლო პროცესში. ამდენად, უნივერსიტეტები

პასუხისმგებლობას პერსონალის მხოლოდ პროფესიული ზრდის ხელშეწყობაში კი არ უნდა ხედავდნენ, არამედ პერსონალის მართვის და ფინანსური პოლიტიკის ცვლილებით მათ მოტივაციას უნდა ზრდიდეს.

2.2.3. აკადემიური თავისუფლება და აკადემიური კეთილსინდისიერება

აკადემიური პერსონალის მიმართ უნივერსიტეტის პასუხისმგებლობის განხილვა, ძირითადად, უკავშირდება და დაიყვანება **აკადემიური თავისუფლების** უზრუნველყოფაზე. ამას განსაზღვრავს და არეგულირებს როგორც უმაღლესი განათლების შესახებ კანონი, ისე უნივერსიტეტების შინაგანაწესი.

ეთიკის საბჭოს წარმომადგენლის შეფასებით, აკადემიური თავისუფლება პერსონალისთვის გულისხმობს სამეცნიერო მიმართულებით საკვლევი საკითხის საკუთარი სურვილით არჩევის შესაძლებლობას და შემდგომ ეთიკის ნორმების დაცვით კვლევას.

აკადემიური პერსონალის ძირითადი ნაწილის გამოცდილებით, უნივერსიტეტი მათ აკადემიურ თავისუფლებას აძლევს, სადაც ამის შესაძლებლობა არის. ის, რაც ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებითაა გაწერილი, ლექტორებისთვის ნორმაა. აკადემიური თავისუფლება, როგორც წესი, სასწავლო ლიტერატურისა და მიდგომების შერჩევაში გამოიხატება.

„რაც მე ყველაზე მეტად მომწონს, არის ზუსტად ეგ, რომ სრული თავისუფლება მაქვს. წესი გასაგებია არსებობს, რომელიც ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოზე მიიღება და მესმის, რომ რეგულირებადი სფეროა და ამ რეგულაციების ჩარჩოში უნდა ჩაჯდე, მაგრამ იმის იქით, როდესაც კონკრეტული საგნის ან კურსის მიზნები აისახება, ამ მიზნებთან შესაბამისობაში მერე შიგნით რას როგორ ასწავლი ან რამდენი საათი გჭირდება ან რა მეთოდებით უნდა ასწავლო ან რა ლიტერატურით უნდ ასწავლო, ამაში გაქვს სრული თავისუფლება.“ (მოწვეული ლექტორი, ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულება, კერძო უნივერსიტეტი, თბილისი)

აკადემიურ თავისუფლებაზე მსჯელობისას გამოიკვეთა **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ლექტორების და სასწავლო კურსების მონიტორინგის პრაქტიკა.** ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან ხაზი გაესვა ლექტორების მიერ

აკადემიური თავისუფლების არამართებულ გააზრებას. მათი გამოცდილებით, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ლექტორს პროგრამის ხელმძღვანელის მითითება, რომ განაახლოს სასწავლო ლიტერატურა, სწავლების მიდგომები და მეთოდები გაამრავალფეროვნოს, კურსი გააციფრულოს და ა.შ. თავისუფლების შეზღუდვად აღუქვამს.

კვლევის ფარგლებში კერძო უნივერსიტეტებს შორის **სილაბუსის ცვლილების** მხრივ არსებული აკადემიური თავისუფლების ჭრილში განსხვავებები გამოიკვეთა. ერთ-ერთი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შეფასებით, მას სემესტრის განმავლობაში სილაბუსში ისეთი კომპონენტების შეტანის უფლება აქვს, რომლებიც წინსწრებით არ იყო განსაზღვრული. ამ ცვლილებების ინიციატორები შეიძლება სტუდენტებიც იყვნენ შეთავაზებული მიდგომებითა და სამუშაოს ტიპებით. ამისგან განსხვავებით, სხვა კერძო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის თქმით, დამტკიცებული სილაბუსების ცვლილების მკაცრი პროცედურა არსებობს, მეტიც, მისი შეცვლა სემესტრის განმავლობაში შეუძლებელია. დამტკიცებული სილაბუსის შეცვლა, განახლება და ა.შ. შესაძლებელია მხოლოდ სემესტრის ბოლოს, ლექტორის მიერ დაწერილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე. ამ შემთხვევაშიც პროცესი მეტად ბიუროკრატიულია - ცვლილების შესახებ უნდა შეხვდეს პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც აღნიშნულ საკითხის ფაკულტეტის საბჭოზე წარადგენს, პროცესში ერთვება ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურიც და მხოლოდ ამ პროცედურების გავლის შემდეგაა შესაძლებელი სილაბუსში ცვლილება. მსგავსი პრაქტიკა არაეფექტიანია, რადგან მოწვეულ ლექტორებს, რომლებიც შესაძლოა 1 სემესტრით ერთვებოდნენ სასწავლო აქტივობაში, სილაბუსის საკუთარი ინიციატივით შეცვლის თავისუფლება არ აქვთ, რადგან პროცესი დროში გაწელილია.

აკადემიურ თავისუფლებაზე საუბრისას, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც უნივერსიტეტში სწავლების დაწყებისას, ცალკეულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ აკადემიურ პერსონალთან **თანამშრომლობაზე უარი მხოლოდ მისი იდეოლოგიური შეხედულებების გამო** თქვა. ის უნივერსიტეტი, რომელშიც ახლა ასწავლის, სწორედ ამ მხრივ გამოირჩევა, რომ ლექტორს იდეოლოგიური კუთხით არ არჩევს და სრულ თავისუფლებას აძლევს, როგორც სწავლების სტრატეგიების, ისე

აკადემიური ლიტერატურის შერჩევის კუთხით. მსგავსი გამოცდილება, რესპონდენტის აზრით, ერთგვარი გარანტიაა, რომ უნივერსიტეტი მომავალშიც შეინარჩუნებს აკადემიური თავისუფლების მაღალ სტანდარტს.

საკითხზე მსჯელობისას ერთადერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როცა რეგიონული უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა **უნივერსიტეტში არსებული შეზღუდვები** გამოკვეთა. მისი შეფასებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არის **თვითცენზურა** - პროფესორები აკადემიურ თავისუფლებას თავად იზღუდავენ, რადგან ადმინისტრაცია ისე მართავს სასწავლო პროცესს, რომ ლექტორები ვალდებულები არიან, დამორჩილდნენ. მისი აზრით, პოლიტიკური გავლენების გამო, აკადემიური პერსონალი მიმდინარე მოვლენების შესახებ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას აუდიტორიის გარეთაც ერიდება. არსებული მდგომარეობის გამო, სასწავლო პროცესიც არასრულფასოვანია, რადგან ლექტორი ერიდება აქტუალური საკითხების განხილვას, რაც შესაძლოა სტუდენტების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების პროცესზე ნეგატიურად აისახებოდეს. რესპონდენტის შეფასებით, უნივერსიტეტს, განსაკუთრებით სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, **არ აქვს ავტონომია** და მთავრობის გავლენის ქვეშ ექცევა. სახელმწიფო უნივერსიტეტებზე მსჯელობისას, რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ დაფინანსებული ინსტიტუციის არსებობა, შესაძლოა ხელისუფლების ინტერესების გატარებას ემსახურებოდეს.

„შეზღუდვაში გარე პირების ჩარევასაც ვგულისხმობ. ისინი, ზოგადად, უნივერსიტეტის მართვაში ერევიან. მთავრობა აფინანსებს სახელმწიფო უნივერისტეტებს და ეს დიდი გავლენაა. როცა უნივერსიტეტის ბიუჯეტის 80% ან მეტი მთავრობიდან მოდის, გამოდის, რომ უნივერსიტეტის მართვა მთავრობის დაგეგმილია. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მთავრობის ინტერესებს ახორციელებს. აუდიტორიაში პროფესორი რაზე საუბრობს, შეიძლება აქაც ჩაერიოს.“ (პროფესორი, სამართლის მიმართულება, სახელმწიფო უნივერსიტეტი, რეგიონი)

ამავე რესპონდენტს აკადემიური თავისუფლების შეზღუდვად მიაჩნია, როდესაც უნივერსიტეტი აუდიტორიაში პოლიტიკაზე საუბარს უკრძალავს, რადგან საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლექტორი თავს ვალდებულებად მიიჩნევს, საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებზე, მათ შორის პოლიტიკაზე, ე.წ. „რუსული

კანონის“ მიღების დაშვებაზე ისაუბროს; ამ ჭრილში კი შეაფასოს და გააანალიზოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, რათა სტუდენტებს საკონსტიტუციო სამართლის ჭრილში სიტუაციის მთლიანობაში დანახვის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

იმ თავისუფლების ფარგლებში, რასაც უნივერსიტეტი აკადემიურ პერსონალს აძლევს, ლექტორების მიერ დაგეგმილი **სალექციო და სასემინარო სამუშაოები შემდეგ კომპონენტებს** აერთიანებს: ინდივიდუალური დავალებები, ჯგუფური აქტივობები, როლური თამაშები (საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე), დისკუსია, ქვიზები (როგორც ელექტრონული, ისე ფურცელზე შესასრულებელი), პრეზენტაციები, ლაბორატორიული სამუშაოები (საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე), კვლევითი პროექტი (საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე). ჯგუფურ სამუშაოებზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია მისი ფორმატის გათვალისწინება - წყვილებში თუ ჯგუფებში მუშაობა სტუდენტებს უვითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას, რამდენადაც, როგორც წესი, მსგავსი დავალებების შესრულებისას ერთობლივი ქულა იწერება და არა - ინდივიდუალური. სტუდენტი ხდება, ერთი მხრივ, საკუთარი თავის, ხოლო, მეორე მხრივ, ჯგუფის წევრების მიმართ მეტად პასუხისმგებლიანი. მსგავსი მიდგომა ბერმანის (Berman, 1990) მიერ შემუშავებულ „სოციალური პასუხისმგებლობის შესწავლის“ ისეთი განზომილებების ჩამოყალიბებასა და განვითარებას შეესაბამება, როგორებიცაა: „თანამშრომლობის აღქმა და უნარები“, „მარტივი სოციალური უნარები“ და „საზოგადოების პასუხისმგებელ წევრად ყოფნის საშუალებები“. სტუდენტის ჯგუფის წევრად აღქმას მიემართება დიურკემის შრომის დანაწილების კონცეფციაც. იგი გულისხმობს საერთო საქმის დიფერენცირებული როლების დონეზე შესრულებას, ანუ ინდივიდებისთვის ურთიერთშემავსები ფუნქციების მინიჭებას (დიურკემი, 2012).

ბერმანის ჩარჩო „რეალური ცხოვრებისეული პრობლემების შესწავლის“ კომპონენტსაც მოიცავს, რაც შინაარსობრივად სტუდენტების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების პერსპექტივას სახავს, რადგან მათ აქვთ უნარი და შესაძლებლობა, რომ მიმდინარე მოვლენები განიხილონ და პოზიციები განივითარონ (Berman, 1990). აღნიშნულ კომპონენტთან მიმართება ინტერვიუებში მკაფიოდ გამოიკვეთა, როცა ლექტორთა ძირითადმა ნაწილმა სასწავლო კურსის ფარგლებში, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, **კრიტიკული აზროვნების** შესაძლებლობას და ლექციაზე შესაბამისი

სივრცის არსებობას გაუსვა ხაზი. კრიტიკული გააზრება ხომ საკითხის უპირობოდ მიღებას ეწინააღმდეგება და მის სრულყოფილ შეფასებას ემსახურება, რაც, ფართო სპექტრით რომ განვიხილოთ, ისეთი შიდასაუნივერსიტეტო კომპონენტია, რომელიც ინტერნალურ მახასიათებლებს მიემართება - ხელს უწყობს სტუდენტების მსოფლმხედველობის გაზრდას, აზროვნების უნარის გაუმჯობესებას და, ამ ყველაფრის კომბინაციით, მათი სამოქალაქო აქტივიზმის გააქტიურებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური კომპონენტები, გარდა შინაგანაწესის ზედმიწევნით შესრულებისა და აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პერსონალზე/სტუდენტზე დაკისრებული ვალდებულებისა, უშუალოდ სასწავლო კურსებსაც უკავშირდება. ამ მხრივ სასწავლო კურსები, სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ კომპონენტებს: **კვლევა, კრიტიკული აზროვნება, დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, ინტერდისციპლინური საკითხები, ეთიკური საკითხები.** გამოკითხვის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტების ძირითადი ნაწილის შემთხვევაში თითქმის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი სასწავლო პროგრამის კურსებში ინტეგრირებულია (ქულები 4 და 5)[8]:

- კრიტიკული აზროვნება - 41.5%
- დისკუსია - 40.7%
- ჯგუფური მუშაობა - 41.6%
- ეთიკური, მათ შორის პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები - 41.3%

მეორე მხრივ, სტუდენტთა თითქმის მესამედის (31.1%) შეფასებით, კვლევითი კომპონენტი მათ სასწავლო პროგრამის კურსებში ინტეგრირებული არ არის. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია სასწავლო საგნების/მიმართულების სპეციფიკა - პრაქტიკული კვლევითი კომპონენტის ინტეგრირება ნებისმიერ სასწავლო კურსში მოუხერხებელია. რაც შეეხება ინტერდისციპლინურ საკითხებს, დაახლოებით თანაბარია მათი წილი, ვინც ამ კომპონენტს ინტეგრირებულად (ქულები 4 და 5 – 32.9%) ან არაინტეგრირებულად (ქულები 1 და 2 – 31%) აფასებს. აქვე აღსანიშნავია,

[8] შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავს კატეგორიას „საერთოდ არ არის ინტეგრირებული“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „სრულყოფილად ინტეგრირებულია“.

რომ გამოკითხულთა საშუალოდ მეოთხედზე მეტი (28.5%) აღნიშნული კრიტერიუმების ინტეგრირებულობის შეფასებისას შუალედურ პოზიციას (ქულა 3) იკავებს, ანუ კონკრეტული პოზიციის გამოკვეთა უჭირს (იხ. ცხრილი #21).

ცხრილი 21 - ძირითადი სასწავლო პროგრამის კურსების კომპონენტები

თქვენი შეფასებით, რამდენად არის ინტეგრირებული თქვენი ძირითადი სასწავლო პროგრამის კურსებში შემდეგი კომპონენტები: (%) (N=1815)	საერთოდ არ არის ინტეგრირებული	2	3	4	სრულყოფილად ინტეგრირებულია	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
კვლევა	16.9	14.2	31.8	20.5	8.4	6	2.1
კრიტიკული აზროვნება	13	17	26.1	30.8	10.7	2.3	0.1
დისკუსია	13	15	28.1	26.7	14	2.8	0.5
ჯგუფური მუშაობა	12.1	12.7	30.4	28.2	13.4	2.7	0.5
ინტერდისციპლინური (მიმართულებათაშორისი) საკითხები	12	19	29.3	25	7.9	5.4	1.3
ეთიკური, მათ შორის პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები	12.7	11.7	25.2	29	12.3	6.3	2.8

სასწავლო საფეხურების ჭრილში საკითხის გაანალიზებისას ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი შინაარსობრივი სხვაობა არ დაფიქსირებულა. მსგავსი შედეგები, შესაძლოა, საუნივერსიტეტო სივრცეში ამ ორი სასწავლო საფეხურის სწავლების ფორმატით იდენტურობას დავუკავშიროთ - როგორც წესი, მაგისტრატურის საფეხურზე ლექცია-სემინარები იმავე ფორმით ტარდება, როგორც საბაკალავრო საფეხურზეა აპრობირებული. პროფესიული ცოდნის თვალსაზრისით, განსხვავებული ლიტერატურის მიღმა, უნივერსიტეტი და საგნის აკადემიური პერსონალი პრაქტიკულ კომპონენტებზე ყურადღების მეტად გამახვილებას უნდა ცდილობდეს. შესაძლოა სწორედ ამას გამოკვეთდეს ის მინიმალური სხვაობა, რაც მიანიშნებს, რომ მაგისტრატურის საფეხურზე სწავლების ზოგიერთი კომპონენტები მეტადაა ინტეგრირებული (ქულები 4 და 5):

- **კვლევა:** ბაკალავრიატი - 28.1%; მაგისტრატურა - 31.6% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=85277, $p<0.05$)

- **კრიტიკული** აზროვნება: ბაკალავრიატი - 40.8%; მაგისტრატურა - 40.1% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=60152, $p<0.05$)

მეორე მხრივ, ჯგუფური სამუშაოს კომპონენტს მეტი ყურადღება საბაკალავრო საფეხურზე (43.6%) ექცევა (მაგისტრატურა - 35.4%; ქულები 4 და 5) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=104193, $p<0.05$). ეს შედეგი შესაძლოა მიანიშნებდეს, რომ სამაგისტრო საფეხური სტუდენტს მეტად ამზადებს დამოუკიდებელი სამეცნიერო და აკადემიური სამუშაოსთვის - იმ ეტაპისთვის, როდესაც მთლიანი პროექტის შესრულება მარტომ უნდა მოახერხოს. აკადემიურ სფეროში დამოუკიდებელი მუშაობისთვის თითოეული სტუდენტისთვის საჭიროა ეთიკური, მათ შორის პლაგიატთან დაკავშირებული, საკითხების ზედმიწევნით ცოდნა - შესაძლოა სწორედ მსგავსი გააზრება ედოს საფუძვლად კვლევის შედეგს, რომელიც მიუთითებს, რომ მაგისტრატურის საფეხურზე სასწავლო კურსებში მეტადაა ინტეგრირებული ეთიკური საკითხები (ქულები 4 და 5): ბაკალავრიატი - 38.8%, მაგისტრატურა - 49.1% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=65884, $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #8).

დიაგრამა 8 - ძირითადი სასწავლო პროგრამის კურსების კომპონენტები (სასწავლო საფეხურის ჭრილში)



სასწავლო პროგრამის კურსებში კომპონენტთა ინტეგრაციის ხარისხი **სასწავლო მიმართულებების** მიხედვით სტატისტიკურად სანდო განსხვავებას იძლევა. თუკი სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სტუდენტთა 41.4% მიიჩნევს, რომ კვლევა მათ სასწავლო კურსების ნაწილია (ქულები 4 და 5), სამედიცინო (43.2%), ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ტექნიკური მიმართულებების შემთხვევაში (34.6%) იგი არაინტეგრირებულ კომპონენტად მოიაზრება (ქულები 1 და 2) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=243587, p<0.05). ამ შემთხვევაში, ცხადია, გასათვალისწინებელია სასწავლო მიმართულების სპეციფიკა და ის საზრისი, რასაც

რესპონდენტები ტერმინში დებენ. ცხადია, ზოგადად, სამედიცინო მიმართულებაზე კვლევების მეთოდს იყენებენ, თუმცა, ამ შემთხვევაში სამედიცინო გამოკვლევები არ იგულისხმებოდა. ამდენად ისეთი კვლევითი კომპონენტები, რომლებიც საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებს ან ამ პროცესებში ინტერვენციის მასშტაბებს და არეალებს შეისწავლის, სამედიცინო მიმართულებისთვის ნაკლებად დამახასიათებელია.

დისკუსიებისთვის ყველაზე ღია/გახსნილი მიმართულება კვლავ სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებებია, (53.8) თუმცა ხაზგასასმელია, რომ სხვა სასწავლო მიმართულებების სტუდენტების დომინანტური ნაწილიც ამ კომპონენტს სასწავლო პროგრამის კურსებში ინტეგრირებულად მიიჩნევს (ქულები 4 და 5):

- ბიზნესი/ეკონომიკა - 30.3%
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ტექნიკური მიმართულებები - 38.5%
- სახელოვნებო მიმართულება - 51.5%

გამონაკლისი ამ შემთხვევაშიც, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლავ სამედიცინო მიმართულებაა - სტუდენტთა მესამედზე მეტის (38.7%) შეფასებით, დისკუსია მათი ძირითადი სასწავლო პროგრამის კურსებში ინტეგრირებული არ არის (ქულები 1 და 2) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=215741, p<0.05) (იხ. ცხრილი #22).

ცხრილი 22 - ძირითადი სასწავლო პროგრამის კურსების კომპონენტები (სასწავლო მიმართულების ჭრილში)

თქვენი შეფასებით, რამდენად არის ინტეგრირებული თქვენი ძირითადი სასწავლო პროგრამის კურსებში შემდეგი კომპონენტები: (სასწავლო მიმართულებების ჭრილში)		საერთოდ არ არის ინტეგრირებული	2	3	4	სრულყოფილად ინტეგრირებული	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
კვლევა	ბიზნესი/ეკონომიკა (N=372)	8.8	29.9	39.8	10.2	4.8	6.2	0.3
	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები (N=374)	15.5	5.8	29.5	30.5	10.9	4.8	2.8

თქვენი შეფასებით, რამდენად არის ინტეგრირებული თქვენი ძირითადი სასწავლო პროგრამის კურსებში შემდეგი კომპონენტები: (სასწავლო მიმართულებების ჭრილში)		საერთოდ არ არის ინტეგრირებული	2	3	4	სრულყოფილად ინტეგრირებული	ვერ პასუხობს	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
	ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ ტექნიკური მიმართულებები (N=372)	21.5	13.1	33.3	14.4	10	5.9	1.8
	სამედიცინო მიმართულება (N=371)	25.1	18.1	24.3	16.2	3.9	10	2.3
	სახელოვნებო მიმართულება (N=326)	15.6	9.4	31.3	25	9.4	3.1	6.3
დისკუსია	ბიზნესი/ეკონომიკა (N=372)	11.4	17.7	40.6	19.4	10.9	-	-
	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები (N=374)	15.1	9.3	20	34	19.9	0.9	0.9
	ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ ტექნიკური მიმართულებები (N=372)	7.6	18.6	28.8	25.1	13.4	6.3	0.3
	სამედიცინო მიმართულება (N=371)	17.1	21.6	32.7	19.7	2.6	6.3	-
	სახელოვნებო მიმართულება (N=326)	12.1	15.2	18.2	24.2	27.3	-	3

სასწავლო კურსისა და ლექცია-სემინარების წარმართვის სპეციფიკიდან გამომდინარე, აკადემიურმა პერსონალმა სტუდენტებში უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ეთიკის კომპონენტის რეალიზებაზე ისაუბრა, რაც, ძირითადად, **პლაგიატისა და გადაწერის** შემთხვევების შეფასებით გამოიხატა. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს ეთიკის კოდექსის არსებობაზე, რომელშიც გაწერილია, თუ რა ქმედებები ითვლება პლაგიატად და რა პოლიტიკა აქვს უნივერსიტეტს მსგავსი შემთხვევების დაფიქსირებისას. იმ ლექტორებს, რომლებსაც კურსის ფარგლებში შემოქმედებითი დავალებების მიცემის შესაძლებლობა აქვთ, პლაგიატის შემთხვევების გახსენება გაუჭირდათ.

აკადემიური პერსონალის გამოცდილებით, სტუდენტებს შორის დავალებების გადაწერის შემთხვევები, წინა წლებთან შედარებით, შემცირებულია. შესაძლოა, სასკოლო საფეხურზევე ასწავლიან მოსწავლეებს, რომ სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისება არ შეიძლება, რაც ინდივიდს პასუხისმგებლობას უვითარებს. ამასთან, უნივერსიტეტში, ძირითად შემთხვევაში, პირველ კურსზევე ხდება „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსის ინტეგრირება, რათა სტუდენტმა მიიღოს ინფორმაცია, თუ როგორ უნდა დაიწეროს აკადემიური ნაშრომი ისე, რომ სხვისი მოსაზრებები „უხეშად“ არ გამოიყენოს, რას ნიშნავს წყაროების მითითება, როგორ უნდა მიუთითოს, რა ტიპის პლაგიატი არსებობს და ა.შ. ამასთან, აკადემიური პერსონალის ძირითადი ნაწილი ხაზს უსვამს დავალებების ტიპის ცვლილებაზე - თავად არ აძლევენ სტუდენტებს ისეთ სამუშაოებს, რომლის პირდაპირ გადაწერა შესაძლებელი იქნება. თუმცა, როგორც ლიტერატურის მიმოხილვაში გამოიკვეთა, აღნიშნული სასწავლო კურსი შედეგის მომცემი ნაკლებად არის, რადგან დეტალურად არ ხდება პლაგიატთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. ამასთან, ზოგიერთ უნივერსიტეტში „აკადემიური წერის“ კურსი არასავალდებულოა (ბაქრაძე, და სხვ., 2016).

დომინანტური გამოცდილებით, თუკი სტუდენტის ნამუშევარში პლაგიატი დაფიქსირდება, მას აქვს შესაძლებლობა, რომ დავალება გადააბაროს, ანუ შეასწოროს და ხელახლა ჩააბაროს, განმეორებითი პლაგიატის შემთხვევაში კი შესრულებული სამუშაო შეფასების გარეშე რჩება, ანუ ნულდება.

ეთიკის საბჭოს წარმომადგენლის შეფასებით, აკადემიურ პერსონალში დაფიქსირებული და დადასტურებული პლაგიატის შემთხვევები, ყოველგვარი განხილვის გარეშე, მისი **სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი** შეიძლება გახდეს.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვაზე მსჯელობისას, რესპონდენტები, გარდა საგნობრივი გამოცდილებისა, შეეხნენ სამეცნიერო ხარისხის დაცვის ეტაპს. ყველა უნივერსიტეტის წარმომადგენელი ერთხმად ადასტურებს, რომ უნივერსიტეტს აქვს **პროგრამა** (turnitin), რომელიც სტუდენტის მიერ ატვირთულ ნაშრომს სხვა დოკუმენტის ტექსტთან თანხვედრაზე ამოწმებს. მაღალპროცენტული დამთხვევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია განაახლოს ატვირთული დოკუმენტი, საბოლოოდ

კი საეჭვო შემთხვევებისთვის იქმნება ეთიკის კომისია, რომელიც ინდივიდუალურად განიხილავს ნაშრომს და აფასებს პროცენტი მხოლოდ თანხვედრას მიემართება, თუ შინაარსობრივი პლაგიატის ფაქტი ფიქსირდება.

Turnitin-ის პროგრამაზე საუბრისას ეთიკური საბჭოს წარმომადგენლებმა პრობლემურ საკითხზე იმსჯელეს - **აღნიშნული პროგრამას აქვს ენის პრობლემა,** ანუ მას არ შეუძლია მსგავსება დაინახოს ქართულ და ინგლისურ ტექსტს შორის, რაც, რესპონდენტის აზრით, პროგრამულ შემოწმებას არასაკმარისს ხდის - *„სტუდენტებში არ არის ცუდი „ტურნიტინის“ გამოყენება, ჩადებულია მასში გარკვეული ლიცენზიები. თუმცა, ეს პროგრამა კომისიის შინაარსობრივ განხილვას და შემოწმებას ვერ ჩაანაცვლებს.“ (ეთიკის საბჭოს წარმომადგენელი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი)*

ზოგადი შეფასებისთვის უნდა ითქვას, რომ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აზრით, **სტუდენტებში პლაგიატის შესახებ ინფორმირებულობა ჯერ კიდევ დაბალია.** არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფო უნივერსიტეტებს აქვთ პლაგიატის შესახებ ტრენინგებისა და კამპანიის ჩატარების გამოცდილება, რომელიც ევროსაბჭოს პროექტი „Integrity“-ის ფარგლებში განხორციელდა. ამასთან, ერთ-ერთმა სახელმწიფო უნივერსიტეტმა პანდემიის პერიოდში 15 ვიდეო-ლექცია ჩაწერა და საკუთარ ვებ-გვერდზე განათავსა. მომზადებული ვიდეო-რგოლები ფარავს უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სპეციფიკას და აღწერს მათი ციტირებისა თუ სამეცნიერო ნაშრომის წარდგენის განსხვავებულ წესს. ამასთან, ეთიკის საბჭოს წარმომადგენლის შეფასებით, ერთ-ერთ სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის არსებობს სასწავლო კურსი, რომელიც სამეცნიერო აქტივობებთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავს - სტატიის დაწერას, მეცნიერის შეფასებების გაცნობას, სამეცნიერო ინდექსის ფენომენის შესახებ ცოდნის გაღრმავებას და, ამავდროულად, პლაგიატთან დაკავშირებული საკითხების გაანალიზებას.

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის **ეთიკური კომპონენტის ინტერნალურ დონეზე** გამოვლენის მიზნით, გამოკითხვის ფარგლებში შეფასდა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ პლაგიატთან დაკავშირებულ ტრენინგზე/შეხვედრაზე

დასწრების გამოცდილება. როგორც გამოიკვეთა, სტუდენტთა უმრავლესობას (54.4% პასუხის კატეგორია „არა, არ მიმიღია“) ამ მხრივ ნეგატიური გამოცდილება აქვს, ხოლო 45.6%-ს - პოზიტიური (პასუხის კატეგორია „დიახ, მიმიღია“).

შემდგომ მხოლოდ იმ სტუდენტებმა, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ პლაგიატთან დაკავშირებულ ტრენინგზე/შეხვედრაზე, ამის **მიზეზები** განსაზღვრეს.[9] დასახელებულ მიზეზებს შორის დომინირებს ადმინისტრაციის მხრიდან უმოქმედობა და სტუდენტთა დაბალი დონის ინფორმირებულება. პოზიციას, რომ პლაგიატთან დაკავშირებული საკითხებისადმი მიძღვნილ შეხვედრას სწორედ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ ინფორმაციის გაუზიარებლობის გამო ვერ დაესწრო, გამოკითხულთა თითქმის მესამედი (30%) იზიარებს, შემდგომ პოზიციას „დროის უქონლობის“ კატეგორია იკავებს (23.6%), ხოლო მესამე დომინანტურ მიზეზად შესაძლოა პლაგიატის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ფლობის კატეგორია მივიჩნიოთ (12.3%) (იხ. ცხრილი #23).

ცხრილი 23 - უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ პლაგიატთან დაკავშირებულ ტრენინგზე/შეხვედრაზე დაუსწრებლობის მიზეზები

რა მიზეზით არ მიგიღიათ მსგავს აქტივობაში მონაწილეობა? (N=1013)	%
უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ მოუწოდებია ინფორმაცია	30
დროის უქონლობის გამო	23.6
ვფიქრობ, სრულყოფილ ინფორმაციას ვფლობ აღნიშნული საკითხის შესახებ	12.3
არ მიმაჩნია საინტერესო თემად	8.4
ვფიქრობ, არაინფორმაციული შეხვედრა იქნებ(ოდ)ა	5.4
სხვა	2.4
უარი პასუხზე	8.4
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	9.6

საბოლოოდ, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ძირითადად, აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა არ ფიქსირდება, რაც, სასწავლო ლიტერატურისა და მიდგომების სურვილისამებრ შერჩევაში გამოიხატება. მეორე მხრივ, კვლავ პრობლემურია აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხი, რაც,

[9] სტუდენტებს შეეძლოთ რამდენიმე მიზეზის დასახელება.

ძირითადად, სტუდენტების ჯგუფში სასემინარო დავალებების შესრულებისას ვლინდება. ამ მხრივ სასურველია უნივერსიტეტების მეტად გააქტიურება, რომ ვიდეორგოლებითა თუ პირისპირი საინფორმაციო შეხვედრებით ხელი შეუწყონ სტუდენტების აკადემიური (თვით)შეგნების ამაღლებას, რათა მათ გააცნობიერონ ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელოვნება და მისი მითვისებით გამოწვეული დარღვევების სიმძაფრე. თუმცა, როგორც იკვეთება საჭიროა, სტუდენტების მსგავსი საკითხებით მეტად დაინტერესება.

2.2.4. ინფრასტრუქტურული აღჭურვილობა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული აქტივობები

იმისათვის, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის ინტერნალური კომპონენტები სრულყოფილად შეასრულოს, მნიშვნელოვანია **ინფრასტრუქტურული აღჭურვილობა.** აღნიშნული კომპონენტი ორიენტირებულია, როგორც პრაქტიკული, ლაბორატორიული აქტივობების განხორციელებაზე, ისე სამეცნიერო-კვლევით მიმართულებაზე, რის შედეგად შექმნილი ცოდნა საზოგადოებამდე უნდა მივიდეს.

ინტერვიუების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ საუნივერსიტეტო სივრცის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საჭირო კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, მეტიც ზოგიერთ უნივერსიტეტში ბოლო 1-2 წელიწადში დასრულდა მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რაც სწორედ აუდიტორიებისა და უნივერსიტეტის შიდა თუ გარე სივრცის კეთილმოწყობას მოიცავდა. როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფუნქციონირებს ინფრასტრუქტურულად გამართული ლაბორატორიები და ამჟამად უკვე ყველა რესურსი არსებობს, რომ სასწავლო კურსები პრაქტიკული სამუშაოებით დაიტვირთოს, რომლებსაც სტუდენტები ადგილზევე შეასრულებენ.

„ინფრასტრუქტურის კუთხითაც საკმაოდ კარგი მდგომარეობაა და თან ბოლო პერიოდში მთლიანად განახლდა უნივერსიტეტის ტექნიკური ბაზა. თვითონ აუდიტორიებშიც აი

პროექტორის, კომპიუტერის რაღაც საკითხები ყოველთვის მოგვარებულია. არის კიდევ საერთო სამუშაო სივრცეები, როცა სტუდენტს შეუძლია, რომ კომპიუტერთან იმუშაოს.. [...] ასევე არის ოთახები დამატებითი და თავისუფალი შეხვედრებისთვის - შეგიძლია ამ სივრცეში სიმულაციური პრაქტიკები დანერგო და განახორციელო.“ (მოწვეული ლექტორი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულება, კერძო უნივერსიტეტი, თბილისი)

„გასულ ზაფხულს (22-23 წლის აკადემიური სასწავლო წლის დაწყებამდე) დასრულდა ძალიან სერიოზული ინფრასტრუქტურული სამუშაოები. განათლების სამინისტროს დიდი თანამონაწილეობით - შეკეთდა მთლიანი ინფრასტრუქტურა, განახლდა აუდიტორიები, სასწავლო ინვენტარი, კაპიტალური რემონტი გაუკეთდა სპორტულ მოედანს, ეზო კეთილმოწყობილია, შემოიღობა კაპიტალური ღობით. მთელ უნივერსიტეტში ვაიფაი (Wi-Fi) ხელმისაწვდომია. გვაქვს ძალიან დიდი კომპიუტერული ტექნოლოგიების შემსწავლელი აუდიტორია., ორი კეთილმოწყობილი ლაბორატორია - როგორც სასურსათო ტექნოლოგიების და არა მხოლოდ სასურსათო მიმართულებით, ასევე აგრონომიის მიმართულებით.“ (პროფესორი, აგრარულ მეცნიერებათა მიმართულება, სახელმწიფო უნივერსიტეტი, რეგიონი)

ინტერნალურ საკითხებზე მსჯელობისას გამოიკვეთა, რომ, სტუდენტთა 41%-ის აზრით, მათი **უნივერსიტეტის ფიზიკური გარემო (მაგ.: საპირფარეშო, პანდუსი და ა.შ.) ადაპტირებულია** (ქულები 4 და 5)[10], მათ შორის მეათედზე მეტი სრულად ადაპტირებულობას გამოკვეთს. მეორე მხრივ კი, გამოკითხულთა მესამედზე მეტის (36.2%) შეფასებით, მათი **უნივერსიტეტი ადაპტირებული სასწავლო რესურსებით (მაგ.: ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი მასალები, ხმოვანი პროგრამები და ა.შ.) უზრუნველყოფილი არ არის** (ქულები 1 და 2)[11] (იხ. ცხრილი #24).

[10] შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავს კატეგორიას „საერთოდ არ არის ადაპტირებული“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „სრულად ადაპტირებულია“.

[11] შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავს კატეგორიას „საერთოდ არ არის უზრუნველყოფილი“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „სრულად უზრუნველყოფილია“.

ცხრილი 24 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადაპტირებულობა ფიზიკური გარემოს და სასწავლო რესურსების მხრივ

თქვენი დაკვირვებით, რამდენად ადაპტირებულია თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფიზიკური გარემო (მაგ.: ადაპტირებული საპირფარეშო, პანდუსი და ა.შ.)? (N=1815)	**%**
საერთოდ არ არის ადაპტირებული	8.2
უფრო არ არის ადაპტირებული	25.5
თანაბრად	22.1
უფრო ადაპტირებულია	28.8
სრულად ადაპტირებულია	12.2
უარი პასუხზე	1.3
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	1.9
თქვენი ინფორმაციით, რამდენად უზრუნველყოფილია თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ადაპტირებული სასწავლო რესურსებით (მაგ.: ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი მასალები, ხმოვანი პროგრამები და ა.შ.)? (N=1815)	**%**
საერთოდ არ არის უზრუნველყოფილი	13.9
უფრო არ არის უზრუნველყოფილი	22.4
თანაბრად	20
უფრო უზრუნველყოფილია	11.4
სრულად უზრუნველყოფილია	7.2
უარი პასუხზე	2.3
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	22.8

კვლევამ ცხადყო, რომ, სტუდენტების შეფასებით, **კერძო** უნივერსიტეტების (57%) ფიზიკური გარემო მეტადაა ადაპტირებული (მაგ.: ადაპტირებული საპირგარეშო, პანდუსი და ა.შ.), ვიდრე **სახელმწიფო** უნივერსიტეტების (35.3%) (ქულები 4 და 5) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=116226, p<0.05). ამ შემთხვევაში ისიც გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტები, უმეტესად რამდენიმე სხვადასხვა სასწავლო შენობაშია წარმოდგენილი და შეიძლება ითქვას, რომ თითოეული მათგანში ადაპტირებულობის კომპონენტის დაკმაყოფილება უფრო რთულია, ვიდრე კერძო უნივერსიტეტების ძირითად ნაწილში, რომელთაც მხოლოდ ერთი სასწავლო კორპუსი/შენობა აქვს. ამასთან, სტუდენტთა შეფასებით, სახელმწიფო უნივერსიტეტები ნაკლებად გამოირჩევა ადაპტირებული სასწავლო მასალებით - გამოკითხულთა 40.7% მიუთითებს, რომ მაგ.: ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი მასალები, ხმოვანი პროგრამები და ა.შ. საუნივერსიტეტო სივრცეში

უზრუნველყოფილი არ არის (კერძო უნივერსიტეტები - 23.7%) (ქულები 1 და 2) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=66953, p<0.05). (იხ. ცხრილი #25).

ცხრილი 25 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადაპტირებულობა ფიზიკური გარემოს და სასწავლო რესურსების მხრივ (უსდ-ის ტიპის ჭრილში)

თქვენი დაკვირვებით, რამდენად ადაპტირებულია თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფიზიკური გარემო (მაგ.: ადაპტირებული საპირფარეშო, პანდუსი და ა.შ.)? (უსდ-ის ტიპის ჭრილში)	სახელმწიფო უნივერსიტეტი (N=1135)	კერძო უნივერსიტეტი (N=680)
საერთოდ არ არის ადაპტირებული	8.8	6.7
უფრო არ არის ადაპტირებული	29.7	13.6
თანაბრად	23	19.8
უფრო ადაპტირებულია	27.2	33.2
სრულად ადაპტირებულია	8.1	23.8
უარი პასუხზე	1.4	0.8
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	1.9	2.1
თქვენი ინფორმაციით, რამდენად უზრუნველყოფილია თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ადაპტირებული სასწავლო რესურსებით (მაგ.: ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი მასალები, ხმოვანი პროგრამები და ა.შ.)? (უსდ-ის ტიპის ჭრილში)	**სახელმწიფო უნივერსიტეტი (N=1135)**	**კერძო უნივერსიტეტი (N=680)**
საერთოდ არ არის უზრუნველყოფილი	14.1	13
უფრო არ არის უზრუნველყოფილი	26.6	10.7
თანაბრად	19.8	20.7
უფრო უზრუნველყოფილია	11	12.6
სრულად უზრუნველყოფილია	6.1	10.3
უარი პასუხზე	2.3	2.1
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	20	30.8

ინტერვიუების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი მაქსიმალურადაა ჩართული **აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული აქტივობების** ორგანიზების პროცესში. ერთი მხრივ, ლექტორები ერთვებიან კონფერენციებსა თუ სემინარებზე, რომლებიც მათივე უნივერსიტეტის მიერაა ორგანიზებული, ხოლო, მეორე მხრივ, ამ თვალსაზრისით თანამშრომლობენ სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო უნივერსიტეტთან.

ადგილობრივ დონეზე რესპონდენტებმა ისაუბრეს **ყოველსემესტრული და ყოველწლიური შიდასაუნივერსიტეტო კონფერენციების** ორგანიზების პრაქტიკაზე. რეგიონული უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა კი თბილისის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობაზე გაამახვილეს ყურადღება. ამასთან, გამოიკვეთა ინდივიდუალური პროექტების გამოცდილებაც, როცა თბილისიდან ჩასული ტრენერების მიერ ხდება რეგიონული საუნივერსიტეტო საზოგადოების პროფესიული გადამზადება.

პროფესიული ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით, რესპონდენტებმა გამოყვეს შიდასაუნივერსიტეტო დონის ისეთ კომპონენტში მხარდაჭერა, როგორიცაა **სამეცნიერო-აკადემიური სტატიების შექმნა და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება.** როგორც თბილისის, ისე რეგიონული უნივერსიტეტების წარმომადგენელთა გამოცდილება დისტანციური სწავლების შესახებ ტრენინგებსა და სემინარებში ჩართულობას მოიცავს.

„მე, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტს, უნივერსიტეტიდან მქონდა რამდენიმე გასვლა - ამერიკაში მქონდა სემინარი Open World-ის ფარგლებში, დისტანციურ სწავლებაზე. იქიდან ჩამოტანილი ცოდნა, რა თქმა უნდა, და ელექტრონული სწავლება უნივერსიტეტში დავნერგე. ასევე, გამიშვეს შემდეგ GIZ-ის ელექტრონული სწავლების ექვსთვიან კურსზე - იქ ელექტრონული კურსები შემქმნით და ჩემი შექმნილი ელექტრონული კურსი ერთ-ერთი ყველაზე კარგი იყო. ასევე, შემდეგ ტალინში იყო ისევ ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული შეხვედრები.“ (პროფესორის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულება, სახელმწიფო უნივერსიტეტის, რეგიონი)

ზოგიერთ კერძო უნივერსიტეტს აქვს **საბონუსე სისტემა,** რომლითაც განისაზღვრება ფინანსური წახალისება იმ აკადემიური პერსონალისთვის, ვინც სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს განახორციელებს - მიიღებს კონფერენციაში მონაწილეობას, მოამზადებს სამეცნიერო სტატიას ადგილობრივი თუ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალისთვის და ა.შ. ამასთან, ამავე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის შეფასებით, უნივერსიტეტი ღიაა აკადემიური პერსონალის ინიციატივებისთვის და ფინანსურად უზრუნველყოფს მათი საზღვარგარეთ სამეცნიერო-კვლევითი მიზნით გამგზავრების ხარჯებს.

როგორც ჩანს, პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული აქტივობების ორგანიზების მხრივ **უნივერსიტეტების ლოკაციისა თუ ტიპის ჭრილში მკვეთრად განსხვავებული გამოცდილება არ ფიქსირდება** - თითოეულ შემთხვევაში ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენება იმისთვის, რომ აკადემიურ პერსონალს ინდივიდუალურად მიეწოდოთ კონფერენციების, ტრენინგების, სემინარებისა თუ ვორქშოფების შესახებ ინფორმაცია. ინფორმაციის გასავრცელებლად უნივერსიტეტი ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდსაც იყენებს. ამასთან, ლექტორთა შეფასებით, ადმინისტრაცია მათ საგრანტო თუ კვლევითი კონკურსების შესახებაც უზიარებს ინფორმაციას.

მხარდაჭერის მექანიზმებზე საუბრისას, კერძო უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა ხაზი გაუსვა ადმინისტრაციის ჩართულობას სამეცნიერო კონკურსებში პროფესორებისა თუ მოწვეული ლექტორებისთვის ბიუროკრატიული საკითხების მოგვარებაში. მისი შეფასებით, ამ მხრივ აკადემიურ პერსონალს ჩამოშორდა ფინანსური საკითხების მოგვარება, რაც მას შესაძლოა კვლევების განხორციელებაში აფერხებდეს. გაწეული მხარდაჭერის სოციალური კომპონენტი ერთგვარად გამოვლენილია იმაში, რომ ხდება შრომის დანაწილება, რაც საბოლოოდ აკადემიური პროდუქტის შექმნისა და საზოგადოებისთვის გაზიარების შესაძლებლობას ქმნის. ერთ-ერთმა რესპონდენტმა მიუთითა, რომ უნივერსიტეტს მიღმა საკუთარი შესაძლებლობებითა და რესურსებითაც წერს საგრანტო პროექტებს და ხშირად საკუთარ აკადემიურ-სამეცნიერო თანამშრომლობის კონტაქტებს უნივერსიტეტს უზიარებს და ერთობლივ პროექტებს ადგენენ.

პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, როგორც აკადემიური ისე ადმინისტრაციული პერსონალის **გაცვლით პროგრამებში** მონაწილეობა, რომელთა თანადამფინანსებელი ხშირად თავად უნივერსიტეტია. როგორც სტუდენტების, ისე პერსონალის შემთხვევაში დომინირებს Erasmus+-ის პროექტები. ამასთან, კერძო და სახელმწიფო საუნივერსიტეტო სივრცეს, ძირითადად, ნებაყოფლობითი **ტრენინგების** გამოცდილება აქვს, თუმცა, არის ერთეული შემთხვევები, როცა კვალიფიკაციის ასამაღლებელი შიდა სავალდებულო ტრენინგები ტარდება. ამასთან, არსებობს სპეციფიკური ტიპის ღონისძიებებისა და შეხვედრების ორგანიზების გამოცდილება, რაც, ძირითადად, ავტორიზაციის წინ, ან

ახალი პროგრამის შექმნის შემთხვევაში ტარდება - გულისხმობს სილაბუსების წერის ტრენინგებს, პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული საკითხების განხილვას.

დომინანტური პოზიტიური გამოცდილებისა და შეფასების მიუხედავად, როგორც ჩანს **რეგიონულ უნივერსიტეტებს, თბილისთან შედარებით, ცოტა უჭირთ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიღება.** ერთ-ერთი რესპონდენტის გამოცდილებით, უნივერსიტეტის მიერ ბოლო პერიოდში განსაზღვრული საკონფერენციო დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა 2000 ლარი, არ არის საკმარისი აქტივობაში სრულფასოვნად ჩართვისთვის.

„პროფესორმა, რომელსაც უნდა, რომ უცხოეთში მაღალი დონის კონფერენციაში მიიღოს მონაწილეობა, დაფინანსება სად უნდა მოიპოვოს? ფაქტობრივად არ არსებობს... უნივერისტეტების ძირითადი ნაწილი ასეთ ვიზიტებს არ აფინანსებს. ჩვენს უნივერსიტეტში ბოლო რამდენიმე წელია შემოიღეს საკონფერენციო დაფინანსება, რაც წელიწადში შეადგენს 2000 ლარს. კონკურსითაა მოპოვება. ჩემი აზრით, ეს თანხა მცირეა, შეიძლება მგზავრობისთვისაც კი არ იყოს საკმარისი.“ (პროფესორი, სამართლის მიმართულება, სახელმწიფო უნივერსიტეტი, რეგიონი)

ამასთან, ამავე რეგიონული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შეფასებით, ეროვნულ, სახელმწიფო დონეზეა მსგავსი საკითხი გადასაწყვეტი, რადგან რა პოლიტიკაც ზოგადად არსებობს, უნივერსიტეტიც მას ექვემდებარება. ამასთან, პრობლემურად გამოიკვეთა ამ მხრივ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან თანამშრომლობის არარსებობა. თუკი, ადრე პროფესორების მივლინების დაფინანსების შესაძლებლობა იყო, რესპონდენტის ინფორმაციით, აღნიშნული პროგრამა გაუქმებულია.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული მოწყობის პროექტები დაწყებულია და უნივერსიტეტები თანამედროვე აუდიტორიებისა თუ ლაბორატორიების მოწყობაზე იღებენ პასუხისმგებლობას. ამ თვალსაზრისით, ხარვეზები მინიმუმამდეა შემცირებული. მეორე მხრივ, როგორც გამოიკვეთა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ ზრდაზე იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა, არათანაბარი შესაძლებლობები აქვთ მოწვეულ და შტატიან ლექტორებს, რაც, შესაძლოა ითქვას, რომ თანაბარუფლებიანობის პრინციპს,

როგორც პასუხისმგებლობის შემადგენელ კომპონენტს, არღვევს. ამ შემთხვევაშიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხარვეზების აღმოფხვრა შესაძლოა აკადემიური პერსონალის მოტივაციების გათვალისწინებასა და შიდასაუნივერსიტეტო საკადრო/ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ცვლილებას უკავშირდებოდეს.

2.2.5. კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტის მხრიდან გამოვლენილი მხარდაჭერა

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებით, უნივერსიტეტი აქტიურად ჩაერთო პანდემიის პირობებში სტუდენტებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობაში. როგორც რეგიონული, ისე დედაქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა გამოკვეთეს სტუდენტების **ტექნიკური ბაზით, ციფრული მოწყობილობებით უზრუნველყოფის** გამოცდილება. ირკვევა, რომ სტუდენტებს, ვინც სალექციო პროცესში კომპიუტერის ან შესაბამისი მობილურის არქონის გამო ვერ ერთვებოდნენ, უნივერსიტეტმა ტექნიკა გადასცა და უფასო ინტერნეტით უზრუნველყო. ზოგ შემთხვევაში ტექნიკა იყო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გაცემული, ანუ მოხმარების შემდეგ ისევ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა დაბრუნებულიყო, ხოლო ერთეულ შემთხვევაში უნივერსიტეტმა უსასყიდლოდ უზრუნველყო სტუდენტები ადეკვატური მოწყობილობებით, რისი დაბრუნების ვალდებულებაც სტუდენტებს არ ჰქონდათ.

„იმ სტუდენტებს, ვისაც არ ჰქონდა კომპიუტერი, მიღება-ჩაბარების აქტით, უნივერსიტეტის ტექნიკა გავეცით, ეს ერთი და მეორე - ვისაც კომპიუტერი ჰქონდა, მაგრამ ინტერნეტის პრობლემა ჰქონდა, მათთვის უფასო ინტერნეტი იყო ყოველთვის. ისინი წერდნენ განცხადებას და უფასო ინტერნეტით იყო ყველა სტუდენტი უზრუნველყოფილი. ასე რომ, ესეც პასუხისმგებლობა არის. ჩვენი უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ უნდა ვთქვა, რომ ამაში არ ჩაჭრილან, არცერთი სტუდენტი არ დარჩენილა კომპიუტერისა და ინტერნეტის გარეშე.“ (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, რეგიონი)

უშუალოდ სწავლა-სწავლების პროცესის ტექნიკური გამართულობის თვალსაზრისით, რესპონდენტები პოზიტიურ გამოცდილებაზე მიუთითებენ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების შეფასებით, რასაც აკადემიური პერსონალიც ადასტურებს, **ელექტრონული პლატფორმა, რომლის საშუალებითაც ტარდებოდა ლექცია-სემინარები, გამართული იყო,** რაც ადმინისტრაციის მხრიდან ლექციების წინსწრებით ჩანიშვნას და შეხვედრის ელექტრონული მისამართის („ლინკი“) სტუდენტების ინდივიდუალურ მეილზე გადაგზავნას გულისხმობდა.

დისტანციური სწავლების პროცესზე გადასვლის მზაობა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უნივერსიტეტებს ჰქონდათ. ცალკეული უნივერსიტეტის შემთხვევაში პანდემიის დაწყებამდე, სასწავლო პროცესის ავტომატიზირების მიმართულებით, ნაბიჯები უკვე გადადგმული იყო. ერთგვარი დაბრკოლებები კი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის უშუალოდ ელექტრონული პლატფორმის გამოყენების თვალსაზრისით შეიქმნა. არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, პროგრამის გამოყენებასთან დაკავშირებით ჩაიწერა ვიდეო-რგოლები, ჩატარდა ტრენინგები, ონლაინ რეჟიმში ინსტრუქტაჟი, რამაც ხელი შეუწყო სასწავლო პროცესის გამართულობას. მსგავსი პრობლემები შედარებით ხანდაზმული ლექტორების შემთხვევაში წარმოიშვა, რომლებიც ციფრულ მოწყობილობებს უფრო პასიურად იყენებენ.

ამასთან პანდემიის პირობებში ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურა გაციფრულდა, შეიქმნა ერთგვარი რიდერები, რომლებიც სტუდენტებს დაეხმარათ, რომ სასწავლო პროცესს არ ჩამორჩენოდნენ.

„ჩვენი უნივერსიტეტი იყო, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პანდემიაზე მორგების კუთხით, იმიტომ რომ ძალიან სწრაფად შეძლეს ჯიმეილზე (Gmail) მიბმული GOOGLE MEET-ის პლატფორმის აწყობა. ტექნიკურად ძალიან ადვილად იყო გაკეთებული ჯგუფები, ანუ, ფაქტიურად ერთ კვირაში გააკეთეს მობილიზება და გადავედით და დავიწყეთ ლექციების ტარება. რაც შეეხება მასალებს, გამომდინარე იქიდან, რომ მე მაგალითად ინგლისურ სექტორზე ვასწავლი და ჩვენ ისედაც ციფრული მასალები გვაქვს სულ ყველაფერი, არ ყოფილა პრობლემა. რაც შეეხება ქართულენოვან წიგნებს, ბიბლიოთეკამ

ვიცი, რომ გააციფრულა ის მასალა, რაც რეალურად მოთხოვნილი იყო ლექტორების მიერ.“ (პროფესორი, ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულება, კერძო უნივერსიტეტი, თბილისი)

ცალკეულ უნივერსიტეტს აქვს პრაქტიკული, **ლაბორატორიული სამუშაოების ინდივიდუალური გრაფიკის** შემუშავების გამოცდილება, რათა რეგიონიდან პერიოდულად ჩამოსული სტუდენტებისთვის ან პანდემიის პირობებში სასტუმროებსა და საავადმყოფოებში ექთნად მომუშავე სტუდენტებისთვის განათლების მიღება ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

პანდემიის პირობებში უნივერსიტეტის მხრიდან საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის გაწეულ მხარდაჭერაზე მსჯელობისას, რესპონდენტები შეეხნენ **სტუდენტების ფინანსური დახმარების** საკითხს. ამ მიმართულებით გამოიყო სწავლის გადასახადის გადავადებისა თუ ნაწილ-ნაწილ გადახდის შესაძლებლობა. რამდენიმე რესპონდენტმა ისაუბრა უნივერსიტეტში არსებული ფინანსური მენეჯერის პოზიციაზე, რომელიც სტუდენტებთან ინდივიდუალური კომუნიკაციის საფუძველზე, მათზე მორგებულ გადახდის გრაფიკს სთავაზობდა. ფინანსური თვალსაზრისით, კერძო უნივერსიტეტების ნაწილმა პანდემიის პირობებში ახალჩარიცხული სტუდენტებისთვის 30%-იანი შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების სერვისი შექმნა.

მიუხედავად უნივერსიტეტების ძირითადი ნაწილის პოზიტიური გამოცდილებისა, ცალკეულმა აკადემიურმა პერსონალმა ყურადღება გაამახვილა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან ნაკლებად ქმედითი ნაბიჯების გადადგმაზე, რომლებიც, ერთი შეხედვით, თითქოს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მხარდაჭერას ემსახურებოდა, თუმცა, ეფექტიანი და შედეგიანი არ ყოფილა. ერთ-ერთი კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოწვეული ლექტორის გამოცდილებით, უნივერსიტეტმა სტუდენტებს მხოლოდ იმ ფორმით გაუწია მხარდაჭერა, რომ კომპიუტერის არარსებობის შემთხვევაში სტუდენტებს აუდიტორიებში მისვლა და უნივერსიტეტის კუთვნილი კომპიუტერებით სარგებლობა შეეძლოთ. თუმცა, აღნიშნულ შეთავაზებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, რადგან სტუდენტების უმრავლესობა რეგიონებში იყო

წასული და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მისვლას ვერ შეძლებდნენ.

რეგიონულ უნივერსიტეტში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც **უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე დიდი პასუხისმგებლობა ცალკეულმა ლექტორებმა გამოიჩინეს** და თავად დააფინანსეს სტუდენტების ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა, რათა სასწავლო პროცესს არ გამოთიშულიყვნენ.

„უნივერსიტეტი სტუდენტს ფინანსურად დახმარებოდა, ინტერნეტის გადასახადით ან რამე მსგავსი არ მახსენდება. შეიძლება კომპიუტერები მისცეს, მაგრამ სტუდენტები ვერ შემოდიოდნენ ზუმში (Zoom) ლექციაზე, რადგან ინტერნეტი არ ჰქონდათ. მეც მქონია ასეთი შემთხვევა. მე რამდენიმე სტუდენტს დავეხმარე, გადავუხადე ინტერნეტის თანხა, ვინც მაღალმთიან სოფლებში ცხოვრობდა, არ ჰქონდა ინტერნეტი. ლექტორები ყველას ვერ დავეხმარებოდით ბუნებრივია. უნივერსიტეტს რამე ასეთი ექნა არ მახსოვს.“ (პროფესორი, სამართლის მიმართულება, სახელმწიფო უნივერსიტეტი, რეგიონი)

ფინანსურ ხელშეწყობაზე საუბრისას უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, ერთეულ შემთხვევებში გამოხატულმა მხარდაჭერამ, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზით **სტუდენტის სტატუსის შეჩერების პრევენცია ვერ მოახდინა.**

გამოკითხვის ფარგლებში **კოვიდ-19 პანდემიის სასწავლო პროცესზე გავლენის** შესაფასებლად მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ ამ პერიოდში აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე რესპონდენტთათვის შეკითხვების დასმა. ფილტრი კითხვის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ გამოკითხულ სტუდენტთა 29.6% 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით (ანუ კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში) უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი არ ყოფილა. შესაბამისად, 70.4%-ს ამ პერიოდში სტუდენტის აქტიური სტატუსი ჰქონდა.

სამიზნე ჯგუფის რესპონდენტთა უმრავლესობის (53.4%) შეფასებით, უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული **სასწავლო ფორმატი** სრულად (3-ვე სემესტრი) დისტანციური იყო; მესამედს აჭარბებს მათი წილი, ვინც ჰიბრიდული ფორმატით სწავლობდა (39.7%) - ლაბორატორიული სამუშაოები ტარდებოდა უნივერსიტეტში, ხოლო 2.6%-ს კოვიდპანდემიის პირობებში სრულად პირისპირ

რეჟიმში უტარდებოდა ლექცია-სემინარები. რესპონდენტთა 4.3%-მა პასუხზე უარი განაცხადა.

რესპონდენტებს წარედგინათ **დებულებები, რომლებიც პანდემიის პირობებში უნივერსიტეტის ქცევას აფასებდა.**[12] სამიზნე ჯგუფის რესპონდენტთა დომინანტური წილითაა წარმოდგენილი ისეთი დებულებების კატეგორიულად ნეგატიური შეფასება, როგორებიცაა (პასუხის კატეგორია „არასდროს/თითქმის არასდროს“, ქულა 1):

- უნივერსიტეტმა მოწყვლად სტუდენტებს გადასცა ლეპტოპები, რათა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართულიყვნენ - 47.4%
- უნივერსიტეტმა დააფინანსა სოციო-ეკონომიკურად მოწყვლადი სტუდენტების ინტერნეტის პაკეტი - 42.1%
- უნივერსიტეტმა გადაავადა სწავლის გადასახადი - 30.1%
- ცალკეულმა ლექტორებმა, საკუთარი სახსრებით, უზრუნველყვეს სოციო-ეკონომიკურად მოწყვლადი სტუდენტების ინტერნეტის გადასახადის დაფარვა - 39.8%
- უნივერსიტეტმა დააფინანსა სოციო-ეკონომიკურად მოწყვლადი აბიტურიენტების საგამოცდო საგნებში მომზადება - 40.1%

მეორე მხრივ, ყველაზე პოზიტიური შედეგი დაფიქსირდა სასწავლო მასალების ელექტრონიზაციის მიმართულებით - სტუდენტთა 54%-ის გამოცდილებით, უნივერსიტეტმა მსგავს პრაქტიკას ხშირად და რეგულარულად მიმართა (ქულები 4 და 5). ამასთან გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტმა სწავლის გადასახადის 2-ზე მეტ ნაწილად გადახდის შესაძლებლობა შექმნა სტუდენტებისთვის - 42% (პასუხის კატეგორიები „ხშირად“ და „რეგულარულად“, ქულები 4 და 5). ამასთან, სამიზნე რესპონდენტთა 42.1%-ის შეფასებით, ონლაინ პლატფორმაზე ლექცია-სემინარების ჩატარება იშვიათად ან ზოგჯერ (ქულები 2 და 3) მონიტორინგის მიერ მოწმდებოდა. ზემოაღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ უნივერსიტეტმა პანდემიის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია უშუალოდ სასწავლო პროცესს და არა სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართულობას. ზოგად ჭრილში,

[12] შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავს კატეგორიას „არასდროს/თითქმის არასდროს“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „რეგულარულად“.

ამ მხრივ აკადემიური პასუხისმგებლობის გარე კომპონენტები სრულყოფილად ვერ იქნა გაანალიზებული, რადგან უნივერსიტეტმა ვიწრო პერსპექტივით შეაფასა თავისი როლი. თუმცა, ისიც ხაზგასასმელია, რომ სტუდენტებს უშუალოდ სალექციო პერიოდთან კავშირში არმყოფ საკითხებზე კონკრეტული სიხშირის დაფიქსირება გაუჭირდათ.

ცალკეული დებულებების შეფასების დეტალური გადანაწილება იხილეთ ცხრილში #26.

ცხრილი 26 - კოვიდპანდემიის პერიოდში უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების აღმწერი დებულებები

ქვემოთ ჩამოთვლილია დებულებები. გთხოვთ, თითოეულის შემთხვევაში შეაფასოთ რა სიხშირით ფიქსირდება/დაფიქსირდა მსგავსი პრაქტიკა თქვენს უნივერსიტეტში (N=1278)	არასდროს/თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	რეგულარულად	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
უნივერსიტეტმა მოწყვლად სტუდენტებს გადასცა ლეპტოპები, რათა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართულიყვნენ	47.4	7.7	9.2	1.6	6	16.2	11.8
უნივერსიტეტმა გამართული სასწავლო პლატფორმა შესთავაზა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს	18.7	18.7	23	25	10.9	1.2	2.6
დისტანციური სწავლების პერიოდში ონლაინ პლატფორმაზე ლექცია-სემინარების ჩატარება მოწმდებოდა მონიტორინგის მიერ	19.1	22.1	20	19.6	9.7	3.4	6.1
უნივერსიტეტმა დააფინანსა სოციო-ეკონომიკურად მოწყვლადი სტუდენტების ინტერნეტის პაკეტი	42.1	12.3	6.9	7	5.9	11.7	14.1
უნივერსიტეტმა გადაავადა სწავლის გადასახადი	30.1	11.1	14	13.6	11.8	11	8.4
უნივერსიტეტმა სწავლის გადასახადის 2-ზე მეტ ნაწილად გადახდის შესაძლებლობა შექმნა	14.6	10.6	15	25.1	16.8	10.3	7.5
ცალკეულმა ლექტორებმა, საკუთარი სახსრებით, უზრუნველყვეს სოციო-ეკონომიკურად მოწყვლადი სტუდენტების ინტერნეტის გადასახადის დაფარვა	39.8	13.2	6.4	2.5	8.1	13.7	16.2
უნივერსიტეტმა დააფინანსა სოციო-	40.1	10.1	8.2	5	2.9	16.5	17.2

ქვემოთ ჩამოთვლილია დებულებები. გთხოვთ, თითოეულის შემთხვევაში შეაფასოთ რა სიხშირით ფიქსირდება/დაფიქსირდა მსგავსი პრაქტიკა თქვენს უნივერსიტეტში (N=1278)	არასდროს/თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	რეგულარულად	ყარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ეკონომიკურად მოწყვლადი აბიტურიენტების საგამოცდო საგნებში მომზადება							
უნივერსიტეტმა სასწავლო მასალების ელექტრონიზაცია მოახდინა	13.5	13.7	12.6	30.9	23.2	3.2	3
უნივერსიტეტმა სასწავლო ონლაინ პლატფორმის გამოყენების მიზნით ლექტორები გადაამზადა	27	16.3	7.8	14	7	11.5	16.4

უსდ-ის ტიპის ჭრილში საკითხის გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ ორივე ტიპის უნივერსიტეტი უფრო მეტად კონცენტრირდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფაზე, ვიდრე განათლებაზე ხელმისაწვდომობის შექმნაზე. რესპონდენტთა მხრიდან ნეგატიური შეფასებები უფრო სახელმწიფო უნივერსიტეტებს მიემართება.

სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტთა ნახევარი (50.4%) მიიჩნევს, რომ მათ საგანმანათლებლო დაწესებულებას პანდემიის პერიოდში, სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართვის მიზნით, მოწყვლადი სტუდენტებისთვის არასდროს გადაუცია ლეპტოპები. მსგავსი გამოცდილება აქვს კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა მესამედზე მეტს (39.3%). თუმცა, ხაზგასასმელია, რომ ამ ტიპის უნივერსიტეტთა სტუდენტების 16% უნივერსიტეტის მხრიდან მსგავსი აქტივობის ხშირად და რეგულარულად განხორციელებაზე მიუთითებს. სახელმწიფო უნივერსიტეტის დონეზე მაჩვენებელი მხოლოდ 4.6%-ს უტოლდება.

პოზიციურად იდენტური მდგომარეობა გამოიკვეთა ისეთი გარე აქტივობების განხორციელებისას, როგორებიცაა სოციო-ეკონომიკურად მოწყვლადი სტუდენტების ინტერნეტ პაკეტის და ამავე ჯგუფის წარმომადგენელ აბიტურიენტთა საგამოცდო საგნებში მომზადების დაფინანსება. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა 43.5%-ის გამოცდილებით, უსდ-ს სტუდენტთა ინტერნეტ პაკეტი არ დაუფინანსებია. პოზიციას იზიარებს კერძო უნივერსიტეტების სტუდენტების 38.2%-

იც. თუმცა, აქაც, პოზიტიურ გამოცდილებაზე კერძო უნივერსიტეტის ჭრილში უფრო განიხილავენ, ვიდრე - სახელმწიფოსი (პასუხის კატეგორიები „ხშირად“ და „რეგულარულად“): სახელმწიფო უნივერსიტეტი - 11%, კერძო უნივერსიტეტი - 17.9%.

გამოკითხვამ ცხადყო, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტები მეტად მოქნილნი აღმოჩნდნენ სწავლის გადასახადის გაყოფასთან დაკავშირებით. სახელმწიფო უსდ-ში გამოკითხულთა 44.6% მიუთითებს, რომ დაწესებულებამ ხშირად და რეგულარულად შექმნა შესაძლებლობა, რომ გადასახადი 2-ზე მეტად ნაწილად გაყოფილიყო. მსგავს პრაქტიკაზე კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა 34.9% მიუთითებს (იხ. ცხრილი #27).

ცხრილი 27 - კოვიდპანდემიის პერიოდში უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების აღმწერი დებულებები (უსდ-ის ტიპის ჭრილში)

ქვემოთ ჩამოთვლილია დებულებები. გთხოვთ, თითოეულის შემთხვევაში შეაფასოთ რა სიხშირით ფიქსირდება/დაფიქსირდა მსგავსი პრაქტიკა თქვენს უნივერსიტეტში (%) (უსდ-ის ტიპის ჭრილში) (N=1278)	უსდ-ის ტიპი	არასდროს/თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	რეგულარულად	ყარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
უნივერსიტეტმა მოწყვლად სტუდენტებს გადასცა ლეპტოპები, რათა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართულიყვნენ ($X^2$94.686, p<0.05)	სახელმწიფო უნივერსიტეტი	50.4	5.3	11.4	1.1	3.5	17	11.3
	კერძო უნივერსიტეტი	39.3	14	3.4	3.1	12.8	14.2	13.1
უნივერსიტეტმა გამართული სასწავლო პლატფორმა შესთავაზა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს (X^2=79435, p<0.05)	სახელმწიფო უნივერსიტეტი	20.5	20.4	23.2	25.8	6.8	0.4	2.8
	კერძო უნივერსიტეტი	13.9	14.2	22.4	22.7	21.5	3.1	2.3
დისტანციური სწავლების პერიოდში ონლაინ	სახელმწიფო უნივერსიტეტი	20.6	22.3	22.4	18.7	7.4	2.5	6.2

ქვემოთ ჩამოთვლილია დებულებები. გთხოვთ, თითოეულის შემთხვევაში შეაფასოთ რა სიხშირით ფიქსირდება/დაფიქსირდა მსგავსი პრაქტიკა თქვენს უნივერსიტეტში (%) (უსდ-ის ტიპის ჭრილში) (N=1278)	უსდ-ის ტიპი	არასდროს/თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	რეგულარულად	ყარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
პლატფორმაზე ლექცია-სემინარების ჩატარება მოწმდებოდა მონიტორინგის მიერ (X^2=42894, p<0.05)	კერძო უნივერსიტეტი	15.1	21.3	13.9	21.9	15.9	6	6
უნივერსიტეტმა დააფინანსა სოციო-ეკონომიკურად მოწყვლადი სტუდენტების ინტერნეტის პაკეტი (X^2=67860, p<0.05)	სახელმწიფო უნივერსიტეტი	43.5	13.9	6.6	8.1	2.9	11.2	13.7
	კერძო უნივერსიტეტი	38.2	8.2	7.6	4	13.9	13	15
უნივერსიტეტმა გადაავადა სწავლის გადასახადი (X^2=29994, p<0.05)	სახელმწიფო უნივერსიტეტი	30.3	10.9	16.1	12.6	10.5	9.7	9.8
	კერძო უნივერსიტეტი	29.2	11.3	8.8	16.1	15.3	14.4	4.8
უნივერსიტეტმა სწავლის გადასახადის 2-ზე მეტ ნაწილად გადახდის შესაძლებლობა შექმნა (X^2=29284, p<0.05)	სახელმწიფო უნივერსიტეტი	15.4	8.6	15	27.8	16.8	9.1	7.2
	კერძო უნივერსიტეტი	12.2	15.9	15.1	18.2	16.8	13.6	8.2
ცალკეულმა ლექტორებმა, საკუთარი სახსრებით, უზრუნველყვეს სოციო-ეკონომიკურად მოწყვლადი სტუდენტების ინტერნეტის გადასახადის დაფარვა (X^2=28008, p<0.05)	სახელმწიფო უნივერსიტეტი	43.5	12.6	6	3	7.1	12.3	15.4
	კერძო უნივერსიტეტი	29.9	14.5	7.7	1.1	10.8	17.7	18.2
უნივერსიტეტმა დააფინანსა სოციო-ეკონომიკურად მოწყვლადი აბიტურიენტების საგამოცდო საგნებში მომზადება (X^2=82921, p<0.05)	სახელმწიფო უნივერსიტეტი	44.8	10.3	8.1	4.8	0.6	15	16.4
	კერძო უნივერსიტეტი	27.8	9.7	8.5	5.7	8.8	20.2	19.3
უნივერსიტეტმა სასწავლო მასალების ელექტრონიზაცია	სახელმწიფო უნივერსიტეტი	15.3	13	9.6	33.4	23.7	2.1	3

ქვემოთ ჩამოთვლილია დებულებები. გთხოვთ, თითოეულის შემთხვევაში შეაფასოთ რა სიხშირით ფიქსირდება/დაფიქსირდა მსგავსი პრაქტიკა თქვენს უნივერსიტეტში (%) (უსდ-ის ტიპის ჭრილში) (N=1278)	უსდ-ის ტიპი	არასდროს/თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	რეგულარულად	ყარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
მოახდინა (X^2=56924, p<0.05)	კერძო უნივერსიტეტი	8.5	15.6	20.5	24.1	21.9	6.5	2.8
უნივერსიტეტმა სასწავლო ონლაინ პლატფორმის გამოყენების მიზნით ლექტორები გადაამზადა (X^2=30851, p<0.05)	სახელმწიფო უნივერსიტეტი	29.2	15.2	7.7	15.7	5.2	11.1	16
	კერძო უნივერსიტეტი	21.4	19.1	8	9.7	11.7	12.5	17.7

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, თითქმის თანაბარია იმ სტუდენტთა წილი, ვინც **უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ აქტივობებს პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით ეფექტიანად (35.7%; ქულები 4 და 5) ან არაეფექტიანად (34.1%; ქულები 1 და 2) აფასებს.**[13] მნიშვნელოვანია ისიც, რომ, ყოველი მეათე გამოკითხულის აზრით (10.6%), უნივერსიტეტმა სასწავლო პროცესი კოვიდპანდემიის პირობებში ძალზე არაეფექტიანად მართა. სტუდენტთა მეოთხედმა კი (24.3%) შუალედური პოზიცია დაიკავა და არცერთი პოლუსური მხარისკენ არ გადაიხარა (ქულა 3) (იხ. დიაგრამა #9).

დიაგრამა 9 - კოვიდპანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მხრივ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობის შეფასება

[13] შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავს კატეგორიას „ძალზე არაეფექტიანად“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „ძალზე ეფექტიანად“.



უსდ-ის ტიპის ჭრილში საკითხის გაანალიზებისას ლოგიკურია გამოკვეთილი შედეგი. როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები უფრო სკეპტიკურად არიან განწყობილნი და შედარებით ნეგატიურად აფასებენ უნივერსიტეტის საქმიანობას პანდემიის პერიოდში. ამავეს მოწმობს წარმოდგენილი შედეგი, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტთა მესამედზე მეტის აზრით (38.4%), პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მხრივ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობები არაეფექტიანია (ქულები 1 და 2). კერძო უნივერსიტეტების შემთხვევაში მაჩვენებელი მეხუთედს აღემატება (22.8%). თუმცა, ხაზგასასმელია, რომ ამ ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა დომინანტური შეფასება პოზიტიურ ველში ექცევა - 39.3% განხორციელებულ აქტივობებს ეფექტიანად აფასებს (ქულები 4 და 5; სახელმწიფო უნივერსიტეტი - 34.3%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=75177, p<0.05) (იხ. დიაგრამა #10).

დიაგრამა 10 - კოვიდპანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მხრივ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობის შეფასება (უსდ-ის ტიპის ჭრილში)



სასწავლო საფეხურების ჭრილში საკითხის გაანალიზების შედეგად სტატისტიკურად სანდო განსხვავებები გამოვლინდა (X^2=37705, p<0.05). ბაკალავრიატის სტუდენტები, მაგისტრანტებისგან განსხვავებით, უფრო ნეგატიური შეფასების ველში ექცევიან - მესამედზე მეტი (37%) მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობები პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მხრივ არაეფექტიანი იყო (ქულები 1 და 2). მეორე მხრივ, მაგისტრანტს სტუდენტთა 39.6% უნივერსიტეტის საქმიანობას/მიდგომებს პოზიტიურად აფასებს (ქულები 4 და 5). მსგავსი შედეგი შესაძლოა სამიზნე ჯგუფების განსხვავებული ცხოვრების წესს უკავშირდებოდეს. მეტად მოსალოდნელია, რომ მაგისტრანტები დასაქმებულნი იყვნენ ანაზღაურებად სამსახურში, რომელიც სრულ ან ნახევარ განაკვეთზე სამუშაო ადგილზე ყოფნას მოითხოვს. ის ფაქტი, რომ პანდემიის პირობებში სალექციო-სასემინარო საქმიანობამ დისტანციურ ფორმატზე გადაინაცვლა, შესაძლოა პოზიტიურად აისახა მაგისტრანტებისთვის სამუშაოსა და სწავლის შეთავსებაზე. სავარაუდოა, რომ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების, ძირითადად, პოზიტიურად შეფასებას სწორედ ეს საფუძველი უდევს - მაგისტრანტებისთვის შესაძლებელი გახდა სწავლისა და სამსახურის უკეთ შეთავსება, რამდენადაც ლექციებზე ფიზიკურად არ უწევდათ სააუდიტორიო სივრცეში ყოფნა (იხ. დიაგრამა #11).

დიაგრამა 11 - კოვიდპანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მხრივ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობის შეფასება (სასწავლო საფეხურის ჭრილში)



როგორც გამოიკვეთა, ბიზნესის/ეკონომიკის, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ტექნიკური **მიმართულებების** სტუდენტთა ძირითადი ნაწილი პანდემიის პირობებში უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ აქტივობებს პოზიტიურად აფასებს (ქულები 4 და 5).

- ბიზნესი/ეკონომიკა - 42.2%
- სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები - 37.3%
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ტექნიკური მიმართულებები - 34.8%

როგორც ჩანს, მათ სასწავლო მიმართულებაზე არსებული პროგრამები/კურსები შედარებით ადვილად მოდიფიცირებადი გახდა დისტანციურ რეჟიმზე. ამ მიმართულებებისთვის რაც შეიზღუდა საველე პრაქტიკას უკავშირდებოდა, რომლის განხორციელებაც ჰიბრიდულ რეჟიმზე გადასვლის შემდეგ კვლავ შესაძლებელი გახდა. მეორე მხრივ, სამედიცინო და სახელოვნებო მიმართულებები, რომლებიც უმეტესწილად პრაქტიკულ აქტივობებზე/სასწავლო კურსებზეა აგებული, მეტად დაზარალდა პანდემიის პირობებში. შესაძლოა უნივერსიტეტმა უზრუნველყო პროგრამების, სასწავლო მასალების გაციფრულება და სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართულობას შეუწყო ხელი, თუმცა, როგორც ჩანს, ცოდნის გადაცემის თვალსაზრისით, გაწეული ღონისძიებები სტუდენტთა ძირითადი ნაწილისთვის

საკმარისი არ აღმოჩნდა. შესაძლოა სწორედ ამით იყოს განპირობებული ის შედეგი, რომ სამედიცინო მიმართულების სტუდენტთა 47% და სახელოვნებო მიმართულების სტუდენტების 36% უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ აქტივობებს პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მხრივ არაეფექტიანად აფასებს (ქულები 1 და 2) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=120622, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #28).

ცხრილი 28 - კოვიდპანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მხრივ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობის შეფასება (სასწავლო მიმართულების ჭრილში)

ზოგადად, რამდენად ეფექტიანად შეაფასებდით უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ აქტივობებს პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მხრივ? (სასწავლო მიმართულებების ჭრილში) (%) (N=1278)	ბიზნესი / ეკონომიკა	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები	ზუსტ და საბუნებისმეტყველო / ტექნიკური მიმართულებები	სამედიცინო მიმართულება	სახელოვნებო მიმართულება
ძალზე არაეფექტიანად	15.2	9.3	8.2	12.4	12
მეტწილად არაეფექტიანად	10	25.6	20.8	34.6	24
თანაბრად	29.9	25.1	20.4	21.7	24
მეტწილად ეფექტიანად	27.5	30.3	32	18	28
ძალზე ეფექტიანად	14.7	7	4.8	6	8
უარი პასუხზე	-	-	1.5	1.4	4
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	2.8	2.7	12.3	6	-

განურჩევლად აკადემიური სტატუსისა, ყველა რესპონდენტის საერთო შეფასება შემდეგია, რომ **კორონავირუსმა და დისტანციურმა სწავლებამ ნეგატიური გავლენა იქონია სწავლა-სწავლების პროცესზე.** მსგავსი შეფასება განსაკუთრებით მიემართება პრაქტიკულ საგნებს და ისეთ პროგრამებს, რომლებიც ლაბორატორიულ სამუშაოებს მოიცავს. ამდენად, ამ ნეგატიურ შედეგზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს სამედიცინო და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულების წარმომადგენლებმა. თუმცა, თითქმის ყველა რესპონდენტის შეფასებით, დისტანციური სწავლების ფორმატში სასწავლო პროცესი შინაარსობრივად დაზარალდა. ამასთან, თბილისის უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, მათ შორის კი განსაკუთრებით კერძო უნივერსიტეტებმა, მეტად მოახერხეს აკადემიურის მიღმა სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზება, რადგან ორიენტირი მოწყვლადი სტუდენტებისა და აბიტურიენტებისკენ მიმართეს, რითაც

როგორც აკადემიურ, ისე, ზოგადად, საზოგადოებაში საკუთარი როლი მეტად გამოკვეთეს.

2.3. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ექსტერნალური (უნივერსიტეტსგარე) კომპონენტების შეფასება

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალურ ფაქტორებთან ერთად, კვლევის ფარგლებში ექსტერნალური კომპონენტების რეალიზების დონეც გაანალიზდა. უფრო კონკრეტულად, უნივერსიტეტსგარე თანამშრომლობის შემდეგი დონეები შეფასდა: ა) სოციალური და გარემოსდაცვითი აქტივობები, ბ) ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურთან კავშირი, გ) ბიზნეს სექტორთან (პოტენციურ დამსაქმებლებთან) კავშირი, დ) კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა, ე) განათლების ინტერნაციონალიზაცია (სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა).

გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტთა მეათედზე მეტი, მიიჩნევს, რომ როდესაც საუბარია **გარე აქტორებთან თანამშრომლობის გზით აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზებაზე, ამ შემთხვევაში დომინანტური სუბიექტი/ჯგუფი შემდეგია:**

- ბიზნეს სექტორი/პოტენციური დამსაქმებლები - 16.5%
- არასამთავრობო ორგანიზაციები - 11.4%
- საერთაშორისო დონეზე მოქმედი უნივერსიტეტები - 10.7%
- განათლების სამინისტრო - 10%

გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა მცირე წილი მოიაზრებს გარე აქტორებად ადგილობრივ თემს (6.2%), ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურს (7%) და კურსდამთავრებულებს (8.3%), რაც რეალურად ექსტერნალური კომპონენტების რეალიზების ძირითად სუბიექტებად/ჯგუფებადაც კი შეგვიძლია განვიხილოთ (იხ. დიაგრამა #12).

დიაგრამა 12 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების მხრივ გარე აქტორების იდენტიფიცირება



მსგავსი შედეგი კიდევ ერთხელ გამოკვეთს, რომ სტუდენტებს შედარებით ზედაპირული ცოდნა აქვთ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის და მისი რეალიზების სფეროების შესახებ.

2.3.1. სოციალური და გარემოსდაცვითი აქტივობები

როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უნივერსიტეტების ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ძირითადი ნაწილი მიუთითებს, რომ **სმენია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული სოციალური და გარემოსდაცვითი აქტივობების შესახებ.** ინფორმირებულობის დონე ფარავს სხვის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში კონკრეტული უნივერსიტეტების ჩართულობას. ინფორმაციის მიღების წყარო, ერთი მხრივ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებ-გვერდია, ხოლო, მეორე მხრივ, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელიც ელექტრონულ ფოსტაზე აქტივობების შესახებ ინფორმაციას აზიარებს. ამასთან, მსგავსი აქტივობები, რესპონდენტთა შეფასებით, ძირითადად, სტუდენტების ინიციატივით ხდება, რაშიც უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულებები მხარდაჭერას უცხადებენ და შესაბამისი რესურსის გამოყოფით ეხმარებიან კიდეც.

შეიძლება ითქვას, რომ **კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის სოციალური და გარემოსდაცვითი პროექტების მხრივ მკვეთრად განსხვავებული გამოცდილება არ დაფიქსირებულა.** ორივე შემთხვევაში მსგავსი ტიპის აქტივობების ორგანიზებისას მნიშვნელოვნად განისაზღვრა **სტუდენტური თვითმმართველობის** როლი. დასახელებულ ღონისძიებებში, ძირითადად, გამოიყო: დასუფთავების აქციები, ხეების დარგვა, გარემოსდაცვით საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული პროექტები - მაგალითად, დედამიწის დღესთან ან გარემოსდაცვის დღესთან დაკავშირებით და ა.შ. შესამჩნევია, რომ რესპონდენტთა მხრიდან აქცენტი უფრო გარემოსდაცვით ღონისძიებებზე გაკეთდა, ვიდრე სოციალურზე. ერთეული შემთხვევებისას კი, ყურადღება გამახვილდა ისეთ აქტივობებზეც, როგორებიცაა განათლების ხელშეწყობა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, სისხლის დონაცია. ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, კერძო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა უკრაინელი ხალხისა და თურქეთის მიწისძვრის დროს დაზარალებული ადამიანების დახმარებაზე. სოციალური შინაარსის ღონისძიებებში დასახელდა ხანდაზმულთა თავშესაფრებისა და ბავშვთა სახლებში სტუმრობა და მათთვის გარკვეული მატერიალური დახმარების (საკვები, ტანსაცმელი და ა.შ.) მიწოდება.

ამასთან, სოციალურ თემებზე მსჯელობისას ყურადღების მიღმა არ დარჩენილა კორონავირუსით გამოწვეული საკითხები საზოგადოებასა და უშუალოდ აკადემიაში. რესპონდენტთა ნაწილმა ყურადღება გაამახვილა ამ პერიოდში **უნივერსიტეტის ჩართულობაზე, ერთი მხრივ, მიეღო ინფორმაცია და მონიტორინგი გაეწია ლექტორების ვაქცინაციისთვის** - ვინ იყო ვაქცინირებული, ვინ არა, ხოლო, მეორე მხრივ, საუნივერსიტეტო სივრცეში ჩატარდა **ვაქცინაციის კამპანიის ღონისძიებები,** როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ისე სტუდენტების მხარდაჭერისა და ვაქცინაციის ეფექტიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ კოვიდპანდემიის პერიოდში უფრო მეტად გაცნობიერებულად მოხდა უნივერსიტეტების სოციალურ აქტივობებში ჩართულობა,

რაც პირდაპირ საზოგადოების კეთილდღეობაზე იყო ორიენტირებული. ჯანდაცვის მიმართულებით სპეციალიზებული უნივერსიტეტების სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ ვაქცინაციის მხარდამჭერ პროცესებში, თავად ატარებდნენ კამპანიებს, მუშაობდნენ სასწრაფო დახმარების ჯგუფებთან სანიტრებად, მონაწილეობდნენ უშუალოდ ვაქცინაციის პროცესში როგორც სამედიცინო დაწესებულებებში, ისე ოჯახებში ვიზიტებისას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე მსჯელობისას მხოლოდ ერთეული შემთხვევა იყო, ისიც სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების მოწვეული ლექტორების მხრიდან, როცა ამ კონტექსტში ყურადღება გამახვილდა **სტუდენტების საპროტესტო აქციებში** მონაწილეობასა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ უნივერსიტეტის პოზიციონირებაზე.

„უნივერსიტეტი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს სხვადასხვა სამოქალაქო ჯგუფს, ასევე შიდა დონეზე აკეთებს კლუბებს, რომლებიც შემდეგ გარე სივრცეში აორგანიზებენ ასეთი ტიპის აქციებს თუ წინააღმდეგობებს, თუ ა.შ ეს ფუნქცია, მგონია, რომ გააზრებული აქვს. ამ უნივერსიტეტის სტუდენტები, გარკვეული სტუდენტების ჯგუფები ძირითად სამოქალაქო, პროტესტულ მოძრაობებში მუდმივად ჩართულნი არიან.“ (მოწვეული ლექტორი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულება, კერძო უნივერსიტეტი, თბილისი)

მიუხედავად ზემოთ განხილული აქტივობებისა, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტების ჩართულობა სოციალურ და გარემოსდაცვით აქტივობებში გასაძლიერებელია. სამწუხაროდ, ხშირია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხოლოდ ერთჯერადი ჩართულობა მსგავსი ტიპის ღონისძიებებში, რაც შესაძლოა მოვალეობის მოხდად უფრო ჩაითვალოს, ვიდრე ნებაყოფლობით მონაწილეობად. მსგავსი ფაქტები აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზებად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული, რადგან ასეთი ტიპის ჩართულობის დროს უნივერსიტეტს გააზრებული არ აქვს საკუთარი დანიშნულება და როლი, ეს მხოლოდ მექანიკური აქტივობებია.

2.3.2. ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურთან კავშირი

ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურთან კავშირის თვალსაზრისით, კვლევაში ჩართული თითოეული უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა უნივერსიტეტში **ღია კარის დღეების** პრაქტიკას, როდესაც სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, საუნივერსიტეტო სივრცე დაათვალიერონ, მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა სასწავლო პროგრამის შინაარსის შესახებ. ამასთან, რეგიონული და თბილისის უნივერსიტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ყურადღებას ამახვილებს სკოლის მოსწავლეებთან **საერთო პროექტებზე,** რაც ძირითადად, ოლიმპიადებითა თუ ვიქტორინებით შემოიფარგლება. ხშირია უნივერსიტეტის მხრიდან სკოლის მოსწავლეებისთვის მხოლოდ **სივრცის დათმობის პრაქტიკა** და ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურთან ე.წ. „თანამშრომლობა“ ამით შემოიფარგლება.

„პირველი არის: მათემატიკაში ოლიმპიადებს ვატარებთ ჩვენს რეგიონში, სკოლებში. უნივერსიტეტი არის ამისი ორგანიზატორი. სკოლებიდან მოდიან ბავშვები, ყველა სკოლიდან. გამარჯვებულებსაც უნივერსიტეტი აჯილდოებს. მეორე პროექტი გვაქვს: სკოლის მოსწავლის თვალით დანახული აგრარული პრობლემები. ეს არის აგრონომიის მიმართულებით ძალიან კარგი პროექტი. ბავშვები სასწაულ თემებს აკეთებენ, გამოდიან და მერე სტუდენტებიც წარადგენენ თემებს. ეს ბავშვებიც მერე ჩვენგან წახალისდებიან და მომავალში ისინი გვიბრუნდებიან სტუდენტებად.“ (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, რეგიონი)

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების ძირითადი ნაწილის შეფასებით, სკოლების მოსწავლეებსა და მასწავლებლებთან შეხვედრები ზოგჯერ სკოლაშივე ხდება, ზოგჯერ კი საუნივერსიტეტო სივრცეში. ხშირად მსგავსი შეხვედრა **საგანმანათლებლო მიზნითაა** განპირობებული - მოსწავლეები ინფრასტრუქტურის დათვალიერებისას, ლაბორატორიულ სამუშაოებს ესწრებიან, მასწავლებლებს, უწყვეტი განათლების ცენტრის ეგიდით, განმავითარებელი ტრენინგები უტარდებათ. ამასთან, ერთ-ერთ კერძო უნივერსიტეტს აქვს პროექტი სახელწოდებით „ბიზნეს ანბანი“, რომელიც გულისხმობს სკოლის მოსწავლეებისთვის ბიზნესის, მისი მიმართულებების, მუშაობის სპეციფიკის შესახებ 20 საათიანი ტრენინგ მოდულის ჩატარებას. პროექტი მიზნად ისახავს, მოსწავლეებმა

ადრეულ ასაკშივე გააცნობიერონ, თუ რას ნიშნავს არასწორი ბიზნეს გადაწყვეტილება, დაბანდება და ა.შ. რესპონდენტის შეფასებით, აღნიშნული პროგრამა არ გულისხმობდა აბიტურიენტების უნივერსიტეტით დაინტერესებას და არ ჰქონდა მას რეკლამის/პოპულარიზაციიის კონტექსტი, არამედ სრულად შინაარსობრივ მხარეზე იყო ორიენტირებული. ამდენად, განსაზღვრულია, როგორც სოციალური პროექტი, რომელიც ტარდებოდა უსასყიდლოდ და ბიზნესის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე იყო ორიენტირებული.

ერთ-ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ისაუბრა სკოლის მოსწავლეებისთვის **აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ჩატარებულ ტრენინგებზე,** რაც მნიშვნელოვანია, როგორც სასკოლო ისე საუნივერსიტეტო საფეხურისთვის, ნებისმიერი სივრცისთვის, რაც მეცნიერებას, ცოდნის გენერირებასა და გავრცელებას მოიაზრებს. ამასთან, ხაზი გაესვა უნივერსიტეტში **საშაბათო და საკვირაო სკოლების** არსებობას, სადაც, ძირითადად, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით დაინტერესებულ მოსწავლეებს უსასყიდლოდ უტარდებათ ლექციები შესაბამის საგნებში (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია და ა.შ.). ამასთან, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უნივერსიტეტების წარმომადგენელთა შეფასებით, სკოლებთან თანამშრომლობის ეტაპზე სტუდენტებიც არიან ჩართულნი, თუმცა ამ შემთხვევაშიც სასწავლო საფეხურებს შორის კავშირი უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მის პოპულარიზაციას გულისხმობს. ზოგი უნივერსიტეტი სასკოლო ოლიმპიადებისა თუ სხვადასხვა ვიქტორინაში გამარჯვებულებს სწავლას უფინანსებს ან გარკვეულ ფასდაკლებას უკეთებს. ცხადია, აღნიშნული ქმედებაც უნივერსიტეტის პოპულარიზაციისთვის და იმიჯისთვის კეთდება, რაშიც სოციალურობის კომპონენტი თითქმის არ არსებობს. მსგავს ლოგიკას ისიც ამაგრებს, რომ ასეთი შეთავაზებები, ძირითადად, კერძო უნივერსიტეტებს აქვთ, სადაც სწავლის გადასახადი იმდენად მაღალია, რომ სოციალურად მოწყვლადი კატეგორიისთვის ამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღება ხელმისაწვდომი მაინც არ/ვერ გახდება.

სოციალურ კომპონენტზე მსჯელობისას, ერთ-ერთი კერძო უნივერსიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა პანდემიის პერიოდში განხორციელებულ მასშტაბურ პროექტზე, რომელიც საქართველოს

მასშტაბით 611 სოციალურად მოწყვლადი აბიტურიენტისთვის **ინტერნეტის საფასურის დაფინანსებას** გულისხმობდა. ამასთან, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მოსწავლეებს ერთიან ეროვნულ გამოცდაზე **ჩასაბარებელ საგნებში უსასყიდლოდ ეხმარებოდა/ამზადებდა.** მსგავსი ტიპის მხარდაჭერა გაეწიათ მაგისტრანტობის მსურველებსაც საგამოცდო ტესტის ოთხივე ნაწილში: ანალიტიკური წერა, წაკითხულის გააზრება, ლოგიკა და რაოდენობრივი მსჯელობა. მსგავსი პრაქტიკა შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების ფაქტი, რადგან ხელს უწყობდა მოწყვლადი ჯგუფებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობას, რაც, როგორც ტერმინის დეფინიციისასაც განისაზღვრა უნივერსიტეტის ერთ-ერთ ორიენტირს უნდა წარმოადგენდეს.

ზოგიერთი აკადემიური პერსონალის შეფასებით, უნივერსიტეტს ერთგვარად აღებული აქვს პასუხისმგებლობა, **ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის დასრულების შემდეგ არსებული ხარვეზები, ჩავარდნები ამოავსოს** - პირველ კურსზე ისეთ საგნებს სთავაზობს სტუდენტებს, რაც სასკოლო საფეხურზე დაფარული უნდა იყოს - *„უნივერსიტეტს აქვს აღებული პასუხისმგებლობა რომ ლიტერატურა იქნება ეს, თუ ლოგიკა, თუ მსგავსი ტიპის საგნები, რომლებიც იდეაში არის ზოგადი განათლების საბაზისო საფეხურზე სასწავლი, ეგ აღებული აქვს, რომ აქეთ [შენიშვნა: საუნივერსიტეტო საფეხურზე] ისწავლოს.“ (მოწვეული ლექტორი, ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულება, კერძო უნივერსიტეტი, თბილისი).* მსგავს საკითხზე, ძირითადად, კერძო უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა გაამახვილა ყურადღება. მათი შეფასებით, უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა და ფუნქცია ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურთან მიმართებით სწორედ იმაში იკვეთება, რომ დააკომპენსიროს სკოლის ჩავარდნები, რაც სტუდენტების ისეთ მიღწევებზე აისახება, როგორებიცაა ტექსტების გააზრება, არგუმენტირებული მსჯელობა, ინფორმაციის სინთეზი და რეფლექსია და ა.შ. რესპონდენტთა ნაწილის აზრით, უნივერსიტეტი გადაიქცა მაკომპენსირებელ ძალად. მსგავსი პრობლემების გადაწყვეტა რესპონდენტთა შეფასებით, ეროვნული პოლიტიკის დონეზე უნდა ხდებოდეს და არა - ცალკეული სკოლისა თუ უნივერსიტეტის დონეზე. უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტის შეფასებით, ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურთან

კავშირით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოირჩევა, რადგან იგი პედაგოგიური უნივერსიტეტის საფუძველზე შეიქმნა.

საბოლოოდ, ინტერვიუების რესპონდენტთა შეფასებით, შეიძლება ითქვას, რომ იმ ფორმის თანამშრომლობა, რასაც უნივერსიტეტი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურთან ამყარებს, **აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზებას ნაკლებად ემსახურება,** უფრო დიდი ყურადღება უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, მის პოპულარიზაციას ეთმობა. მსგავსი ტიპის ურთიერთობების ბირთვს აბიტურიენტების მოზიდვა წარმოადგენს და არა თუნდაც არაფორმალური განათლების ხელშეწყობა ან მოწყვლადი ჯგუფებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა. მსგავსი პოზიცია აქვთ უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტებსაც - მათი აზრით, უნივერსიტეტები სკოლებთან საერთო პროექტებს ახორციელებენ, თუმცა ორგანიზებული სახე არ აქვს, გაფანტულია ეს პროექტები და მთლიანობაში რა მიზანს ემსახურება, ამის იდენტიფიცირება რთულია. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ თუკი იარსებებს მსგავსი აქტივობების შემოწმების მონიტორინგი, თანამშრომლობა გაუმჯობესდება. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა ნებაყოფლობითი კონცეფციაა, როდესაც უნივერსიტეტი, საკუთარი ნებით ახორციელებს საზოგადოების კეთილდღეობაზე ორიენტირებულ აქტივობებს, ამ შემთხვევაში კი თანამშრომლობს ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურთან, რათა აკადემიაში გენერირებული ცოდნა ხელმისაწვდომი გახადოს ყველასთვის, მათ შორის სკოლის მოსწავლეებისთვის.

2.3.3. ბიზნეს სექტორთან კავშირი

კვლევამ გამოკვეთა, რომ პოტენციურ დამსაქმებლებთან, ანუ ბიზნეს სექტორთან, თანამშრომლობის აუცილებლობა თითოეული სასწავლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტითაა გაწერილი. ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობა პროგრამის შექმნის დონეზე გულისხმობს კურსდამთავრებულებისთვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების განსაზღვრას.

პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის კუთხით კვლევაში ჩართული თითოეული უნივერსიტეტი გამოირჩევა **დასაქმების ფორუმების** გამართვით, რაც კარიერული განვითარების ცენტრის მიერ არის ხოლმე ორგანიზებული. ამასთან, სწორედ ეს სტრუქტურა აწვდის თითოეულ **სტუდენტს ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას,** ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზეც იდება და ახლდება ხოლმე. კარიერული განვითარების ცენტრი სტუდენტებს ეხმარება CV-ის, სამოტივაციო წერილის მომზადებაში, უვითარებს უნარებს თუ როგორ გაიარონ გასაუბრება, როგორ შეადგინონ თავიანთი პორტფოლიო. როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების ძირითადი ნაწილის შეფასებით, კარიერული განვითარების ცენტრის მიერ გაგზავნილი ვაკანსიები ქაოტურია და მათი სტუდენტის სასწავლო პროგრამის მიხედვით დიფერენციაცია არ ხდება - *„შედიხართ პორტალზე და მოგდით ვაკანსიები, ოღონდ მანდაც ერთი საკითხია, რაც ჩემთვის პრობლემურია - ვფიქრობ, ფსიქოლოგს არ უნდა მიუვიდეს ბანკში გასაუბრებაზე ვაკანსია. ამის დარგობრივად დაყოფა რომ ხდებოდეს, ძალიან კარგი იქნებოდა. ქაოტურად მიდის ყველა სტუდენტთან ყველა ვაკანსია.“ (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი).*

ინტერვიუების ფარგლებში, ერთი მხრივ, გამოიკვეთა კურსდამთავრებულების დასაქმების მიზნით პოტენციურ დამსაქმებლებთან კონტაქტის გამოცდილება, ხოლო, მეორე მხრივ, ხაზი გაესვა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებაზე სავალდებულო სტაჟირებას სხვადასხვა კომპანიაში, რის გარეშეც სტუდენტს ბაკალავრის ხარისხი არ მიენიჭება. რესპონდენტთა ძირითადი ნაწილის შეფასებით, უნივერსიტეტი, ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, ცდილობს რაც შეიძლება მეტი ვაკანსიის შესახებ მოიპოვოს ინფორმაცია, რომ სტუდენტს არჩევანის გაკეთება მისთვის სასურველ პოზიციაზე შეეძლოს. ადმინისტრაციული პერსონალის ინფორმაციით, გაფორმებული მემორანდუმები კონცეპტუალურად გულისხმობს სასწავლო პროგრამაზე ერთობლივ მუშაობასა და სტუდენტების კომპანიებში გადანაწილებას, მათ შორის სტაჟირების ფარგლებში.

„აკრედიტაციის ფარგლებში პროგრამის განსაუმჯობესებლად გავაახლეთ 10–12 კურსი და შევქმენით 7–8 ახალი კურსი, რომლებიც სრულად კომპანიების ჩართულობით შეიქმნა. იყო შემთხვევები, როდესაც კომპანიამ თავისი ტრენინგ მოდული გაგვიზიარა და ტრენინგ მოდულს დავაშენეთ კურსი. აი ამ კურს თუ დახურავდნენ, მაგალითად, ექვს თვიანი სტაჟირების ნაცვლად, სამ თვიან სტაჟირებას გაივლიდა ჩვენი სტუდენტი. შესაბამისად უფრო მალე შეძლებდა მის სამსახურში აყვანას.“ (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, კერძო უნივერსიტეტი, თბილისი)

უნივერსიტეტთა ძირითადი ნაწილის ხარისხის უზრუნველყოფის მართვის სამსახურის წარმომადგენელთა შეფასებით, მათ აქვთ, ერთი მხრივ, **დამსაქმებლების, ხოლო, მეორე მხრივ, კურსდამთავრებულების ბაზა,** რომელზეც პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებს მიუწვდებათ ხელი და უნივერსიტეტის გავლით, კურსდამთავრებულებს სხვადასხვა სამუშაო პოზიციას სთავაზობენ.

გამოკითხვის ფარგლებში სტუდენტების თანაბარი წილი მიიჩნევს (საშუალოდ 28%), რომ ამჟამად მათ უნივერსიტეტსა და ბიზნეს სექტორს შორის ურთიერთობა პასიურია (28.4%, ქულები 1 და 2) ან აქტიურია (28.2%, ქულები 4 და 5).[14] ის ფაქტი, რომ, ერთი მხრივ, რესპონდენტთა მეოთხედი (24.8%) შუალედურ პოზიციას იკავებს და არცერთი პოლუსური დამოკიდებულებისკენ არ იხრება, ხოლო, მეორე მხრივ, გამოკითხულთა 15.5%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა, შესაძლოა მიუთითებდეს, რომ უნივერსიტეტებისა და პოტენციური დამსაქმებლების თანამშრომლობა მკაფიო და სტუდენტებისთვის ნაცნობი არ არის; შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ რესპონდენტები მსგავსი თანამშრომლობის შესახებ, ძირითადად, ინფორმირებულები არ არიან (იხ. დიაგრამა #13).

[14] შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავს კატეგორიას „ძალზე პასიურად თანამშრომლობს“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „ძალზე აქტიურად თანამშრომლობს“.

დიაგრამა 13 - უნივერსიტეტის ბიზნეს სექტორთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა



ამასთან, **სახელმწიფო** უნივერსიტეტების სტუდენტთა ორჯერ მეტი რაოდენობა მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი ბიზნეს სექტორთან/პოტენციურ დამსაქმებელთან პასიურად თანამშრომლობს (ქულები 1 და 2). **კერძო** უნივერსიტეტში მსგავსი შეხედულების მქონეთა წილი 16.1%-მდე მცირდება. კერძო უნივერსიტეტებში გამოკითხულთა უმრავლესობა (53.5%) აღნიშნულ თანამშრომლობას აფასებს, როგორც „აქტიურს“ (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X^2=232487$, $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #14).

დიაგრამა 14 - უნივერსიტეტის ბიზნეს სექტორთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა (უსდ-ის ტიპის ჭრილში)



უნივერსიტეტისა და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობას პასიურად აფასებს **მაგისტრანტთა** ძირითადი ნაწილიც (36.1%). მსგავს პოზიციას **ბაკალავრიატის** საფეხურის სტუდენტების 26% იზიარებს. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მაგისტრანტებს, საუნივერსიტეტო სივრცეში ყოფნის პერიოდის გათვალისწინებით, დასჭირვებიათ უნივერსიტეტის შუამავლობით პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთობა და სწორედ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით აკეთებენ ამ შეფასებას. პოზიტიურად შემფასებელთა წილი სამიზნე ჯგუფებს შორის თითქმის იდენტურია: ბაკალავრიატი - 28.9%, მაგისტრატურა - 26.3%. საბაკალავრო საფეხურის სტუდენტების ნაკლებ ინფორმირებულობაზე ისიც მეტყველებს, რომ თითქმის ყოველ მეხუთეს (17.2%) კონკრეტული პოზიციის დაფიქსირება გაუჭირდა (პასუხის კატეგორია „არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა“) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=106199, p<0.05) (იხ. დიაგრამა #15).

დიაგრამა 15 - უნივერსიტეტის ბიზნეს სექტორთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა (სასწავლო საფეხურის ჭრილში)



სასწავლო მიმართულებების ჭრილში საკითხის განხილვისას შინაარსობრივად მკვეთრი განსხვავებები იკვეთება. უნივერსიტეტისა და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობის შეფასება სამედიცინო მიმართულების სტუდენტთა მესამედზე მეტს (37.3%) გაუჭირდა, სახელოვნებო მიმართულების სტუდენტთა შორის კი შუალედური პოზიცია ჭარბობს, როდესაც პოლუსური პოზიციების მკაფიოდ გამოხატვა შეუძლებელია (ქულა 3). ბიზნეს სექტორთან უნივერსიტეტის

თანამშრომლობას ყველაზე პოზიტიურად სწორედ ბიზნესის/ეკონომიკის სტუდენტები აფასებენ - 38.3%-ს უტოლდება მათი წილი, ვინც მიიჩნევს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება პოტენციურ დამსაქმებლებთან აქტიურად თანამშრომლობს (ქულები 4 და 5). მსგავსი მოსაზრების მქონე სტუდენტთა წილი სხვა სასწავლო მიმართულებებზე შემდეგია:

- სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები - 35.1%
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ტექნიკური მიმართულებები - 19.9%
- სამედიცინო მიმართულება - 9.8%
- სახელოვნებო მიმართულება - 23.5% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=243413, p<0.05) (იხ. ცხრილი #29).

ცხრილი 29 - უნივერსიტეტის ბიზნეს სექტორთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა (სასწავლო მიმართულების ჭრილში)

როგორ ფიქრობთ, რამდენად აქტიურად თანამშრომლობს თქვენი უნივერსიტეტი ბიზნეს სექტორთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან? (სასწავლო მიმართულებების ჭრილში) (%)	ბიზნესი / ეკონომიკა (N=372)	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები (N=374)	ზუსტ და საბუნებისმეტყველო / ტექნიკური მიმართულებები (N=372)	სამედიცინო მიმართულება (N=371)	სახელოვნებო მიმართულება (N=326)
ძალზე პასიურად თანამშრომლობს	8.6	10.9	13.3	8.8	5.9
მეტწილად პასიურად თანამშრომლობს	13.4	21	17.3	16.3	20.6
თანაბრად	29	19.9	30.4	24.7	26.5
მეტწილად აქტიურად თანამშრომლობს	24.5	19.2	15.1	8.8	17.6
ძალზე აქტიურად თანამშრომლობს	14.8	15.9	4.8	1	5.9
საერთოდ არ თანამშრომლობს	2.2	1	2	1	2.9
უარი პასუხზე	0.8	1.4	1.8	2	2.9
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	6.7	10.9	15.3	37.3	17.6

ამ შემთხვევაშიც, ცხადია, სასწავლო მიმართულებების სპეციფიკაა გასათვალისწინებელი - სავსებით ლოგიკურია, რომ ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულებებზე უფრო აქტიურად ეწყობოდეს პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრები, ვორქშოფები, ფორუმები, ვიდრე სამედიცინო ან სახელოვნებო

მიმართულებებზე. ამასთან, ბიზნესის/ეკონომიკის სტუდენტები უფრო აქტიურად თანამშრომლობენ სასწავლო კურსების ფარგლებში ბიზნეს სექტორთან, მათ შორის სტაჟირებების მხრივ. მიღებული შედეგიც სწორედ ამას მოწმობს.

უშუალოდ თანამშრომლობის ფორმები არ შეუფასებიათ იმ სტუდენტებს, რომელთაც წინა შეკითხვაზე მიუთითეს, რომ მათი უნივერსიტეტი ბიზნეს სექტორთან საერთოდ არ თანამშრომლობს. დანარჩენ რესპონდენტთა შეფასებით, ინტერვიუების შედეგების მსგავსად, თანამშრომლობა ძირითადად **დასაქმების ფორუმების** ორგანიზებით რეალიზდება (31.4%). თითქმის მეოთხედს უტოლდება მათი წილი, ვინც ურთიერთკავშირის ძირითად ფორმად **ტრენინგებს** მიიჩნევს (24.%). სტუდენტთა ყველაზე მცირე რაოდენობის შეფასებით (13%), **ბიზნეს სექტორი/პოტენციური დამსაქმებელი სასწავლო პროგრამების/კურიკულუმების შედგენის პროცესში ერთვება.** რეალურად, როგორც აღინიშნა, ავტორიზაცია-აკრედიტაციის წესი ამ კომპონენტს მოიაზრებს და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან ერთად უნდა მუშაობდნენ კურიკულუმების შედგენაზე, თუმცა, როგორც ჩანს, სტუდენტების ძირითად ნაწილს ეს ინფორმაცია არ აქვს, ან შესაძლოა თეორიული ცოდნა არის, თუმცა პრაქტიკული გამოვლინებები მათი ხედვის არეალში არ ექცევა (იხ. ცხრილი #30).

ცხრილი 30 - უნივერსიტეტის ბიზნეს სექტორთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გამომხატველი აქტივობები

როგორ ფიქრობთ, რა აქტივობებით თანამშრომლობს თქვენი უნივერსიტეტი ბიზნეს სექტორთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან? (N=1782)	**%**
დასაქმების ფორუმების ორგანიზება	31.4
ტრენინგების ორგანიზება	24
ვორქშოფების ორგანიზება	16.6
სასწავლო პროგრამების/კურიკულუმების შედგენის პროცესში თანამშრომლობა	13
სხვა	1.2
უარი პასუხზე	2.3
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	11.6

მთლიანობაში, სტუდენტთა თითქმის მესამედი (31.4%) უნივერსიტეტისა და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობას **თანაბრად არაეფექტიანად და ეფექტიანად** აფასებს, ანუ

შუალედურ პოზიციას იკავებს (ქულა 3). დადებითი და უარყოფითი კონოტაციის პოზიციებს შორის სხვაობა მინიმალურია, თუმცა, შედარებით დიდი წილი (24.4%) თანამშრომლობას არაეფექტიანად მოიაზრებს (ქულები 1 და 2), ვიდრე ეფექტიანად (23.3%; ქულები 4 და 5)[15] (იხ. დიაგრამა #16).

დიაგრამა 16 - უნივერსიტეტის ბიზნეს სექტორთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის ეფექტიანობის შეფასება



ადმინისტრაციული პერსონალის ძირითადი ნაწილის შეფასებით, **ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობა უნდა გულისხმობდეს სამომავლო საჭიროებების, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განსაზღვრას,** რათა სასწავლო პროგრამა ისე დაიგეგმოს, რომ კურსდამთავრებულებმა შრომის ბაზრის მოთხოვნები დააკმაყოფილონ. თუმცა, ამ მხრივ, რესპონდენტები პრობლემებზე საუბრობენ, რომ თავად ბიზნეს სექტორს არ აქვს შესწავლილი და გაცნობიერებული სამომავლო საჭიროებები.

„რა კომპეტენციები გვჭირდება, რა სამომავლო საჭიროებები შეიძლება დადგეს, ეს უნდა გვითხრას ბიზნეს სექტორმა, რომ ჩვენ მერე არ დავიწყოთ ამ ყველაფერზე ზრუნვა; იქამდე უნდა გვითხრა მომავალი წლის ტენდენცია, რა იქნება 5 წლის შემდეგ, რომ თადარიგი დავიჭიროთ. მაგრამ პრობლემაა ის, რომ ბიზნეს სექტორს, ჩემი აზრით, აკადემიური მიმართულებით განვითარება სჭირდება, ცნობიერების თვალსაზრისით.“ (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, კერძო უნივერსიტეტი, თბილისი)

[15] შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავს კატეგორიას „სრულებით არაეფექტიანად“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „სავსებით ეფექტიანად“.

საკითხის პრობლემურობაზე მიუთითეს უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტებმაც. ერთი-ერთი მათგანის შეფასებით, **პროგრამის დაგეგმვის პროცესში უნივერსიტეტები ბიზნეს სექტორის მოთხოვნებს, შრომის ბაზარზე მოთხოვნილ კომპეტენციებს არ ითვალისწინებენ,** რადგან მიიჩნევენ, რომ დამსაქმებელზე უკეთ იციან, თუ რა უნარ-ჩვევები სჭირდება სტუდენტს დასაქმებისთვის.

შრომის ბაზრის მოთხოვნების სასწავლო პროგრამებსა და კურიკულუმებში გათვალისწინების პრობლემურობას გამოკვეთს გამოკითხვის შედეგებიც. გამოკითხულ სტუდენტთა მესამედზე მეტი (35.8%) ამ მხრივ ნეგატიურ გამოცდილებაზე მიუთითებს - აღნიშნავს, რომ ასეთი პრაქტიკა არ არსებობს, ანუ შრომის ბაზრის მოთხოვნები სასწავლო პროგრამებში არ არის გათვალისწინებული (ქულები 1 და 2).[16] (იხ. დიაგრამა #17).

დიაგრამა 17 - შრომის ბაზრის მოთხოვნების სასწავლო პროგრამებსა და კურიკულუმებში გათვალისწინება



კროსკულტურული კვლევის „ევროსტუდენტი 8“-ის შედეგებიც ამას მოწმობს, რომ პროფესიით დასაქმება პრობლემურია - გამოკითხულ სტუდენტთა თითქმის მესამედი (31.4%) სასწავლო პროგრამისგან განსხვავებულ სფეროში მუშაობს და, შესაბამისად, უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას ვერ მიმართავს ანაზღაურებად სამსახურზე (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (ISSA), 2023).

[16] შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავს კატეგორიას „საერთოდ არ არის გათვალისწინებული“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „სავსებით გათვალისწინებულია“.

სასწავლო საფეხურების ჭრილში თითოეულ პოზიციასთან მიმართებით მკვეთრად განსხვავებული შედეგები არ გამოვლენილა. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ მაგისტრანტთა უფრო დიდი წილი (40.1%) მიუთითებს შრომის ბაზრის მოთხოვნების სასწავლო პროგრამებსა და კურიკულუმებში გაუთვალისწინებლობაზე, ვიდრე ბაკალავრიატის სტუდენტების (34.6%) (ქულები 1 და 2) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X^2=56876$, $p<0.05$). მსგავსი შედეგი შესაძლოა ანაზღაურებადი სამსახურის ქონის გამოცდილებასაც უკავშირდებოდეს. სამაგისტრო საფეხურზე, უფრო დიდია სტუდენტის დასაქმების ალბათობა და ასევე დასაქმების მცდელობის გამოცდილება. ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მაგისტრანტები უფრო ახლოს იცნობენ არსებულ რეალობას და, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიუთითებენ შეუსაბამობაზე (იხ. დიაგრამა #18).

დიაგრამა 18 - შრომის ბაზრის მოთხოვნების სასწავლო პროგრამებსა და კურიკულუმებში გათვალისწინება (სასწავლო საფეხურის ჭრილში)



გამოკითხვამ ცხადყო, რომ თითოეულ **სასწავლო მიმართულებაზე** გამოკითხულთა საშუალოდ 35%-ის შეფასებით, სასწავლო პროგრამებსა და კურიკულუმებში შრომის ბაზრის მოთხოვნები გათვალისწინებული არ არის (ქულები 1 და 2):

- ბიზნესი/ეკონომიკა - 34.5%
- სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები - 37.1%
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ ტექნიკური მიმართულებები - 36%
- სამედიცინო მიმართულება - 33.8%

- სახელოვნებო მიმართულება - 36.4% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=171369, p<0.05)

პოზიტიურ ჭრილში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით ფიქსირდება - 30.3% (ქულები 4 და 5), თუმცა, ნეგატიური შეფასების წილს ვერ გადაწონის (იხ. ცხრილი #31).

ცხრილი 31 - შრომის ბაზრის მოთხოვნების სასწავლო პროგრამებსა და კურიკულუმებში გათვალისწინება (სასწავლო მიმართულების ჭრილში)

თქვენი შეფასებით, რამდენადაა გათვალისწინებული შრომის ბაზრის მოთხოვნები სასწავლო პროგრამებსა და კურიკულუმებში? (სასწავლო მიმართულებების ჭრილში) (%)	ბიზნესი / ეკონომიკა (N=372)	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები (N=374)	ზუსტ და საბუნებისმეტყველო / ტექნიკური მიმართულებები (N=372)	სამედიცინო მიმართულება (N=371)	სახელოვნებო მიმართულება (N=326)
საერთოდ არ არის გათვალისწინებული	12.3	14.4	10.5	8.1	9.1
უფრო არ არის გათვალისწინებული	22.3	22.7	25.5	25.7	27.3
თანაბრად	39.8	24.1	31.9	25.3	30.3
უფრო გათვალისწინებულია	19.5	26.1	18.9	10.5	21.2
სავსებით გათვალისწინებულია	3.3	4.2	4.6	4.7	-
უარი პასუხზე	-	2.9	0.3	3.4	-
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	2.8	5.6	8.4	22.3	12.1

ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულების აკადემიური პერსონალის შეფასებით, **შრომის ბაზრის მოთხოვნები და უნივერსიტეტის მიერ სტუდენტებისთვის მიწოდებული ცოდნა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული არ არის.** რეგიონული უნივერსიტეტების წარმომადგენელთა ნაწილის აზრით, უნივერსიტეტისა და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობა გასაუმჯობესებელია, რადგან ხშირად ამ ორ აქტორს შორის კავშირი მხოლოდ კონკრეტული ამოცანის მისაღწევად ხდება და გრძელვადიან ურთიერთობას არ გულისხმობს. თბილისის კერძო უნივერსიტეტის სოციალური მიმართულების მოწვეული ლექტორის შეფასებით, უნივერსიტეტისა და ბიზნესის თანამშრომლობა ორმხრივი უნდა იყოს: უნივერსიტეტს გაუჩნდეს

რესურსი კვლევებისთვის, ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის და ა.შ., ხოლო, მეორე მხრივ, უნივერსიტეტმა მეტად უნდა შთააგონოს ბიზნესი, რომ სოციალურად პასუხისმგებელი სტრუქტურა გახდეს. ამასთან, რესპონდენტი შესაძლო უარყოფით შედეგზეც საუბრობს, რომ აკადემიური კვლევები გამოყენებითმა კვლევებმა ჩაანაცვლოს, თუმცა ამის დაკომპენსირება შესაძლებელია.

საბოლოოდ, უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტთა შეფასებებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ **უნივერსიტეტებმა უნდა მოახერხონ არა იმ კადრის შექმნა, რაც ბაზარზეა საჭირო, არამედ ისეთი პროფესიონალი აღზარდოს, რომელიც შრომის ბაზარს გააუმჯობესებს** - *„მიდგომა, რომ ბაზარი განაპირობებს მოთხოვნას გარკვეულწილად რჩება, მაგრამ ამას ემატება ის, რომ უმაღლესი განათლება ქმნის ბაზარს.“ (უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტი);* ანუ უნივერსიტეტი ხელს უნდა უწყობდეს ე.წ. „მომავლის კადრების“ მომზადებას, რათა მათ უკარნახონ ბიზნეს სექტორებს, თუ რა მიმართულებით უნდა განავითარონ საკუთარი საქმიანობის ვექტორი.

უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებით, მათ შორის რუმინეთში ჩატარებული კვლევით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტების რეალიზებაზე დაწესებულების ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობას გავლენა არ აქვს (Dima, Vasilache, Ghinea, & Agoston, 2013). საქართველოში აღნიშნული გავლენა შეინიშნება. ბიზნესთან თანამშრომლობის მოტივები, ერთი მხრივ, ფინანსების მოძიებაა, რათა აკადემიურ საქმიანობა მეტად განვითარდეს და დაფინანსებების მოპოვებით სამეცნიერო ნაშრომები შეიქმნას, ხოლო, მეორე მხრივ, სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობაა.

სტუდენტებმა გარე დაინტერესებულ მხარეებთან უნივერსიტეტის აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების მხრივ **თანამშრომლობის ბარიერები გამოკვეთეს.** ყოველი მეხუთე რესპონდენტი (21.5%) მიიჩნევს, რომ ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორი გარე დაინტერესებული პირებისგან მხარდაჭერის ნაკლებობაა. ცალკეულ შემთხვევებში, თითქმის მეხუთედს უტოლდება მათი წილი, ვინც ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანი ბარიერი არა გარე დაინტერესებული მხარის, არამედ უშუალოდ უნივერსიტეტის მხრიდან გამოვლენილი ინტერესის ნაკლებობა

(17.6%) ან შეზღუდული რესურსების/ერთობლივი პროექტების დაფინანსების პრობლემაა (17.6%). მეათედს აღემატება იმ სტუდენტების წილიც, რომელთა აზრითაც, მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი ბიუროკრატიული ბარიერებია (იხ. ცხრილი #32).

ცხრილი 32 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით, უნივერსიტეტსა და გარე დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის ხელისშემშლელი ფაქტორები

თქვენი შეფასებით, რა უშლის ხელს თქვენს უნივერსიტეტს, რათა ითანამშრომლოს გარე დაინტერესებულ მხარეებთან, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით? (N=1815)	%
უნივერსიტეტის მხრიდან ინტერესის ნაკლებობა	17.6
გარე დაინტერესებული მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობა	21.5
თანამშრომლობის შესაფერისი შესაძლებლობების პოვნის სირთულე	9.3
შეზღუდული რესურსები ან ერთობლივი პროექტების დაფინანსების პრობლემა	17.6
ბიუროკრატიული ბარიერები	14.6
სხვა	0.2
ხელისშემშლელი ფაქტორები არ არსებობს	2.6
უარი პასუხზე	2.9
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	13.7

წარმოდგენილი შედეგები მეტწილად მსგავსია ლიტერატურაში აღწერილი ბარიერებისა - როგორც „უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო მითითებების“ დოკუმენტშია აღწერილი, ბიზნესისა და უსდ-ების თანამშრომლობის მხრივ შემდეგი დომინანტური ბარიერები გამოიყოფა: მოტივაციის ნაკლებობა, ბიზნეს პარტნიორებთან გრძელვადიანი სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების პრობლემა, საუნივერსიტეტო/აკადემიური კვლევის ბიზნეს ინტერესებსა და საჭიროებებთან დაკავშირების მხრივ არსებული შემაფერხებელი ფაქტორები (University Meets Social Responsiblity (UNIBILITY), 2017).

გარე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის მხრივ დომინანტური დამაბრკოლებელი ფაქტორები სხვადასხვაა **სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტისთვის.** მართალია, ზოგადი ტენდენცია ორივე ტიპის უსდ-ში ნარჩუნდება, თუმცა სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები მეტად აქცევენ

ყურადღებას გარე დაინტერესებული მხარისგან მხარდაჭერის ნაკლებობას (23.7%), მაშინ როდესაც კერძო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებით, უნივერსიტეტისა და გარე დაინტერესებული პირების თანამშრომლობას ყველაზე მეტად ხელს შეზღუდული რესურსები ან ერთობლივი პროექტების დაფინანსების პრობლემა უშლის (24.1%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=111484, p<0.05) (იხ. ცხრილი #33).

ცხრილი 33 - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით, უნივერსიტეტსა და გარე დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის ხელისშემშლელი ფაქტორები (უსდ-ის ტიპის ჭრილში)

თქვენი შეფასებით, რა უშლის ხელს თქვენს უნივერსიტეტს, რათა ითანამშრომლოს გარე დაინტერესებულ მხარეებთან, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით? (უსდ-ის ტიპის ჭრილში)	სახელმწიფო უნივერსიტეტი (N=1135)	კერძო უნივერსიტეტი (N=680)
უნივერსიტეტის მხრიდან ინტერესის ნაკლებობა	18.6	14.7
გარე დაინტერესებული მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობა	23.7	15.9
თანამშრომლობის შესაფერისი შესაძლებლობების პოვნის სირთულე	7.8	13.4
შეზღუდული რესურსები ან ერთობლივი პროექტების დაფინანსების პრობლემა	15.2	24.1
ბიუროკრატიული ბარიერები	15.2	13
სხვა	0.3	-
ხელისშემშლელი ფაქტორები არ არსებობს	1.8	4.7
უარი პასუხზე	3.3	1.8
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	14.3	12.4

სოციალური პერსპექტივით გასაუმჯობესებელია უნივერსიტეტისა და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობა, რომელიც სწორხაზოვნად მხოლოდ საგანმანათლებლო მიმართულებაზე არ უნდა ორიენტირდებოდეს, მიზნად უნივერსიტეტის ან ცალკეული ბიზნესის პოპულარიზაციას არ უნდა ისახავდეს, არამედ საზოგადოების განვითარების ხელშემწყობ პროცესებს მიემართებოდეს.

2.3.4. კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების მნიშვნელოვანი გარე აქტორი **კურსდამთავრებულია,** რომელიც უნივერსიტეტის ერთგვარ სახეს წარმოადგენს და თითქოს ვალდებულიც კია, რომ უნივერსიტეტის სახელით და ინდივიდუალურადაც საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობაში ჩაერთოს (Dima, Vasilache, Ghinea, & Agoston, 2013) (Ramos-Monge, Audet, & Martínez, 2017).

ინტერვიუების ფარგლებში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ისეთ ექსტერნალურ კომპონენტზე საუბრისას, როგორიცაა კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა, თითოეული ჯგუფის რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესით მოთხოვნილ ვალდებულებაზე - კურსდამთავრებულები იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროგრამების შემუშავება-შეფასების პროცესში.

კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის მხრივ, მკვეთრი განსხვავება რეგიონულ და თბილისის უნივერსიტეტებს შორის არ ფიქსირდება. როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალი ყურადღებას ამახვილებს, ერთი მხრივ, სასწავლო საფეხურებს შორის ტრანზიციის უწყვეტობაზე, ხოლო, მეორე მხრივ სტუდენტების აკადემიურ სივრცეში დარჩენაზე. რესპონდენტებმა ტერმინ „კურსდამთავრებულების“ პირველადი გააზრება დაუკავშირეს სასწავლო საფეხურებს შორის კავშირს - მათი შეფასებით, კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა გულისხმობს იმასაც, რომ ბაკალავრიატის საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტები იმავე უნივერსიტეტში სამაგისტრო საფეხურზე აგრძელებენ სწავლას. ტრანზიცია, უმეტესწილად, უწყვეტად შესვენებების გარეშე, ხდება.

მეორე მხრივ, კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა გულისხმობს მათი საუნივერსიტეტო სივრცეში **ლექტორის სტატუსით** დაბრუნებას. ამასთან, კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო სივრცეში ყოფნა შესაძლოა **ადმინისტრაციულ თანამდებობას** ან სხვადასხვა თემაზე სტუდენტებისთვის **ტრენინგის** ჩატარებას გულისხმობდეს.

ამასთან, როგორც რეგიონული, ისე დედაქალაქის უნივერსიტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებით, უნივერსიტეტს აქვს

კურსდამთავრებულთა ბაზა, რომელშიც მითითებულია დასრულებული პროგრამის სახელი და სტუდენტის საკონტაქტო ინფორმაცია. კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია სხვადასხვაგვარია: ერთი მხრივ, მათ **ეგზავნებათ კითხვარი, რათა შეაფასონ, თუ რამდენად გამოადგათ სასწავლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა დასაქმებისთვის,** რას შეცვლიდნენ არსებულ კურიკულუმებსა თუ მიდგომებში; ხოლო, მეორე მხრივ, კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია გულისხმობს **ანაზღაურებადი სამსახურის ან სტაჟირების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.**

„ჩვენ კურსდამთავრებულების ბაზა გვაქვს. არის ადამიანი, რომელიც მუდმივად მათთან კავშირშია. მათთან ხშირად კითხვარებს ვგზავნით, კითხვარებს გვიფასებენ, რამდენად გამოადგათ [შენიშვნა: დასაქმებაში], აი, რას შეცვლიდნენ მის მერე, რაც დაამთავრეს უნივერსიტეტი და ვთქვათ, რამე ხომ არ იყო პროგრამაში ისეთი, რაც დააკლდათ მათ და სამსახურში მოსთხოვეს.“ (პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულება, სახელმწიფო უნივერსიტეტი, რეგიონი)

თბილისის ერთ-ერთი კერძო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლის შეფასებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებობს **სატელეფონო გამოკითხვის პრაქტიკა, რომელიც კურსდამთავრებულების დასაქმების სტატუსს იკვლევს.** მიღებული მონაცემების საფუძველზე, უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახური დაუსაქმებელ კურსდამთავრებულებს პროფესიული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას აწვდის.

თბილისის კერძო უნივერსიტეტების რამდენიმე წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა **„კურსდამთავრებულთა ფონდის“ (Alumni Fund)** ფენომენზე. მათი შეფასებით, აღნიშნული ფონდის იდეა თავად კურსდამთავრებულებს ეკუთვნით და მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის ფინანსურ მხარდაჭერას, რაც, ძირითადად, სწავლის დაფინანსებას გულისხმობს. ამ მხრივ, შედარებით პრობლემურია რეგიონული უნივერსიტეტების გამოცდილება, სადაც კურსდამთავრებულთა ასოციაციის შექმნა ვერ მოხერხდა და მხოლოდ უნივერსიტეტის პორტალზე არსებული ბაზით შემოიფარგლებიან. ერთ-ერთი კერძო უნივერსიტეტის მაგალითზე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ე.წ. „შინ დაბრუნების“ (Homecoming) პროექტის შესახებ, რაც გულისხმობს კურსდამთავრებულების საუნივერსიტეტო სივრცეში

დაბრუნებას, ამჟამინდელი სტუდენტებისთვის საკუთარი სწავლისა და დასაქმების გამოცდილების გაზიარებას, საჯარო ლექციის, ტრენინგისა თუ მასტერკლასის ჩატარებას.

აკადემიური პერსონალის გამოცდილება კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განსხვავებულ პრაქტიკასაც მოიცავს, რაც მათთვის **პროფესიული კუთხით კონსულტაციის** გაწევას გულისხმობს - *„სტუდენტობის შემდეგ, როდესაც ისინი იწყებენ მუშაობას სხვადასხვა ორგანიზაციაში, ყოფილი სტუდენტები, მირეკავენ და სხვადასხვა კონსულტაციას ვუწევ ხოლმე. ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა.“ (პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულება, სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისი).* ასეთი თანამშრომლობა შესაძლოა შიდასაუნივერსიტეტო აქტივობებსაც უკავშირდებოდეს ან კურსდამთავრებულებთან ერთად ერთობლივი სამეცნიერო სტატიის მომზადებასა და გამოქვეყნებას თუ სხვა აკადემიური ხასიათის პროექტებში თანამშრომლობას მოიცავდეს.

გამოკითხვაში მონაწილე თითქმის ყოველი მესამე სტუდენტი (32.8%) მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებთან ურთიერთობას ინარჩუნებს (ქულები 4 და 5). საკითხს ნეგატიურად სტუდენტთა 26.4% აფასებს (ქულები 1 და 2).[17] მსგავსი პოზიცია უფრო მეტად მოლოდინებს მიემართება, რაც, სავარაუდოდ, ამჟამინდელ მდგომარეობას ეფუძნება - თუ რა ფორმით/მასშტაბით/სიხშირით თანამშრომლობს უნივერსიტეტი სტუდენტთან (იხ. დიაგრამა #19).

დიაგრამა 19 - უნივერსიტეტის თანამშრომლობა კურსდამთავრებულებთან



[17] შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავს კატეგორიას „საერთოდ არ ინარჩუნებს“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „სავსებით ინარჩუნებს“.

მკვეთრად განსხვავებული პოზიციები გამოიკვეთა კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის მხრივ **უსდ-ის ტიპის ჭრილში** (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=85892, p<0.05). სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტთა თითქმის მესამედი (30.5%) მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებთან ურთიერთობას არ ინარჩუნებს (ქულები 1 და 2); მსგავსი პოზიცია კერძო უნივერსიტეტის შემთხვევაში 15.1%-მდეა შემცირებული. ამ ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები საკითხს, ძირითადად, პოზიტიურ ჭრილში განიხილავენ - 42.8% კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობას უსვამს ხაზს. მსგავსი შედეგი, ერთი მხრივ, შესაძლოა ინფორმაციის გავრცელებას უკავშირდებოდეს, ანუ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებამდე მსგავსი ინფორმაცია არ/ვერ აღწევს, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლოა კურსდამთავრებულთა კონტიგენტის მოცულობასაც უკავშირდებოდეს. სახელმწიფო უნივერსიტეტებს გაცილებით მეტი კურსდამთავრებული ჰყავს და შესაძლოა ძირითად ნაწილთან ვერ ინარჩუნებდეს შემდგომ აქტიურ სამეცნიერო თუ სხვა სახის თანამშრომლობას, თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია (იხ. დიაგრამა #20).

დიაგრამა 20 - უნივერსიტეტის თანამშრომლობა კურსდამთავრებულებთან (უსდ-ის ტიპის ჭრილში)



სასწავლო საფეხურის ჭრილში საკითხის გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ მაგისტრანტები უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობით კმაყოფილები არ არიან - მესამედი (33.6%) მიიჩნევს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კურსდამთავრებულებთან ურთიერთობას არ

ინარჩუნებს (ქულები 1 და 2). ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტთა შორის აღნიშნული მაჩვენებელი 24.2%-მდე მცირდება. ზოგადი ტენდენციის მსგავსად, იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტი შესაძლოა აქტიურად არ ავრცელებდეს მსგავსი ტიპის ინფორმაციას ან აქტიური სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეხვედრებს არ აორგანიზებს, ისიც უსვამს ხაზს, რომ ორივე სამიზნე ჯგუფში მეათედზე მეტს გაუჭირდა პასუხის გაცემა და ამ თანამშრომლობის მასშტაბებზე პოზიციის დაფიქსირება: ბაკალავრიატი - 15.9%, მაგისტრატურა - 15.4% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=25282, p<0.05) (იხ. დიაგრამა #21).

დიაგრამა 21 - უნივერსიტეტის თანამშრომლობა კურსდამთავრებულებთან (სასწავლო საფეხურის ჭრილში)



კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის ფორმატი, სტუდენტთა შეფასებითაც, ძირითადად, გულისხმობს უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის სტატუსით მათ დაბრუნებას (27%). ამასთან, როგორც ჩანს, კურსდამთავრებულები, უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე, დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით მართავენ სტუდენტებთან შეხვედრებს (17.1%) ან ადმინისტრაციას სოციალური პროექტების შესახებ ინიციატივებით მიმართავენ (12.6%). ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობისგან განსხვავებით, კურსდამთავრებულების შემთხვევაში დიდია იმ სტუდენტთა წილი (12.5%), ვინც აზრითაც, კურსდამთავრებულები სასწავლო პროგრამების/კურიკულუმების

შემუშავებაში ერთვებიან, რაც რეალურად აკრედიტაციის წესით მოთხოვნილია (იხ. ცხრილი #34).

ცხრილი 34 - უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის ფორმატი

თუ ფლობთ ინფორმაციას, რაში გამოიხატება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა? (N=1685)	%
კურსდამთავრებულები ბრუნდებიან უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის სტატუსით	27
კურსდამთავრებულებთან ეწყობა შეხვედრები დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით	17.1
კურსდამთავრებულები მიმართავენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას საგანმანათლებლო პროექტებით	12.6
კურსდამთავრებულები მიმართავენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სოციალური პროექტებით	9.7
კურსდამთავრებულები მიმართავენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას კულტურული პროექტებით	9
კურსდამთავრებულები მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროგრამების შემუშავების პროცესში	12.5
სხვა	0.2
უარი პასუხზე	1
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	10.8

ორივე ტიპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში **კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის ორი დომინანტური ფორმატი** იდენტურია:

- **კურსდამთავრებულები ბრუნდებიან უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის სტატუსით:** სახელმწიფო უნივერსიტეტი - 27.7%; კერძო უნივერსიტეტი - 24.9%
- **კურსდამთავრებულებთან ეწყობა შეხვედრები დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით:** სახელმწიფო უნივერსიტეტი - 16.5%; კერძო უნივერსიტეტი - 18.8%

მეორე მხრივ, გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა ტიპის პროექტებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის მიმართვიანობით სახელმწიფო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები უფრო გამოირჩევიან (საშუალოდ 10%-ს აღემატება), ვიდრე

კერძო უნივერსიტეტის (10%-მდე). აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ თანამშრომლობის კონკრეტულ ფორმებზე მსჯელობა კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა 17%-ს უჭირს (სახელმწიფო უნივერსიტეტი - 8.8%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=79198, p<0.05) (იხ. ცხრილი #35).

ცხრილი 35 - უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის ფორმატი (უსდ-ის ტიპის ჭრილში)

თუ ფლობთ ინფორმაციას, რაში გამოიხატება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა? (უსდ-ის ტიპის ჭრილში) (%) (N=1685)	სახელმწიფო უნივერსიტეტი	კერძო უნივერსიტეტი
კურსდამთავრებულები ბრუნდებიან უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის სტატუსით	27.7	24.9
კურსდამთავრებულებთან ეწყობა შეხვედრები დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით	16.5	18.8
კურსდამთავრებულები მიმართავენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას საგანმანათლებლო პროექტებით	13.6	9.9
კურსდამთავრებულები მიმართავენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სოციალური პროექტებით	9.8	9.5
კურსდამთავრებულები მიმართავენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას კულტურული პროექტებით	8.7	9.6
კურსდამთავრებულები მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროგრამების შემუშავების პროცესში	13.5	9.6
სხვა	0.3	0.1
უარი პასუხზე	1	0.7
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	8.8	17

მიუხედავად კურსდამთავრებულებთან აღწერილი თანამშრომლობის ფორმებისა, კვლევაში ჩართული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების შეფასებით, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის **აღნიშნული დონე გასავითარებელია, რაც უნივერსიტეტისა და სასწავლო პროგრამის შინაარსობრივ გამართულობაში მათი ჩართულობის გაძლიერებას გულისხმობს.** ამ მხრივ პასუხისმგებლობა ენიჭება, როგორც თავად კურსდამთავრებულს, ისე საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენლებს, რათა ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულთა დაინტერესებასა და გააქტიურებას.

2.3.5. განათლების ინტერნაციონალიზაცია

კვლევის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ისეთ ექსტერნალურ კომპონენტზე, როგორიცაა განათლების ინტერნაციონალიზაცია. ქეთევან გურჩიანის ნაშრომის მიხედვით, *„ინტერნაციონალიზაცია მნიშვნელოვანია, როგორც კვლევისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის, ისე ზოგადად საზოგადოებაზე იმ დადებით ეფექტის გამო, რაც თან სდევს აკადემიური სივრცის ღიაობას.“* ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობა პოზიტიური გავლენის მომხდენია როგორც სწავლა-სწავლებისა და კვლევის ხარისხზე, ისე სტუდენტებისა და აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალის მოტივაციაზე (გურჩიანი, 2020). საქართველოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესში, ლოგიკურია, რომ განსაკუთრებით დიდი როლი ქვეყნის ბოლონიის პროცესის ნაწილად გახდომამ შეასრულა.

წინამდებარე კვლევის თვისებრივი კომპონენტის შედეგად გამოიკვეთა, რომ **სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით გამოირჩევა რეგიონულიც და თბილისის უნივერსიტეტებიც. მკვეთრი განსხვავება არც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის მიხედვით არ გამოვლენილა.** რესპონდენტთა ხაზგასმით, აღნიშნული მიმართულება, კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის მსგავსად, ნებისმიერ უნივერსიტეტისა თუ სასწავლო პროგრამისთვის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტის შემადგენელი სავალდებულო კომპონენტია.

განათლების ინტერნაციონალიზაციის მხრივ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ადგილობრივ თუ უცხოურ **უნივერსიტეტებთან გაფორმებულ მემორანდუმებზე** მიუთითებს. ზოგადი შეფასებით, ამ მიმართულებით **სამი ძირითადი შესაძლებლობა** გამოიყოფა: 1) ერაზმუს + დაფინანსებები - ერაზმუსის დაფინანსებების პირდაპირ არარსებობის გამო, საერთაშორისო ოფისი ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებისთვის აწესებს კონკრეტულ კვოტას, რაზეც გამოყოფს დაფინანსების ოდენობას; 2) უნივერსიტეტებს შორის შეთანხმება, როდესაც სტუდენტების გაცვლა დაფინანსების გარეშე ხდება; 3) უნივერსიტეტთაშორისი ორმაგი დიპლომის აღების ან აღიარების შესაძლებლობა. ლიტერატურის მიმოხილვის მიხედვითაც, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა Erasmus+ პროგრამის პარტნიორ ქვეყნად ყოფნა, რამდენადაც საშუალებას ქმნის

სტუდენტებმა და პერსონალმა მონაწილეობა მიიღონ როგორც გაცვლით, ისე საგრანტო კონკურსებში (გურჩიანი, 2020).

განათლების ინტერნაციონალიზაციის მხრივ, უმაღლესი განათლების რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის ექსპერტთა ნაწილმა მიუთითა, რომ ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში საქართველოში 50-მდე ეროვნების სტუდენტი სწავლობს, რაც სქართველოს მსოფლიო უნივერსიტეტების საუკეთესო სტაჟირების სისტემების ნაწილად ხდის.

გაცვლით პროგრამებში ჩართულობის მხრივ, ცალკეულ **რეგიონულ უნივერსიტეტთა ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა პრობლემურ საკითხად გამოკვეთეს სტუდენტებში უცხო ენის ცოდნის დონე.** ამდენად, მათი შეფასებით, გაცვლითი პროგრამებით სარგებლობის შესაძლებლობა მხოლოდ იმ სტუდენტებს აქვთ, რომლებიც სკოლის ასაკიდანვე ემზადებიან უცხო ენაში ან ახლა აქვთ გარკვეული კურსების გავლის საშუალება.

„სამწუხაროდ, რეგიონული უნივერსიტეტების ერთადერთი პრობლემა, არც დავმალავ, არის უცხო ენის ცოტა დაბალ დონეზე ცოდნა. მიუხედავად იმისა, რომ B2 დონეზე უნდა გავიდეთ, მაინც გვიჭირს უცხო ენაში. ჩვენ აი, თბილისელ სტუდენტებთან ვერ ვედრებით. განა უნიჭოები ვართ, მაგრამ ასე მოდის, რომ ჩვენთან ცოტა უცხო ენა ჭირს და ამიტომ, მხოლოდ ის ბავშვები, რომლებიც თუნდაც ბავშვობიდანვე ემზადებიან და ინგლისური მათთვის ძალიან შინაურია, მხოლოდ ასეთი ბავშვებისთვის არის ეს გაცვლითი პროგრამები.“ (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, სახელმწიფო უნივერსიტეტის, რეგიონი)

დედაქალაქისა და რეგიონულ უნივერსიტეტებს შორის უთანასწორობას ლიტერატურის მიმოხილვაში განხილული წყაროებიც გამოკვეთს. 2020 წლის მონაცემებით, საქართველოს ავტორიზებული 55 უნივერსიტეტიდან Erasmus+ გაცვლით პროგრამაში 32 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა ჩართული, მათი ნახევარი სახელმწიფო, ხოლო მეორე ნახევარი კერძო უნივერსიტეტებს წარმოადგენს. მიუხედავად პოზიტიური შედეგებისა, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ინტერნაციონალიზაციაზე ხელმისაწვდომობა არათანაბარია - დედაქალაქის უნივერსიტეტები ამ მხრივ მეტად პრივილეგირებულნი არიან - აკადემიური თუ ადმინისტრაციული მობილობის 70% თბილისში არსებული ხუთი

უნივერსიტეტით შემოიფარგლება. მსგავსი შედეგები ისეთ პრობლემებს გამოკვეთს, როგორებიცაა:

- რესურსების ნაკლებობა - კომპეტენციებში განსხვავება
- ინფორმაციის ნაკლებობა
- გამოცდილების არარსებობა
- მოლოდინების სხვადასხვაობა (გურჩიანი, 2020)

თანამშრომლობის კუთხით აქცენტი, ძირითადად, უცხოურ უნივერსიტეტებზეა. განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესში მონაწილეობის მხრივ, ხაზი გაესვა აკადემიური სტატუსის მიხედვით გამოკვეთილ უთანასწორობას. გაცვლით პროგრამებში ჩართულობა, უცხოურ უნივერსიტეტებში 1-2 სემესტრით ჩასვლა და სალექციო კურსის წაკითხვა, ძირითადად, **პროფესორების დონეზე უფრო აქტუალურია, ხოლო მოწვეული ლექტორებისთვის მსგავსი პრაქტიკა თითქმის არ არსებობს.** ამდენად, კვლევაში ჩართულმა რამდენიმე პროფესორმა გაცვლითი პროგრამებით სარგებლობის გამოცდილებაზეც ისაუბრეს, როცა ევროპულ უნივერსიტეტებში ორი კვირის განმავლობაში გაეცნენ სწავლა-სწავლების მეთოდებს და თავადაც წაიკითხეს ლექციები.

„ორჯერ ვიყავი გაცვლითით და ორივეჯერ კვლევა გავაკეთეთ. მესამედაც მინდოდა, თურქეთიდან გვქონდა მზაობა. ერთი კომპონენტია დეკანის ხელმოწერა, რის გარეშეც ვერ იღებ მონაწილეობას, მაგრამ, როცა მივედი, მითხრეს, რომ მოწვეული ლექტორებისთვის აღარ არის ერაზმუს +-ის პროგრამა ხელმისაწვდომი. ადრეც პრიორიტეტს ანიჭებდნენ თვითონ მათ პერსონალს, შტატიანს. პერსონალის წახალისების მიზნით აკეთებენ, ალბათ, არ ვიცი, თუმცა შტატის პერსონალი ისედაც იღებს მონაწილეობას. კონკურენცია იყო ფაქტორი, რადგან პერსონალს ხვედრითი წილი მეტი აქვს, ალბათ ეგეცაა. ახლა ასე გადაწყდა, რომ მხოლოდ პერსონალისთვის იყოს ეს პროგრამა.“ (მოწვეული ლექტორი, ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულება, სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი)

ადგილობრივ დონეზე მსჯელობისას, უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა **ქვეყანაში მოქმედ სამეცნიერო ფონდებზე,** რომლებიც სტუდენტებს განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართულობას ავალდებულებს. მაგალითად, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი სტიპენდიანტებს/ფონდის გრანტის მფლობელ სტუდენტებს

ავალდებულებს, რომ პროექტის ფარგლებში მიღებული ცოდნა/გამოცდილება გააზიარონ სტატიის ან კონფერენციაზე მონაწილეობის სახით.

გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის პოზიტიურ შედეგებზე საუბრისას, ცოდნის გენერირებასთან ერთად, გაზრდილი ინტერესიც დასახელდა. გამოცდილება აჩვენებს, რომ როდესაც სტუდენტი უცხოურ უნივერსიტეტში ნახავს განვითარებულ ტექნოლოგიებს, გამართულ ინფრასტრუქტურას, საქართველოში დაბრუნების შემდეგ მას უჩნდება ინტერესი, სურვილი, რომ მისი სასწავლო გარემოც ევროპულ უნივერსიტეტებთან მიახლოებული იყოს. ამდენად, სტუდენტების მხრიდან ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მიმართ მოთხოვნაც უფრო იზრდება.

განათლების ინტერნაციონალიზაციის კუთხით, შესაძლებელია ითქვას, რომ როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონში მდებარე უნივერსიტეტები **გაცვლით პროგრამებში** აქტიურად მონაწილეობს. თუმცა, უფრო პრობლემურია ადგილობრივ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საკითხი - რესპონდენტთა ნაწილს **ადგილობრივ უნივერსიტეტებთან ერთობლივი პროექტებისა თუ აქტივობების იდენტიფიცირება გაუჭირდა.** ადგილობრივ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა ზოგიერთი უნივერსიტეტისთვის **თანამედროვე სასწავლო ლიტერატურის თარგმნისა და წიგნად გამოცემის პრაქტიკას მოიცავს.** რესპონდენტთა ნაწილის შეფასებით **სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა იშვიათია, რაც შესაძლოა პოლიტიკურ კონტექსტებთან** იყოს დაკავშირებული. ამ მხრივ სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორისაც არ იკვეთება მკვეთრი კავშირი. რესპონდენტთა შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ საუნივერსიტეტო სივრცე პოლიტიკური იდეოლოგიისგან დაცვლილი უნდა იყოს, არსებული რეალობა ამ მოლოდინისგან განსხვავებულია. ზოგიერთი კერძო უნივერსიტეტი პირდაპირაა მიბმული სხვადასხვა პოლიტიკურ ფიგურასთან, რაც შესაძლოა აფერხებდეს მისი სხვა კერძო თუ სახელმწიფო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას.

მცირედ განსხვავებულია გამოკითხვის შედეგები, რომლებიც სწორედ ადგილობრივ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას შეეხება. სტუდენტების მეოთხედზე მეტის

(26.4%) შეფასებით, **მისი უნივერსიტეტი სხვა ადგილობრივ უნივერსიტეტებთან აქტიურად თანამშრომლობს** (ქულები 4 და 5). მიუხედავად დომინანტური პოზიტიური შეფასებისა, გამოკითხულთა მეოთხედი (25.9%) ნეგატიურ გამოცდილებაზე საუბრობს (ქულები 1 და 2).[18] თუნდაც ის ფაქტი, რომ თითქმის მესამედი შუალედურ პოზიციას იკავებს (30.8%) და მეათედზე მეტს (15.1%) საკითხის შეფასება და კონკრეტული მოსაზრების დაფიქსირება უჭირს, შესაძლოა მიუთითებდეს, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლობა არ არის ღია, არ არის პოპულარიზებული და სტუდენტებში ინფორმაცია აქტიურად არ ვრცელდება. ამასთან, მსგავსი შეფასებები შესაძლოა მოწმობდეს, რომ სტუდენტები თავად მსგავს აქტივობებში არ ერთვებიან, რადგან პროცენტულად მაღალი მაჩვენებელია „არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემის“ კატეგორიაში (იხ. დიაგრამა #22).

დიაგრამა 22 - ადგილობრივი (საქართველოს) უნივერსიტეტების თანამშრომლობა



გამოკითხვის ფარგლებში იდენტიფიცირდა კონკრეტული **აქტივობები,** რომლებიც უნივერსიტეტების აქტიური თანამშრომლობით ხორციელდება. იმ სტუდენტებს, რომელთაც წინა კითხვაში აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტებსშორისი თანამშრომლობა საერთოდ არ არსებობს, კონკრეტული აქტივობები, ცხადია, არ შეუფასებიათ. მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენელ რესპონდენტთა მეოთხედზე მეტი (28.8%) თანამშრომლობის არეალად საგანმანათლებლო სივრცეს მოიაზრებს და საერთო აქტივობებს სწორედ განათლების მიმართულებით გამოყოფს. მეხუთედს აჭარბებს

[18] შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავს კატეგორიას „საერთოდ არ აქვს კავშირი“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „ძალზე აქტიურად“.

მათი წილი, ვისი შეფასებითაც, ერთობლივი სპორტული ღონისძიებები ეწყობა ხოლმე. მართალია, სტუდენტთა მეათედზე მეტი ცალკეულ შემთხვევებში როგორც კულტურულ (15.9%), ისე სოციალურ საკითხებზე (13.4%) თანამშრომლობასაც გამოკვეთს, თუმცა, საგულისხმოა, რომ გარემოსდაცვითი კომპონენტი, რაც აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ექსტერნალური თანამშრომლობის ველიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, საქართველოს უნივერსიტეტებში ნაკლებად აქტუალურია (9.7%) (იხ. დიაგრამა #23).

დიაგრამა 23 - ადგილობრივი (საქართველოს) უნივერსიტეტების ერთობლივი აქტივობები



ხაზგასასმელია, რომ, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, როგორც წესი, გულისხმობს შიდასაუნივერსიტეტო დონეს - საერთო სამეცნიერო აქტივობებს, სტატიებისა თუ სხვა სახის პუბლიკაციების გამოცემას, და **თითქმის არ ხდება აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ექსტერნალურ კომპონენტებზე ორიენტირებული უნივერსიტეტთაშორისი ურთიერთობა,** მაგალითად ერთობლივი სოციალური კამპანიები, გარემოსდაცვითი ღონისძიებები და ა.შ.

2.4. დებულებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლო მახასიათებლების შესახებ

სტუდენტებს დებულებების სახით წარედგინათ შემთხვევები, რომლებიც შესაძლოა საუნივერსიტეტო გარემოში მოხდეს. გამოიკვეთა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები დისკრიმინაციისგან, ძირითადად, დაცლილია, როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტების მხრიდან. გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი, ზოგ შემთხვევაში კი უმრავლესობა, მიუთითებს, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები უნივერსიტეტში არასდროს ხდება:

- სტუდენტებს შორის წახალისებულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია - 51.4%
- ლექტორის მხრიდან წახალისებულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია - 43.5%
- სტუდენტებს შორის წახალისებულია ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია - 58.6%
- ლექტორის მხრიდან წახალისებულია ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია - 56.6%

მეორე მხრივ, გამოკითხულთა მნიშვნელოვანი წილი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის გარე, ექსტერნალურ კომპონენტებზე ნაკლებად ორიენტირდება - მაგალითად, 15.8%-ის შეფასებით, უნივერსიტეტი საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიებებს მაღალმთიან რეგიონებში არასდროს ახორციელებს. თუმცა ამ დებულებასთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ თითქმის ყოველ მეორე სტუდენტს (46.2%) შეფასება გაუჭირდა, რის საფუძველზეც შეიძლება კიდევ ერთხელ ვივარაუდოთ, რომ უნივერსიტეტი გარე აქტივობებზე მკვეთრად ორიენტირებული არ არის და სტუდენტებამდე გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მეათედზე მეტს არასდროს ჰქონია გამოცდილება, რომ ლექტორს დასაქმების შესაძლებლობის შესახებ მიეწოდებინა ინფორმაცია (12.5%) ან ლექტორს პოტენციურ დამსაქმებელთან გაეწია მისთვის რეკომენდაცია (11.1%). თუმცა, საშუალოდ 43%-ს მსგავსი შემთხვევები იშვიათად ან ზოგჯერ ჰქონია:

- ლექტორი დასაქმების შესაძლებლობის შესახებ გაწვდით ინფორმაციას - 46.8%
- ლექტორი პოტენციურ დამსაქმებელთან გიწევთ რეკომენდაციას - 40.3%

საუნივერსიტეტო სივრცეში სასწავლო კურსების ნაკლებ ინტერდისციპლინურობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 47.1%-ს კონკრეტული საგნის სასემინარო/საგამოცდო დავალების შესასრულებლად სხვა კურსის ფარგლებში ნასწავლის მასალის გამოყენება იშვიათად ან ზოგჯერ დასჭირვებია. მსგავს შემთხვევებს რეგულარულობით მხოლოდ 6.8% ახასიათებს.

საშუალოდ მესამედს (33%) უტოლდება იმ რესპონდენტთა წილი, ვისაც უნივერსიტეტის ფინანსურ პოლიტიკასთან, სკოლებთან თანამშრომლობასთან, დაოჯახებულ და/ან მრავალშვილიან სტუდენტებთან მოპყრობასა და კომპანიებთან თანამშრომლობის მოტივებთან დაკავშირებული დებულებების შეფასება გაუჭირდა.

ამასთან, გამოკითხულთა მეხუთედი (20.4%) მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტისა და სკოლების თანამშრომლობა ხშირად და რეგულარულად სწორედ მხოლოდ პოტენციური სტუდენტების მოზიდვას ემსახურება, ანუ უნივერსიტეტი საკუთარი თავის პიარზეა ორიენტირებული და არა ცოდნის გაზიარებაზე. სტუდენტთა მეოთხედის აზრით კი (24.8%) უნივერსიტეტის მიერ შემოსავლების მაქსიმიზაციაზე ორიენტაცია ხშირი და რეგულარული პრაქტიკაა. აქვე ხაზგასასმელია, რომ 35.3%-ის შეფასებით, უნივერსიტეტი ხშირად ან რეგულარულად სწორედ საკუთარი იმიჯის გაზრდაზე/პოპულარიზაციაზე ორიენტირებულ აქტივობებს ახორციელებს.

უნივერსიტეტის პრაქტიკაში ხაზგასასმელია, რომ ყურადღება ექცევა სასწავლო მასალების სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობას. თითქმის ყოველი მეორე რესპონდენტი (48.1%) მიუთითებს, რომ სასწავლო სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე ხშირად და რეგულარულად ითარგმნება და შესაბამისად მესამედზე მეტს (36%) არაქართულენოვანი სასწავლო მასალის გამო, საკითხის გააზრება არასდროს უჭირს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აქტიურადაა ჩართული სტუდენტებისთვის სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მიწოდებაში - მისივე ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციების (48%), გაცვლითი პროგრამების (43.1%) და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ (31.2%) სტუდენტებს ინფორმაციას რეგულარულად

აწვდის. ამასთან, გამოკითხულთა მესამედზე მეტის (34.4%) აზრით, უნივერსიტეტი სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთა საჭიროებებს ხშირად და რეგულარულად სრულყოფილად პასუხობს (იხ. ცხრილი #36).

ცხრილი 36 - კონკრეტული აქტივობების უნივერსიტეტში განხორციელების სიხშირე

ქვემოთ ჩამოთვლილია დებულებები. გთხოვთ, თითოეული მათგანის შემთხვევაში მიუთითოთ, რა რეგულარობით ხდება მსგავსი შემთხვევები თქვენს უნივერსიტეტში (%) (N=1815)	არასდროს / თითქმის	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	რეგულარულად	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
უნივერსიტეტი, დაფინანსების მიღების მიზნით, სხვადასხვა კომპანიასთან თანამშრომლობს	6.3	11.9	22.4	16	6.4	3.9	33.1
აკადემიური პერსონალი დაოჯახებულ და/ან მრავალშვილიან სტუდენტებს სასწავლო პროცესში ანგარიშს უწევს	12.2	15.2	14.3	10.9	10.2	3	34.2
ქართულენოვანი პროგრამებისთვის სასწავლო სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე ითარგმნება	3	9.4	20.1	24.3	23.7	3	16/4
უნივერსიტეტში სტუდენტებს შორის წახალისებულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია	51.4	13.3	7.8	5.6	5.3	5.1	11.5
უნივერსიტეტში ლექტორის მხრიდან წახალისებულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია	43.5	17.3	11.6	7.9	5.8	4.4	9.5
უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მისივე ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციის შესახებ გაწვდით ინფორმაციას	3.9	7.5	8.8	18.2	48.0	4.9	8.7
უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გაცვლითი პროგრამების შესახებ გაწვდით ინფორმაციას	6.8	9.3	9.7	18.5	43.1	4.0	8.5
უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დასაქმების შესაძლებლობის შესახებ გაწვდით ინფორმაციას	6.1	12.4	15.9	20.3	31.2	4.8	9.2
უნივერსიტეტი სრულყოფილად	6.2	17.1	16.6	17.6	16.8	4.8	20.9

ქვემოთ ჩამოთვლილია დებულებები. გთხოვთ, თითოეული მათგანის შემთხვევაში მიუთითოთ, რა რეგულარობით ხდება მსგავსი შემთხვევები თქვენს უნივერსიტეტში (%) (N=1815)	არასდროს / თითქმის	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	რეგულარულად	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
პასუხობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთა საჭიროებებს							
არაქართულენოვანი სასწავლო მასალის გამო, გიჭირთ საკითხის გააზრება	36.0	22.5	17.4	6.5	1.1	3.7	12.7
უნივერსიტეტში სტუდენტებს შორის წახალისებულია ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	58.6	10.5	8.4	2.8	0.9	5.7	13.1
უნივერსიტეტში ლექტორის მხრიდან წახალისებულია ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	56.6	12.8	6.8	4.5	2.4	4.1	12.8
ლექტორი გეხმარებათ დამატებითი ლიტერატურის მოძიებაში	5.1	13.4	24.2	26.7	20.3	1.2	9.1
უნივერსიტეტი საკუთარი იმიჯის გაზრდაზე/პოპულარიზაციაზე ორიენტირებულ აქტივობებს ახორციელებს	2.3	12.6	26.0	24.3	11.0	3.8	19.9
უნივერსიტეტი სკოლებთან მხოლოდ პოტენციური სტუდენტების მოზიდვისთვის თანამშრომლობს	7.3	12.9	17.9	17.0	3.4	5.3	36.2
ლექტორი, სტუდენტების მოთხოვნის გათვალისწინებით, დამატებით მეცადინეობებს ატარებს	8.7	27.2	24.0	13.3	5.3	4.3	17.3
უნივერსიტეტი შემოსავლების მაქსიმიზაციაზეა ორიენტირებული	9.7	7.6	14.3	15.4	9.4	4.9	38.6
ლექტორი დასაქმების შესაძლებლობის შესახებ გაწვდით ინფორმაციას	12.5	21.6	25.2	20.0	6.9	3.0	10.8
ლექტორი პოტენციურ დამსაქმებელთან გიწევთ რეკომენდაციას	11.1	16.5	23.7	19.2	9.6	3.3	16.5
კონკრეტული სასწავლო კურსის სასემინარო / საგამოცდო დავალების შესასრულებლად სხვა კურსის ფარგლებში ნასწავლი მასალის გამოყენება დაგჭირვებიათ	4.2	12.5	34.7	24.6	6.8	5.5	11.8

ქვემოთ ჩამოთვლილია დებულებები. გთხოვთ, თითოეული მათგანის შემთხვევაში მიუთითოთ, რა რეგულარობით ხდება მსგავსი შემთხვევები თქვენს უნივერსიტეტში (%) (N=1815)	არასდროს / თითქმის	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	რეგულარულად	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
უნივერსიტეტი საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიებებს ახორციელებს მაღალმთიან რეგიონებში	15.8	10.5	14.1	5.6	3.0	4.8	46.2

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის ჭრილში საკითხის გაანალიზებისას, ძირითადად, ერთგვაროვანი მონაცემები იკვეთება, თუმცა, ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი შინაარსობრივი განსვლებიც ფიქსირდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$). მართალია, ყოველი მეორე სტუდენტი მიიჩნევს, რომ არც სახელმწიფო და არც კერძო უნივერსიტეტში სტუდენტებს შორის გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია წახალისებული არ არის, თუმცა, მსგავსი ფაქტების ხშირ და რეგულარულ ხასიათზე სახელწმიფო უნივერსიტეტების სტუდენტები უფრო მეტად მიუთითებენ (12%; კერძო უნივერსიტეტი - 7.9%). ლექტორების მხრიდან მსგავსი პრაქტიკების განხორციელება კერძო უნივერსიტეტებში გამოკითხულთა თითქმის მესამედის შეფასებით (31.6%), იშვიათად და ზოგჯერ ხდება (სახელმწიფო - 27.9%). სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტთა 15.3%-ის გამოცდილებით, ლექტორები გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას ხშირად და რეგულარულად წაახალისებენ, კერძო დაწესებულების შემთხვევაში კი მაჩვენებელი 9.2%-მდეა შემცირებული.

როგორც კერძო (საშუალოდ 58%), ისე სახელმწიფო უნივერსიტეტების (66%) შემთხვევაში ადმინისტრაცია აქტიურადაა ჩართული მისივე ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ხშირად და რეგულარულად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას.

კერძო უნივერსიტეტებისთვის მეტადაა დამახასიათებელი ის პრაქტიკა, რომ ლექტორმა, სტუდენტების მოთხოვნის გათვალისწინებით დამატებითი

მეცადინეობები ჩაატაროს (პასუხის კატეგორიები „ხშირად“ და „რეგულარულად“) – 25% (სახელმწიფო უნივერსიტეტი - 16.3%).

კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა უმრავლესობის (52%) შეფასებით, უნივერსიტეტი ხშირად და რეგულარულადაა საკუთარი იმიჯის გაზრდაზე/პოპულარიზაციაზე ორიენტირებული, რაც სხვადასხვა ტიპის აქტივობებს მოიაზრებს. მსგავს პოზიციას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში გამოკითხულთა 29.3% იზიარებს. ამასთან, კერძო უნივერსიტეტებში გამოკითხულთა 28.4%-ის აზრით, უნივერსიტეტი შემოსავლების მაქსიმიზაციაზეა ორიენტირებული, რასაც სახელმწიფო უნივერსიტეტების წარმომადგენელთა 23.4%-იც იზიარებს. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციისთვის მოგებაზე და მხოლოდ იმიჯის გაზრდაზე მიმართული აქტივობები არარელევანტურია; ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ კომპონენტზე ორიენტირებით უნივერსიტეტს ყურადღების მიღმა რჩება ისეთი საკითხები, რომლებიც უფრო მეტადაა მოწყვლად ჯგუფებზე მიმართული.

თითოეული დებულების უსდ-ების ტიპის ჭრილში გაანალიზებული მონაცემები დეტალურად იხილეთ დანართში #4.

ზემოაღნიშნულ დებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც უკავშირდებოდა უნივერსიტეტისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების აქტივობებს, მონაცემთა დამუშავების ეტაპზე, ორთოგონალური ბრუნვის მეთოდით (varimax), გამოყენებულ იქნა **ფაქტორული ანალიზის** პრინციპი. შემოთავაზებული დებულებები, ფაქტორული ანალიზის საფუძველზე, დაიყო 5 ჯგუფად. შინაარსობრივი დაჯგუფებების საფუძველზე, თითოეულ ჯგუფს მიენიჭა მისთვის დამახასიათებელი სახელი. ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფები და მათში გაერთიანებული დებულებები (იხ. ცხრილი #37):

ცხრილი 37- ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოყოფილი ჯგუფები

ჯგუფი 1: უნივერსიტეტი, როგორც დისკრიმინაციის ხელშემწყობი აქტორი
• უნივერსიტეტში სტუდენტებს შორის წახალისებულია ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია • უნივერსიტეტში ლექტორის მხრიდან წახალისებულია ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

• უნივერსიტეტში სტუდენტებს შორის წახალისებულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია • არაქართულენოვანი სასწავლო მასალის გამო, გიჭირთ საკითხის გააზრება • უნივერსიტეტში ლექტორის მხრიდან წახალისებულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია
ჯგუფი 2: ლექტორი, როგორც მხარდამჭერი სუბიექტი
• ლექტორი პოტენციურ დამსაქმებელთან გიწევთ რეკომენდაციას • ლექტორი, სტუდენტების მოთხოვნის გათვალისწინებით, დამატებით მეცადინეობებს ატარებს • ლექტორი დასაქმების შესაძლებლობის შესახებ გაწვდით ინფორმაციას
ჯგუფი 3: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი, როგორც შიდასაუნივერსიტეტო მიმართულებით აქტიური სუბიექტები
• უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გაცვლითი პროგრამების შესახებ გაწვდით ინფორმაციას • ლექტორი გეხმარებათ დამატებითი ლიტერატურის მოძიებაში • უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დასაქმების შესაძლებლობის შესახებ გაწვდით ინფორმაციას • უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მისივე ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციის შესახებ გაწვდით ინფორმაციას
ჯგუფი 4: უნივერსიტეტი, როგორც მხარდამჭერი ორგანო
• აკადემიური პერსონალი დაოჯახებულ და/ან მრავალშვილიან სტუდენტებს სასწავლო პროცესში ანგარიშს უწევს • უნივერსიტეტი, დაფინანსების მიღების მიზნით, სხვადასხვა კომპანიასთან თანამშრომლობს • უნივერსიტეტი სრულყოფილად პასუხობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთა საჭიროებებს • ქართულენოვანი პროგრამებისთვის სასწავლო სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე ითარგმნება
ჯგუფი 5: უნივერსიტეტი, როგორც სოციალურად უპასუხისმგებლო სუბიექტი
• უნივერსიტეტი შემოსავლების მაქსიმიზაციაზეა ორიენტირებული • უნივერსიტეტი სკოლებთან მხოლოდ პოტენციური სტუდენტების მოზიდვისთვის თანამშრომლობს • უნივერსიტეტი საკუთარი იმიჯის გაზრდაზე/პოპულარიზაციაზე ორიენტირებულ აქტივობებს ახორციელებს

ფაქტორული ანალიზის ადეკვატურობას ადასტურებს KMO საზომი, რომელიც ამ შემთხვევაში უტოლდება 0.738-ს, რაც კატეგორიზირებულად ნიშნავს საშუალო დონის ადეკვატურობას/შესაბამისობას (ფაქტორული ანალიზის მოდელი სანდოა: $p<0.01$) (იხ. ცხრილი #38).

ცხრილი 38 - ფაქტორული ანალიზის მოდელის მახასიათებლები

	ჯამური წონა	ვარიაციის %-ულობა
უნივერსიტეტი, როგორც დისკრიმინაციის ხელშემწყობი აქტორი	3.793	18.963
ლექტორი, როგორც მხარდამჭერი სუბიექტი	3.126	15.628
უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი, როგორც შიდასაუნივერსიტეტო მიმართულებით აქტიური სუბიექტები	2.796	13.980
უნივერსიტეტი, როგორც მხარდამჭერი ორგანო	2.509	12.543
უნივერსიტეტი, როგორც სოციალურად უპასუხისმგებლო სუბიექტი	2.080	10.399

ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოყოფილი თითოეული ჯგუფის პასუხების ჯამური მნიშვნელობების შესაბამისად **ფაქტორულ ჯგუფებში შეიქმნა ინდექსური ცვლადები,** რომლებიც, ორიგინალი შეკითხვის სიხშირული სკალის მსგავსად, კატეგორიებად დაიყო. შედეგად გამოვლინდა, რომ შემთხვევათა 39.7%-სთვის უნივერსიტეტი არასდროს/თითქმის არასდროს იქცევა/ოპერირებს, როგორც დისკრიმინაციული სუბიექტი. დაახლოებით 40.6%-ის შემთხვევაში უსდ-ს მსგავსი გამოვლინებები იშვიათად და ზოგჯერ ახასიათებს. მინიმუმამდეა შემცირებული დისკრიმინაციული ქცევის ხშირად და რეგულარულად გამოხატვის შემთხვევები.

მეორე ჯგუფის მიხედვით, იკვეთება, რომ ლექტორები იშვიათად ან ზოგჯერ გამოირჩევიან მხარდამჭერი ქცევით, რომლებიც მათ შორის გარესაუნივერსიტეტო საკითხებს შეეხება და სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობაზეა ორიენტირებული. ზოგადი მდგომარეობის აღსაწერად, გასათვალისწინებელია, რომ 23.9%-ის შემთხვევაში ლექტორებს მსგავსი გამოვლინებები ხშირად ან რეგულარულად ახასიათებთ, რაც ცხადია, მათ საქმიანობას პოზიტიურ ჭრილში განიხილავს.

ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოყოფილი მესამე ჯგუფის მიხედვით, იკვეთება, რომ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი შიდასაუნივერსიტეტო მიმართულებით ძალზე აქტიური სუბიექტები არიან, რასაც ხშირად ან რეგულარულად თავიანთ ქცევებსა და გადაწყვეტილებებში გამოხატავენ კიდეც (64%). მინიმალური 1.6%-ითაა წარმოდგენილი ისეთი შემთხვევა, როდესაც

აღნიშნული აქტორები შიდასაუნივერსიტეტო მიმართულებით აქტიურ სუბიექტებს არ წარმოადგენენ.

საუნივერსიტეტო საზოგადოების ცალკეული ორგანოს მიღმა, უნივერსიტეტი, როგორც ერთიანი სტრუქტურა, ძირითადად, ხშირად ან რეგულარულად ერთვება მოწყვლადი ჯგუფების მხარდამჭერ და სხვა გარესაუნივერსიტეტო აქტივობებში, რომლებიც პოზიტიური ცვლილებების შეტანაზეა ორიენტირებული (37.9%). აქვე ხაზგასასმელია, რომ 17.6%-ის შემთხვევაში საკითხის შეფასება გართულდა და კონკრეტული სიხშირული გამოვლენის დაფიქსირება შეუძლებელი გახდა.

მიუხედავად, ამ ერთი შეხედვით პოზიტიური შედეგისა, ფაქტორული ანალიზის მეხუთე ჯგუფის მიხედვით, რაც უნივერსიტეტს, როგორც სოციალურად უპასუხისმგებლო აქტორს განიხილავს, იკვეთება, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება 25.9%-ის შემთხვევაში მსგავსად ხშირად ან რეგულარულად იქცევა, ხოლო 36.9%-ის შემთხვევაში - იშვიათად ან ზოგჯერ. იმის გათვალისწინებით, რომ, ერთი მხრივ, 35.2%-ს გაუჭირდა კონკრეტული პოზიციის დაფიქსირება, ხოლო, მეორე მხრივ, მხოლოდ 2%-ს უტოლდება მათი წილი, ვისაც უნივერსიტეტის ქმედებებში არასდროს შეუნიშნავს ეგოისტური და უპასუხისმგებლო გადაწვეტილებები, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მუდმივად ორიენტირებულნი არ არიან პოზიტიური ცვლილებების განხორციელებაზე, როგორც შიდასაუნივერსიტეტო, ისე უნივერსიტეტსგარე არეალში. ზოგიერთ შემთხვევაში მათი მთავარი საზრუნავი ეგოისტური მისწრაფებებია, რომლებიც მხოლოდ იმიჯის გაზრდასა და პოპულარიზაციას ემსახურება.

ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოყოფილ ჯგუფებში საკითხის სიხშირული გადანაწილება დეტალურად იხილეთ ცხრილში #39.

ცხრილი 39 - ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოყოფილი ჯგუფები და მათი დამახასიათებელი პრაქტიკების სიხშირე

ფაქტორული ანალიზი	არასდროს/თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	რეგულარულად	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
უნივერსიტეტი, როგორც დისკრიმინაციის ხელშემწყობი აქტორი	39.7	30	10.6	6.3	0.7	12.6
ლექტორი, როგორც მხარდამჭერი სუბიექტი	8.4	19.4	33	19.6	4.3	15.3
უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი, როგორც შიდასაუნივერსიტეტო მიმართულებით აქტიური სუბიექტები	1.6	6.9	18	32.4	31.6	9.5
უნივერსიტეტი, როგორც მხარდამჭერი ორგანო	3.1	12.1	29.3	23.4	14.5	17.6
უნივერსიტეტი, როგორც სოციალურად უპასუხისმგებლო სუბიექტი	2	9.3	27.6	23.3	2.6	35.2

ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოყოფილი ჯგუფების და მათი დამახასიათებელი პრაქტიკების გამოვლენის შემთხვევები **უსდ-ების ტიპის ჭრილში** გაანალიზა. გამოიკვეთა, რომ, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები დისკრიმინაციას, ძირითადად, არასდროს უწყობენ ხელს: სახელმწიფო უნივერსიტეტი - 39.5%, კერძო უნივერსიტეტი - 40.4%. მსგავსი შემთხვევების იშვიათად ან ზოგჯერ გამოვლენის მხრივ კი სახელმწიფო უნივერსიტეტი (41.8%) უფრო დომინირებს, ვიდრე კერძო უნივერსიტეტი (37.4%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=13796, p<0.05).

საშუალოდ გამოკითხულთა მეოთხედს უტოლდება იმ სტუდენტების წილი, ვისი შეფასებითაც, როგორც სახელმწიფო (23.4%), ისე კერძო უნივერსიტეტების (25.6%) ლექტორები, სასწავლო და საქმიანი მიმართულებით, ხშირად და რეგულარულად მიიჩნევიან მხარდამჭერ აქტორებად (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=25238, p<0.05).

სახელმწიფო (62.8%) და კერძო უნივერსიტეტების (67.4%) სტუდენტთა საშუალოდ 65% გამოხატავს, რომ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი

შიდასაუნივერსიტეტო მიმართულებებით აქტიურად მოქმედი სუბიექტია, რომელიც ამ დონეზე ხშირად და რეგულარულად ოპერირებს სტუდენტებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო აქტივობებით (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=19404, p<0.05). ამასთან, უნივერსიტეტი, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებზე ორიენტირებულობით, ხშირად ან რეგულარულად გამოირჩევა მხარდამჭერი და ხელშემწყობი აქტორის ქცევითა და სტატუსით: სახელმწიფო უნივერსიტეტი - 38.7%, კერძო უნივერსიტეტი - 35.8% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=41189, p<0.05).

უნივერსიტეტზე, როგორც სოციალურად უპასუხისმგებლო აქტორზე მსჯელობა გაუჭირდათ ორივე ტიპის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს: სახელმწიფო უნივერსიტეტი - 38.3%, კერძო უნივერსიტეტი - 26.5%. თუმცა, მეორე მხრივ, ხაზგასასმელია, რომ უნივერსიტეტის უპასუხისმგებლობაზე კერძო უნივერსიტეტების წარმომადგენლები მეტად მიუთითებენ. ფაქტორული ანალიზის შედეგად გენერირებული ჯგუფის შინაარსზე დაფუძნებით იკვეთება, რომ კერძო უნივერსიტეტების სტუდენტების ძირითადი ნაწილის შეფასებით (39.5%), მათი უნივერსიტეტი ხშირად ან რეგულარულადაა იმიჯის გაზრდაზე, პოპულარიზაციაზე, პოტენციური სტუდენტების მოზიდვაზე ორიენტირებული, რაც სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის შედარებით ნაკლებადაა დამახასიათებელი (21%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=64804, p<0.05) (იხ. ცხრილი #40).

ცხრილი 40 - ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოყოფილი ჯგუფები და მათი დამახასიათებელი პრაქტიკების სიხშირე (უსდ-ის ტიპის ჭრილში)

ფაქტორული ანალიზი	უსდ-ის ტიპი	საერთოდ/თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	რეგულარულად	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
უნივერსიტეტი, როგორც დისკრიმინაციის ხელშემწყობი აქტორი	სახელმწიფო (N=1135)	39.5	30.4	11.4	5.5	1	12.3
	კერძო (N=680)	40.4	29.1	8.4	8.6	-	13.6

ფაქტორული ანალიზი	უსდ-ის ტიპი	საერთოდ არ/თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	რეგულარულად	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ლექტორი, როგორც მხარდამჭერი სუბიექტი	სახელმწიფო (N=1135)	9.2	19.4	33.2	20.3	3.1	14.8
	კერძო (N=680)	6.1	19.4	32.4	17.7	7.9	16.5
უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი, როგორც შიდასაუნივერსიტეტო მიმართულებით აქტიური სუბიექტები	სახელმწიფო (N=1135)	1.9	8.3	18	31.9	30.8	9.1
	კერძო (N=680)	0.8	2.9	18.2	33.8	33.6	10.6
უნივერსიტეტი, როგორც მხარდამჭერი ორგანო	სახელმწიფო (N=1135)	3.1	10.2	30	25.9	12.7	18
	კერძო (N=680)	2.7	17.4	27.4	16.3	19.5	16.7
უნივერსიტეტი, როგორც სოციალურად უპასუხისმგებლო სუბიექტი	სახელმწიფო (N=1135)	2.2	9.8	28.7	18.9	2.1	38.3
	კერძო (N=680)	1.7	7.9	24.4	35.5	4	26.5

2.5. უნივერსიტეტების რეაგირება ჰიპოთეტურ სიტუაციებზე

გამოკითხვის შემდგომ ეტაპზე რესპონდენტებს წარედგინათ სიტუაციური დებულებები. თითოეულ შემთხვევაში უნდა დაეფიქსირებინათ, როგორ ფიქრობენ რა რეაგირება/პოზიცია შეიძლება ჰქონოდა მათ უნივერსიტეტს. წარმოდგენილი ჰიპოთეტური სიტუაციები შემუშავდა ტერმინის კონცეპტუალიზაციისა და პრაქტიკაში შესაძლო რეალიზების გათვალისწინებით. დებულებები არ ეფუძნება აპრობირებულ სკალას - კონტექსტუალურადაა შემუშავებული.

ზოგადი შეფასებისთვის, უნდა ითქვას, რომ სტუდენტთა ძირითადი ნაწილი კონკრეტულ სიტუაციებში უნივერსიტეტის ჩართულობას/ქცევას პოზიტიურად აფასებს. ქვემოთ წარმოდგენილი სიტუაციების განხილვისას, რესპონდენტთა

ძირითადი ნაწილი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მხარდამჭერ აქტორად აღიქვამს (ქულები 4 და 5):

- სტუდენტური თვითმმართველობა მიზნად ისახავს სტუდენტთა შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას - 40.6%
- კურსდამთავრებულებს სურთ სასტიპენდიო ფონდის შექმნა მოწყვლადი ჯგუფების სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერისთვის - 38.4%
- ადგილობრივი არაკომერციული ორგანიზაცია ეძებს უნივერსიტეტიდან მოხალისეებს საზოგადოებრივ მომსახურებებში, თემზე ორიენტირებულ პროექტებში მონაწილეობის მისაღებად - 46.9%

ამასთან, სტუდენტთა 41.1%-ის შეფასებით, უნივერსიტეტის პოლიტიკა და პროცედურები/რეაგირება კვლევითი პროექტში პოტენციური არაეთიკური ქცევის ჩადენის შემთხვევაში ადეკვატური იქნება, ანუ რეაგირება ეთიკის ნორმების დაცვაზე ორიენტირდება (ქულები 4 და 5). მიუხედავად ცალსახა პოზიტიური შეფასებებისა, ტენდენციურად იკვეთება, რომ იმ საკითხების მხრივ, რომლებიც უფრო ნაკლებად უკავშირდება სასწავლო ან სტაჟირების პროგრამებს/პრაქტიკებს, უნივერსიტეტი შესაძლოა მეტად ავლენდეს არამხარდამჭერის პოზიციას; მაგალითად, პირველ სიტუაციასთან მიმართებით, რომელიც შეეხება ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ სტუდენტებში ცნობიერების ამაღლებას, ყოველი მეხუთე რესპონდენტი (20.5%) მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი მხარდამჭერი არ არის/არ იქნება (ქულები 1 და 2). თითქმის მეხუთედს აღწევს მათი წილიც (17.7%), ვისი შეფასებითაც, უნივერსიტეტი მოწყვლადი ჯგუფების სტუდენტებისთვის ფინანსური მხარდაჭერისთვის სასტიპენდიო ფონდის შექმნაში არ ჩაერთვება და ინიციატივის დონეზე მხარდამჭერი არ იქნება (ქულები 1 და 2) (იხ. ცხრილები #41, #42).

ცხრილი 41 - სხვადასხვა სიტუაციაში უნივერსიტეტების პოზიციის შეფასება

ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე სიტუაცია, რომლებიც თქვენს უნივერსიტეტში მომხდარა ან შეიძლება მოხდეს. გთხოვთ, თითოეულ მათგანთან მიმართებით დააფიქსიროთ, როგორია/როგორი იქნება თქვენი უნივერსიტეტის პოზიცია (%) (N=1815)	სერთოდ არ არის მხარდამჭერი	ეფრო არ არის მხარდამჭერი, ვიდრე არის	თანაბრად	ეფრო არის მხარდამჭერი, ვიდრე არა	სავსებით მხარდამჭერია	ერი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
სტუდენტური თვითმმართველობა მიზნად ისახავს სტუდენტთა შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. თქვენი აზრით, რამდენად მხარდამჭერია თქვენი უნივერსიტეტი მსგავსი ინიციატივების მიმართ?	7	13.5	24.6	24.7	15.9	0.8	13.5
კურსდამთავრებულებს სურთ სასტიპენდიო ფონდის შექმნა მოწყვლადი ჯგუფების სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერისთვის. თქვენი შეფასებით, რამდენად მხარდამჭერია თქვენი უნივერსიტეტი მსგავსი ინიციატივების მიმართ?	5.3	12.4	25.5	23.4	15	1	16.4
ადგილობრივი არაკომერციული ორგანიზაცია ეძებს უნივერსიტეტიდან მოხალისეებს საზოგადოებრივ მომსახურებებში, თემზე ორიენტირებულ პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. თქვენი შეფასებით, რამდენად მხარდამჭერია უნივერსიტეტი მოხალისეობრივ აქტივობებში სტუდენტთა მონაწილეობის მხრივ?	2.1	6.8	27	24	22.9	1.8	15.5

ცხრილი 42 - სხვადასხვა სიტუაციაში უნივერსიტეტების პოზიციის შეფასება

ფაკულტეტის წევრი აღმოაჩენს პოტენციურ არაეთიკურ ქცევას კოლეგის მიერ ჩატარებულ კვლევით პროექტში. რამდენად ადეკვატურია თქვენი უნივერსიტეტის პოლიტიკა და პროცედურები/რეაგირება მსგავს შემთხვევებში ეთიკური სტანდარტების უზრუნველსაყოფად? (N=1815)	%
სრულიად არაადეკვატური	4.9

ფაკულტეტის წევრი აღმოაჩენს პოტენციურ არაეთიკურ ქცევას კოლეგის მიერ ჩატარებულ კვლევით პროექტში. რამდენად ადეკვატურია თქვენი უნივერსიტეტის პოლიტიკა და პროცედურები/რეაგირება მსგავს შემთხვევებში ეთიკური სტანდარტების უზრუნველსაყოფად? (N=1815)	%
უფრო არაადეკვატური, ვიდრე ადეკვატური	6.9
თანაბრად	23.7
უფრო ადეკვატური, ვიდრე არაადეკვატური	21.3
სავსებით ადეკვატური	19.8
უარი პასუხზე	1.4
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	22

2.6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების როლი საზოგადოების ფორმირების პროცესში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის მართვის სამსახურის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ უნივერსიტეტების წესდება, შინაგანაწესი, ცალკეული ფაკულტეტების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, წერილობით დონეზე, ფორმალურად მაინც აბსოლუტურად ორიენტირებულია აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის, როგორც ინტერნალური, ისე ექსტერნალური კომპონენტების რეალიზებაზე, მათ შორის განსაკუთრებით ეთიკური და საგანმანათლებლო კომპონენტების დაკმაყოფილებაზე.

უნივერსიტეტების მისიაზე მსჯელობისას კვლევის ფარგლებში რამდენიმე დონე იქნა გამოყოფილი: 1) აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობა, 2) სტუდენტის, როგორც მოქალაქის გააზრება, 3) უნივერსიტეტის, როგორც ბიზნეს სექტორის გააზრება, 4) უნივერსიტეტის როლი საზოგადოების ფორმირებაში.

2.6.1. აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობა

პროფესორებისა თუ მოწვეული ლექტორების პასუხისმგებლობაზე მსჯელობისას, ძირითადი ორიენტირი კვლავ **საგანმანათლებლო კომპონენტზეა** მიმართული. ზოგიერთი რესპონდენტის, განსაკუთრებით რეგიონული უნივერსიტეტების წარმომადგენელთა, შეფასებით, მათი როლი მხოლოდ სტუდენტებისთვის ცოდნის

გადაცემაა, რაშიც უნივერსიტეტის მხრიდან ხელშეწყობა მნიშვნელოვანია. დედაქალაქის უნივერისტეტების წარმომადგენლებიც მიიჩნევენ, რომ **ლექტორი უნდა იყოს მაგალითი სტუდენტისთვის** - მან უნდა აჩვენოს, ასწავლოს თუ რას ნიშნავს სოციალური პასუხისმგებლობა და რა ტიპის აქტივობებში ჩართულობაა მთავარი. ამდენად, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის სამიზნე ჯგუფებზე მსჯელობისასაც, ლექტორები საკუთარი როლს უპირველესად სტუდენტებისკენ მიმართავენ. სოციალური მიმართულებით იკვეთება საკუთარ კომპანიებში სტაჟირებების გავლის პრაქტიკა, რაც, რესპონდენტების გააზრებით, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს სტუდენტის პროფესიონალურ ზრდას და, მეორე მხრივ, აკადემიური პერსონალის პირადი პასუხისმგებლობის რეალიზების სფეროდ იქცევა. რაც შეეხება ადმინისტრაციის წინაშე დაკისრებულ პასუხისმგებლობას, ლექტორების შეფასებით, იგი მხოლოდ გაწერილი ვალდებულებების შესრულებას მოიცავს.

აკადემიური პერსონალის როლზე მსჯელობისას, ლექტორები ხაზს უსვამენ იმ „ცდუნებას“, რომ **ლექტორმა სტუდენტები სხვადასხვა ინტერესის გამტარად და პროპაგანდისტული მიზნებისთვის არ გამოიყენოს** - *„არის ცალკეული შემთხვევა, როცა ჩემი კოლეგები ბოროტად იყენებენ თავიანთ სამსახურეობრივ მდგომაროებას და აუდიტორიებს პროპაგანდისტული მიზნებისთვის. ჩემი ლექციები უნდა იყოს და არის კიდეც აპოლიტიკური, ჩვენ მხოლოდ ფაქტებს განვიხილავთ, რაც არ ნიშნავს, რომ ვინმეს აპოლოგეტი ვართ.“ (პროფესორი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულება, სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი).* ჰუმანიტარული და სამედიცინო მიმართულების წარმომადგენლებისთვის სალექციო საათები დაცლილი უნდა იყოს პოლიტიკური თემებისგან. ხაზგასასმელია, რომ ზოგიერთი რესპონდენტისთვის სალექციო პერიოდში პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობა იმავე დატვირთავს იძენს, რასაც რელიგიური თუ გენდერული თვითაღქმის საკითხების განხილვა. აღნიშნული კი, სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, არარელევანტურია, რადგან, ზოგადად, პოლიტიკა ქმნის საზოგადოებას, ყოველდღიურობას, დღის წესრიგსა და სამომავლო გეგმებს. სწორედ მსგავსი პოზიცია იკვეთება სამართლის მიმართულების ლექტორებისგან. საგნის სპეციფიკა თუკი ეხება, მაგალითად, საარჩევნო სისტემას, პოლიტიკურ პარტიებს, პოლიტიკურ სისტემას, დემოკრატიას, ევროინტეგრაციას, მსგავს შემთხვევაში სალექციო კურსი, ცხადია, პოლიტიკური საკითხებისგან

დაცლილი ვერ იქნება. **მთავარია, ობიექტური ცოდნისა და ინფორმაციის გაზიარება და არა პოლიტიკური შეხედულებების თავს მოხვევა.** რესპონდენტის აზრით, მნიშვნელოვანია, სტუდენტს მიეწოდოს თეორიული ცოდნა, რომელიც არსებულ რეალობას, ყოველდღიურობას დაუკავშირდება და შემდეგ მას უნდა ჰქონდეს თავისუფლება, თავად გადაწყვიტოს, რა პოლიტიკური შეხედულება, სიმპათია და პოზიცია ჩამოუყალიბდება. ლექტორმა სწორედ ობიექტური ცოდნის გაზიარებით უნდა შეძლოს სტუდენტებისთვის მსჯელობისა და გაანალიზების უნარის განვითარება.

ამასთან, რესპონდენტთა ნაწილი **ლექტორის პასუხისმგებლობად აქტუალურ საკითხებზე პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებასაც მიიჩნევს,** რაც სწორედ მათ სოციალურ პასუხისმგებლობას გამოკვეთს. თუკი უნივერსიტეტს საერთო პოზიცია არ დაუფიქსირებია, ლექტორთა აქტივობა განსაკუთრებით გამართლებულია, რათა საკითხი ყურადღების მიღმა არ დარჩეს და საზოგადოებამაც დაინახოს ცალკეული უნივერსიტეტის ჩართულობა/დაინტერესება. სოციალურობა, უპირველეს ყოვლისა, კრიტიკული პედაგოგიკა და აკადემიაა.

2.6.2. სტუდენტის, როგორც მოქალაქის, გააზრება

კვლევაში ჩართული თითოეული მონაწილე თანხმდება, რომ სტუდენტები დიდი ძალის მქონე საზოგადოებრივი რესურსია, რომელსაც ისეთივე პასუხისმგებლობა აქვს, როგორც სხვა ნებისმიერ სრულწლოვან პირს. სტუდენტი მიჩნეულია, როგორც *„ქვეყნის განვითარების მთავარი შემოქმედი, აქტორი“.*

გამოკითხვის ფარგლებში **სოციალური პასუხისმგებლობის პერსონალურ ქცევებში რეალიზების დეფინიცია განისაზღვრა/შეფასდა.** როგორც აღმოჩნდა, თითქმის ყოველი მესამე რესპონდენტი სავსებით მართებულად მიუთითებს, რომ ეს არის მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა (32.6%); მეხუთედს აჭარბებს მათი წილი, რომელთა აზრითაც, სოციალური პასუხისმგებლობის ინდივიდუალურ დონეზე რეალიზება სხვებისადმი პატივისცემით მოპყრობას გულისხმობს (22.4%). მეორე მხრივ, სტუდენტების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ დაბალ ინფორმირებულობას გამოკვეთს ის,

რომ ცალკეულ შემთხვევაში, რესპონდენტთა მეათედზე მეტის აზრით, ინდივიდუალურ დონეზე/პერსონალურ ქცევაში შესასწავლი საკითხის რეალიზება ნიშნავს: ა) პიროვნული სარგებლის კოლექტიურ/საზოგადო კეთილდღეობაზე მაღლა დაყენებას (12.4%), ბ) საზოგადოებისთვის სასიკეთო პროექტების ორგანიზებას, პირადი სარგებლის მიღების მიზნით - 13.5%. აღნიშნული დებულებები სოციალური პასუხისმგებლობის საზრისს არამართებულად განსაზღვრავს (იხ. ცხრილი #43).

ცხრილი 43 - სოციალური პასუხისმგებლობის ინდივიდუალურ/პერსონალურ ქცევაში რეალიზება

თქვენი აზრით, რას გულისხმობს სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზება ინდივიდუალურ/პერსონალურ ქცევაში? (N=1815)	%
სხვებისადმი პატივისცემით მოპყრობას	22.4
პიროვნული სარგებლის კოლექტიურ/საზოგადო კეთილდღეობაზე მაღლა დაყენებას	12.4
საზოგადოების საჭიროებებისა და პრობლემების უგულებელყოფას	9.6
საზოგადოებისთვის სასიკეთო პროექტების ორგანიზება, პირადი სარგებლის მიღების მიზნით	13.5
მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	32.6
უარი პასუხზე	2.6
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	6.8

სოციალური პასუხისმგებლობის ინდივიდუალურ ქცევაში რეალიზების არეალებს, ძირითადად, **სწორად გამოკვეთენ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები** - საშუალოდ მეოთხედი მიიჩნევს, რომ ეს კონცეპტი აერთიანებს სხვებისადმი პატივისცემით მოპყრობას (ბაკალავრიატი - 21%, მაგისტრატურა - 27%); საშუალოდ მესამედის შეფასებით კი, აღნიშნული გულისხმობს მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობას და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას (ბაკალავრიატი - 31.2%, მაგისტრატურა - 37.4%). მიუხედავად მსგავსი მართებული მსჯელობისა, ცალკეულ სამიზნე ჯგუფში მეათედს აღემატება მათი წილი, რომელთა შეფასებითაც, სოციალური პასუხისმგებლობის პერსონალურ ქცევებში რეალიზება პიროვნული სარგებლის კოლექტიურ/საზოგადო კეთილდღეობაზე მაღლა დაყენებას (ბაკალავრიატი - 12.8%, მაგისტრატურა - 11.3%) ან პირადი სარგებლის მიღების მიზნით, საზოგადოებისთვის სასიკეთო პროექტების ორგანიზებას გულისხმობს

(ბაკალავრიატი - 14.3%, მაგისტრატურა - 11%), რაც მცდარი მსჯელობაა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=65772, p<0.05) (იხ. ცხრილი #44).

ცხრილი 44 - სოციალური პასუხისმგებლობის ინდივიდუალურ/პერსონალურ ქცევაში რეალიზება (სასწავლო საფეხურის ჭრილში)

თქვენი აზრით, რას გულისხმობს სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზება ინდივიდუალურ/პერსონალურ ქცევაში? (სასწავლო საფეხურის ჭრილში) (%)	ბაკალავრიატი (N=1362)	მაგისტრატურა (N=453)
სხვებისადმი პატივისცემით მოპყრობას	21	27
პიროვნული სარგებლის კოლექტიურ/საზოგადო კეთილდღეობაზე მაღლა დაყენებას	12.8	11.3
საზოგადოების საჭიროებებისა და პრობლემების უგულებელყოფას	10.8	5.9
საზოგადოებისთვის სასიკეთო პროექტების ორგანიზება, პირადი სარგებლის მიღების მიზნით	14.3	11
მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	31.2	37.4
უარი პასუხზე	2.4	3
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	7.5	4.5

სტუდენტზე, როგორც მოქალაქეზე, მსჯელობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უნივერსიტეტის მართებულ აღქმას. **იმისათვის, რომ სტუდენტი ჩამოყალიბდეს ღირსეულ მოქალაქედ, მან უნდა გააცნობიეროს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არ არის ვიწრო სპეციალიზაციის გამცემი სტრუქტურა, არამედ უმაღლესი განათლების ფუნქცია უნდა იყოს ცოდნის შექმნა, მისი საზოგადოებაში გავრცელება და საზოგადოების განვითარების მოდელის შექმნაში ჩართულობა.** ამდენად, აკადემიური პერსონალის შეფასებით, სტუდენტები საუნივერსიტეტო სივრცეშივე უნდა ხედავდნენ და იზიარებდნენ აკადემიის სოციალურ პასუხისმგებლობას, მათ გააქტიურებას გამოხმაურებას საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, მის პოზიციონირებას.

შიდასაუნივერსიტეტო დონეზე სტუდენტების „კარგი მოქალაქეობა“ იმითაც განისაზღვრება, რომ მოითხოვონ საუნივერსიტეტო სერვისის მიღება, სრულყოფილი განათლება, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სწავლება. სამედიცინო

მიმართულებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის შეფასებით, სტუდენტი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიმართ უნდა იყოს ძალიან მომთხოვნი და კრიტიკული, რათა სრულყოფილად შეძლოს განათლების მიღება.

სტუდენტის, როგორც მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის, აკადემიური პერსონალის ნაწილი აუცილებლად მიიჩნევს საუნივერსიტეტო სივრცის გარეთ, სხვადასხვა აქტივობაში მის ჩართულობას, მათ შორის სოციალურ, გარემოსდაცვით, სამოქალაქო აქტივიზმთან დაკავშირებულ ღონისძიებებში. როდესაც საუბარია სტუდენტების სამოქალაქო პროცესებში ჩართულობაზე, აკადემიური პერსონალის შეფასებით, **მნიშვნელოვანია სტუდენტებს გააზრებული ჰქონდეთ ის იდეოლოგიური ბაზისი, რაც ამა თუ იმ პროტესტს უდევს საფუძვლად.**

უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტებიც იზიარებენ სტუდენტის, როგორც ანგარიშგასაწევი და მნიშვნელოვანი ძალის, არსებობას საზოგადოებაში. ზემოაღნიშნული პოზიციის მსგავსად, მათი შეფასებითაც, **პოლიტიკის ფორმირების პროცესიც სტუდენტურ ძალაზეა დამოკიდებული** და ამდენად მსგავს პროცესებში ჩართულობა გააზრებულად უნდა მოხდეს. რისკისშემცველია ის დაშვება, რომ შესაძლოა სტუდენტობა, როგორც ძალა, თითოეულმა მხარემ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და პროპაგანდის მსხვერპლი გახადოს.

„ზოგადად რომ ვთქვათ, ნებისმიერი ცვლილება, მნიშვნელოვნად დგას ახალგაზრდების როლზე და, რომ დავაკვირდეთ, გარდამტეხი ძვრა, რაც ყოფილა ჩვენს ქვეყანაში, ახალგაზრდებს ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებიათ ამაში. პოლიტიკის ფორმირების პროცესში, ერთი მხრივ, დასაყრდენიც არის, მათთვის ვისაც ცვლილება უნდა, და, მეორე მხრივ, საფრთხეც არის მათთვის, ვისაც ცვლილება არ უნდა, და ორივე იბრძვის იმისთვის, რომ ეს ჯგუფი [შენიშვნა: ახალგაზრდები] თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს, ანუ გამოიყენოს თავისი მიზნებისთვის. ჩემი აზრით, ეს ფაქტი ძალიან საფრთხილოა.“ (უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტი)

გამოკითხვის შედეგები გამოკვეთს, რომ **სტუდენტები ძირითადად, არ არიან სხვადასხვა ტიპის ღონისძიების/პროექტის ინიციატორები.** უმრავლესობა მათგანს (საშუალოდ 65%) უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის არცერთი ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხისთვის არ მიუმართავს:

- საუნივერსიტეტო დონეზე საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზება - 56.5%
- საუნივერსიტეტო დონეზე არასაგანმანათლებლო (საქველმოქმედო, კულტურული, სპორტული, გარემოსდაცვითი და ა.შ.) ღონისძიების ორგანიზება - 63.6%
- სკოლის მოსწავლეებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების ორგანიზება - 62.5%
- სკოლის მოსწავლეებთან ერთობლივი არასაგანმანათლებლო (კულტურული, გარემოსდაცვითი, სპორტული და ა.შ.) პროექტების ორგანიზება - 63.3%
- ეთნიკური უმცირესობების საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებული აქტივობები - 65.8%
- ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციასთან დაკავშირებული აქტივობები - 67.1%
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებული აქტივობები - 69.6%
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციასთან დაკავშირებული აქტივობები - 68.3%

სტუდენტთა ჩართულობა შედარებით იკვეთება საგანმანათლებლო თუ კულტურული, სოციალური ან სპორტული ღონისძიებების ჩატარების ინიცირებისას (საშუალოდ 34%), მათ შორის სკოლებთანაც (საშუალოდ 29%), თუმცა რეგულარული ხასიათი არ აქვს. ისეთი საკითხები კი, რომლებიც უმცირესობებს ან შშმ პირებს მიემართება, ძირითადად, სტუდენტების ყურადღების მიღმა რჩება (იხ. ცხრილი #45).

ცხრილი 45 - უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისთვის ინიციატივით მიმართვის გამოცდილება

მიგიმართავთ თუ არა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისთვის ინიციატივით, რომელიც შეეხებოდა (%) (N=1815)	არა, არ მიმიმართავს	დიახ, მიმიმართავს იშვიათად	დიახ, მიმიმართავს ზოგჯერ	დიახ, მიმიმართავს ხშირად	დიახ, მიმიმართავს რეგულარულად	უარი პასუხზე
საუნივერსიტეტო დონეზე საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზებას	56.5	12.2	11.3	9.3	5.7	5
საუნივერსიტეტო დონეზე არასაგანმანათლებლო (საქველმოქმედო, კულტურული, სპორტული, გარემოსდაცვითი და ა.შ.) ღონისძიების ორგანიზებას	63.6	5.8	11.3	9.9	2.5	6.9
სკოლის მოსწავლეებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების ორგანიზებას	62.5	7.1	13.7	6.4	3.3	7
სკოლის მოსწავლეებთან ერთობლივი არასაგანმანათლებლო (კულტურული, გარემოსდაცვითი, სპორტული და ა.შ.) პროექტების ორგანიზებას	63.3	8	11.2	6.3	2.5	8.7
ეთნიკური უმცირესობების საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს	65.8	7.7	8.7	4.2	3.9	9.7
ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს	67.1	6.3	7.5	6.1	4.6	8.4
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს	69.6	4.4	10.2	3.4	5.8	6.7
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა	68.3	5.2	7.3	4.1	6.2	9

მიგიმართავთ თუ არა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისთვის ინიციატივით, რომელიც შეეხებოდა (%) (N=1815)	არა, არ მიმიმართავს	დიახ, მიმიმართავს იშვიათად	დიახ, მიმიმართავს ზოგჯერ	დიახ, მიმიმართავს ხშირად	დიახ, მიმიმართავს რეგულარულად	უარი პასუხზე
საზოგადოებაში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს						

სასწავლო საფეხურის ჭრილშიც ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია, თუმცა, იკვეთება, რომ მაგისტრანტები უფრო ნაკლებად გამოირჩევიან ინიციატივებით, ვიდრე ბაკალავრიატის სტუდენტები; ამის მიუხედავად, ორივე სამიზნე ჯგუფში დომინანტურია პოზიცია, რომ არცერთი განხილული აქტივობის/ღონისძიების ორგანიზების/გამართვის მიზნით ადმინისტრაციისთვის არ მიუმართავს: ბაკალავრიატის სტუდენტები - საშუალოდ 62%, მაგისტრანტები - საშუალოდ 73% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=31495, $p<0.05$). ის ფაქტი, რომ სტუდენტები ინიციატივებით არ გამოირჩევიან, შესაძლოა მიუთითებდეს აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზებაში საკუთარი თავის/როლის აღუქმელობასთან; სავსებით შესაძლებელია, რომ მათი ინიციატივები უკავშირდებოდეს არამხოლოდ შიდასაუნივერსიტეტო, არამედ უნივერსიტეტსგარე აქტივობებს, რომლებიც საზოგადოებაში პოზიტიური ცვლილებების განმაპირობებელი შეიძლება აღმოჩნდეს, თუმცა, პრობლემურია ის საკითხი, რომ სტუდენტები, სწავლის მიღმა, დამატებითი აქტივობების განხორციელების საჭიროებას ვერ ხედავენ (იხ. ცხრილი #46).

ცხრილი 46 - უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისთვის ინიციატივით მიმართვის გამოცდილება (სასწავლო საფეხურის ჭრილში)

მიგიმართავთ თუ არა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისთვის ინიციატივით, რომელიც შეეხებოდა (სასწავლო საფეხურის ჭრილში) (%)	სასწავლო საფეხური	არა, არ მიმიმართავს	დიახ, მიმიმართავს იშვიათად	დიახ, მიმიმართავს ზოგჯერ	დიახ, მიმიმართავს ხშირად	დიახ, მიმიმართავს რეგულარულად	ურთ პასუხზე
საუნივერსიტეტო დონეზე საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზებას (X^2=31032, p<0.05)	ბაკალავრიატი (N=1362)	53.7	12	12.4	10.2	6.6	5.1
	მაგისტრატურა (N=453)	65.9	13.1	7.7	6.5	2.3	4.4
საუნივერსიტეტო დონეზე არასაგანმანათლებლო (საქველმოქმედო, კულტურული, სპორტული, გარემოსდაცვითი და ა.შ.) ღონისძიების ორგანიზებას (X^2=39095, p<0.05)	ბაკალავრიატი (N=1362)	60.5	5.7	13.6	10.5	2.5	7.1
	მაგისტრატურა (N=453)	73.7	6.3	4	7.7	2.3	6.1
სკოლის მოსწავლეებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების ორგანიზებას (X^2=64128, p<0.05)	ბაკალავრიატი (N=1362)	58.6	7.9	16.9	6.2	3.6	6.7
	მაგისტრატურა (N=453)	75.1	4.7	3.5	6.8	2.3	7.7
სკოლის მოსწავლეებთან ერთობლივი არასაგანმანათლებლო (კულტურული, გარემოსდაცვითი, სპორტული და ა.შ.) პროექტების ორგანიზებას (X^2=90635, p<0.05)	ბაკალავრიატი (N=1362)	60.8	8.2	13.6	8.2	2.3	7
	მაგისტრატურა (N=453)	71.5	7.7	3.5	-	3.3	14
ეთნიკური უმცირესობების საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს (X^2=31495, p<0.05)	ბაკალავრიატი (N=1362)	64.2	8.1	10.1	4.4	4.6	8.6
	მაგისტრატურა (N=453)	71.1	6.3	4	3.7	1.9	13.1
ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში	ბაკალავრიატი (N=1362)	64.7	6.7	9.2	6.6	5.5	7.3

მიგიმართავთ თუ არა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისთვის ინიციატივით, რომელიც შეეხებოდა (სასწავლო საფეხურის ჭრილში) (%)	სასწავლო საფეხური	არა, არ მიმიმართავს	დიახ, მიმიმართავს იშვიათად	დიახ, მიმიმართავს ზოგჯერ	დიახ, მიმიმართავს ხშირად	დიახ, მიმიმართავს რეგულარულად	უარი პასუხზე
ინტეგრაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს (X^2=X^2=46248, p<0.05)	მაგისტრატურა (N=453)	74.4	4.9	2.3	4.7	1.9	11.9
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს (X^2=33912, p<0.05)	ბაკალავრიატი (N=1362)	67.3	4.8	11.4	3.2	7.1	6.1
	მაგისტრატურა (N=453)	76.9	3	6.1	3.7	1.9	8.4
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს (X^2=55500, p<0.05)	ბაკალავრიატი (N=1362)	66.3	6.4	7.7	4.5	7.6	7.6
	მაგისტრატურა (N=453)	75.1	0.9	6.1	2.8	1.9	13.3

სხვადასხვა თემის ინიციატორ სტუდენტთა შეფასებით კი, **უნივერსიტეტის ადმინისტრაციულმა პერსონალმა მათი იდეა დააკმაყოფილა** (49.6%). 12.2%-ს უტოლდება მათი წილი, ვისაც ჯერ არ მიუღია საბოლოო პასუხი, ხოლო 13.1%-ის შემთხვევაში ადმინისტრაციამ სტუდენტის ინიციატივა არ დააკმაყოფილა. ხაზგასასმელია, რომ სამიზნე ჯგუფის რესპონდენტთა მეოთხედმა (25.1%) უარი განაცხადა პასუხზე.

ზემოაღნიშნული შედეგი ამყარებს პოზიციას, რომ, სტუდენტების 36.9%-ის აზრით, უნივერსიტეტი აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივების

დაკმაყოფილების მხრივ მხარდამჭერი აქტორია (ქულები 4 და 5).[19] თუმცა, აქაც ხაზგასასმელია, რომ ყოველი მეხუთეს (21.9%) საკითხის შეფასება უჭირს, ხოლო ყოველი მეოთხე (25.5%) შუალედურ პოზიციას იკავებს (ქულა 3) (იხ. ცხრილი #47).

ცხრილი 47 - უნივერსიტეტის მხარდაჭერის დონე აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივების დაკმაყოფილების მხრივ

მთლიანობაში, გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი უნივერსიტეტის მხარდაჭერის დონე აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივების დაკმაყოფილების მხრივ? (N=1815)	%
საერთოდ არ არის მხარდაჭერილი მსგავსი ინიციატივები	3.6
უფრო არ არის მხარდაჭერილი მსგავსი ინიციატივები	8.7
თანაბრად	25.5
უფრო მხარდაჭერილია მსგავსი ინიციატივები	26.7
ძალზე მხარდაჭერილია მსგავსი ინიციატივები	10.1
უარი პასუხზე	3.5
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	21.9

როგორც **სახელმწიფო (37.2%), ისე კერძო (36%) უნივერსიტეტების** სტუდენტთა საშუალოდ მესამედზე მეტის შეფასებით, უნივერსიტეტი აკადემიურ სოციალურ პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული ინიციატივების დაკმაყოფილების მხრივ მხარდამჭერი აქტორია (ქულები 4 და 5) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=46073, p<0.05). ზოგადი შეფასებისთვის უნდა ითქვას, რომ კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა 29.3%-ს პასუხის გაცემა გაუჭირდა (სახელმწიფო უნივერსიტეტი - 19.3%), რაც შესაძლოა კიდევ ერთხელ გამოკვეთდეს სტუდენტების პასიურობას უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მხრივ და შესაბამისად მსგავს სიტუაციებში უსდ-ების ქცევის პრაქტიკის იდენტიფიცირების სირთულეს (იხ. დიაგრამა #24).

[19] შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავს კატეგორიას „საერთოდ არ არის მხარდაჭერილი მსგავსი ინიციატივები“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „ძალზე მხარდაჭერილია მსგავსი ინიციატივები“.

დიაგრამა 24 - უნივერსიტეტის მხარდაჭერის დონე აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივების დაკმაყოფილების მხრივ (უსდ-ის ტიპის ჭრილში)



ერთია, რომ სტუდენტები ნაკლებად არიან სხვადასხვა ღონისძიების ინიციატორები, ხოლო მეორეა, რომ ისინი ნაკლებად ერთვებიან/მონაწილეობენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ პროექტებში. გამოკითხულთა უმრავლესობა მიუთითებს, რომ გარემოსდაცვით აქტივობებში (67.6%), დასაქმების ფორუმებში (53%), სპორტულ ღონისძიებებში (69.3%) მონაწილეობა არ მიუღიათ. სტუდენტების ჩართულობა მეტად გამოიხატება საგანმანათლებლო პროექტებში (73.8%) და კულტურულ ღონისძიებებში (53.1%) (იხ. დიაგრამა #25).

დიაგრამა 25 - უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ჩართულობა



ძირითად შემთხვევაში ნებისმიერი ტიპის აქტივობაში **მონაწილეობის მიუღებლობის დომინანტური მიზეზი** დროის უქონლობა (საშუალოდ 30%) და ინტერესის ნაკლებობაა (საშუალოდ 33%). აქტუალურ მიზეზადაა დასახელებული მსგავსი ღონისძიებების შესახებ არაინფორმირებულობა (საშუალოდ 17%). ხაზგასასმელია, რომ სპორტულ ღონისძიებებში ყოველი მეორე რესპონდენტი ინტერესის ნაკლებობის გამო არ ერთვება, რაც ნებისმიერ სხვა ტიპის აქტივობასთან შედარებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (იხ. ცხრილი #48).

ცხრილი 48 - უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიუღებლობის მიზეზები

რატომ არ მიგიღიათ მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ.....	გარემოსდაცვით აქტივობები (N=1244)	სხვადასხვათემებზე პროექტებში (კონფერენციები, ტრენინგები, ვორკშოფები და ა.შ.) (N=350)	დასაქმების ფორუმები (N=945)	კულტურული ღონისძიებები (N=798)	სპორტული ღონისძიებები (N=1237)
მსგავსი ღონისძიებების/აქტივობების შესახებ არ მქონდა ინფორმაცია	27.3	13.2	19.2	16.7	7.2
დროის უქონლობის გამო	32.3	31.5	35	34.3	29.5
ინტერესის ნაკლებობის გამო	16.9	30.1	23	29.9	50.6
უნივერსიტეტს მსგავსი ღონისძიებების/აქტივობების ორგანიზება არ გაუკეთებია	10.8	7.2	5.1	8.5	3.4
სხვა	0.9	0.7	2.5	1.2	0.2
უარი პასუხზე	4.9	8.7	7.1	5	4.3
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	6.8	8.7	8.1	4.4	4.9

სტუდენტები არც მოხალისეობრივ აქტივობებში ან თემთან/საზოგადოებასთან დაკავშირებულ აქტივობებში ჩართულობით გამოირჩევიან - რესპონდენტთა 15.3%-ს მსგავს აქტივობებში მონაწილეობა უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში არასდროს მიუღია, ხოლო თითქმის მეოთხედს - უფრო იშვიათად, ვიდრე სემესტრში ერთხელ (23%). მეათედსაც არ უტოლდება მათი წილი, ვინც მსგავს

აქტივობებში/ღონისძიებებში/პროექტებში სემესტრში 4-5ჯერ მონაწილეობს (8.9%) (იხ. დიაგრამა #26).

დიაგრამა 26 - სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებულ მოხალისეობრივ აქტივობებში ან თემზე/საზოგადოებაზე მიმართულ აქტივობებში მონაწილეობის სიხშირე



სასწავლო მიმართულებების ჭრილში სტატისტიკურად სანდო განსხვავებები გამოიკვეთა. სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებებისა (30.2%) და სახელოვნებო მიმართულებების სტუდენტების (24.2%) საშუალოდ 23% თემთან დაკავშირებულ ან მოხალისეობრივ აქტივობებში, რომლებიც მათ აკადემიურ სფეროსთანაა დაკავშირებული, სემესტრში 2-3-ჯერ ერთვებიან. ბიზნესის/ეკონომიკისა (24.6%) და ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ტექნიკური მიმართულებების სტუდენტების (24.7%) მეოთხედი მსგავს აქტივობებში უფრო იშვიათად მონაწილეობს, ვიდრე სემესტრში ერთხელ. ხოლო სამედიცინო მიმართულების სტუდენტები, რომელთაც, სასწავლო მიმართულების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველაზე აქტიურად შეუძლიათ ჩაერთონ უნივერსიტეტსგარე აქტივობებში, რომლებიც თუნდაც საზოგადოების ჯანმრთელობაზე ზრუნვას გულისხმობს, გამოკვეთილად მიუთითებენ, რომ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მსგავს აქტივობებში არასდროს მიუღიათ მონაწილეობა (26.4%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=140245, p<0.05) (იხ. ცხრილი #49).

ცხრილი 49 - სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებულ მოხალისეობრივ აქტივობებში ან თემზე/საზოგადოებაზე მიმართულ აქტივობებში მონაწილეობის სიხშირე (სასწავლო მიმართულების ჭრილში)

რამდენად ხშირად მონაწილეობთ მოხალისეობრივ აქტივობებში ან თემზე/საზოგადოებაზე მიმართულ აქტივობებში, რომლებიც თქვენს აკადემიურ სფეროსთან/სასწავლო პროგრამასთან არის დაკავშირებული? (სასწავლო მიმართულებების ჭრილში) (%)	ბიზნესი / ეკონომიკა (N=372)	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები (N=374)	ზუსტ და საბუნებისმეტყველო / ტექნიკური მიმართულებები (N=372)	სამედიცინო მიმართულება (N=371)	სახელოვნებო მიმართულება (N=326)
სემესტრში 4-5-ჯერ	7	7.2	11.2	11.5	15.2
სემესტრში 2-3-ჯერ	22.1	30.2	12.7	13.2	24.2
სემესტრში ერთხელ	14.3	11.6	14	6.8	12.1
უფრო იშვიათად, ვიდრე სემესტრში ერთხელ	24.6	22.3	24.7	21.4	18.2
არასდროს მიმიღია მსგავს აქტივობებში მონაწილეობა, რაც უნივერსიტეტში ვსწავლობ	14.8	14	9.9	26.4	15.2
უარი პასუხზე	4.8	5.6	11.7	3.7	6.1
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	12.3	9	15.8	16.9	9.1

მსგავსი შედეგები, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სტუდენტები საკუთარ პასუხისმგებლობას, უფრო მეტად შიდასაუნივერსიტეტო სივრცით საზღვრავენ და უნივერსიტეტსგარე საკითხებთან ბმას, ძირითადად, ვერ ხედავენ.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები აქტიურად არ მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობაში და, ძირითადად, არც ინიციატორები არიან, უმრავლესობა მათგანი **საკუთარ წილ პასუხისმგებლობას გრძნობს სოციალური საკითხებისა და საზოგადოების განვითარების პროცესში ჩართულობის თვალსაზრისით** (50.6%; ქულები 4 და 5).[20] მეორე მხრივ, მეათედს აღემატება იმ რესპონდენტთა წილი, ვინც

[20] შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავს კატეგორიას „საერთოდ ვერ ვგრძნობ ამ პასუხისმგებლობას“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „სრულყოფილად ვგრძნობ ამ პასუხისმგებლობას“.

პირად პასუხისმგებლობას ვერ გრძნობს და საზოგადოების განვითარებაში საკუთარ როლს ვერ ხედავს (11.9%; ქულები 1 და 2) (იხ. ცხრილი #50).

ცხრილი 50 - სოციალური საკითხებისა და საზოგადოების განვითარების პროცესებში ჩართულობის მხრივ პირადი პასუხისმგებლობის შეგრძნება

როგორც სტუდენტი, რამდენად გრძნობთ პირად პასუხისმგებლობას სოციალური საკითხებისა და საზოგადოების განვითარების პროცესებში ჩართულობის მხრივ? (N=1815)	**%**
საერთოდ ვერ ვგრძნობ ამ პასუხისმგებლობას	5.1
უფრო ნაკლებად ვგრძნობ ამ პასუხისმგებლობას	6.8
თანაბრად	27.2
უფრო მეტად ვგრძნობ ამ პასუხისმგებლობას	22.7
სრულყოფილად ვგრძნობ ამ პასუხისმგებლობას	27.9
უარი პასუხზე	2.4
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	7.9

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ძირითადი ნაწილის შეფასებითაც, **სტუდენტების სოციალური პასუხისმგებლობა მაღალია, რადგან ისინი აქტიურად არიან ჩართულები მიმდინარე საზოგადოებრივ მოვლენებში,** მათ შორის 2023 წლის მარტის აქციებში, რომელიც ე.წ. „რუსული კანონის“ მიღებას უკავშირდებოდა. ამასთან ზოგიერთმა რესპონდენტთა საკუთარი სტუდენტობისას მიმდინარე საპროტესტო აქციები, მოძრაობები გაიხსენეს, რომლებიც სწორედ საზოგადოებრივი სიკეთისკენ იყო ორიენტირებული: 1989 წლის 9 აპრილი, 1978 წლის 14 აპრილი, მოძრაობა „თარგმნე“, მოძრაობა „ლაბორატორია 1918“, ბოლონიის პროცესის მხარდამჭერი მოძრაობა, 2015 წლის 13 ივნისის ტრაგედიის მოხალისეობრივი ჯგუფი.

უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, **სტუდენტური აქტივობა და საუნივერსიტეტო სივრცე ერთმანეთისგან გამიჯნულია.** სტუდენტებში შეინიშნება სპონტანური მოქმედებები, რომლებიც ნაკლებად ორგანიზებულია. სტუდენტთა ნაწილი შესაძლოა სოლიდარული იყოს ამა თუ იმ საპროტესტო აქციის მონაწილეების მიმართ და ამით საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმესთან ერთგვარი კავშირი იქმნება. ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, სტუდენტის მოქალაქეობრივი საქმიანობები ხშირად საუნივერსიტეტო სივრცესთან

კავშირის გარეშე ხდება - *„სტუდენტები და თანაკურსელები გამოდიან უნივერსიტეტის გარეთ და აკეთებენ რაღაცას, გადიან თუნდაც პროტესტზე, აკეთებენ სოციალურ აქტივობას, ასევე პროფესორებიც, მაგრამ ესენი ამ ყველაფერს უნივერსიტეტის სახელით არ აკეთებენ.“ (უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტი).* შესაძლოა ითქვას, რომ უნივერსიტეტი ვერ გახდა დამაკავშირებელი რგოლი სტუდენტსა და სამოქალაქო საკითხებს, ზოგადად, საზოგადოების საჭიროებებს შორის.

2.6.3. უნივერსიტეტის, როგორც ბიზნეს სექტორის გააზრება

უნივერსიტეტს, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, გააზრებული უნდა ჰქონდეს საზოგადოებისთვის სიკეთის მოტანის საჭიროება, რაც, ცხადია, არ არის ვალდებულება, თუმცა სასურველ დონედ განიხილება. ამ პროცესში უნივერსიტეტი საზოგადოების კეთილდღეობას უანგაროდ უნდა უზრუნველყოფდეს და უნდა განიხილებოდეს როგორც სოციალური სტრუქტურა, რომელიც ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომია. უნივერსიტეტის ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის კუთხითაც გამოიკვეთა, რომ, რესპონდენტების ნაწილის შეფასებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ორიენტირებული უნდა იყოს ისეთი კადრების მომზადებაზე, რომლებიც მარტივად დასაქმდებიან, ანუ მაქსიმალურად დააკმაყოფილებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ნეგის და რობის (2008) ნაშრომის - *„შეუძლია თუ არა უნივერსიტეტს იყოს კარგი კორპორატიული მოქალაქე?“ („Can universities be good corporate citizens?“)* - მიხედვით, სწორედ ამ დონეზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, უნივერსიტეტები ბიზნესისთვის დამახასიათებელ აქტივობებს ახორციელებენ და მის სტრუქტურას იმეორებენ - სტუდენტი გაიგივებულია მომხმარებელთან, ხოლო უნივერსიტეტი - მიმწოდებელთან (Nagy & Robb, 2008). საუნივერსიტეტო სივრცის ბიზნეს მოდელთან დაკავშირება მეტწილად განათლების კომერციალიზაციას იწვევს, რაც ახალი ცოდნის გენერირებასა და გადაცემაზე შესაძლოა ნეგატიურად აისახებოდეს, საუნივერსიტეტო სივრცე არა საკუთარი თავის პოპულარიზაციასა და სტუდენტების მოზიდვას, არამედ საზოგადო სიკეთის შექმნას უნდა ემსახურებოდეს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის პერსპექტივით უნივერსიტეტის ბიზნეს მოდელად აღქმა არარელევანტურია.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ **უნივერსიტეტის, როგორც ბიზნეს სექტორის გააზრება, სასწავლო პროგრამების მიხედვით, განსხვავებულია.** ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულების ლექტორები ეთანხმებიან გააზრებას, რომ უნივერსიტეტი ბიზნეს სექტორია, რამდენადაც უნივერსიტეტის სტრუქტურა ბიზნეს სექტორის მოდელს იმეორებს: არსებობს პროდუქტი - ცოდნა, არის მიმწოდებელი - უნივერსიტეტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი და არსებობს მომხმარებელი - სტუდენტი. მომხმარებლისთვის მიწოდებული პროდუქცია კი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უნდა იყოს. სწორედ ესაა ინდიკატორი, თუ რომელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში იწყებს სტუდენტი სწავლას.

„იურიდიულად რანაირი მოწყობილობა ექნება რამეს ამას მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ მართვის ნაწილში ცალსახად ვეთანხმები, რომ კი უნივერსიტეტი არის წმინდა ბიზნესური გაგება, ჰყავს თავისი მომხმარებელი და გადარჩება ის, ვისაც ექნება ხარისხიანი პროდუქტი. ხარისხიან პროდუქტში იგულისხმება ცალსახად აკადემიური გარემო, სწავლა და განათლება“ (მოწვეული ლექტორი, ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულება, კერძო უნივერსიტეტი, თბილისი)

რესპონდენტთა ნაწილი შესაძლოა იდეოლოგიურად არ იზიარებს უნივერსიტეტის, როგორც ბიზნესის გააზრებას, თუმცა თანამედროვე მსოფლიოში განათლების მარკეტიზაციის, კომერციალიზაციის პროცესისთვის წინააღმდეგობის გაწევას რთულ და შეუძლებელ პროცესად მიიჩნევს. ზოგიერთი აკადემიური პერსონალი მსგავს რეალობაში **პრიორიტეტულად საზღვრავს უნივერსიტეტისა და ბიზნესის მეტად დაახლოებას, რათა ორმხრივი სარგებლის მიღება გახდეს შესაძლებელი.**

მეორე მხრივ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების ლექტორთა ძირითადი ნაწილი **უნივერსიტეტის, როგორც ერთ-ერთი ბიზნეს სექტორის, გაგებას ემიჯნება.** ერთ-ერთმა მათგანმა უნივერსიტეტის ბიზნესად განხილვას „დიდი უბედურება“ უწოდა, რადგან მსგავს შემთხვევაში უნივერსიტეტის მთავარი მისია აზრს კარგავს. უნივერსიტეტი უნდა იყოს მაღალი მორალური და სოციალური პასუხისმგებლობის ინსტიტუცია. სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების ლექტორი მიიჩნევს, რომ **თუკი უნივერსიტეტის მოდელი ბიზნესად იქცევა, ანუ საბაზრო მოთხოვნებს დაემორჩილება, მაშინ უნივერსიტეტის იდეა განადგურდება და ინტელექტუალური რესურსი დაიკარგება.**

„ის [შენიშვნა: უნივერსიტეტი] უნდა ზრდიდეს არა ბაზარზე მორგებულ მოქალაქეებს, ბიზნეს მენტალობის ადამიანებს, რომელთა ცნობიერებაშიც მხოლოდ ფულის ტირანიაა, არამედ უნდა ზრდიდეს ადამიანებს, რომლებმაც საინტერესო ცხოვრებით უნდა იცხოვრონ: იყვნენ მეცნიერები, სახელმწიფო მოღვაწეები, მოქალაქეები, რომლებიც საზოგადოებას გარკვეულ სარგებელს მოუტანენ.“ (პროფესორი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულება, კერძო უნივერსიტეტი, თბილისი)

უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტების შეფასებითაც, **განათლება, როგორც საზოგადო სიკეთე, ბიზნესისგან უნდა გაიმიჯნოს.** ბიზნეს-მოდელად უფრო მეტად კერძო უნივერსიტეტები სახელდება, რომელთა ფუნქციონირება სრულად სტუდენტების შენატანზე (სწავლის გადასახადზეა) დამოკიდებული. მათი შეფასებით, სწორედ დღეს არსებულმა დაფინანსების მოდელმა განაპირობა უნივერსიტეტების, როგორც ბიზნეს სექტორის, გააზრება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიზნეს მოდელად განხილვა რიგ შემთხვევებში ყურადღების მიღმა ტოვებს სწავლის ხარისხს და პრიორიტეტი სტუდენტების რაოდენობას ენიჭება, რათა უნივერსიტეტმა შემოსავალი არ დაკარგოს. ექსპერტთა შეფასებით, **განათლება, როგორც საზოგადოებრივი სიკეთე სახელმწიფოს დონეზე უნდა იყოს გააზრებული, თუმცა თავად სახელმწიფო უყურებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, როგორც ბიზნესს, რაც სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზებას აფერხებს.** ექსპერტთა შეფასებით, შრომის ბაზარი არ უნდა კარნახობდეს უნივერსიტეტს საკუთარ მოთხოვნებს და სასურველი კადრების კვალიფიკაციას. უნივერსიტეტი თავად არის ცვლილებების აგენტი და ორიენტირი შიდასაუნივერსიტეტო და უნივერსიტეტსგარე აქტივობებზე უნდა მიმართოს, რათა ამით საზოგადოების განვითარებაში პოზიტიური წვლილი შეიტანოს.

2.6.4. უნივერსიტეტის როლი საზოგადოების ფორმირებაში

იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა, თავისი არსით, და მათ შორის რესპონდენტთა ძირითადი ნაწილის განმარტებით, უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებაში პოზიტიური ცვლილებების შეტანას, სწავლისა და კვლევის გარდა უნდა ასრულებდეს „მესამე მისიას“, რაც სწორედ საზოგადოებისთვის სიკეთის მოტანაზეა ორიენტირებული, კვლევის ფარგლებში

შეფასდა, თუ რას გულისხმობს უნივერსიტეტის როლი საზოგადოების ფორმირების პროცესში.

უმეტესწილად **უნივერსიტეტის როლი კვლავ აკადემიაში შექმნილი ცოდნის გაზიარების აუცილებლობას** მიემართება. რესპონდენტთა ნაწილის შეფასებით, თუკი აკადემიური, მეცნიერული ცოდნა საზოგადოებამდე ვერ მივიდა, ანუ თუ უნივერსიტეტმა გარე ფაქტორებში ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა, ეს ცოდნა დარჩება მხოლოდ დეკლარირებული, ნაწარმოები ცოდნა, რომელსაც საზოგადოებისთვის არანაირი ღირებულება არ ექნება. ამასთან, საკითხზე მსჯელობისას, რესპონდენტთა ნაწილი უნივერსიტეტის მხრიდან იმ მხარდაჭერის გამოვლენის აუცილებლობაზე საუბრობს, რამაც სტუდენტებს, აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პერსონალს სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტების (განსაკუთრებით კი უნივერსიტეტსგარე აქტივობების) რეალიზებაში უნდა შეუწყოს ხელი.

„უნივერსიტეტს ძალიან დიდი როლი აკისრია საზოგადოების, საკუთარი პერსონალისა და სტუდენტების წინაშე, რომ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მაგალითი და ნიმუში გვიჩვენონ და ამის შესაძლებლობა მოგვცეს. აი, მაგალითად, რომ არ ყოფილიყო მხარდაჭერა, დიდი ჯგუფით ვერ წავიდოდი და ვერ უზრუნველვყოფდი გარემოს დაცვის კამპანიაში მონაწილეობას, ხანდაზმულების დახმარებას და ასე შემდეგ, ამიტომ ეს არის ორმხრივი პროცესი, უფრო სწორად მრავალმხრივი.“ (სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი, კერძო უნივერსიტეტი, თბილისი)

სტუდენტების შეფასებით, **უნივერსიტეტი საზოგადოებრივ პროცესებში სოციალური გავლენის შესაქმნელად და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად ეფექტიანი ინსტიტუციაა** (29.2%; ქულები 4 და 5).[21] თუმცა, დაახლოებით მეხუთედს უტოლდება მათი წილი, ვინც უნივერსიტეტის ჩართულობას არაეფექტიანად აფასებს (18.4%; ქულები 1 და 2). უნივერსიტეტის მხრიდან მკაფიოდ გამოხატული ჩართულობის არარსებობას ის ფაქტიც შეიძლება ადასტურებდეს, რომ სტუდენტთა მესამედზე მეტი (36.1%) შუალედურ პოზიციას იკავებს და პოლუსური პოზიციების დაფიქსირებისგან თავს იკავებს (იხ. დიგრამა #27).

[21] შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავს კატეგორიას „სრულიად არაეფექტიანია“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „სავსებით ეფექტიანია“.

დიაგრამა 27 - პოზიტიური სოციალური გავლენის შესაქმნელად და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად საზოგადოებრივ პროცესებში უნივერსიტეტის ჩართულობის ეფექტიანობის შეფასება



ზემოაღნიშნულ პოზიტიურ შეფასებას ისიც ამყარებს, რომ ყოველი მესამე რესპონდენტის (32.2%) აზრით, **უნივერსიტეტი საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებს** აქტიურად ეხმიანება/საკუთარ პოზიციას აფიქსირებს. მეხუთედის მოსაზრებით კი (23.3%), უნივერსიტეტი ამ მხრივ არააქტიური აქტორია (იხ. დიაგრამა #28).

დიაგრამა 28 - საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებზე უნივერსიტეტის მხრიდან პოზიციის დაფიქსირების პრაქტიკა



როგორც სახელმწიფო (35.1%), ისე კერძო (28.9%) უნივერსიტეტების სტუდენტთა ძირითადი ნაწილი საკითხის შეფასებისას ნეიტრალურ პოზიციას იკავებს - მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის ჩართულობა საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების მიმართ მკვეთრად არც აქტიურია და არც არააქტიური (ქულა 3). მეორე მხრივ, მინიმალურია სხვაობა, თუმცა, კერძო უნივერსიტეტების უფრო მეტი წარმომადგენელი განიხილავს უსდ-ს როლსა და პროცესებში მონაწილეობას პოზიტიურად (ქულები 4 და 5): კერძო უნივერსიტეტი - 33.3%, სახელმწიფო უნივერსიტეტი - 31.9%. ამას ისიც მოწმობს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებში გამოკითხულთა თითქმის მეოთხედის აზრით (24%) უსდ არააქტიურად აფიქსირებს საკუთარ პოზიციას საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების შესახებ (კერძო უნივერსიტეტი - 21.3%). თუმცა, საკითხის ერთპიროვნულად კერძო უნივერსიტეტებისთვის პოზიტიურად გადაჭრის საშუალებას არ ქმნის ის ფაქტი, რომ ა) ამ ტიპის უსდ-ების წარმომადგენელთა თითქმის 2%-ის აზრით, უნივერსიტეტი საკუთარ პოზიციებს საერთოდ არ აფიქსირებს (სახელმწიფო უნივერსიტეტი - 0.8%), ბ) ამ ტიპის უსდ-ების წარმომადგენელთა 14.6%-მა უარი განაცხადა ან გაუჭირდა პასუხის გაცემა (სახელმწიფო უნივერსიტეტი - 8.1%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X^2=74002$, $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #29).

დიაგრამა 29 - საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებზე უნივერსიტეტის მხრიდან პოზიციის დაფიქსირების პრაქტიკა (უსდ-ის ტიპის ჭრილში)



განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ როგორ უყურებენ რეგიონული უნივერსიტეტების წარმომადგენლები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების როლს საზოგადოების ფორმირების პროცესში. **ეთნიკური უმცირესობებით დაკომპლექტებული რეგიონის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტის მისიად სწორედ ეთნიკური უმცირესობების დომინანტურ კულტურაში ინტეგრაციის ხელშეწყობას მიიჩნევს.** რეგიონული უნივერსიტეტების განსაკუთრებულ როლზე უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტმაც გაამახვილა ყურადღება. მისი შეფასებით, **რეგიონული უნივერსიტეტები წამყვან როლს ასრულებს თემის, საზოგადოების, იდენტობის ფორმირებისთვის.** ექსპერტის შეფასებით, რეგიონული უნივერსიტეტების საქმიანობა, დაგეგმილი აქტივობები უნდა ითვალისწინებდეს რეგიონების მახასიათებლებს, მაგალითად, საზღვრისპირა რეგიონია თუ არა, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონია თუ არა, მაღალმთიან რეგიონში მდებარეობს თუ არა და ა.შ. მსგავსი ინფორმაციის გაანალიზება და რეგიონული საჭიროებების, პრიორიტეტების გამოსავლენად კვლევითი აქტივობების განხორციელება ადგილობრივი კულტურისა და საზოგადოების განვითარებაზე პოზიტიური გავლენის მომხდენი იქნება. თუმცა, რესპონდენტთა შეფასებით, **ამ ეტაპზე რეგიონული უნივერსიტეტის ჩართულობა საზოგადოების ფორმირების პროცესში დაბალია.**

ხაზგასასმელია ისიც, რომ, თბილისის კერძო უნივერსიტეტის ბიზნესის მიმართულების აკადემიური პერსონალის შეფასებით, **საზოგადოების ფორმირებაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, სასკოლო საფეხურის, როლი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უნივერსიტეტების,** რამდენადაც, მისი აზრით, სკოლა პირდაპირ მონაწილეობს მომავალი თაობის აღზრდასა და ჩამოყალიბებაში, ხოლო უნივერსიტეტი უკვე აღზრდილ, სრულწლოვან, ჩამოყალიბებულ სტუდენტს იღებს. მისი შეფასებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლი საზოგადოებაში სასწავლო პროგრამებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ერთმანეთთან დაკავშირებაა, რათა სტუდენტს დასაქმებაში ხელი შეუწყოს. მსგავს პოზიციას უპირისპირდება სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის მოსაზრება, რომ, წინა

საგანმანათლებლო საფეხურებისგან განსხვავებით, სწორედ **საუნივერსიტეტო სივრცეში ფორმირდება ადამიანი, ყალიბდება პიროვნებად და გადის სოციალიზაციის მნიშვნელოვან ეტაპებს.**

„უნივერსიტეტი, თავისი ღირებულებებით, უმნიშვნელოვანესი დაწესებულებაა, აქ წესით არ უნდა იყვნენ ადამიანები, ვინც შეცდომებს უშვებენ, იმიტომ რომ უდიდესი პასუხისმგებლობა გვეკისრება. ზოგი ადამიანის ფორმირებაც კი უნივერსიტეტში ხდება, პიროვნულად შედგება ხოლმე უნივერსიტეტში და საკუთარ თავს იქ იპოვის ადამიანი. სოციალიზაციის ერთგვარი როლი ჩემთვის მაგალითად უნივერისტეტს აქვს, იმიტომ რომ სკოლას, ბაღს და პროფესიულ სასწავლებელს სოციალიზაციის ასპექტები არ აქვს კარგად გაანალიზებული.“ (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი)

აკადემიური პერსონალის ნაწილის, განსაკუთრებით სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების პროფესორებისა თუ მოწვეული ლექტორების, შეფასებით, უნივერსიტეტის როლი მხოლოდ შრომის ბაზრის მოთხოვნებზე არ უნდა იყოს ორიენტირებული, რამდენადაც საუნივერსიტეტო ცოდნის გენერირებისთვის საჭიროა სამეცნიერო ცენტრების, კათედრების არსებობა, რაც საზოგადოების კეთილდღეობაზე, პროგრესზე, კულტურული ცივილიზაციის განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. ამ ჭრილში შეგვიძლია ვიმსჯელოთ სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების როლის შესაძლო განსხვავებებზე. რესპონდენტთა შეფასებით, ზემოაღნიშნული **ბმა შრომის ბაზართან და ცალსახად მისი ინტერესების გატარება უფრო კერძო უნივერსიტეტებისთვისაა დამახასიათებელი.** რესპონდენტთა ნაწილის აზრით, მსგავსი ორიენტირების გამო ზოგიერთი კერძო უნივერსიტეტი ვერ ახერხებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კეთილშობილური იდეის, საზოგადოების გაუმჯობესების, რეალიზებას - რადგან *„საზოგადოება ვერ გაუმჯობესდება ფულის ტირანიით“ (პროფესორი, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულება, კერძო უნივერსიტეტი, თბილისი).* ამ გააზრებით, თითქოს, სახელმწიფო უნივერსიტეტები მეტად უნდა იყვნენ ორიენტირებულნი საზოგადოების ფორმირებაზე და უფრო აქტიურად უნდა ერთვებოდნენ პროცესებში დაკისრებული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის გამო, თუმცა,

რესპონდენტთა შეფასებით, მსგავსი მექანიზმები სრულყოფილად არ მოქმედებს და უნივერსიტეტის როლი ამ მხრივ განსაკუთრებით დაბალია.

ზოგადი შეფასებების გარდა, თუ როგორ უნდა ჩაერთოს უნივერსიტეტი საზოგადოების ფორმირების პროცესში, აკადემიური პერსონალის ნაწილმა ისაუბრა იმ ბარიერებზე, **თუ რატომ ვერ მონაწილეობს უმაღლესი განათლების კომპონენტი საზოგადოების ჩამოყალიბებაში.** პრობლემურად დასახელდა, ერთი მხრივ, **უნივერსიტეტებისადმი საზოგადოების დაბალი ნდობა,** ხოლო, მეორე მხრივ, **თანამედროვეობას და აქტუალურ საკითხებს დაშორებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები,** რომლებიც აკადემიაში იქმნება. შესაბამისად, გადაჭრის გზად მიჩნეულია, კვლევითი მიმართულების განვითარება, რაც უნივერსიტეტს ა) დაუბრუნებს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფებისგან ნდობას, ბ) ჩართავს სახელმწიფოებრივი, საზოგადოების დონეზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალი მიიჩნევს, რომ **უნივერსიტეტი არ უნდა იყოს პოლიტიზირებული, თუმცა, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე მას თავისი პოზიცია უნდა გააჩნდეს, რისი საჯაროდ გამოხატვა „სასიცოცხლოდ აუცილებელია“.** რესპონდენტთა ნაწილის შეფასებით, ამჟამად უნივერსიტეტი მიმდინარე მოვლენებში არ ერთვება, ნაკლებად იჩენს სამოქალაქო პასუხისმგებლობას, თავისუფლებისადმი პატივისცემას და ა.შ. გამოკვეთილია მოსაზრება, რომ უნივერსიტეტი ვიწრო, პროფესიული ცოდნით შემოიფარგლება, რაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხოლოდ პირველ და მეორე მისიაზეა ორიენტირებული, მესამე მისიის რეალიზების შესაძლებლობები კი უნივერსიტეტს ბოლო დროს მიმდინარე მოვლენების შემთხვევაშიც ხელიდან აქვს გაშვებული.

„მე ცოტა კრიტიკულად ვუყურებ ამ [შენიშვნა: მესამე მისიის] აქტივობებს. აი, ვთქვათ, ახლა იყო პროტესტი ამ ე.წ. „რუსული კანონის“ გამო, სტუდენტებმა გადაწყვიტეს, რომ გაეპროტესტებინათ. მესამე მისია ხომ ეს იყო პირველ რიგში, რომ უნივერსიტეტებს გამოეხატათ პოზიცია ამ პროცესების მიმართ. ჩემი აზრით, ამ მიზნის [შენიშვნა: კონსტიტუციით გაწერილი ევროკავშირის წევრობის] მიმართ უნივერსიტეტებს უნდა გამოეტანათ თავისი პოზიცია. 1-2 უნივერსიტეტის რაღაც განცხადება ვნახე. დანარჩენი ძალიან პასიურ როლში იყვნენ უნივერსიტეტები. მესამე მისია სწორედ ესაა, რომ

საზოგადოების მოთხოვნა და მიზანი რაცაა, ამას უნდა მოემსახურო, მხარი დაუჭირო.“ (პროფესორი, სამართლის მიმართულება, სახელმწიფო უნივერსიტეტი, რეგიონი)

უნივერსიტეტის მიმართ გამოხატული ნაკლები ნდობის ერთ-ერთ ინდიკატორად რესპონდენტები სწორედ მსგავსი შემთხვევებისას პოზიციის გამოუხატველობას მიიჩნევენ. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელი პროფესორის შეფასებით, უნივერსიტეტს პოზიცია უნდა დაეფიქსირებინა 2023 წლის 6 თებერვალს თურქეთში მომხდარი მიწისძვრის ფაქტზეც, რიკოთზე მიმდინარე პროცესების შესახებაც. რესპონდენტის შეფასებით, მსგავს შემთხვევებზე გამოხმაურებით საზოგადოება უნივერსიტეტის აქტიურობას დაინახავდა, რაც განსაკუთრებით დაბალია რეგიონულ დონეზე.

მსგავს პოზიციას აფიქსირებენ უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტებიც. მათი შეფასებით, **უნივერსიტეტი თანამედროვე მოვლენებს ჩამორჩა და ფეხის აწყობას არ ცდილობს.** ისეთი სასწავლო მიმართულებების წარმომადგენლებიც კი, რომლებიც მიმდინარე აქტუალური მოვლენების შესახებ სტუდენტებს უნდა ასწავლიდნენ, უხსნიდნენ, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ეხმარებოდნენ, რეალურად თავად არ არიან აქტიურები. მეტიც, რესპონდენტთა შეფასებით, მიმდინარე მოვლენები კონკრეტული ფაკულტეტების სასწავლო პროგრამების სალექციო კურსების შინაარსს შეიძლება შეესაბამებოდეს, რაც ლექტორთა გამოხატვის თავისუფლებას მეტად უნდა აფართოებდეს, თუმცა ეს ჩართულობა პასიურია.

ამასთან, ექსპერტთა შეფასებით, სხვადასხვა უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი, **მიმდინარე მოვლენების შესახებ პოზიციის გამოხატვას უნივერსიტეტის სახელით ერიდება, უმეტესწილად არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებად გვევლინებიან და ამ სტატუსით აფიქსირებენ და ავრცელებენ საკუთარ პოზიციას.**

„მიმაჩნია, რომ ეს ძალიან დამაფიქრებელი თემაა იმიტომ, რომ ეს უჩვენებს: ა) არასამთავრობო ორგანიზაციებში ეს ხალხი თავს უფრო დაცულად გრძნობს, რადგან ხელისუფლების ზემოქმედება არასამთავრობოებზე, თუნდაც იმიტომ, რომ ეს კანონი არ იქნა მიღებული, შედარებით უფრო შეზღუდულია, მაინც Project-based არის და იციან, რომ ეს რაღაცნაირად პროექტული მუშაობაა; ბ) მიუთითებს იმაზე, რომ უნივერსიტეტებს არ აქვთ

თავისუფლების მაღალი ხარისხი; გ) მიუთითებს იმაზე, რომ გაცნობიერებულიც არ აქვთ, რომ მათი პოზიცია უნდა დაფიქსირდეს." (უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტი)

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტთა შეფასებით, **უნივერსიტეტის აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ექსტერნალური ფაქტორები და, ზოგადად, მისი ჩართულობა საზოგადოებრივ პროცესებში გასავითარებელია.** უმაღლესი განათლების რეფორმის ჯგუფის ექსპერტთა ნაწილის აზრით, უნივერსიტეტი ძირითად ორიენტირად კვლავ პირველი და მეორე მისიის დაკმაყოფილებას მიიჩნევს, ხოლო მესამე მისიის მხრივ, საზოგადოების განვითარების პროცესში გაუცნობიერებლად და/ან ნაკლებად მონაწილეობს.

2.7. შემაჯამებელი საკითხები (უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ზოგადი (მთლიანი/ერთიანი) აღქმა, მომსახურების ხარისხი, კმაყოფილება)

შეჯამებისთვის, კითხვარის დასასრულ წარმოდგენილი იყო უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ზოგად აღქმასთან, გაწეული მომსახურების ხარისხსა და მისით კმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები.

სტუდენტთა ძირითადი ნაწილი პოზიტიურად აფასებს უნივერსიტეტის როგორც გარემოსდაცვით აქტივობებში ჩართულობას, ისე სოციალური პრობლემების მოგვარებაში მის წვლილს - საშუალოდ 32% უნივერსიტეტის მსგავს აქტორად წარმოჩენას ეთანხმება (ქულები 4 და 5):[22]

- ჩემი უნივერსიტეტი ხელს უწყობს გარემოს დაცვას - 30.1%
- ჩემს უნივერსიტეტს წვლილი შეაქვს სოციალური პრობლემების მოგვარებაში - 34.8%

მსგავსი პოზიტიური შეფასების მიღმა, გასათვალისწინებელია, რომ გამოკითხულთა საშუალოდ თითქმის მეხუთედს საკითხის შეფასება გაუჭირდა, ანუ შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ უნივერსიტეტის პოზიციები/აქტიურობა მკვეთრად გამოხატული არ არის (იხ. ცხრილი #51).

[22] შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავს კატეგორიას „სრულიად არ ვეთანხმები", ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „სავსებით ვეთანხმები".

ცხრილი 51 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ზოგადი (ერთიანი) აღქმა

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ზოგადი (მთლიანი / ერთიანი) აღქმა (%) (N=1815)	სრულიად არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	ნეიტრალური	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ჩემი უნივერსიტეტი ხელს უწყობს გარემოს დაცვას	2.6	16.9	25.8	16.6	13.6	2.2	22.3
ჩემს უნივერსიტეტს წვლილი შეაქვს სოციალური პრობლემების მოგვარებაში	4.4	16.8	26.5	20.9	13.8	2.4	15.1

უშუალოდ **უსდ-ების ტიპის** დონეზე, გამოვლინდა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები უფრო პოზიტიურად აფასებენ უნივერსიტეტის ჩართულობას სოციალური პრობლემების მოგვარებაში - 36.4% ეთანხმება ამ მოსაზრებას. მსგავს პოზიციას კერძო უნივერსიტეტის შემთხვევაში რესპონდენტთა 30.5% ავლენს. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ კერძო უნივერსიტეტებში გამოკითხულთა მეოთხედის აზრით (24.8%), უნივერსიტეტს სოციალური პრობლემების მოგვარებაში წვლილი არ შეაქვს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=30382, $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #30).

დიაგრამა 30 - სოციალური პრობლემების მოგვარებაში უნივერსიტეტის წვლილის შეფასება (უსდ-ის ტიპის ჭრილში)



გამოკითხვაში ჩართული სტუდენტები განსაკუთრებით პოზიტიურად აფასებენ საუნივერსიტეტო სივრცეში მიღებულ **მომსახურების** ხარისხს. გამოკითხულთა ძირითადი ნაწილის შეფასებით: 1) უნივერსიტეტს მაღალი ხარისხის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს - 36.6%; ბ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმეს ხარისხიანად ასრულებს - 46.9%. ამასთან გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა უმრავლესობის აზრით, სასწავლო პროგრამები, როგორც შინაარსობრივად, ისე ტექნიკურად თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების თვალსაზრისით, სრულად გამართულია - 52.7%. როგორც გამოიკვეთა, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კომპეტენციები და უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი პოზიტიურ ჭრილში ფასდება, განსხვავებით მმართველი რგოლის საქმიანობისგან - ამ შემთხვევაში სტუდენტების მკაფიო პოზიცია არ იკვეთება - თანაბარი 27% მიიჩნევს, რომ მმართველი რგოლი საქმეს ხარისხიანად ასრულებს (ქულები 4 და 5) ან არ ასრულებს (ქულები 1 და 2). დომინანტური პოზიციის არქონაზე მიუთითებს ისიც, რომ ყოველმა მესამე რესპონდენტმა (33.4%) ნეიტრალური/შუალედური პოზიცია დააფიქსირა (ქულა 3) (იხ. ცხრილი #52).

ცხრილი 52 - უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასება

მომსახურების ხარისხი (%) (N=1815)	სრულიად არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	ნეიტრალური	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ჩემს უნივერსიტეტს მაღალი ხარისხის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს	10.3	18.9	20.7	18.1	18.5	3	10.5
ჩემს უნივერსიტეტს მაღალი ხარისხის სასწავლო პროგრამები აქვს	4.4	10.2	22.7	25	27.8	3.2	6.8
ჩემი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი საქმეს ხარისხიანად ასრულებს	2.7	8.4	31.5	22.3	24.6	3	7.6
მმართველი რგოლი საქმეს ხარისხიანად ასრულებს	9.5	17.6	33.4	14.9	12.3	3.5	8.9

მართალია, როგორც **ბაკალავრიატის (52.3%), ისე მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტების** უმრავლესობა (54.1%) იზიარებს პოზიციას, რომ უნივერსიტეტის მაღალი ხარისხის სასწავლო პროგრამები აქვს (ქულები 4 და 5), ნეგატიური შეფასების მქონე პირთა შორის მაგისტრანტები ჭარბობენ (19.1%, ქულები 1 და 2) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=26323, p<0.05). შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ განსხვავებული სასწავლო საფეხურების სტუდენტებისთვის პროგრამების ხარისხი სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ფასდება. მაგისტრანტებს შორის ნეგატიური შეფასებების დიდი წილი, შესაძლოა კურიულუმების/პროგრამების პრაქტიკულ დონესაც მიემართებოდეს, მის შინაარსობრივ და პრაქტიკულ გამართულობას, შრომის ბაზართან შესაბამისობას. როგორც ზემოთაც აღინიშნა, სწორედ მაგისტრანტთა დიდი წილი მიიჩნევს, რომ სასწავლო პროგრამებში შრომის ბაზრის მოთხოვნები ინტეგრირებული არ არის, რაც შესაძლოა მათ სამომავლო დასაქმებას აფერხებდეს. სავარაუდოდ, სწორედ მსგავსი კომპლექსური მსჯელობის შედეგია ის, რომ მაგისტრანტთა შორის უფრო მეტია მათი წილი, რომლებიც არ იზიარებენ პოზიციას, რომ უნივერსიტეტს მაღალი ხარისხის სასწავლო პროგრამები აქვს (იხ. დიაგრამა #31).

დიაგრამა 31 - სასწავლო პროგრამების ხარისხის შეფასება (სასწავლო საფეხურის ჭრილში)



უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით ყველაზე მეტად კმაყოფილები **ბიზნესის/ეკონომიკისა (47.8%) და ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ტექნიკური მიმართულებების სტუდენტები (46.7%) არიან** (ქულები 4 და 5), ხოლო ყველაზე ნაკლებად კმაყოფილნი სამედიცინო მიმართულებების სტუდენტები (ქულები 1 და 2) - 42.4% არ იზიარებს მოსაზრებას, რომ უნივერსიტეტი მაღალი ხარისხის მატერიალურ-ტექნიკური ბაზითაა აღჭურვილი (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=232466, p<0.05). ამ მიმართულებების სტუდენტთა მეოთხედის (25.5%) შეფასებით, უნივერსიტეტს არც მაღალი ხარისხის სასწავლო პროგრამების არ აქვს (ქულები 1 და 2). სხვა მიმართულებებზე კი სასწავლო კურსების/პროგრამების ხარისხი პოზიტიურად ფასდება (ქულები 4 და 5):

- ბიზნესი/ეკონომიკა - 59.3%
- სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები - 57.1%
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ტექნიკური მიმართულებები - 59.2%
- სახელოვნებო მიმართულება - 62.5% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=240411 p<0.05) (იხ. ცხრილი #53).

ცხრილი 53 - უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასება (სასწავლო მიმართულების ჭრილში)

მომსახურების ხარისხი (სასწავლო მიმართულებების ჭრილში) (%)	ბიზნესი / ეკონომიკა (N=372)	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები (N=374)	ზუსტ და საბუნებისმეტყველო / ტექნიკური მიმართულებები (N=372)	სამედიცინო მიმართულება (N=371)	სახელოვნებო მიმართულება (N=326)
ჩემს უნივერსიტეტს მაღალი ხარისხის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს					
სრულიად არ ვეთანხმები	5.8	7.9	7.7	25.4	9.1
უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	13.1	24.2	15.1	16.9	27.3
თანაბრად	25.8	22.2	16.6	15.9	24.2
უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	22.5	17.8	19.6	11.2	21.2
სავსებით ვეთანხმები	25.3	15	27	8.8	12.1
უარი პასუხზე	-	4.2	5.1	1	-
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	7.5	8.7	8.9	20.7	6.1
ჩემს უნივერსიტეტს მაღალი ხარისხის სასწავლო პროგრამები აქვს					
სრულიად არ ვეთანხმები	1.4	3.7	3.1	11.2	6.3
უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	18.1	6.8	6.4	14.3	9.4
თანაბრად	13.9	25.6	20.4	29.3	21.9
უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	30.1	27.6	22.7	15.3	28.1
სავსებით ვეთანხმები	29.2	29.5	36.5	9.5	34.4
უარი პასუხზე	1.1	2.9	5.6	3.4	-
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	6.1	3.9	5.4	17	-

ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, ლოგიკურია, რომ სტუდენტთა ძირითადი ნაწილი **უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურებითა და დამოკიდებულებით კმაყოფილია.** მესამედს აჭარბებს მათი წილი (37.7%), ვინც უნივერსიტეტის მიერ მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის შესრულებით კმაყოფილია (ქულები 4 და 5). თითქმის ყოველი მეორე კი კმაყოფილებას უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული განათლების მხრივ გამოხატავს (48.7%). უნივერსიტეტის მიმართ სტუდენტთა პოზიტიური დამოკიდებულება იმდენად გამოკვეთილია ამ მხრივ, რომ უმრავლესობა მათგანი (53.4%) სხვებთანაც გაუწევდა იმ უნივერსიტეტს რეკომენდაციას, რომელშიც სწავლობს. ნეგატიურ

დამოკიდებულებას გამოკითხულთა 12.1% ავლენს, რაც პოზიტიურთან შედარებით, საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია (იხ. ცხრილი #54).

ცხრილი 54 - უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურებით კმაყოფილება

კმაყოფილება (%) (N=1815)	სრულიად არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	ნეიტრალური	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
კმაყოფილი ვარ უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული განათლებით	4.8	9.6	28.1	26.8	21.9	2.4	6.4
კმაყოფილი ვარ უნივერსიტეტის მიერ მასზე დაკისრებული პასუხიმგებლობის შესრულებით	4.3	11.6	33.6	18.7	19	2.7	10
იმ უნივერსიტეტს, რომელშიც ვსწავლობ, სხვებსაც ვურჩევ (სხვებთანაც გავუწევ რეკომენდაციას)	5.3	6.8	24.3	23.3	30.1	2.2	8

შესაძლოა ითქვას, რომ **უსდ-ების ტიპის ჭრილში** საკითხის გაანალიზებისას ზოგადი ტენდენცია ნარჩუნდება კმაყოფილების შეფასებისასაც - მართალია, ორივე ტიპის უსდ-ების წარმომადგენელთა ძირითადი ნაწილი უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული განათლებით კმაყოფილია, თუმცა, სახელმწიფო უნივერსიტეტებში მსგავსი პოზიციის მქონე პირთა წილი 45.8%-ს უტოლდება, კერძოში კი უმრავლესობას წარმოადგენს (56.6%) (ქულები 4 და 5). მეორე მხრივ, მართალია, უკმაყოფილო რესპონდენტთა წილი დომინანტური არცერთ სამიზნე ჯგუფში არ არის, თუმცა ამ სტუდენტთა რაოდენობა მაინც სახელმწიფო უნივერსიტეტებში ჭარბობს (ქულები 1 და 2) – 16.1% (კერძო უნივერსიტეტი - 9.6%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=32889, p<0.05). ამდენად, ლოგიკურია, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებში შედარებით მეტია ისეთი სტუდენტი, ვინც იმ უნივერსიტეტში სწავლას, რომელშიც თავად სწავლობს, სხვებს არ ურჩევდა (13.4%). კერძოს შემთხვევაში მაჩვენებელი 9%-მდე მცირდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=20594, p<0.05) (იხ. დიაგრამა #32).

დიაგრამა 32 - უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურებით კმაყოფილება (უსდ-ის ტიპის ჭრილში)



მიუხედავად იმისა, რომ როგორც **ბაკალავრიატის** (37.6%), ისე **მაგისტრატურის** საფეხურის სტუდენტების ძირითადი ნაწილი (37.9%) კმაყოფილია (ქულები 4 და 5) უნივერსიტეტის მიერ მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის შესრულებით, რეალურად, მაგისტრანტები, ბაკალავრიატის სტუდენტებთან შედარებით (14.4%), მეტად ნეგატიურ ველში ექცევიან (20.9%; ქულები 1 და 2). მსგავსი შედეგები, შესაძლოა გამოწვეული იყოს მაგისტრანტების საუნივერსიტეტო სივრცეში ოპერირებით, მასში ჩართულობით და იმ ხარვეზების უფრო ხანგრძლივ პერიოდში დანახვით, რაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებობს, როგორც შიდასაუნივერსიტეტო, ისე უნივერსიტეტსგარე დონეზე (იხ. დიაგრამა #33).

დიაგრამა 33 - უნივერსიტეტის მიერ მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის შესრულებით კმაყოფილება (სასწავლო საფეხურის ჭრილში)



ზემოთ განხილული პოზიციებიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ სამედიცინო მიმართულების წარმომადგენელთა შორის, სხვა **სასწავლო მიმართულებებთან** შედარებით, მაღალია მიღებული განათლებით უკმაყოფილოთა წილი (ქულები 1 და 2), რაც 31.5%-ს უტოლდება. ყველა სხვა სასწავლო მიმართულებების სტუდენტთა უმრავლესობა საკითხს პოზიტიურად აფასებს და, მიუხედავად ობიექტურად თუ სუბიექტურად არსებული ხარვეზებისა, უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული განათლებით, სწავლა-სწავლების შედეგებით კმაყოფილია (ქულები 4 და 5):

- ბიზნესი/ეკონომიკა - 51.7%
- სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები - 55.4%
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ტექნიკური მიმართულებები - 51.5%
- სახელოვნებო მიმართულება - 53.1% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X^2=178563$, $p<0.05$)

სამედიცინო მიმართულების სტუდენტთა მოსაზრებებს, სავარაუდოდ, პანდემიის პირობებში განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და პრაქტიკული კომპონენტების პრობლემა აყალიბებს. პანდემიური მდგომარეობა ყველაზე მძაფრად ნეგატიურად სწორედ ამ მიმართულებით ცოდნის გავრცელებასა და მიღებაზე აისახა (იხ. ცხრილი #55).

ცხრილი 55 - უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურებით კმაყოფილება (სასწავლო მიმართულების ჭრილში)

კმაყოფილება (სასწავლო მიმართულებების ჭრილში) (%)	ბიზნესი / ეკონომიკა (N=372)	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები (N=374)	ზუსტ და საბუნებისმეტყველო / ტექნიკური მიმართულებები (N=372)	სამედიცინო მიმართულება (N=371)	სახელოვნებო მიმართულება (N=326)
კმაყოფილი ვარ უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული განათლებით					
სრულიად არ ვეთანხმები	2.8	3.1	2.3	14.6	6.3
უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	8.1	7.6	9.2	169.	12.5
თანაბრად	31.9	24.6	27.6	32.9	28.1
უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	32.2	30.7	23	15.3	28.1
სავსებით ვეთანხმები	19.4	24.6	28.6	9.2	25
უარი პასუხზე	-	2.2	4.1	3.4	-
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	5.6	7.1	5.4	7.8	-
იმ უნივერსიტეტს, რომელშიც ვსწავლობ, სხვებსაც ვურჩევ (სხვებთანაც გავუწევ რეკომენდაციას)					
სრულიად არ ვეთანხმები	4.2	1.8	2	20	6.1
უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	5.6	7.1	3.6	11.9	6.1
თანაბრად	17.3	27.7	20.6	29.5	21.2
უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	29.1	24.6	25.2	11.2	18.2
სავსებით ვეთანხმები	31.6	33.2	33.3	14.9	45.5
უარი პასუხზე	-	2	3.6	3.4	-
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	12.3	3.7	11.7	9.2	3

დასკვნა

„აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა“ ახლად დამკვიდრებული ტერმინია ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, რასაც როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტთა ინფორმირებულობის დონეც მოწმობს. ხშირია ტერმინის არასრულყოფილი გააზრება და მხოლოდ აკადემიურ, ანუ საგანმანათლებლო და სოციალურ კომპონენტზე აქცენტირება. შესასწავლი კონცეპტის შესახებ, სხვა სასწავლო პროგრამებთან შედარებით, უფრო მეტად ინფორმირებულია სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულების აკადემიური პერსონალი, რომელიც უფრო აქტიურად ერთვება უნივერსიტეტსგარე აქტივობებშიც. მსგავსი ტენდენცია იკვეთება სტუდენტების გამოკითხვის შედეგადაც. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, საშუალოების შედარების მიდგომის (ANOVA) შედეგად, კვლევის ძირითადი ჰიპოთეზა, რომ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის საფუძვლებიდან გამომდინარე, ბიზნესის/ეკონომიკის მიმართულების სტუდენტები ყველაზე მეტად უნდა ყოფილიყვნენ შესასწავლი საკითხის შესახებ ინფორმირებულნი, უარყოფილ იქნა. ინფორმირებულობის დონით პირველ პოზიციას, სწორედ სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სტუდენტები იკავებენ. მეორე მხრივ, ჯგუფთაშორისმა T-ტესტმა დაადასტურა, რომ მაგისტრანტები უფრო მეტად არიან ინფორმირებულნი, ვიდრე ბაკალავრიატის სტუდენტები, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ტიპის ჭრილში ინფორმირებულობის თვალსაზრისით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირებულა, რამდენადაც ტერმინი ჯერ ახლა იკიდებს ქართულ აკადემიურ სივრცეში ფეხს. შედეგად, გამოვლინდა, რომ კვლევის დამატებითი ჰიპოთეზები დადასტურებულ იქნა. რეგრესიულმა მოდელმაც დაადასტურა, რომ:

- მაგისტრანტები უფრო მეტად ინფორმირებულები არიან, ვიდრე ბაკალავრიატის სტუდენტები
- ბიზნესის/ეკონომიკის სტუდენტები ინფორმირებულობის ყველაზე მაღალი დონით არ გამოირჩევიან
- მდედრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო ინფორმირებულები არიან, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლები

ამასთან, რეგრესიული მოდელიც მოწმობს, რომ უსდ-ების ტიპის ჭრილში მნიშვნელოვანი განსხვავებები არ ფიქსირდება - მონაცემები სტატისტიკურად სანდო კავშირზე არ მიანიშნებს. ამასთან, არცერთ რეგრესიულ მოდელში სტატისტიკურად სანდო მიმართებები არ დადგენილა სამიზნე ლოკაციების, საუნივერსიტეტო ქალაქებისა, და ანკეტირების ფორმის (ა) პლანშეტის გამოყენებით, ბ) ელექტრონული მისამართის გამოყენებით) დონეზე. ამდენად, ინფორმირებულობის ობიექტურად წარმოჩენაზე გარე ფაქტორებს გავლენა არ მოუხდენია.

ზოგადი გააზრებით, „უნივერსიტეტის მესამე მისია“ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელ კომპონენტად მიიჩნევა, რომლის სწავლისა და კვლევისგან (პირველი და მეორე მისიისგან) მექანიკურად გამიჯვნა არამართებულად ფასდება, რადგან ის საზოგადოებრივი ფუნქცია, რასაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მესამე მისიის კონცეპტი ანიჭებს, სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესის თანმდევიც უნდა იყოს.

უნივერსიტეტებში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების მასშტაბურობის გაზრდა დაკავშირებულია 2005 წლიდან ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში განხორციელებულ ცვლილებებთან. ბოლონიის პროცესთან შეერთებით, საუნივერსიტეტო სივრცეში რეფორმების პერიოდი იწყება. აღნიშნული პერიოდი, ძირითადად, ორიენტირდება აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური კომპონენტების რეალიზებასთან.

ბოლონიის პროცესის წევრობამ, ანუ პოსტსაბჭოთა პერიოდის განათლების სისტემიდან გამოსვლამ, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე ევროპულ ღირებულებებსა და მოთხოვნებს დაუკავშირა, რამაც სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით შესაძლებლობები გაზარდა:

- შეიქმნა განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი ჩარჩო-დოკუმენტები, მათ შორის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, რამაც სასწავლო პროგრამებს შესძინა მკაფიო პროფესიული და კონცეპტუალური ორიენტირი;
- შეიქმნა ხარისხის უზრუნველყოფის გარე მონიტორინგის მექანიზმები;

- დაიხურა 100-ზე „არაკეთილსინდისიერი“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რამაც განათლების სისტემაში კორუფციისა და ნეპოტიზმის გამოვლინებები შეამცირა;
- ხელმისაწვდომი გახდა თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა;
- გაიზარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მნიშვნელოვანწილად საუნივერსიტეტო სივრცეს დაუბრუნდა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე შედარებით მიმზიდველი გახდა ახალგაზრდა მკვლევრებისთვის;
- აქტუალური გახდა აკადემიური პერსონალის პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული აქტივობები (საერთაშორისო თუ ადგილობრივი კონფერენციები, ტრენინგები, გაცვლითი პროგრამები და ა.შ.);
- ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე აქტიურად ჩაერთო განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესში.

ამჟამად, უნივერსიტეტების პასუხისმგებლობა აკადემიური პერსონალის მიმართ, ძირითადად, პროფესიულ ზრდაში მხარდამჭერი აქტივობებით ვლინდება, რაც მოიცავს: ა) ვორქშოფების, სემინარების, საჯარო ლექციების, ტრენინგების და ა.შ. უზრუნველყოფას; ბ) გაცვლით პროგრამებში (თუმცა, ეს შესაძლებლობა მოწვეული ლექტორებისთვის ხშირად ხელმისაწვდომი არ არის), ყოველსემესტრულ და ყოველწლიურ შიდასაუნივერსიტეტო კონფერენციებში მონაწილეობის შესაძლებლობას; გ) სამეცნიერო-აკადემიური სტატიების შექმნასა და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების მხარდაჭერას; დ) აკადემიური თავისუფლების მინიჭებას, რაც, ძირითადად, სასწავლო მასალებისა და სწავლების მიდგომების სურვილისამებრ არჩევაში გამოიხატება. ამასთან, შიდასაუნივერსიტეტო დონე გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურულ გამართულობას. ზემოაღნიშნული საკითხების მიხედვით, უნივერსიტეტების ლოკაციისა თუ ტიპის ჭრილში მკვეთრად განსხვავებული გამოცდილება არ ფიქსირდება. თუმცა, რეგიონულ უნივერსიტეტებს, თბილისის უნივერსიტეტებთან შედარებით, უჭირთ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა. ზოგადი პოზიტიური გამოცდილების მიუხედავად, ვლინდება, რომ ხშირად

ორგანიზაციის პასუხისმგებლობა პერსონალის მიმართ უფრო ნაკლებია, ვიდრე მოთხოვნები, რის გამოც აკადემიური პერსონალის ნაწილი საუნივერსიტეტო სივრცეში თავს არასტაბილურად გრძნობს. მსგავსი დამოკიდებულება, ძირითადად, მოწვეულ ლექტორებს უკავშირდება, რომლებიც შესაძლოა ერთი სემესტრის შემდეგ, ახსნა-განმარტების გარეშე, აღარ მოიწვიონ სალექციო პროცესში მონაწილეობის მისაღებად. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში პერსონალის მართვისა და ფინანსური პოლიტიკის ცვლილება, რაც დასაქმებულებს სტაბილურობის განცდას გაუჩენს და მოტივაციას აუმაღლებს.

შიდასაუნივერსიტეტო დონეზე სტუდენტების მიმართ გამოვლენილი პასუხისმგებლობა, ძირითადად, იდენტურ აქტივობებში ვლინდება, როგორებიცაა: კონფერენციების, ვორქშოფების ტრენინგების, ორგანიზება, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა, პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრები და სხვ. თუმცა, მსგავს აქტივობებში სტუდენტების ჩართულობა განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლით არ გამოირჩევა. ამასთან, სტუდენტები იშვიათად არიან სხვადასხვა აქტივობის ინიციატორები.

შიდასაუნივერსიტეტო დონეზე ეთიკურობის კომპონენტის გაანალიზებისას, თვისებრივი კვლევის ფარგლებში პრობლემურად გამოიკვეთა აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის დონე. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი უნივერსიტეტი ამ მიმართულებით საერთაშორისო პროექტებშია ჩართული, ამზადებს საინფორმაციო ვიდეო-რგოლებს, აწყობს ტრენინგებს, ინფორმირებულობის დონე კვლავ დაბალია. მსგავსი შედეგი ფიქსირდება, რადგან, როგორც გამოკითხვის ფარგლებში გამოიკვეთა, პლაგიატთან დაკავშირებულ ტრენინგზე/შეხვედრაზე დასწრების გამოცდილება სტუდენტთა უმრავლესობას არ აქვს.

რაც შეეხება უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ექსტერნალურ მიმართულებას, ამ მხრივ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობა გასაძლიერებელია. ისინი ხშირად მხოლოდ ერთჯერადად მონაწილეობენ სოციალურ თუ გარემოსდაცვით აქტივობებში, რაც შესაძლოა მოვალეობის მოხდად უფრო ჩაითვალოს, ვიდრე ნებაყოფლობით ჩართულობად.

სკოლებთან თანამშრომლობის კუთხითაც, სოციალურ კომპონენტზე მეტად, უნივერსიტეტების პოპულარიზაციის სურვილი იკვეთება, რადგან შეხვედრები, ძირითადად, სკოლის მოსწავლეებისთვის უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის გაცნობას გულისხმობს. კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში შედარებით მკვეთრად გამოვლინდა უნივერსიტეტების სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტები. თბილისის უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ორიენტირად მოწყვლადი სტუდენტები და აბიტურიენტები განისაზღვრეს და მათკენ მიმართეს როგორც ფინანსური დახმარებები, ისე შინაარსობრივი მხარდაჭერის კომპონენტი (მათ შორის, ერთიანი ეროვნული საგამოცდო საგნებისთვის მომზადებაში ხელშეწყობა). თუმცა, ხაზგასასმელია, რომ მსგავს საკითხებზე მსჯელობა გამოკითხვაში ჩართულ სტუდენტებს გაუჭირდათ. კოვიდ პანდემიის პირობებში, მათ უფრო მეტად გაამახვილეს ყურადღება შიდასაუნივერსიტეტო აქტივობებზე - მასალის გაციფრულებაზე, სასწავლო პლატფორმის შექმნაზე, აკადემიური პერსონალის გადამზადებაზე და ა.შ. ის პროცესები, რომლებიც უნივერსიტეტსგარე აქტორებზე იყო დაკავშირებული და ცალკეული პირის კონტრიბუციაც შეეხებოდა, მათი ყურადღების მიღმა დარჩა.

ზოგადი შეფასებით, ისეთ გარე აქტორებთან თანამშრომლობაც კი, როგორებიცაა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, ბიზნეს სექტორი, კურსდამთავრებულები, სხვა უნივერსიტეტები, ძირითადად, შემოიფარგლება საგანმანათლებლო სივრცითა და საკითხებით და უნივერსიტეტსგარე საერთო აქტივობებს არ ითვალისწინებს. შესაძლოა, სოციალურ პროექტად მივიჩნიოთ რამდენიმე უნივერსიტეტში არსებული კურსდამთავრებულთა ფონდი, რაც მოწყვლადი და სხვადასხვა საჭიროების მქონე სტუდენტების ფინანსურ დახმარებას გულისხმობს. სტუდენტების გამოკითხვამ ცხადყო, რომ რესპონდენტები არ არიან ავტორიზაციის-აკრედიტაციის წესების შესახებ ინფორმირებულნი, რაც კურსდამთავრებულებისა და ბიზნეს სექტორის კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში მონაწილეობას გულისხმობს. ამასთან, სტუდენტების შეფასებით, უნივერსიტეტების სკოლებთან თანამშრომლობა, ძირითადად, საგანმანათლებლო ტიპის ერთობლივ პროექტებს გულისხმობს. თუმცა, ხშირია შემთხვევები, როდესაც უნივერსიტეტები აკადემიურად არაკეთილსინდისიერად იქცევიან და ძირითად

ორიენტირად იმიჯის გაზრდასა და პოპულარიზაციას მიიჩნევენ. ფაქტორული ანალიზის შედეგებიც მოწმობს, რომ მსგავსი, სოციალურად უპასუხისმგებლო, აქტივობები, მათ შორის შემოსავლების მაქსიმიზაციაზე ორიენტირებულობა, სკოლებთან მხოლოდ პოტენციური სტუდენტების მოზიდვისთვის თანამშრომლობა და საკუთარი იმიჯის გაზრდა მიმართული ღონისძიებები, განსაკუთრებით კერძო უნივერსიტეტებისთვისაა დამახასიათებელი.

უნივერსიტეტი, საზოგადოებაში წვლილის შეტანის მიზნით, საკუთარ სივრცეში შექმნილი ცოდნის გაზიარებით, ღირსეული მოქალაქეების, სამოქალაქო საკითხებით დაინტერესებული სტუდენტების აღზრდას უნდა ემსახურებოდეს. ამდენად, თუკი უნივერსიტეტის მოდელი ბიზნესად იქცევა და სრულად საბაზრო მოთხოვნებს დაემორჩილება, უნივერსიტეტის იდეა და მისი, როგორც სოციალური პროექტის, გააზრება განადგურდება, ინტელექტუალური რესურსი დაიკარგება. განათლება, როგორც საზოგადო სიკეთე, ბიზნესისგან გამიჯნული უნდა იყოს.

კვლევის შედეგები გამოკვეთს, რომ საქართველოში უნივერსიტეტების როლი საზოგადოების ფორმირების პროცესში გასაძლიერებელია. მსგავსი კრიტიკა უფრო მეტად რეგიონულ უნივერსიტეტებს ეხება, რადგან ისინი სრულყოფილად ვერ ხედავენ ადგილობრივ საჭიროებებს და მათზე არ აქცენტირდებიან. ზოგადად, პრობლემურია უნივერსიტეტებისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხი, თანამედროვეობასა და აქტუალურ საკითხებს დაშორებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები, რომლებიც აკადემიაში იქმნება. დაბალი ნდობა გამოწვეულია იმით, რომ უნივერსიტეტები მიმდინარე მოვლენების შესახებ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას ერიდებიან. ამის მიზეზად უნივერსიტეტებში ავტონომიის არარსებობა და, ზოგიერთ შემთხვევაში, თვითცენზურა მიიჩნევა. უნივერსიტეტი არ უნდა იყოს პოლიტიზირებული, თუმცა, საკუთარი პოზიცია უნდა გააჩნდეს, რისი საჯაროდ გამოხატვაც „სასიცოცხლოდ აუცილებელია“. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, გამოკითხვის შედეგები რესპონდენტთა შორის თანხმობას აჩვენებს - სტუდენტების ძირითადი ნაწილი მიიჩნევს, რომ ა) მათი უნივერსიტეტი საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების შესახებ აზრს აქტიურად აფიქსირებს, ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საზოგადოებრივ პროცესებში

ჩართულობა პოზიტიური გავლენის შესაქმნელად და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად ეფექტიანია.

საბოლოოდ, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური კომპონენტების რეალიზების ხარისხი გაცილებით მაღალია, რადგან უნივერსიტეტებს შინაგანაწესით, უმაღლესი განათლების შესახებ კანონით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებით, მისი განხორციელება და უზრუნველყოფა ისედაც ევალება.

გამოყენებული ლიტერატურა

„გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“-ის დებატი და ტრენინგები სტუდენტებისთვის. (2017 წლის 23 ივნისი). მოპოვებული იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://tesau.edu.ge/gancxadebebi/772-garemosdacviti-informaciisa-da-ganatlebis-centriis--debati-da-treningebi-studentebistvis.html-დან

„უნივერსიტეტის შესაძლებლობების გაძლიერება ინკლუზიური სკოლამდელი და ზოგადი განათლების მხარდასაჭერად“_თესაუ ახალ პროექტში ჩაერთო. (2022 წლის 11 აგვისტო). მოპოვებული იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://tesau.edu.ge/siaxle1/21683-universitetis-shesadzleblobebis-gadzliereba-inkluziuri-skolamdeli-da-zogadi-ganatlebis-mxardasatcheradtesau-axal-proeqtshi-chaerto.html-დან

Agoston, S. (2009). New management theories - an alternative to the current crisis? *Proceedings of the 3rd International Conference Modern Approaches in Organizational Management and Economy*, (გვ. 1299-1306). Bucharest.

Alzyoud, S. A., & Bani-Hani, K. (2015). Social Responsibility in Higher Education Institutions: Application Case from the Middle East. *European Scientific Journal, ESJ*, 122-129.

Berman, S. (1990). *Educating for Social Responsibility.* Service Learning, General.

Bok, D. (1982). *Beyond the Ivory Tower: Social Responsibilities of the Modern University.* Cambridge: Harvard University Press.

Bokhari, A. A. (2017). *Universities' Social Responsibility (USR) and Sustainable Development: A Conceptual Framework.* Saudi Arabia: SSRG International Journal of Economics and Management Studies (SSRG - IJEMS).

CENTRAL. (2020). *The Third Mission*. მოპოვებული Central European Network for Teaching and Research in Academic Liaison: https://central-network.eu/outreach/the-third-mission/-დან

Chakhaia, L., & Bregvadze, T. (2018). Georgia: Higher Education System Dynamics and Institutional Diversity. *In 25 Years of Transformations of Higher Education Systems in Post-Soviet Countries* (გვ. 175-197).-ში

Chen, S.-H. (., Nasongkhla, J., & Donaldson, A. (2015). *University Social Responsibility (USR): Identifying an Ethical Foundation within Higher Education Institutions.* TOJET: The Turkish Online Journal of Educational Technology.

Chen, S.-h. (2015). *A strategic planning model for developing oper educational resources.* Bangkok: Chulalongkorn University.

Coelho, M., Rodrigues, F., Evans, P., Menezes, I., & Brian, M. (2017). Student Auditing of University Social Responsibility - Reform through Reflective, Experiential Learning? *3rd International Conference on Higher Education Advances, HEAd'17*, (გვ. 1165-1175). Valencia.

Dahan, G. S., & Senol, I. (2012). Corporate Social Responsibility in Higher Education Institutions: Istanbul Bilgi University Case. *American International Journal of Contemporary Research*, 95-103.

Diekhoff, G. M., LaBeff, E. E., Clark, R. E., Williams, L. E., Francis, B., & Haines, V. J. (1996 წლის August). College Cheating: Ten Years Later. *Research in Higher Education*, გვ. 487-502.

Dima, A. M., Vasilache, S., Ghinea, V., & Agoston, S. (2013). *A model of academic social responsibility.* Transylvanian Review of Administrative Sciences.

Erasmus+ Partners. (2020). მოპოვებული კავკასიის უნივერსიტეტი: https://www.cu.edu.ge/ka/international-relations/inernational-cooperation/erasmus-partners-დან

Esfijani, A., Hussain, F. K., & Chang, E. (2013). *University Social Responsibility Ontology.*

Freeman, R. E., & Mcvea, J. F. (2001). A Stakeholder Approach to Strategi Management. *SSRN Electronic Journal*.

Gálvez, J. R. (2017). The responsibility and ethics of the University in the social environment. *Revista Torreón Universitario*, 62-69.

Ganti, A. (2019 წლის 12 სექტემბერი). *Social Responsiblity*. მოპოვებული Investopedia: https://www.investopedia.com/terms/s/socialresponsibility.asp-დან

Glonti, L., & Chitashvili, M. (2006). *The Challenge of Bologna. The Nuts and Bolts of Higher Education Reform in Georgia.* Budapest: Springer.

Gomez, L., Naveira, Y. A., & Bernabel, A. P. (2018). *Implementing University Social Responsibility in the Caribbean: Perspectives of Internal Stakeholders.* Peru: Revista Digital De Investigación En Docencia Universitaria.

Gomez-Vasquez, L. (2014). *University Social Responsibility: A Social Transofrmation of Learning.* Florida.

How Universities Can Encourage Social Responsibility in Their Students. (2019 წლის 30 September). მოპოვებული QS Quacquarelli Symonds: https://www.qs.com/universities-encourage-social-responsibility/-დან

Hung, C.-H., Huang, C., Wang, Y.-M., & Ho, Y.-C. (2022 წლის 26 April). *University Social Responsibility*. მოპოვებული Scholarly Community Encyclopedia: https://encyclopedia.pub/entry/22190-დან

INTEGRITY პროექტის სამუშაო შეხვედრა და პროგრამის TURNITIN გამოყენების სპეციფიკა. (2019 წლის 29 მარტი). მოპოვებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://integrity.iliauni.edu.ge/integrity-proeqtis-samushao-shekhvedra-da-programis-turnitin-gamoqhenebis-spetsiphika/-დან

International Staff Week 2023. (2023). მოპოვებული კავკასიის უნივერსიტეტი: https://www.cu.edu.ge/ka/international-relations/cu-ir-staff-week-დან

ISO. (2010). *Discovering ISO 26000.* მოპოვებული International Organization for Standardization: https://www.iso.org/files/live/sites/isoorg/files/store/en/PUB100258.pdf-დან

Jamali, D., Hallal, M., & Abdallah, H. (2010). *Corporate governance and corporate social responsibility: evidence from the healthcare sector.* Emerald Group Publishing Limited.

Marinescu, P., Toma, S.-G., & Constantin, I. (2010). *Social Responsibility At The Academic Level. Study Case: The University Of Bucharest.* Studies and Scientific Researches. Economics Edition.

Martin, B. (1984). Plagiarism and Responsibility. *Journal of Tertiary Educational Administration*, 83-90.

Nagy, J., & Robb, A. (2008). *Can universities be good corporate citizens?* Critical Perspectives on Accounting.

Nardo, M. T., Codreanu, G. C., & Roberto, F. (2021). *Universities' Social Responsibility through the Lens of Strategic Planning: A content Analysis.* Switzerland: MDPI.

Neave, G. (2000). *The Universities' Responsibilities of Society.* Oxford: Pergamon.

Olsen, W. (2004). *Triangulation in social research: Qualitative and quantitative methods can really be mixed.* Ormskirk: Causeway Press.

Peicheva, M. (2019). Social Responsibility of the Universities in Europe - Resaerch of Diversity of Practices (UK, Germany, France, Bulgaria). *Economic Alternatives*, 235-250.

Plagiarism: Avoid the Consequences. (2023). მოპოვებული Center for Online Education: https://www.onlinecolleges.net/for-students/avoid-plagiarism/-დან

Ramos-Monge, E. L., Audet, X. L., & Martínez, J. B. (2017). *Universities as Corporate Entities: The Role of Social Responsibility in Their Strategic Management.*

Ronsisvalle, G., Coniglione, F., & Ronsisvalle, S. (2021 წლის 9 October). *Why universities need a renewed focus on their third mission*. მოპოვებული University World News: https://www.universityworldnews.com/post.php?story=20211008130256181-დან

Ruyter, D. D., & Schinkel, A. (2017). Ethics Education At The University: From Teaching An Ethics Module To Education For The Good Life. *Sociedad Española de Pedagogía*, 125-138.

Sorbonne Joint Declaration. (1998 წლის 25 May). მოპოვებული The European Higher Education Area: https://www.ehea.info/media.ehea.info/file/1998_Sorbonne/61/2/1998_Sorbonne_Declaration_English_552612.pdf-დან

SQUARE. (2020). *პროექტის მიზნები და ამოცანები*. მოპოვებული SQUARE: http://www.square.tsu.ge/ka/info/pagefull/46-დან

Starkey, K., & Tempest, S. (2008). *A clear sense of purpose? The evolving role of the business school.* Journal of Management Development.

Start-up Weekend Youth Tbilisi. (2018 წლის 17 ივნისი). მოპოვებული სტარტაპ აქსელერატორი: https://cu.edu.ge/startup-accelerator/startup-news/start-up-weekend-დან

Sunardi. (2019). *University Social Responsibility, University Image, And Higher Education Performance.* Indonesian Management and Accounting Research.

Tetrevova, L., & Sabolova, V. (2010). *University Stakeholder Management and University Social Responsibility.* WSEAS Transactions on Advances in Engineering Education.

The Bologna Declaration of 19 June 1999. (თ. გ.). მოპოვებული The European Higher Education Area: http://ehea.info/Upload/document/ministerial_declarations/1999_Bologna_Declaration_English_553028.pdf-დან

(2017). *University Meets Social Responsiblity (UNIBILITY).* The UNIBILITY consortium,.

(2015). *University Social Responsibility: A Common European Reference Framework.*

Vallaeys, F. (2013). *University Social Responsibility: A Mature and Responsible Definition.*

Vasilescu, R., Barna, C., Epure, M., & Baicu, C. (2010). *Developing university social responsibility: A model for the challenges of the new civil society.* Procedia Social and Behavioral Sciences.

Yakovleva, N. (2020). *Corporate Social Responsibility.*

ავტორიზაცია. (2016). მოპოვებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი: https://eqe.ge/ka/faq/35/show-დან

აკრედიტაცია. (2016). მოპოვებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი: https://eqe.ge/ka/faq/10/show-დან

აკრედიტაციის პროცესი. (თ. გ.). მოპოვებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი: https://eqe.ge/ka/page/static/549/akreditatsiis-protsesi-დან

ბაქრაძე, თ. (2019). *უმაღლესი განათლების მასიფიკაცია და სპეციალობით დასაქმების დონე საქართველოში (საბაკალავრო საფეხური).* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბაქრაძე, ლ. (2020). *ახალი საგანმანათლებლო რეალობა - ტერმინები, გამოწვევები, რეკომენდაციები.* თბილისი: Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი.

ბაქრაძე, ლ., ბრეგვაძე, თ., გურჩიანი, ქ., ლორთქიფანიძე, თ., ურუშაძე, ნ., ღლონტი, ლ., & ჯანაშია, ს. (2016). *პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში.* თბილისი: ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"; Erasmus+.

(1999). *ბოლონიის დეკლარაცია, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე.* ბოლონია.

(2020). *ბოლონიის პროცესის 15 წელი საქართველოში.* თბილისი: Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი.

ბრეგვაძე, თ. (2020). *უმაღლესი განათლება და კვლევა საქართველოში: გამოწვევები და მიზნები.* თბილისი: Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი.

ბრეგვაძე, თ., გურჩიანი, ქ., გრძელიძე, ი., & კახიძე, ა. (2017). *უნივერსიტეტების როლი რეგიონულ განვითარებაში.* თბილისი: Erasmus +.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. (2020). *მესამე მისიის ხარისხის და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში - SQUARE.* მოპოვებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი: https://eqe.ge/ka/page/static/977/mesame-misiis-khariskhis-da-shesabamisobis-gadzliereba-saqartvelos-universitetebshi-square-დან

გურჩიანი, ქ. (2020). *საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია.* თბილისი: Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი.

დიურკემი, ე. (2012). *სოციალური შრომის დანაწილება.* თბილისი: Carpe diem.

ეკო-საგანმანათლებლო სამეცნიერო კონფერენცია თესაუ-ში. (2022 წლის 18 ნოემბერი). მოპოვებული იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://tesau.edu.ge/siaxle1/21755-ekosaganmanatleblo-samecniero-konferencia-tesaushi.html-დან

ერთიანი ეროვნული გამოცდები - ზოგადი ინფორმაცია. (2016, ნოემბერი 25). Retrieved from შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი: https://naec.ge/#/ge/post/1493

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო. (2019). მოპოვებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი: https://eqe.ge/ka/page/parent/787/erovnuli-kvalifikatsiebis-charcho-დან

ვორქშოპი გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. (2022 წლის 13 ივნისი). მოპოვებული კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა: https://www.cu.edu.ge/ka/schoolss/cst/cst-new-s/workshop-environment-international-day-დან

ზამთრის სკოლა გულაჩაურის მწვანე ცენტრში. (2018 წლის 27 დეკემბერი). მოპოვებული იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://tesau.edu.ge/siaxle1/1416-zamtris-skola-bulachauris-mtsvane-centrshi.html-დან

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი დასუფთავების აქციას შეუერთდა. (2017 წლის 25 აპრილი). მოპოვებული იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://tesau.edu.ge/siaxle1/698-telavis-saxelmtsifo-universiteti-dasuftavebis-aqcias-sheuertda.html-დან

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები სოფელ ჭანდრის საჯარო სკოლაში. (2022). მოპოვებული იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://tesau.edu.ge/siaxle1/21860-telavis-saxelmtsifo-universitetis-tsarmomadgenlebi--sofel-tchandris-sajaro-skolashi.html-დან

თესაუ-ს პროფესორები, აკადემიური ტურის ფარგლებში, ირლანდიისა და გერმანიის უნივერსიტეტებში იმყოფებოდნენ. (2022 წლის 24 ნოემბერი). მოპოვებული იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://tesau.edu.ge/siaxle1/21768-tesaus-profesorebi-akademiuri-turis-farglebshi--irlandiisa-da-germaniis-universitetebshi-imkofebodnen.html-დან

თსუ. (2021). *პროექტი - კვლევის მოცულობის გაზრდა აღმოსავლეთ ევროპაში.* მოპოვებული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://tsu.ge/ka/page/iCREATE--Increasing-Capacity-for-Injury-Research-in-Eastern-Europe-დან

თსუ. (2022). *ERASMUS+ გაცვლითი პროგრამა.* მოპოვებული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://shorturl.at/153Q1-დან

თსუ. (2022 წლის 15 სექტემბერი). *ესეების კონკურსი სკოლის მოსწავლეებისათვის - 2022*. მოპოვებული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://shorturl.at/h8q1S-დან

თსუ. (2022 წლის 9 ნოემბერი). *კონკურსი სკოლის მოსწავლეებისთვის*. მოპოვებული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://tsu.ge/ka/posts/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%-დან

თსუ. (2022). *საბავშვო უნივერსიტეტი*. მოპოვებული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://shorturl.at/GLchN-დან

თსუ. (2023 წლის 2 მარტი). *ევროკომისიის ერთობლივი კვლევითი ცენტრის (JRC) საზაფხულო სკოლა*. მოპოვებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://shorturl.at/iyXZN-დან

თსუ. (2023 წლის 6 თებერვალი). *თსუ ზამთრის სკოლის მონაწილეებისთვის ჯაბა სამუშიან I საჯარო ლექცია გამართა*. მოპოვებული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://shorturl.at/XOC0b-დან

თსუ. (2023). *პარტნიორი უნივერსიტეტები*. მოპოვებული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://tsu.ge/ka/foreign-relations/maps-დან

თსუ. (2023). *საბავშვო უნივერსიტეტში მიღების წესები*. მოპოვებული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://tsu.ge/ka/pages/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-დან

თსუ. (2023 წლის 31 იანვარი). *ჯაბა სამუშია "თსუ დესპანი 2023"-ის მონაწილე სტუდენტებს შეხვდა*. მოპოვებული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://tsu.ge/ka/posts/%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%90-%E2%80%9E%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%A3-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-2023%E2%80%9C-%E1%83%98%E1%83-დან

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). (2021). *განათლების სექტორის მიმოხილვა COVID-19 პანდემიის პირობებში.* თბილისი: ღია საზოგადოების ფონდები (OSF).

კონკურსი აბიტურიენტებისთვის - არქიტექტონი. (2019 წლის 9 მარტი). მოპოვებული კავკასიის უნივერსიტეტი: https://cu.edu.ge/events/cu-architecture-applicants-დან

ლეჟავა, დ., & ამაშუკელი, მ. (2016). *ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში: ძირითადი მიღწევები და გამოწვევები.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, გამომცემლობა "ნეკერი".

მესამე მისიის სასწავლო ტური ტურკუს უნივერსიტეტში. (2022 წლის 14 ივნისი). მოპოვებული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://bsu.edu.ge/main/page/16913/index.html-დან

მესამე მისიის ხარისხის და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში - SQUARE. (2022). მოპოვებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://www.tsu.ge/ka/quality-assurance/page/University-3rd-mission-SQUARE--დან

მესამე მისიის ხარისხისა და აქტუალურობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში - SQUARE. (2021). მოპოვებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/developmentoffice/siaxleebi/mesame-misiis-xarisxisa-da-aqtualurobis-gadzliereba-saqartvelos-universitetebshi-square.page-დან

მეტი ევროპა მთაში. (2019 წლის 21 მაისი). მოპოვებული კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა: https://cu.edu.ge/schoolss/csg/siakhleebi/meti-evropa-mtashi-დან

ორმაგი ხარისხის პროგრამები. (2020). მოპოვებული კავკასიის უნივერსიტეტი: https://www.cu.edu.ge/ka/international-relations/study-abroad/dual-degree-seek-დან

პაპიაშვილი, ა. (2020). *აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კვლევა თბილისის საუნივერსიტეტო სივრცეში: ინფორმირებულობის დონისა და პრაქტიკული გზების შესწავლა (შედარებითი ანალიზი).* თბილისი.

პაპიაშვილი, ა., & ბეჟანიძე, თ. (2022). *სტუდენტთა სოციალური საჭიროებების კვლევა.* თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი.

პირველი ეროვნული პროექტი ETHICS. (2022). მოპოვებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://ethics.iliauni.edu.ge/pirveli-erovnuli-proeqti-ethics/-დან

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა. (2016). მოპოვებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი: https://eqe.ge/ka/page/static/549/akreditatsiis-protsesi-დან

სამნიაშვილი, ლ. (2017). *ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითადი განზომილებები და მათში მიმდინარე პროცესები.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სანიკიძე, თ., & ქარჩავა, მ. (2020). *მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობის პოლიტიკა - მიღწეული შედეგები და გამოწვევები.* თბილისი: Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. (2020). მოპოვებული მთავრობის ანგარიში მოქალაქეებს: https://www.gov.ge/wp-content/uploads/2021/10/ganathleba.pdf-დან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N120/ნ. (2010 წლის 10 დეკემბერი). მოპოვებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1131547?publication=0-დან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2013). *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დეკლარაცია უნივერსიტეტების*

ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ. თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. (2004 წლის 21 დეკემბერი). მოპოვებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=101-დან

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. (2005 წლის 10 იანვარი). მოპოვებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=101-დან

სახელმწიფო აუდიტის სამსახური. (2016). *უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები - ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში.* თბილისი: სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

საჯარო სკოლების მოსწავლეები თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში. (2023). მოპოვებული იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი: https://tesau.edu.ge/siaxle1/21829-sajaro-skolebis-mostsavleebi-telavis-saxelmtsifo-universitetshi.html-დან

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (ISSA). (2023). *ევროსტუდენტი 8-ის კვლევის შედეგების ანალიტიკური ანგარიში.* თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

სტუდენტური პროგრამა მწვანე ეკონომიკის სკოლა. (2019 წლის 23 ივლისი). მოპოვებული კავკასიის უნივერსიტეტი: https://www.cu.edu.ge/ka/news-page/studenturi-programa-mtsvane-ekonomikis-skola-დან

(2015). *უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG 2015).* Erasmus+.

(2016). *უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები.* თბილისი.

უნივერსიტეტის მესამე მისია - შეხვედრა თბილისის საკრებულოში. (2022 წლის 15 სექტემბერი). მოპოვებული netgazeti.ge: https://netgazeti.ge/news/630129/-დან

ცოტნიაშვილი, ქ. (2020). *უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გათავისება და ეკოსისტემა საქართველოში.* თბილისი: Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი.

ხოფერია, რ. (2021). აკადემიური თავისუფლება როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლება (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანიის, აშშ-ის და საქართველოს მაგალითზე). *საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი - 2*, 217-234.

ჯანაშია, ს. (2013 წლის 3 იანვარი). *აკადემიური თავისუფლების პასუხისმგებლობა.* მოპოვებული ტაბულა: https://tabula.ge/ge/news/659281-akademiuri-tavisuplebis-pasukhismgebloba-დან

დანართები

დანართი 1 - თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული გზამკვლევები

განათლების რეფორმაზე მომუშავე ექსპერტების გზამკვლევი

მოგესალმებით, მე ვარ ანა პაპიაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი. ჩემი კვლევის - *„აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კვლევა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში: ნორმატიული, ეთიკური და პრაქტიკული გზები“* - მიზანია გაანალიზდეს, თუ რა ცოდნა არსებობს აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ და ამ მიმართულებით, საქართველოში გატარებული განათლების რეფორმების საფუძველზე, რა ცვლილებები განხორციელდა.

ინტერვიუ გაგრძელდება დაახლოებით 1 საათი და ჩაიწერება იმ მიზნით, რომ საბოლოო ანალიტიკურ ანგარიშში მოხვდეს ყველა ის ღირებული ინფორმაცია, რაც კვლევისთვის მნიშვნელოვანია. თქვენი კონფიდენციალურობა იქნება დაცული და ჩანაწერები არ გასაჯაროვდება.

გაითვალისწინეთ, რომ დასმული შეკითხვებისთვის არ არსებობს „სწორი“ და „არასწორი“ პასუხები - კვლევისთვის ნებისმიერი მოსაზრება ღირებულია.

მადლობას გიხდით კვლევაში მონაწილეობისთვის!

შესავალი

თავდაპირველად, გთხოვთ, გაგვეცნოთ და გვითხრათ როგორ უკავშირდება თქვენი საქმიანობა განათლების, კონკრეტულად კი უმაღლესი განათლების, სფეროს

ტერმინთა დეფინიცია

როგორ გესმით ტერმინი „აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა“?

- გთხოვთ, ისაუბროთ აღნიშნული კონცეპტის სამიზნე ჯგუფებზე
- რა სფეროებს შეიძლება ფარავდეს აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა?
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებისთვის რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ უნივერსიტეტსგარე აქტივობები?

როგორ გესმით ტერმინი „უნივერსიტეტის მესამე მისია“?

ბოლონიის პროცესი და მისი შედეგები

თუ შეგიძლიათ ისაუბროთ, 2005 წელს ბოლონიის პროცესთან შეერთებამდე როგორი იყო უმაღლესი განათლების სისტემა?

- რა გამოწვევების წინაშე იდგა? გთხოვთ, ისაუბროთ კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით
- რა ეტაპები გაიარა საუნივერსიტეტო სივრცემ ბოლონიის პროცესთან შესაერთებლად?
- თქვენ თავად როგორ იყავით ამ პროცესში ჩართული?

თქვენი შეფასებით, რამდენად ავალდებულებს ბოლონიის პროცესი ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეს „მესამე მისიის“ შესრულებას?

- როგორ ფიქრობთ, რამდენად სრულყოფილად რეალიზდება ეს მოთხოვნა?

რამდენად იყო ორიენტირებული ბოლონიის პროცესამდელი უმაღლესი განათლება/საუნივერსიტეტო სწავლება აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შიდა (ინტერნალური) კომპონენტების დაკმაყოფილებაზე?

- რამდენად იყო გამართული სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება?
- რამდენად იყო დაცული საუნივერსიტეტო საზოგადოების აკადემიური თავისუფლება? დარღვევის შემთხვევაში, გთხოვთ, ისაუბროთ კონკრეტულ ქეისებზე
- როგორი იყო აკადემიის სხვა წევრების (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი) მიდგომა სტუდენტების მიმართ?
    - ამ მხრივ რა შეიცვალა ბოლონიის პროცესის წევრობის შემდეგ?
    - აისახა თუ არა ეს ცვლილება ნორმატიულ აქტებსა და მარეგულირებელ დოკუმენტებში (კანონი, შინაგანაწესი)?

რამდენად იყო ორიენტირებული ბოლონიის პროცესამდელი უმაღლესი განათლების სისტემა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ექსტერნალურ კომპონენტებზე, უნივერსიტეტსგარე აქტივობებზე?

- საკანონმდებლო ინიციატივებით (საკონსტიტუციო ცვლილებების ჩათვლით)
- გარემოსდაცვითი საკითხები
- სოციალურ-კულტურული პროექტები/პროგრამები
- სკოლებთან თანამშრომლობა
- ბიზნესთან თანამშრომლობა
- ცოდნის ტრანსფერი უნივერსიტეტის გარეთ
- განათლების ინტერნაციონალიზაცია (საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა)
    - ამ მხრივ რა შეიცვალა ბოლონიის პროცესის წევრობის შემდგომ?
    - აისახა თუ არა ეს ცვლილება ნორმატიულ აქტებსა და მარეგულირებელ დოკუმენტებში (კანონი, შინაგანაწესი)?

გთხოვთ, ისაუბროთ უმაღლესი განათლების სისტემის განახლებული ნორმატიული აქტების შემუშავება-დანერგვის პროცესის შესახებ

- თქვენ თავად რა როლი გქონდათ ამ პროცესში? კონკრეტულად რა დოკუმენტებზე მუშაობდით?
- რას ითვალისწინებდით ჩარჩო რეგულაციად/რას ეყრდნობოდით ახალი ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში?
- რა წინააღმდეგობებს აწყდებოდით ამ პროცესში? ვისგან?

გთხოვთ, ისაუბროთ, უნივერსიტეტის საქმიანობის ისეთი გარე მონიტორინგის მექანიზმების შესახებ, როგორებიცაა ავტორიზაცია და აკრედიტაცია.

- რამდენად ეფექტიანად/შედეგიანად მიგაჩნიათ თითოეული მათგანი?
- თქვენი შეფასებით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი რამდენად ობიექტურ/რეალურ დასკვნას დებს უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებით?
- როგორ ფიქრობთ, რა ხარვეზები აქვს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებს? რა გამოსწორების გზები არსებობს?

ბოლონიის პროცესის შედეგები რომ შევაჯამოთ, მიგაჩნდათ, თუ არა რომ 2005 წლამდე არსებული განათლების სისტემა რეფორმირებას საჭიროებდა? თუ დიახ, რა მხრივ?

- ბოლონიის პროცესმა არსებული ხარვეზები აღმოფხვრა?

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიზანი და აკადემიურ სოციალურ პასუხისმგებლობასთან მისი თავსებადობა/შესაბამისობა

თქვენი აზრით, რა არის უნივერსიტეტის მისია? რა ორიენტირი უნდა ჰქონდეს აღებული?

თქვენი აზრით, რამდენად სწორია მიდგომა, რომელიც უნივერსიტეტს, როგორც ბიზნესის ერთ-ერთ სექტორს, ისე განიხილავს? გთხოვთ, ისაუბროთ მათ შორის (უნივერსიტეტსა და ბიზნესს შორის) მსგავსებებსა და განსხვავებებზე?

გთხოვთ, ისაუბროთ უნივერსიტეტის როლზე საზოგადოების ფორმირების პროცესში?

- რა მიმართულებით უნდა ერთვებოდეს ამ პროცესში?
- რა მექანიზმები აქვს ამ პროცესში მონაწილეობის მისაღებად და უნივერსიტეტის როლის გასაზრდელად?

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტები რომ გავიხსენოთ, თქვენი შეფასებით, პრაქტიკულ დონეზე რომელს უფრო ექცევა ყურადღება უნივერსიტეტების მხრიდან - შიდა თუ გარე დონეს?

- არის თუ არა ამ მხრივ განსხვავება კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის? თუ დიახ, თქვენი აზრით, რითია ეს განსხვავება გამოწვეული?

გთხოვთ, ისაუბროთ სტუდენტების როლზე აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფაში - როგორც შიდასაუნივერსიტეტო ცხოვრებაში, ისე უნივერსიტეტის გარეთ.

- როგორ უყურებთ ამ თემას სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების კონტექსტში? („აუდიტორია 115“ თსუ-ში და სხვა ჯგუფები)

როგორია თქვენთვის სტუდენტი, როგორც „მოქალაქის“ გაგება

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების (1991) შემდეგ თუ გაიხსენებთ ისეთ ფაქტებს, როდესაც საუნივერსიტეტო საზოგადოებამ შეიტანა თავისი უნიკალური წვლილი ქვეყნის/საზოგადოების პოზიტიურ განვითარებაში.

შეჯამება

თქვენი შეფასებით, რა არის ბოლონიის პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი?

- როგორ უკავშირდება ეს აკადემიურ სოციალურ პასუხისმგებლობას?
- უნივერსიტეტსშიდა დონეზე მეტად ორიენტირდება თუ უნივერსიტეტსგარე აქტივობებზე?

როგორ ფიქრობთ, ბოლონიის პროცესის წევრობის შემდეგ ქვეყანაში განხორციელებული საგანმანათლებლო რეფორმები რამდენად არის/იყო ორიენტირებული უნივერსიტეტების აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის დაცვაზე?

- გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოთ უნივერსიტეტსგარე დონეზე/აქტივობებზე

თქვენი აზრით, ამჟამად მოქმედი განათლების სისტემა, ნორმატიული აქტები, რამდენად გამართულია უნივერსიტეტის პასუხისმგებლობის რეალიზების მხრივ?

- მიიჩნევთ თუ არა საჭიროდ რეფორმას/საკანონმდებლო ცვლილებას? თუ დიახ, რა ტიპის ცვლილებას გულისხმობთ? რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება - ინტერნალურ თუ ექსტერნალურ კომპონენტებზე?
- რა მექანიზმები არსებობს რეფორმირებისთვის?

დიდი მადლობა კვლევაში მონაწილეობისთვის!

აკადემიური პერსონალის გზამკვლევი

მოგესალმებით, მე ვარ ანა პაპიაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი. ჩემი კვლევის - *„აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კვლევა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში: ნორმატიული, ეთიკური და პრაქტიკული გზები“* - მიზანია გაანალიზდეს, თუ რა ცოდნა არსებობს აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ და როგორია მისი რეალიზების პრაქტიკული დონე (შიდასაუნივერსიტეტო დონე და უნივერსიტეტსგარე აქტივობები).

ინტერვიუ გაგრძელდება დაახლოებით 1 საათი და ჩაიწერება იმ მიზნით, რომ საბოლოო ანალიტიკურ ანგარიშში მოხვდეს ყველა ის ღირებული ინფორმაცია, რაც კვლევისთვის მნიშვნელოვანია. თქვენი კონფიდენციალურობა იქნება დაცული და ჩანაწერები არ გასაჯაროვდება.

გაითვალისწინეთ, რომ დასმული შეკითხვებისთვის არ არსებობს „სწორი“ და „არასწორი“ პასუხები - კვლევისთვის ნებისმიერი მოსაზრება ღირებულია.

მადლობას გიხდით კვლევაში მონაწილეობისთვის!

შესავალი

თავდაპირველად, გთხოვთ, გვესაუბროთ თქვენ შესახებ:

- რამდენი ხანია, რაც აღნიშნულ უნივერსიტეტში კითხულობთ ლექციებს?
- კონკრეტულად რა საგანს ასწავლით?

I. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობა:

როგორ გესმით ტერმინი „აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა“?

- გთხოვთ, ისაუბროთ აღნიშნული კონცეპტის სამიზნე ჯგუფებზე
- რა სფეროებს შეიძლება ფარავდეს აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა?
- რა ძირითად კომპონენტებს აერთიანებს ეს კონცეფცია?

როგორ გესმით ტერმინი „უნივერსიტეტის მესამე მისია“?

როგორ ფიქრობთ, რა მოიაზრება აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის **ორგანიზაციულ** კომპონენტში? ვის / საუნივერსიტეტო საზოგადოების რომელ რგოლს ენიჭება ამ კომპონენტის სრულყოფაზე პასუხისმგებლობა?

- როგორ ფიქრობთ, რა მოიაზრება **ეთიკურ** კომპონენტში? ვის / საუნივერსიტეტო საზოგადოების რომელ რგოლს ენიჭება ამ კომპონენტის სრულყოფაზე პასუხისმგებლობა?
- როგორ ფიქრობთ, რა მოიაზრება **ფილანტროპულ** კომპონენტში? ვის / საუნივერსიტეტო საზოგადოების რომელ რგოლს ენიჭება ამ კომპონენტის სრულყოფაზე პასუხისმგებლობა?

როდესაც ვახსენებთ, რომ აკადემიურ სოციალურ პასუხისმგებლობას როგორც ინტერნალური (შიდასაუნივერსიტეტო), ასევე ექსტერნალური (უნივერსიტეტს გარე) ფაქტორები აქვს, თქვენი აზრით, რა მიმართულებებს ვლინდება თითოეული მათგანი?

- ვის მიმართ პასუხისმგებლობა შეიძლება ჩაითვალოს ინტერნალურ მიდგომად? ექსტერნალურად?
- თქვენი აზრით, რომელ ფაქტორს უნდა ექცეოდეს განსაკუთრებული მნიშვნელობა საუნივერსიტეტო ცხოვრების კუთხით?

II. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ექსტერნალური (უნივერსიტეტს გარე) გამოვლინებები:

თქვენი აზრით, რა ტიპის სტრუქტურებთან / დაწესებულებებთან უნდა ურთიერთობდეს უნივერსიტეტი, რათა სტუდენტს სრულყოფილი, მასზე მორგებული სერვისი, მიაწოდოს?

თუ ფლობთ ინფორმაციას, უნივერსიტეტი, რომელშიც ლექციებს კითხულობთ, მონაწილეობს თუ არა სხვადასხვა სოციალურ და გარემოსდაცვით აქტივობაში?

- უნივერსიტეტი თავად თუ ახორციელებს მსგავს ღონისძიებებს?
- თქვენ თუ მიგიღიათ მსგავს აქტივობაში მონაწილეობა?

თქვენი შეფასებით, უნივერსიტეტის აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შეგრძნების გასაზრდელად/გასაუმჯობესებლად რამდენად საჭიროა/რა როლი ენიჭება

- სკოლებთან თანამშრომლობას?
- ბიზნესთან თანამშრომლობას?
- კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობას?

თუ ფლობთ ინფორმაციას, რამდენად აქვს კავშირი იმ უნივერსიტეტს, რომელშიც ლექციას კითხულობთ, სასკოლო საფეხურთან?

- კონკრეტულად რა საერთო აქტივობები ხორციელდება?
- თუ ეწყობა სკოლაში ვიზიტები? რა მიზნით?
- თქვენ თავად თუ ხართ ჩართული მსგავს აქტივობებში?

თუ შეგიძლიათ ისაუბროთ უნივერსიტეტისა და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობაზე

- რა საერთო პროექტები გახსენდებათ ამ მიმართულებით?
- ეწყობა თუ არა უნივერსიტეტში ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების აკადემიურ პერსონალთან შეხვედრები? სტუდენტებთან?
- თქვენ თავად თუ ხართ ჩართული მსგავს აქტივობებში/შეხვედრებში?

თუ შეგიძლიათ ისაუბროთ კურსდამთავრებულებთან ურთიერთობაზე?

- თქვენი შეფასებით, რამდენად ხშირია კურსდამთავრებულებთან საქმიანი ურთიერთობის შენარჩუნება?
- გქონიათ თუ არა გამოცდილება, რომ მათ თქვენთვის სხვადასხვა საკითხზე კონსულტაციის გაწევისთვის მოუმართავთ?

- თუ გქონიათ კურსდამთავრებულთან ერთად საერთო სამეცნიერო-კვლევით აქტივობაში მონაწილეობის გამოცდილება?
- დახმარებიხართ თუ არა კურსდამთავრებულს დასაქმებაში? იყო თუ არა ეს თქვენი ინიციატივა?

თქვენი შეფასებით, რამდენად აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან?

- რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ მსგავსი აქტივობების განხორციელება უნივერსიტეტის აკადემიური პასუხისმგებლობის რეალიზების თვალსაზრისით?
- კონკრეტულად რა მიმართულებით თანამშრომლობს?
- ეხება თუ არა ეს თანამშრომლობა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ექსტერნალურ (უნივერსიტეტსგარე) აქტივობებს?
- თუ ფლობთ ინფორმაციას, განხორციელებულა თუ არა საერთო სოციალური კამპანიები? გარემოსდაცვითი აქტივობები?
- თქვენ თავად თუ გითანამშრომლიათ სხვა უნივერსიტეტებთან? გთხოვთ, გვესაუბროთ რა მიმართულებით

ზოგადად, რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უნივერსიტეტს გარე აქტივობების განხორციელებას?

- რატომ ფიქრობთ ასე? რა მიზანს ემსახურება/უნდა ემსახურებოდეს მსგავსი აქტივობები?

III. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური (შიდასაუნივერსიტეტო) გამოვლინებები:

თქვენი შეფასებით, უნივერსიტეტის შინაგანაწესი თუ სხვა ნორმატიული დოკუმენტი რამდენად არეგულირებს აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის როგორც შიდა საუნივერსიტეტო, ისე უნივერსიტეტთაშორის და ბიზნესთან, სკოლასთან დაკავშირებულ აქტივობებს?

თუ შეგიძლიათ ისაუბროთ უნივერსიტეტის თქვენ მიმართ დაკისრებული პასუხისმგებლობის შესახებ

- თქვენი შეფასებით, რა კომპონენტებს/აქტივობებს აერთიანებს თქვენთან მიმართებით უნივერსიტეტის აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა?
- მოგეწოდებათ თუ არა ინფორმაცია აკადემიური პერსონალის <u>პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული აქტივობების</u> შესახებ?
    - ვინ გაწვდით ამ ინფორმაციას?
    - აქტივობები უნივერსიტეტში ტარდება თუ უნივერსიტეტს გარეთ?
    - აქტივობები ნებაყოფლობითია თუ სავალდებულო?
    - რამდენად აქტიურად მონაწილეობთ მსგავს აქტივობებში?
- მოგეწოდებათ თუ არა ინფორმაცია შიდასაუნივერსიტეტო/უნივერსიტეტსგარე დონეზე <u>სამეცნიერო სახის შეხვედრების, კონფერენციების</u> შესახებ?
    - ვინ გაწვდით ამ ინფორმაციას?

- თქვენი შეფასებით, რამდენად აქტიურად ხორციელდება მსგავსი აქტივობები?
- თქვენ თავად რამდენად აქტიურად ერთვებით მსგავს აქტივობებში?

თუ შეიძლება ისაუბროთ უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით მიმართულებაზე?

- როგორ შეაფასებდით უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და ინფრასტრუქტურულ აღჭურვილობას?

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური დონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ეთიკა. თუ შეგიძლიათ მითხრათ, როგორ გესმით ტერმინი „აკადემიური თავისუფლება“?

- რამდენად გაძლევთ უნივერსიტეტი, რომელშიც ლექციებს კითხულობთ აკადემიურ თავისუფლებას? გთხოვთ, დააკონკრეტოთ რაში გამოიხატება

IV. პრაქტიკული გზები / საკუთარი გამოცდილება:

თქვენ თავად, როგორ აღიქვამთ, ვის წინაშე გაკისრიათ პასუხისმგებლობა, როგორც აკადემიურ პერსონალს?

- რა კომპონენტებს აერთიანებს თქვენი სოციალური პასუხისმგებლობა?

უშუალოდ თქვენს სასწავლო კურსს რომ შევეხოთ. კურიკულუმით განსაზღვრული კურსის ძირითად მიზნებსა და შედეგებზე რომ მესაუბროთ.

- კურსის კურიკულუმი ითვალისწინებს თუ არა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის საგანმანთლებლო კომპონენტის ისეთ ქვეკატეგორიებს, როგორებიცაა: კვლევა, კრიტიკული აზროვნება, დისკუსია და ა.შ.?
- რამდენად უწევთ სტუდენტებს ჯგუფური მუშაობა, რაც თანამონაწილეობის აღქმის ხელშემწყობ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ?
- რამდენად სრულყოფილად ხორციელდება თითოეული მათგანი თავად კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე? სტუდენტების ჩართულობიდან გამომდინარე?
- ითვალისწინებს თუ არა თქვენი სასწავლო კურსი ინტერდისციპლინური საკითხების განხილვას? თუ შეიძლება, კონკრეტულად რომ ისაუბროთ
- თქვენი საგნის ფარგლებში არის თუ არა შესაძლებელი შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების ინტერესების სასწავლო თემებში გათვალისწინება?

როგორც ვიცით, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ეთიკური საგანმანთლებლო გარემოს შექმნის მხრივ. სტუდენტების ნაშრომების გათვალისწინებით, რა გამოცდილებას ფლობთ ამ მიმართულებით?

- ყოფილა თუ არა შემთხვევა, როდესაც პლაგიატი აღმოგიჩენიათ სტუდენტის ნაშრომში? რა მოიმოქმედეთ?
- თქვენ თავად როგორ უწყობთ ხელს სტუდენტებში ეთიკურობისა და სხვისი ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ვალდებულების განვითარებას?

კორონავირუსის პირობებში თუ ყოფილა შემთხვევა, როდესაც სტუდენტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის არქონის გამო ვერ უერთდებოდა თქვენს ლექციებს?

- როგორი იყო ამ ფაქტზე თქვენი რეაგირება?
- რა შეეძლო, რომ ასეთ დროს უნივერსიტეტს გაეკეთებინა? უშუალოდ ლექტორს?

თუ შეიძლება ისაუბროთ, პირადად თქვენ როგორ / რა კონკრეტული ქმედებებით შეგიძლიათ ხელი შეუწყოთ უნივერსიტეტში პასუხისმგებლიანი გარემოს შექმნას?

- ამ მიმართულებით რაიმე სახის აქტივობას თუ ახორციელებთ? გთხოვთ, გვესაუბროთ ამის შესახებ
- უშუალოდ სტუდენტებთან მიმართებით რომ ვიმსჯელოთ, ყოფილა თუ არა შემთხვევა, როდესაც ხელი შეგიწყვიათ სტუდენტების დასაქმებისთვის? მაგალითად, პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით

V. შეჯამება:

თქვენი აზრით, რა არის უნივერსიტეტის მისია? რა ორიენტირი უნდა ჰქონდეს აღებული?

თქვენი აზრით, რამდენად სწორია მიდგომა, რომელიც უნივერსიტეტს, როგორც ბიზნესის ერთ-ერთ სექტორს, ისე განიხილავს? გთხოვთ, ისაუბროთ მათ შორის (უნივერსიტეტსა და ბიზნესს შორის) მსგავსებებსა და განსხვავებებზე?

- შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა ბიზნესისთვის დამახასიათებელი აქტივობების / ღონისძიებების საუნივერსიტეტო სივრცეში გადმოტანა?

თქვენი შეფასებით, პრაქტიკულ დონეზე აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რომელ კომპონენტს უფრო ექცევა ყურადღება უნივერსიტეტების მხრიდან - შიდა თუ გარე დონეს?

- არის თუ არა ამ მხრივ განსხვავება კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის? თუ დიახ, თქვენი აზრით, რითია ეს განსხვავება გამოწვეული?

თქვენი აზრით, არის თუ არა განსხვავება აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის დონესა და სტრატეგიებს შორის

- კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის
- სასწავლო ფაკულტეტებს / მიმართულებებს შორის

გთხოვთ, ისაუბროთ უნივერსიტეტის როლზე საზოგადოების ფორმირების პროცესში?

- რა მიმართულებით უნდა ერთვებოდეს ამ პროცესში?
- რა მექანიზმები აქვს ამ პროცესში მონაწილეობის მისაღებად და უნივერსიტეტის როლის გასაზრდელად?
- როგორ ხედავთ თქვენს როლს ამ პროცესში?

თუ შეგიძლიათ იმსჯელოთ სტუდენტების როლზე აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფაში - როგორც შიდასაუნივერსიტეტო ცხოვრებაში, ისე უნივერსიტეტის გარეთ.

- როგორ უყურებთ ამ საკითხს სტუდენტური საპროტესო მოძრაობების კონტექსტში?

როგორია თქვენთვის სტუდენტი, როგორც „მოქალაქის“ გაგება?

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების (1991) შემდეგ თუ გაიხსენებთ ისეთ ფაქტებს, როდესაც საუნივერსიტეტო საზოგადოებამ შეიტანა თავისი უნიკალური წვლილი ქვეყნის/საზოგადოების პოზიტიურ განვითარებაში.

და ბოლოს, როგორ ფიქრობთ რა უნდა გააკეთოს იმ უნივერსიტეტმა, რომელშიც ლექციებს კითხულობთ, რომ მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა მაქსიმალურად შეასრულოს?

დიდი მადლობა კვლევაში მონაწილეობისთვის!

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების გზამკვლევი

მოგესალმებით, მე ვარ ანა პაპიაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი. ჩემი კვლევის - *„აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კვლევა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში: ნორმატიული, ეთიკური და პრაქტიკული გზები“* - მიზანია გაანალიზდეს, თუ რა ცოდნა არსებობს აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ და როგორია მისი რეალიზების პრაქტიკული დონე (შიდასაუნივერსიტეტო დონე და უნივერსიტეტსგარე აქტივობები).

ინტერვიუ გაგრძელდება დაახლოებით 1 საათი და ჩაიწერება იმ მიზნით, რომ საბოლოო ანალიტიკურ ანგარიშში მოხვდეს ყველა ის ღირებული ინფორმაცია, რაც კვლევისთვის მნიშვნელოვანია. თქვენი კონფიდენციალურობა იქნება დაცული და ჩანაწერები არ გასაჯაროვდება.

გაითვალისწინეთ, რომ დასმული შეკითხვებისთვის არ არსებობს „სწორი“ და „არასწორი“ პასუხები - კვლევისთვის ნებისმიერი მოსაზრება ღირებულია.

მადლობას გიხდით კვლევაში მონაწილეობისთვის!

შესავალი

თავდაპირველად, გთხოვთ, გაგვეცნოთ და გვითხრათ თქვენი პოზიცია უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებაში.

- გთხოვთ, მოკლედ აღგვიწერეთ რა აქტივობებს ახორციელებთ

ტერმინთა დეფინიცია

როგორ გესმით ტერმინი „აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა“?

- გთხოვთ, ისაუბროთ აღნიშნული კონცეპტის სამიზნე ჯგუფებზე
- რა სფეროებს შეიძლება ფარავდეს აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა?
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებისთვის რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ უნივერსიტეტსგარე აქტივობები?

როგორ გესმით ტერმინი „უნივერსიტეტის მესამე მისია“?

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შიდასაუნივერსიტეტო დონე

თუ შეიძლება ისაუბროთ, საუნივერსიტეტო სივრცეში რა შიდა მექანიზმები არსებობს ხარისხის უზრუნველსაყოფად?

- კონკრეტულად რას გულისხმობს შიდა მონიტორინგის განხორციელება და რა პერიოდულობით ხორციელდება?
- შიდა მონიტორინგისას რა ინდიკატორებს/ასპექტებს/მიმართულებებს ექცევა ყურადღება?

როგორია უშუალოდ თქვენი სამსახურის ურთიერთობა აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებთან?

- ძირითადად, რა საკითხებთან დაკავშირებით მოგმართავენ ხოლმე?
- რამდენად შედეგიანად/ეფექტიანად აფასებთ სტუდენტებთან ურთიერთობას? გაგითვალისწინებიათ მათი ინიციატივა? თუ შეიძლება გვითხრათ კონკრეტულად რა ინიციატივა

თუ შეიძლება ისაუბროთ უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით მიმართულებაზე?

- როგორ შეაფასებდით უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და ინფრასტრუქტურულ აღჭურვილობას?
- თქვენი ინფორმაციით, რამდენად აქტიურად ერთვებიან სტუდენტები უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში?

გთხოვთ, ისაუბროთ აკადემიური პერსონალის პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული აქტივობების შესახებ

- აქტივობები ტარდება უნივერსიტეტში თუ უნივერსიტეტს გარეთ?
- რამდენად აქტიურად ერთვება აკადემიური პერსონალი მსგავს აქტივობებში?
- მსგავსი აქტივობები ნებაყოფლობითია თუ სავალდებულო?

გთხოვთ, ისაუბროთ შიდასაუნივერსიტეტო დონეზე სამეცნიერო სახის შეხვედრების, კონფერენციების მოწყობის პრაქტიკის შესახებ

- რამდენად აქტიურად ხორციელდება მსგავსი აქტივობები?
- როგორია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის დაინტერესება?
- თუ შეგიძლიათ გამოკვეთოთ უცხოელ კოლეგებთან (უცხოურ უნივერსიტეტებთან) მსგავსი თანამშრომლობის შემთხვევები. გთხოვთ, დაგვისახელოთ საერთო პროექტები

თუ შეგიძლიათ ისაუბროთ კურსდამთავრებულებთან ურთიერთობაზე

- მოუმართავთ თუ არა კურსდამთავრებულებს უნივერსიტეტის საქმიანობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სხვადასხვა ინიციატივით?
- ერთვებიან თუ არა კურსდამთავრებული შიდასაუნივერსიტეტო საქმიანობაში/აქტივობებში? თუ შეგიძლიათ, დაგვისახელოთ კონკრეტული მაგალითები

გთხოვთ, ისაუბროთ, სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებისთვის არსებულ მხარდაჭერის ინსტრუმენტებზე

თუ შეგიძლიათ გამოკვეთოთ რა აქტივობები/კამპანია განხორციელდა უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტების მხარდასაჭერად კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის ფონზე?

- თუ ფლობთ ინფორმაციას, მოხდა თუ არა სწავლის გადასახადის გადავადება ან გადანაწილება?
- რამდენად ხელმისაწვდომი იყო სტუდენტებისთვის სასწავლო რესურსები?

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის უნივერსიტეტსგარე დონე/აქტივობები

შეგიძლიათ დაასახელოთ უნივერსიტეტსგარე აქტივობები, რომლებშიც თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მონაწილეობს ხოლმე? ***ინტერვიუერისთვის:*** *თუ გაუჭირდა გახსენება, ჰკითხეთ:* რომელიმე გარემოსდაცვითი პროექტი ხომ არ გახსენდებათ, რაშიც თქვენი უნივერსიტეტი ჩაერთო? სოციალური კამპანია?

- რამდენად სისტემატურად ხორციელდება მსგავსი პროექტები?
- ეწყობა თუ არა გარემოსდაცვით ან სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული საჯარო შეხვედრები, დისკუსიები, პრაქტიკული აქტივობები? რამდენად აქტიურად ერთვებიან სტუდენტები მსგავს პროექტებში?

თუ ფლობთ ინფორმაციას, რამდენად აქვს კავშირი უნივერსიტეტს სასკოლო საფეხურთან?

- კონკრეტულად რა საერთო აქტივობები ხორციელდება?
- თუ ეწყობა სკოლაში ვიზიტები? რა მიზნით?

თუ შეგიძლიათ ისაუბროთ უნივერსიტეტისა და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობაზე

- რა საერთო პროექტები გახსენდებათ ამ მიმართულებით?
- ეწყობა თუ არა უნივერსიტეტში ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების აკადემიურ პერსონალთან შეხვედრები? სტუდენტებთან?
- მიეწოდებათ თუ არა სტუდენტებს პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია?
- თუ ფლობთ ინფორმაციას, ხდება თუ არა შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი?

თქვენი შეფასებით, რამდენად აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან?

- კონკრეტულად რა მიმართულებით თანამშრომლობს?
- ეხება თუ არა ეს თანამშრომლობა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ექსტერნალურ (უნივერსიტეტსგარე) აქტივობებს?
- თუ ფლობთ ინფორმაციას, განხორციელებულა თუ არა საერთო სოციალური კამპანიები? გარემოსდაცვითი აქტივობები?

შეჯამება

თუ შეგიძლიათ იმსჯელოთ სტუდენტების როლზე აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფაში - როგორც შიდასაუნივერსიტეტო ცხოვრებაში, ისე უნივერსიტეტის გარეთ.

- როგორ უყურებთ ამ საკითხს სტუდენტური საპროტესო მოძრაობების კონტექსტში?

როგორია თქვენთვის სტუდენტი, როგორც „მოქალაქის“ გაგება

დასასრულ, გთხოვთ, შეაჯამოთ, თქვენი შეფასებით, რამდენად ორიენტირდება უნივერსიტეტის წესდება/შინაგანაწესი აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის

როგორც ინტერნალური, ისე ექსტერნალური კომპონენტების სრულყოფილად რეალიზებაზე?

- „მესამე მისიის“ შესრულებაზე?

დიდი მადლობა კვლევაში მონაწილეობისთვის!

ეთიკის საბჭოს/კომიტეტის წევრების გზამკვლევი

მოგესალმებით, მე ვარ ანა პაპიაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი. ჩემი კვლევის - *„აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კვლევა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში: ნორმატიული, ეთიკური და პრაქტიკული გზები“* - მიზანია გაანალიზდეს, თუ რა ცოდნა არსებობს აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ და როგორია მისი რეალიზების პრაქტიკული დონე.

ინტერვიუ გაგრძელდება დაახლოებით 1 საათი და ჩაიწერება იმ მიზნით, რომ საბოლოო ანალიტიკურ ანგარიშში მოხვდეს ყველა ის ღირებული ინფორმაცია, რაც კვლევისთვის მნიშვნელოვანია. თქვენი კონფიდენციალურობა იქნება დაცული და ჩანაწერები არ გასაჯაროვდება.

გაითვალისწინეთ, რომ დასმული შეკითხვებისთვის არ არსებობს „სწორი“ და „არასწორი“ პასუხები - კვლევისთვის ნებისმიერი მოსაზრება ღირებულია.

მადლობას გიხდით კვლევაში მონაწილეობისთვის!

შესავალი

თავდაპირველად, გთხოვთ, გაგვეცნოთ და გვითხრათ თქვენი პოზიცია უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებაში. რამდენი ხანია რაც ამ პოზიციაზე ხართ?

- გთხოვთ, მოკლედ აღგვიწერეთ რა აქტივობებს ახორციელებთ

ტერმინთა დეფინიცია

როგორ გესმით ტერმინი „აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა“?

- გთხოვთ, ისაუბროთ აღნიშნული კონცეპტის სამიზნე ჯგუფებზე
- რა სფეროებს შეიძლება ფარავდეს აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა?
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებისთვის რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ უნივერსიტეტსგარე აქტივობები?

როგორ გესმით ტერმინი „უნივერსიტეტის მესამე მისია“?

გთხოვთ, ისაუბროთ, თქვენი აზრით, რა არის უნივერსიტეტის მისია? რა როლი შეიძლება ჰქონდეს მას საზოგადოების ფორმირების პროცესში? როგორ, რა მექანიზმებით შეიძლება გავააქტიუროთ მსგავს პროცესებში უნივერსიტეტის ჩართულობა?

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ეთიკურობა

როგორ ფიქრობთ, რა მოიაზრება აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის **ორგანიზაციულ** კომპონენტში? ვის / საუნივერსიტეტო საზოგადოების რომელ რგოლს ენიჭება ამ კომპონენტის სრულყოფაზე პასუხისმგებლობა?

- როგორ ფიქრობთ, რა მოიაზრება **ეთიკურ** კომპონენტში? ვის / საუნივერსიტეტო საზოგადოების რომელ რგოლს ენიჭება ამ კომპონენტის სრულყოფაზე პასუხისმგებლობა?
- როგორ ფიქრობთ, რა მოიაზრება **ფილანტროპულ** კომპონენტში? ვის / საუნივერსიტეტო საზოგადოების რომელ რგოლს ენიჭება ამ კომპონენტის სრულყოფაზე პასუხისმგებლობა?

გთხოვთ, იმსჯელოთ „აკადემიური თავისუფლების“ შესახებ. როგორ აფასებთ თქვენს უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალისთვის მინიჭებულ აკადემიურ თავისუფლებას. რამდენად უზრუნველყოფილია?

თუ შეგიძლიათ ისაუბროთ უნივერსიტეტში ეთიკური ნორმების დაცვის/დარღვევის შესახებ

- მათ შორის, გთხოვთ, ყურადღება გაამახვილოთ პლაგიატის შემთხვევებზე. რამდენად ხშირია მსგავსი ფაქტი?
- უფრო მეტად რომელი საფეხურის სტუდენტებისთვისაა დამახასიათებელი?
- ყოფილა თუ არა შემთხვევა, როდესაც აკადემიური პერსონალის ნაშრომში აღმოგიჩენიათ პლაგიატი?

გთხოვთ, ისაუბროთ უნივერსიტეტში ეთიკური ნორმების დარღვევის შემთხვევაში, როგორია ეთიკის კომიტეტის რეაგირება?

- რა მექანიზმები/რეგულაციები არსებობს შიდასაუნივერსიტეტო სივრცეში რეაგირებისთვის?
- განსხვავდება თუ გადაწყვეტილება სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში? როგორ?

დამატებით შეგიმოწმებიათ თუ არა ვინმეს ნაშრომი/წიგნი/პუბლიკაცია გარე პირის საჩივრის/მომართვიანობის გამო?

გთხოვთ, იმსჯელოთ იმ მექანიზმებზე, რაც არსებობს/უნდა არსებობდეს საუნივერსიტეტო სივრცეში, რათა თავიდან ავირიდოთ ეთიკური ნორმების დარღვევის შემთხვევები

- რამდენად რეალიზდება ეს მექანიზმები უშუალოდ თქვენს უნივერსიტეტში?

იმართება თუ არა უნივერსიტეტში კონფერენციები/დისკუსიები/საჯარო ლექციები საუნივერსიტეტო სივრცეში ეთიკის ნორმების დაცვასთან დაკავშირებით? უშუალოდ პლაგიატთან დაკავშირებით? აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებით?

- თუ ფლობთ ინფორმაციას, რამდენად აქტიურად ერთვებიან სტუდენტები და აკადემიური პერსონალი მსგავს ღონისძიებებში?
- თქვენ რა როლი გაქვთ მსგავს ღონისძიებებში?

შეჯამება

თუ შეგიძლიათ იმსჯელოთ თქვენს როლზე აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფაში

თუ შეგიძლიათ იმსჯელოთ სტუდენტების როლზე აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფაში - როგორც შიდასაუნივერსიტეტო ცხოვრებაში, ისე უნივერსიტეტის გარეთ.

- როგორ უყურებთ ამ საკითხს სტუდენტური საპროტესო მოძრაობების კონტექსტში?

როგორია თქვენთვის სტუდენტი, როგორც „მოქალაქის“ გაგება

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების (1991) შემდეგ თუ გაიხსენებთ ისეთ ფაქტებს, როდესაც საუნივერსიტეტო საზოგადოებამ შეიტანა თავისი უნიკალური წვლილი ქვეყნის/საზოგადოების პოზიტიურ განვითარებაში.

და ბოლოს, როგორ ფიქრობთ რა უნდა გააკეთოს იმ უნივერსიტეტმა, რომ მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა მაქსიმალურად შეასრულოს?

დიდი მადლობა კვლევაში მონაწილეობისთვის!

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლების გზამკვლევი

მოგესალმებით, მე ვარ ანა პაპიაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი. ჩემი კვლევის - *„აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კვლევა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში: ნორმატიული, ეთიკური და პრაქტიკული გზები“* - მიზანია გაანალიზდეს, თუ რა ცოდნა არსებობს აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ და როგორია მისი რეალიზების პრაქტიკული დონე.

ინტერვიუ გაგრძელდება დაახლოებით 1 საათი და ჩაიწერება იმ მიზნით, რომ საბოლოო ანალიტიკურ ანგარიშში მოხვდეს ყველა ის ღირებული ინფორმაცია, რაც კვლევისთვის მნიშვნელოვანია. თქვენი კონფიდენციალურობა იქნება დაცული და ჩანაწერები არ გასაჯაროვდება.

გაითვალისწინეთ, რომ დასმული შეკითხვებისთვის არ არსებობს „სწორი“ და „არასწორი“ პასუხები - კვლევისთვის ნებისმიერი მოსაზრება ღირებულია.

მადლობას გიხდით კვლევაში მონაწილეობისთვის!

შესავალი

თავდაპირველად, გთხოვთ, გაგვეცნოთ და გვითხრათ თქვენი პოზიცია უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებაში.

- რამდენი ხანია რაც ამ პოზიციაზე ხართ?

ტერმინთა დეფინიცია

როგორ გესმით ტერმინი „აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა“?

- გთხოვთ, ისაუბროთ აღნიშნული კონცეპტის სამიზნე ჯგუფებზე
- რა სფეროებს შეიძლება ფარავდეს აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა?
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებისთვის რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ უნივერსიტეტსგარე აქტივობები?

როგორ გესმით ტერმინი „უნივერსიტეტის მესამე მისია“?

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობები

როგორია უშუალოდ თქვენი სამსახურის ურთიერთობა აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებთან?

- ძირითადად, რა საკითხებთან დაკავშირებით მოგმართავენ ხოლმე?
- რამდენად შედეგიანად/ეფექტიანად აფასებთ სტუდენტებთან ურთიერთობას? გაგითვალისწინებიათ მათი ინიციატივა? თუ შეიძლება გვითხრათ კონკრეტულად რა ინიციატივა

თქვენი აზრით, რა ტიპის სტრუქტურებთან / დაწესებულებებთან უნდა ურთიერთობდეს უნივერსიტეტი, რათა სტუდენტს სრულყოფილი, მასზე მორგებული სერვისი, მიაწოდოს?

შეგიძლიათ დაასახელოთ უნივერსიტეტსგარე აქტივობები, რომლებშიც თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მონაწილეობს ხოლმე? ***ინტერვიუერისთვის:*** *თუ გაუჭირდა გახსენება, ჰკითხეთ:* რომელიმე გარემოსდაცვითი პროექტი ხომ არ გახსენდებათ, რაშიც თქვენი უნივერსიტეტი ჩაერთო? სოციალური კამპანია?

- რამდენად სისტემატურად ხორციელდება მსგავსი პროექტები?
- ეწყობა თუ არა გარემოსდაცვით ან სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული საჯარო შეხვედრები, დისკუსიები, პრაქტიკული აქტივობები? რამდენად აქტიურად ერთვებიან სტუდენტები მსგავს პროექტებში?

თუ ფლობთ ინფორმაციას, რამდენად აქვს კავშირი უნივერსიტეტს სასკოლო საფეხურთან?

- კონკრეტულად რა საერთო აქტივობები ხორციელდება?
- თუ ეწყობა სკოლაში ვიზიტები? რა მიზნით?
- თქვენ თავად თუ ხართ ჩართული მსგავს აქტივობებში?

თუ შეგიძლიათ ისაუბროთ უნივერსიტეტისა და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობაზე

- რა საერთო პროექტები გახსენდებათ ამ მიმართულებით?
- ეწყობა თუ არა უნივერსიტეტში ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების აკადემიურ პერსონალთან შეხვედრები? სტუდენტებთან?
- მიეწოდებათ თუ არა სტუდენტებს პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია?
- თუ ფლობთ ინფორმაციას, ხდება თუ არა შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი?
- თქვენ თავად თუ ხართ ჩართული მსგავს აქტივობებში/შეხვედრებში?

თუ შეგიძლიათ ისაუბროთ კურსდამთავრებულებთან ურთიერთობაზე

- მოუმართავთ თუ არა კურსდამთავრებულებს უნივერსიტეტის საქმიანობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სხვადასხვა ინიციატივით?
- ერთვებიან თუ არა კურსდამთავრებული შიდასაუნივერსიტეტო საქმიანობაში/აქტივობებში? თუ შეგიძლიათ, დაგვისახელოთ კონკრეტული მაგალითები

თქვენი შეფასებით, რამდენად აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან?

- რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ მსგავსი აქტივობების განხორციელება უნივერსიტეტის აკადემიური პასუხისმგებლობის რეალიზების თვალსაზრისით?
- კონკრეტულად რა მიმართულებით თანამშრომლობს?
- ეხება თუ არა ეს თანამშრომლობა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ექსტერნალურ (უნივერსიტეტსგარე) აქტივობებს?
- თუ ფლობთ ინფორმაციას, განხორციელებულა თუ არა საერთო სოციალური კამპანიები? გარემოსდაცვითი აქტივობები?

- თქვენ თავად თუ გითანამშრომლიათ სხვა უნივერსიტეტებთან? გთხოვთ, გვესაუბროთ რა მიმართულებით

გთხოვთ, ისაუბროთ, სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებისთვის არსებულ მხარდაჭერის ინსტრუმენტებზე

თუ შეგიძლიათ გამოკვეთოთ რა აქტივობები/კამპანია განხორციელდა უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტების მხარდასაჭერად კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის ფონზე?

- თუ ფლობთ ინფორმაციას, მოხდა თუ არა სწავლის გადასახადის გადავადება ან გადანაწილება?
- რამდენად ხელმისაწვდომი იყო სტუდენტებისთვის სასწავლო რესურსები?

ზოგადად, რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უნივერსიტეტს გარე აქტივობების განხორციელებას?

- რატომ ფიქრობთ ასე? რა მიზანს ემსახურება/უნდა ემსახურებოდეს მსგავსი აქტივობები?

შეჯამება

თუ შეგიძლიათ იმსჯელოთ სტუდენტების როლზე აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფაში - როგორც შიდასაუნივერსიტეტო ცხოვრებაში, ისე უნივერსიტეტის გარეთ.

- როგორ უყურებთ ამ საკითხს სტუდენტური საპროტესო მოძრაობების კონტექსტში?

როგორია თქვენთვის სტუდენტი, როგორც „მოქალაქის“ გაგება

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების (1991) შემდეგ თუ გაიხსენებთ ისეთ ფაქტებს, როდესაც საუნივერსიტეტო საზოგადოებამ შეიტანა თავისი უნიკალური წვლილი ქვეყნის/საზოგადოების პოზიტიურ განვითარებაში.

და ბოლოს, როგორ ფიქრობთ რა უნდა გააკეთოს იმ უნივერსიტეტმა, რომ მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა მაქსიმალურად შეასრულოს?

დიდი მადლობა კვლევაში მონაწილეობისთვის!

დანართი 2 - რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული კითხვარი

სტუდენტების გამოკითხვის კითხვარი

1. სტუდენტების შესახებ ინფორმაცია (დემოგრაფია, საგანმანათლებლო ფონი)

1.1. სქესი

ერთი პასუხი

1. მდედრობითი
2. მამრობითი

1.2. ასაკი: _____ *(ჩაწერეთ)*

1.3. რა ტიპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობთ?

ერთი პასუხი

1. სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. კერძო უნივერსიტეტი

1.4. რომელ უნივერსიტეტში სწავლობთ?

ერთი პასუხი

(თუ 1.3-ში მონიშნულია კოდი 1, გამოჩნდეს ჩამონათვალი)

1	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
4	სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
5	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
6	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
7	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
8	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
9	სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
10	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
11	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
12	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(თუ 1.3-ში მონიშნულია კოდი 2, გამოჩნდეს ჩამონათვალი)

1	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
2	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
3	ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია
4	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
5	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
6	ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი
7	შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

8	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
9	შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი
10	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
11	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
12	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი
13	შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
14	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი
15	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
16	შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი
17	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
18	შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
19	შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

1.5. რომელ სასწავლო საფეხურზე სწავლობთ?

ერთი პასუხი

1. ბაკალავრიატი
2. მაგისტრატურა

1.6. რომელ ფაკულტეტზე / მიმართულებაზე სწავლობთ?

ერთი პასუხი

1. ბიზნესი/ეკონომიკა
2. სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები
3. ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ტექნიკური მიმართულება
4. სამედიცინო მიმართულება
5. სახელოვნებო მიმართულება

1.7. რომელ კურსზე ხართ?

ერთი პასუხი

(თუ 1.5-ში მონიშნულია კოდი 1, გამოჩნდეს ჩამონათვალი)

1. პირველი
2. მეორე
3. მესამე
4. მეოთხე

(თუ 1.5-ში მონიშნულია კოდი 2, გამოჩნდეს ჩამონათვალი)

1. პირველი
2. მეორე

1.8. ხართ თუ არა უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრი?

ერთი პასუხი

1. დიახ, ვარ
0. არა, არ ვარ

2. სოციალური პასუხისმგებლობის და აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობა

2.1. გსმენიათ თუ არა ბიზნეს კომპანიებისა და ორგანიზაციების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ?

ერთი პასუხი

1. დიახ, მსმენია
0. არა, არ მსმენია

2.2. მიუხედავად იმისა, გსმენიათ თუ არა ტერმინის შესახებ, როგორ განმარტავდით ორგანიზაციების სოციალურ პასუხისმგებლობას?

ერთი პასუხი

1. ბიზნეს კომპანიებისა და ორგანიზაციისთვის სხვადასხვა აქტივობების განხორციელების ლეგალური მოთხოვნა
2. ბიზნეს კომპანიებისა და ორგანიზაციების მარკეტინგული სტრატეგია ბრენდის იმიჯის გასაუმჯობესებლად
3. ბიზნეს კომპანიებისა და ორგანიზაციების მიერ მოგების მაქსიმიზაციის პროცესი
4. ბიზნეს კომპანიებისა და ორგანიზაციების მიერ საზოგადოებაში/სოციუმში საკუთარი ბრენდის/ფირმის შესახებ ცნობადობის ასამაღლებელი აქტივობების განხორციელება
5. ბიზნეს კომპანიებისა და ორგანიზაციების მიერ ინდივიდუალურ და კოლექტიურ დონეზე საზოგადოების განვითარებაში პოზიტიური წვლილის შეტანა

   სხვა *(ჩაწერეთ)* _____

   88. უარი პასუხზე

   99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

2.3. თქვენი აზრით, რა ტიპის ორგანიზაციებს/ინსტიტუტებს შეიძლება ეკისრებოდეს სოციალური პასუხისმგებლობა?

ერთი პასუხი

1. მხოლოდ კერძო ორგანიზაციებს
2. მხოლოდ საჯარო ორგანიზაციებს
3. როგორც საჯარო, ისე კერძო ორგანიზაციებს

   88. უარი პასუხზე

   99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

2.4. გსმენიათ თუ არა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ?

ერთი პასუხი

1. დიახ, მსმენია
0. არა, არ მსმენია

2.5. გთხოვთ, ქვემოთ წარმოდგენილი თითოეულ დებულების გათვალისწინებით, მიუთითოთ როგორ განსაზღვრავდით უნივერსიტეტის პასუხისმგებლობებს.

თქვენი შეფასებით, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა...

ერთი პასუხი

		დიახ	არა	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
1	გულისხმობს უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის საზოგადოებრივი მომსახურებებისა და მოხალისეობრივი შესაძლებლობების შექმნას/ორგანიზებას?	1	0	88	99
2	ორიენტირებულია ადგილობრივ და საერთაშორისო რეიტინგებში სხვა უნივერსიტეტებისთვის კონკურენციის გაწევაზე?	1	0	88	99
3	გულისხმობს კურსდამთავრებულებთან კავშირის შენარჩუნებას და მათზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას?	1	0	88	99
4	გულისხმობს ფაკულტეტების წახალისებას სწავლის პროცესში გამოიყენონ რეალურ შემთხვევებზე დაფუძნებული მაგალითები, რომლებიც სოციალურ გამოწვევებს მიემართება?	1	0	88	99
5	მხოლოდ დაწესებულების მოგებისა და შემოსავლების ზრდაზეა ორიენტირებული?	1	0	88	99
6	უნივერსიტეტის უპირველესი მისიიდან - ხარისხიანი განათლების მიწოდებიდან - გადახვევაა?	1	0	88	99
7	გულისხმობს საუნივერსიტეტო სივრცეში ეკოლოგიურად მდგრადი პრაქტიკის დანერგვას, როგორებიცაა მაგალითად ენერგოეფექტური დანადგარები/ინვენტარი და ნარჩენების შემცირებაზე ორიენტირებული პროგრამები?	1	0	88	99
8	გულისხმობს სოციალურად მოწყვლადი პირებისთვის საგანმანათლებლო რესურსებსა და, ზოგადად, განათლებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას?	1	0	88	99
9	გულისხმობს ფინანსური მართვისა და რესურსების განაწილების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას?	1	0	88	99
10	შემოიფარგლება მხოლოდ საქველმოქმედო ღონისძიებებით?	1	0	88	99
11	საგანმანათლებლო დაწესებულების იმიჯის/ცნობადობის გაზრდაზე ორიენტირებული მარკეტინგული სტრატეგიაა?	1	0	88	99
12	გულისხმობს კვლევის, სწავლებისა და ინსტიტუციური გადაწყვეტილების მიღების ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბებასა და დაცვას?	1	0	88	99
13	ახასიათებს მხოლოდ გარკვეულ აკადემიურ დისციპლინების და ყველა სასწავლო მიმართულებით არ რეალიზდება?	1	0	88	99
14	გულისხმობს სკოლებთან თანამშრომლობას პოტენციური სტუდენტების მოზიდვის მიზნით?	1	0	88	99
15	გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების სწავლის პროცესში ხელშეწყობას?	1	0	88	99

2.6. თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომლებია აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი კომპონენტები?

დასაშვებია ერთზე მეტი პასუხი

1. სოციალური კომპონენტი
2. კოგნიტური კომპონენტი
3. ორგანიზაციული კომპონენტი
4. რეკრეაციული კომპონენტი
5. ფილანტროპული კომპონენტი
6. ეკონომიკური კომპონენტი
7. გასართობი კომპონენტი
8. ეთიკური კომპონენტი
9. გარემოსდაცვითი კომპონენტი
10. საგანმანათლებლო კომპონენტი

88. უარი პასუხზე

99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

*განმარტება: აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა გულისხმობს, რომ უნივერსიტეტს, საგანმანათლებლო ფუნქციის გარდა, სოციალური დატვირთვა აქვს/უნდა ჰქონდეს. განათლების სფერო უნდა ზრუნავდეს და აქტიურად მონაწილეობდეს სამოქალაქო ღირებულებებისა და, ზოგადად, პასუხისმგებლობის განვითარების პროცესში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების **ინტერნალური** ფაქტორები ფარავს შიდასაუნივერსიტეტო დონეს, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის, აგრეთვე, სტუდენტების მიმართ დაკისრებულ პასუხისმგებლობას. **ექსტერნალური** ფაქტორები კი ცდება საუნივერსიტეტო სივრცეს და ყურადღებას ამახვილებს სოციალურ თუ გარემოსდაცვით აქტივობებზე, რომლებშიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები საკუთარი სურვილით, ნებაყოფლობით მონაწილეობენ.*

3. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შიდა/ინტერნალური ფაქტორების შეფასება

3.1. თქვენი შეფასებით, რამდენად არის ინტეგრირებული თქვენი ძირითადი სასწავლო პროგრამის კურსებში შემდეგი კომპონენტები:

ერთი პასუხი

		საერთოდ არ არის ინტეგრირებული	2	3	4	სრულყოფილად ინტეგრირებულია	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
1	კვლევა	1	2	3	4	5	88	99
2	კრიტიკული აზროვნება	1	2	3	4	5	88	99
3	დისკუსია	1	2	3	4	5	88	99
4	ჯგუფური მუშაობა	1	2	3	4	5	88	99
5	ინტერდისციპლინური (მიმართულებათაშორისი)	1	2	3	4	5	88	99

	საკითხები							
6	ეთიკური, მათ შორის პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები	1	2	3	4	5	88	99

3.2. თქვენი შეფასებით, რამდენადაა გათვალისწინებული შრომის ბაზრის მოთხოვნები სასწავლო პროგრამებსა და კურიკულუმებში?

ერთი პასუხი

1. საერთოდ არ არის გათვალისწინებული
2. უფრო არ არის გათვალისწინებული
3. თანაბრად
4. უფრო გათვალისწინებულია
5. სავსებით გათვალისწინებულია
   88. უარი პასუხზე
   99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

3.3. ოდესმე მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა თქვენივე უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე/შეხვედრაზე, რომელიც პლაგიატს შეეხებოდა?

ერთი პასუხი

1. დიახ, მიმიღია
0. არა, არ მიმიღია

3.4. *(დაესმის, თუ 3.3-ში მონიშნულია კოდი 0 „არა, არ მიმიღია“)* **რა მიზეზით არ მიგიღიათ მსგავს აქტივობაში მონაწილეობა?**

დასაშვებია ერთზე მეტი პასუხი

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ მოუწოდებია ინფორმაცია
2. დროის უქონლობის გამო
3. ვფიქრობ, სრულყოფილ ინფორმაციას ვფლობ აღნიშნული საკითხის შესახებ
4. არ მიმაჩნია საინტერესო თემად
5. ვფიქრობ, არაინფორმაციული შეხვედრა იქნებ(ოდ)ა
   სხვა *(ჩაწერეთ)* _____
   88. უარი პასუხზე
   99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

3.5. თქვენი დაკვირვებით, რამდენად ადაპტირებულია თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფიზიკური გარემო (მაგ.: ადაპტირებული საპირფარეშო, პანდუსი და ა.შ.)?

ერთი პასუხი

1. საერთოდ არ არის ადაპტირებული
2. უფრო არ არის ადაპტირებული
3. თანაბრად
4. უფრო ადაპტირებულია
5. სრულად ადაპტირებულია
   88. უარი პასუხზე

99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

3.6. თქვენი ინფორმაციით, რამდენად უზრუნველყოფილია თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ადაპტირებული სასწავლო რესურსებით (მაგ.: ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი მასალები, ხმოვანი პროგრამები და ა.შ.)?

ერთი პასუხი

1. საერთოდ არ არის უზრუნველყოფილი
2. უფრო არ არის უზრუნველყოფილი
3. თანაბრად
4. უფრო უზრუნველყოფილია
5. სრულად უზრუნველყოფილია
   88. უარი პასუხზე
   99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

4. აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის გარე/ექსტერნალური ფაქტორების შეფასება

4.1. როდესაც საუბარია აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზებაზე გარე აქტორებთან თანამშრომლობის გზით, თქვენი შეფასებით, ვინ იგულისხმება?

დასაშვებია ერთზე მეტი პასუხი

1. ბიზნეს სექტორი/პოტენციური დამსაქმებლები
2. ზოგადსაგანმანათლებლო საფეხური
3. ადგილობრივი თემი
4. არასამთავრობო ორგანიზაციები
5. ადგილობრივ დონეზე მოქმედი უნივერსიტეტები
6. საერთაშორისო დონეზე მოქმედი უნივერსიტეტები
7. კურსდამთავრებულები
8. საკუთარი აკადემიური პერსონალი
9. საკუთარი ადმინისტრაციული პერსონალი
10. განათლების სამინისტრო
11. იმავე უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები
    სხვა *(ჩაწერეთ)* _____
    88. უარი პასუხზე
    99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

4.2. როგორ ფიქრობთ, რამდენად აქტიურად თანამშრომლობს თქვენი უნივერსიტეტი ბიზნეს სექტორთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან?

ერთი პასუხი

1. ძალზე პასიურად თანამშრომლობს
2. მეტწილად პასიურად თანამშრომლობს
3. თანაბრად
4. მეტწილად აქტიურად თანამშრომლობს
5. ძალზე აქტიურად თანამშრომლობს
   77. საერთოდ არ თანამშრომლობს

88. უარი პასუხზე
99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

4.3. *(არ დაესმის, თუ 4.2-ში მონიშნულია კოდი 77 „საერთოდ არ თანამშრომლობს“)* **როგორ ფიქრობთ, რა აქტივობებით თანამშრომლობს თქვენი უნივერსიტეტი ბიზნეს სექტორთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან?**

დასაშვებია ერთზე მეტი პასუხი

1. დასაქმების ფორუმების ორგანიზება
2. ტრენინგების ორგანიზება
3. ვორქშოფების ორგანიზება
4. სასწავლო პროგრამების/კურიკულუმების შედგენის პროცესში თანამშრომლობა
   სხვა *(ჩაწერეთ)* _____
   88. უარი პასუხზე
   99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

4.4. *(არ დაესმის, თუ 4.2-ში მონიშნულია კოდი 77 „საერთოდ არ თანამშრომლობს“)* **რამდენად ეფექტიანად აფასებთ თქვენი უნივერსიტეტის ბიზნეს სექტორთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობას?**

ერთი პასუხი

1. სრულებით არაეფექტიანად
2. მეტწილად არაეფექტიანად
3. თანაბრად
4. მეტწილად ეფექტიანად
5. სავსებით ეფექტიანად
   88. უარი პასუხზე
   99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

4.5. თქვენი შეფასებით, რა უშლის ხელს თქვენს უნივერსიტეტს, რათა ითანამშრომლოს გარე დაინტერესებულ მხარეებთან, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით?

დასაშვებია ერთზე მეტი პასუხი

1. უნივერსიტეტის მხრიდან ინტერესის ნაკლებობა
2. გარე დაინტერესებული მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობა
3. თანამშრომლობის შესაფერისი შესაძლებლობების პოვნის სირთულე
4. შეზღუდული რესურსები ან ერთობლივი პროექტების დაფინანსების პრობლემა
5. ბიუროკრატიული ბარიერები
   სხვა *(ჩაწერეთ)* _____
   77. ხელის შემშლელი ფაქტორები არ არსებობს
   88. უარი პასუხზე
   99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

4.6. თქვენი შეფასებით, რამდენად აქტიურად თანამშრომლობს თქვენი უნივერსიტეტი სხვა ადგილობრივ (საქართველოს) უნივერსიტეტებთან?

ერთი პასუხი

1. საერთოდ არ აქვს კავშირი

2. მეტწილად პასიურად
3. თანაბრად
4. მეტწილად აქტიურად
5. ძალზე აქტიურად
   88. უარი პასუხზე
   99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

4.7. *(არ დაესმის, თუ 4.6-ში მონიშნულია კოდი 1 „საერთოდ არ აქვს კავშირი“)* **კონკრეტულად რა ტიპის ერთობლივი აქტივობები ხორციელდება?**

დასაშვებია ერთზე მეტი პასუხი

1. საგანმანათლებლო
2. კულტურული
3. სოციალური
4. გარემოსდაცვითი
5. სპორტული
   სხვა *(ჩაწერეთ)* _____
   88. უარი პასუხზე
   99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

4.8. თქვენი ინფორმაციით, ინარჩუნებს თუ არა თქვენი უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებთან ურთიერთობას?

ერთი პასუხი

1. საერთოდ არ ინარჩუნებს
2. უფრო არ ინარჩუნებს, ვიდრე ინარჩუნებს
3. თანაბრად
4. უფრო ინარჩუნებს, ვიდრე არ ინარჩუნებს
5. სავსებით უნარჩუნებს
   88. უარი პასუხზე
   99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

4.9. *(არ დაესმის, თუ 4.8-ში მონიშნულია კოდი 1 „საერთოდ არ ინარჩუნებს“)* **თუ ფლობთ ინფორმაციას, რაში გამოიხატება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა?**

დასაშვებია რამდენიმე პასუხი

1. კურსდამთავრებულები ბრუნდებიან უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის სტატუსით
2. კურსდამთავრებულებთან ეწყობა შეხვედრები დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით
3. კურსდამთავრებულები მიმართავენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას საგანმანათლებლო პროექტებით
4. კურსდამთავრებულები მიმართავენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სოციალური პროექტებით
5. კურსდამთავრებულები მიმართავენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას კულტურული პროექტებით

6. კურსდამთავრებულები მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროგრამების შემუშავების პროცესში

სხვა *(ჩაწერეთ)* _____

88. უარი პასუხზე

99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

5. კოვიდ-19 პანდემიის გავლენა სასწავლო პროცესზე და უნივერსიტეტის რეაგირება

5.1. იყავით თუ არა 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით (ანუ კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში) უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი?

ერთი პასუხი.

1. დიახ, ვიყავი
0. არა, არ ვყოფილვარ *(გადადის მე-6 ბლოკზე)*

5.2. პანდემიის პირობებში, როგორი იყო თქვენი უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული სასწავლო ფორმატი

ერთი პასუხი

1. სრულად დისტანციური (3-ვე სემესტრი)
2. ჰიბრიდული (ლაბორატორიული სამუშაოები ტარდებოდა უნივერსიტეტში)
3. სრულად პირისპირი (3-ვე სემესტრი)

88. უარი პასუხზე

5.3. ქვემოთ ჩამოთვლილია დებულებები. გთხოვთ, თითოეულის შემთხვევაში შეაფასოთ რა სიხშირით ფიქსირდება/დაფიქსირდა მსგავსი პრაქტიკა თქვენს უნივერსიტეტში

ერთი პასუხი

		არასდროს/თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	რეგულარულად	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
1	უნივერსიტეტმა მოწყვლად სტუდენტებს გადასცა ლეპტოპები, რათა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართულიყვნენ	1	2	3	4	5	88	99
2	უნივერსიტეტმა გამართული სასწავლო პლატფორმა შესთავაზა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს	1	2	3	4	5	88	99
3	დისტანციური სწავლების პერიოდში ონლაინ პლატფორმაზე ლექცია-სემინარების ჩატარება მოწმდებოდა მონიტორინგის მიერ	1	2	3	4	5	88	99
4	უნივერსიტეტმა დააფინანსა სოციო-ეკონომიკურად მოწყვლადი სტუდენტების	1	2	3	4	5	88	99

		არასდროს/თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	რეგულარულად	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
	ინტერნეტის პაკეტი							
5	უნივერსიტეტმა გადაავადა სწავლის გადასახადი	1	2	3	4	5	88	99
6	უნივერსიტეტმა სწავლის გადასახადის 2-ზე მეტ ნაწილად გადახდის შესაძლებლობა შექმნა	1	2	3	4	5	88	99
7	ცალკეულმა ლექტორებმა, საკუთარი სახსრებით, უზრუნველყვეს სოციო-ეკონომიკურად მოწყვლადი სტუდენტების ინტერნეტის გადასახადის დაფარვა	1	2	3	4	5	88	99
8	უნივერსიტეტმა დააფინანსა სოციო-ეკონომიკურად მოწყვლადი აბიტურიენტების საგამოცდო საგნებში მომზადება	1	2	3	4	5	88	99
9	უნივერსიტეტმა სასწავლო მასალების ელექტრონიზაცია მოახდინა	1	2	3	4	5	88	99
10	უნივერსიტეტმა სასწავლო ონლაინ პლატფორმის გამოყენების მიზნით ლექტორები გადაამზადა	1	2	3	4	5	88	99

5.4. ზოგადად, რამდენად ეფექტიანად შეაფასებდით უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ აქტივობებს პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მხრივ?

ერთი პასუხი

1. ძალზე არაეფექტიანად
2. მეტწილად არაეფექტიანად
3. თანაბრად
4. მეტწილად ეფექტიანად
5. ძალზე ეფექტიანად

88. უარი პასუხზე

99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

6. სიტუაციები

ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე სიტუაცია, რომლებიც თქვენს უნივერსიტეტში მომხდარა ან შეიძლება მოხდეს. გთხოვთ, თითოეულ მათგანთან მიმართებით დააფიქსიროთ, როგორია/როგორი იქნება თქვენი უნივერსიტეტის პოზიცია.

6.1. სტუდენტური თვითმმართველობა მიზნად ისახავს სტუდენტთა შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. თქვენი აზრით, რამდენად მხარდამჭერია თქვენი უნივერსიტეტი მსგავსი ინიციატივების მიმართ?

ერთი პასუხი

1. საერთოდ არ არის მხარდამჭერი
2. უფრო არ არის მხარდამჭერი, ვიდრე არის
3. თანაბრად
4. უფრო არის მხარდამჭერი, ვიდრე არა
5. სავსებით მხარდამჭერია
   88. უარი პასუხზე
   99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

6.2. კურსდამთავრებულებს სურთ სასტიპენდიო ფონდის შექმნა მოწყვლადი ჯგუფების სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერისთვის. თქვენი შეფასებით, რამდენად მხარდამჭერია თქვენი უნივერსიტეტი მსგავსი ინიციატივების მიმართ?

ერთი პასუხი

1. საერთოდ არ არის მხარდამჭერი
2. უფრო არ არის მხარდამჭერი, ვიდრე არის
3. თანაბრად
4. უფრო არის მხარდამჭერი, ვიდრე არა
5. სავსებით მხარდამჭერია
   88. უარი პასუხზე
   99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

6.3. ფაკულტეტის წევრი აღმოაჩენს პოტენციურ არაეთიკურ ქცევას კოლეგის მიერ ჩატარებულ კვლევით პროექტში. რამდენად ადეკვატურია თქვენი უნივერსიტეტის პოლიტიკა და პროცედურები/რეაგირება მსგავს შემთხვევებში ეთიკური სტანდარტების უზრუნველსაყოფად?

ერთი პასუხი

1. სრულიად არაადეკვატური
2. უფრო არაადეკვატური, ვიდრე ადეკვატური
3. თანაბრად
4. უფრო ადეკვატური, ვიდრე არაადეკვატური
5. სავსებით ადეკვატური
   88. უარი პასუხზე
   99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

6.4. ადგილობრივი არაკომერციული ორგანიზაცია ეძებს უნივერსიტეტიდან მოხალისეებს საზოგადოებრივ მომსახურებებში, თემზე ორიენტირებულ პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. თქვენი შეფასებით, რამდენად მხარდამჭერია უნივერსიტეტი მოხალისეობრივ აქტივობებში სტუდენტთა მონაწილეობის მხრივ?

ერთი პასუხი

1. საერთოდ არ არის მხარდამჭერი
2. უფრო არ არის მხარდამჭერი, ვიდრე არის
3. თანაბრად
4. უფრო არის მხარდამჭერი, ვიდრე არა
5. სავსებით მხარდამჭერია

88. უარი პასუხზე
99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

7. ინდივიდუალური დონე

7.1. თქვენი აზრით, რას გულისხმობს სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზება ინდივიდუალურ/პერსონალურ ქცევაში?

დასაშვებია ერთზე მეტი პასუხი

1. სხვებისადმი პატივისცემით მოპყრობას
2. პიროვნული სარგებლის კოლექტიურ/საზოგადო კეთილდღეობაზე მაღლა დაყენებას
3. საზოგადოების საჭიროებებისა და პრობლემების უგულებელყოფას
4. საზოგადოებისთვის სასიკეთო პროექტების ორგანიზება, პირადი სარგებლის მიღების მიზნით
5. მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა

სხვა *(ჩაწერეთ)* _____
88. უარი პასუხზე
99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

7.2. მიგიმართავთ თუ არა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისთვის ინიციატივით, რომელიც შეეხებოდა

ერთი პასუხი

		არა, არ მიმიმართავს	დიახ, მიმიმართავს იშვიათად	დიახ, მიმიმართავს ზოგჯერ	დიახ, მიმიმართავს ხშირად	დიახ, მიმიმართავს რეგულარულად	უარი პასუხზე
1	საუნივერსიტეტო დონეზე საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზებას	1	2	3	4	5	88
2	საუნივერსიტეტო დონეზე არასაგანმანათლებლო (საქველმოქმედო, კულტურული, სპორტული, გარემოსდაცვითი და ა.შ.) ღონისძიების ორგანიზებას	1	2	3	4	5	88
3	სკოლის მოსწავლეებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების ორგანიზებას	1	2	3	4	5	88
4	სკოლის მოსწავლეებთან ერთობლივი არასაგანმანათლებლო (კულტურული, გარემოსდაცვითი, სპორტული და ა.შ.) პროექტების ორგანიზებას	1	2	3	4	5	88
5	ეთნიკური უმცირესობების საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს	1	2	3	4	5	88
6	ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს	1	2	3	4	5	88

		არა, არ მიმიმართავს	დიახ, მიმიმართავს იშვიათად	დიახ, მიმიმართავს ზოგჯერ	დიახ, მიმიმართავს ხშირად	დიახ, მიმიმართავს რეგულარულად	უარი პასუხზე
7	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს	1	2	3	4	5	88
8	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს	1	2	3	4	5	88

7.3. *(დაესმის, თუ 7.2 შეკითხვაში ერთზე მაინც მონიშნულია კოდი 1 „დიახ, მიმიმართავს“)* **დააკმაყოფილა თუ არა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულმა პერსონალმა თქვენი ინიციატივა?**

ერთი პასუხი

1. დიახ, დააკმაყოფილა
2. არ ვიცი, ჯერ არ მიმიღია საბოლოო პასუხი
3. არა, არ დაუკმაყოფილებია
   88. უარი პასუხზე

7.4. მთლიანობაში, გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი უნივერსიტეტის მხარდაჭერის დონე აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივების დაკმაყოფილების მხრივ?

ერთი პასუხი

1. საერთოდ არ არის მხარდაჭერილი მსგავსი ინიციატივები
2. უფრო არ არის მხარდაჭერილი მსგავსი ინიციატივები
3. თანაბრად
4. უფრო მხარდაჭერილია მსგავსი ინიციატივები
5. ძალზე მხარდაჭერილია მსგავსი ინიციატივები
   88. უარი პასუხზე
   99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

7.5. თქვენ თავად თუ მიგიღიათ მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ...

ერთი პასუხი

		დიახ, მიმიღია	არა, არ მიმიღია	უარი პასუხზე
1	გარემოსდაცვით აქტივობებში	1	0	88
2	საგანმანათლებლო პროექტებში (კონფერენციები, ტრენინგები, ვორქშოფები და ა.შ.)	1	0	88
3	დასაქმების ფორუმებში	1	0	88

		დიახ, მიმიღია	არა, არ მიმიღია	უარი პასუხზე
4	კულტურულ ღონისძიებებში	1	0	88
5	სპორტულ ღონისძიებებში	1	0	88

7.6. *(დაესვას, თუ 7.5 შეკითხვაში ერთზე მაინც მოინიშნა კოდი 0 „არა, არ მიმიღია“. შეკითხვის ტექსტი ფორმულირდეს შესაბამისად - 7.7-ში რომლებზეც კოდი 0 არის მონიშნული, ის ჩამონათვალი გამოჩნდეს)* **რატომ არ მიგიღიათ მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ.....**

დასაშვებია ერთზე მეტი პასუხი

		გარემოსდაცვით აქტივობები	საგანმანათლებლო პროექტებში (კონფერენციები, ტრენინგები, ვორკშოფები და ა.შ.)	დასაქმების ფორუმები	კულტურული ღონისძიებები	სპორტული ღონისძიებები
1	მსგავსი ღონისძიებების/აქტივობების შესახებ არ მქონდა ინფორმაცია	1	1	1	1	1
2	დროის უქონლობის გამო	2	2	2	2	2
3	ინტერესის ნაკლებობის გამო	3	3	3	3	3
4	უნივერსიტეტს მსგავსი ღონისძიებების/აქტივობების ორგანიზება არ გაუკეთებია	4	4	4	4	4
	სხვა *(ჩაწერეთ)* _____					
88	უარი პასუხზე	88	88	88	88	88
99	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	99	99	99	99	99

7.7. რამდენად ხშირად მონაწილეობთ მოხალისეობრივ აქტივობებში ან თემთან/საზოგადოებასთან დაკავშირებულ აქტივობებში, რომლებიც თქვენს აკადემიურ სფეროსთან/სასწავლო პროგრამასთან არის დაკავშირებული?

ერთი პასუხი

1. სემესტრში 4-5-ჯერ
2. სემესტრში 2-3-ჯერ
3. სემესტრში ერთხელ
4. უფრო იშვიათად, ვიდრე სემესტრში ერთხელ
5. არასდროს მიმიღია მსგავს აქტივობებში მონაწილეობა, რაც უნივერსიტეტში ვსწავლობ

88. უარი პასუხზე

99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

7.8. როგორც სტუდენტი, რამდენად გრძნობთ პირად პასუხისმგებლობას სოციალური საკითხებისა და საზოგადოების განვითარების პროცესებში ჩართულობის მხრივ?

ერთი პასუხი

1. საერთოდ ვერ ვგრძნობ ამ პასუხისმგებლობას
2. უფრო ნაკლებად ვგრძნობ ამ პასუხისმგებლობას
3. თანაბრად
4. უფრო მეტად ვგრძნობ ამ პასუხისმგებლობას
5. სრულყოფილად ვგრძნობ ამ პასუხისმგებლობას
   88. უარი პასუხზე
   99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

8. შეჯამება

8.1. თქვენი შეფასებით, რამდენად ეფექტიანია თქვენი უნივერსიტეტის საზოგადოებრივ პროცესებში ჩართულობა პოზიტიური სოციალური გავლენის შესაქმნელად და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად?

ერთი პასუხი

1. სრულიად არაეფექტიანია
2. მეტწილად არაეფექტიანია
3. თანაბრად
4. მეტწილად ეფექტიანია
5. სავსებით ეფექტიანია
   88. უარი პასუხზე
   99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

8.2. თქვენი შეფასებით, რამდენად აქტიურად ეხმიანება თქვენი უნივერსიტეტი საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებს/აფიქსირებს საკუთარ პოზიციას?

ერთი პასუხი

1. ძალზე არააქტიურად
2. მეტწილად არააქტიურად
3. თანაბრად
4. მეტწილად აქტიურად
5. ძალზე აქტიურად
   77. საკუთარ პოზიციებს მიმდინარე მოვლენების შესახებ საერთოდ არ აფიქსირებს
   88. უარი პასუხზე
   99. არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

8.3. ქვემოთ ჩამოთვლილია დებულებები. გთხოვთ, თითოეული მათგანის შემთხვევაში მიუთითოთ, რა რეგულარობით ხდება მსგავსი შემთხვევები თქვენს უნივერსიტეტში

ერთი პასუხი

		არასდროს / თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	რეგულარულად	ყარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
1	უნივერსიტეტი, დაფინანსების მიღების მიზნით, სხვადასხვა კომპანიასთან თანამშრომლობს	1	2	3	4	5	88	99
2	აკადემიური პერსონალი დაოჯახებულ და/ან მრავალშვილიან სტუდენტებს სასწავლო პროცესში ანგარიშს უწევს	1	2	3	4	5	88	99
3	ქართულენოვანი პროგრამებისთვის სასწავლო სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე ითარგმნება	1	2	3	4	5	88	99
4	უნივერსიტეტში სტუდენტებს შორის წახალისებულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია	1	2	3	4	5	88	99
5	უნივერსიტეტში ლექტორის მხრიდან წახალისებულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია	1	2	3	4	5	88	99
6	უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მისივე ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციის შესახებ გაწვდით ინფორმაციას	1	2	3	4	5	88	99
7	უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გაცვლითი პროგრამების შესახებ გაწვდით ინფორმაციას	1	2	3	4	5	88	99
8	უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დასაქმების შესაძლებლობის შესახებ გაწვდით ინფორმაციას	1	2	3	4	5	88	99
9	უნივერსიტეტი სრულყოფილად პასუხობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთა საჭიროებებს	1	2	3	4	5	88	99
10	არაქართულენოვანი სასწავლო მასალის გამო, გიჭირთ საკითხის გააზრება	1	2	3	4	5	88	99
11	უნივერსიტეტში სტუდენტებს შორის წახალისებულია ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	1	2	3	4	5	88	99
12	უნივერსიტეტში ლექტორის მხრიდან წახალისებულია ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	1	2	3	4	5	88	99
13	ლექტორი გეხმარებათ დამატებითი ლიტერატურის მოძიებაში	1	2	3	4	5	88	99
14	უნივერსიტეტი საკუთარი იმიჯის გაზრდაზე/პოპულარიზაციაზე ორიენტირებულ აქტივობებს ახორციელებს	1	2	3	4	5	88	99
15	უნივერსიტეტი სკოლებთან მხოლოდ პოტენციური სტუდენტების მოზიდვისთვის თანამშრომლობს	1	2	3	4	5	88	99
16	ლექტორი, სტუდენტების მოთხოვნის გათვალისწინებით, დამატებით მეცადინეობებს ატარებს	1	2	3	4	5	88	99
17	უნივერსიტეტი შემოსავლების მაქსიმიზაციაზეა ორიენტირებული	1	2	3	4	5	88	99
18	ლექტორი დასაქმების შესაძლებლობის შესახებ გაწვდით ინფორმაციას	1	2	3	4	5	88	99
19	ლექტორი პოტენციურ დამსაქმებელთან გიწევთ რეკომენდაციას	1	2	3	4	5	88	99
20	კონკრეტული სასწავლო კურსის სასემინარო /	1	2	3	4	5	88	99

		არასდროს / თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	რეგულარულად	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
	საგამოცდო დავალების შესასრულებლად სხვა კურსის ფარგლებში ნასწავლი მასალის გამოყენება დაგჭირვებიათ							
21	უნივერსიტეტი საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიებებს ახორციელებს მაღალმთიან რეგიონებში	1	2	3	4	5	88	99

8.4. რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს თქვენს უნივერსიტეტთან მიმართებით?

ერთი პასუხი

*(სკალა: **1** – „სრულიად არ ვეთანხმები“; **2** – „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები“; **3** – „ნეიტრალური“; **4** – „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“; **5** – „სავსებით ვეთანხმები“; 88 – „უარი პასუხზე“; 99 – „არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა“)*

		სრულიად არ ვეთანხმები	2	3	4	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
1. უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ზოგადი (მთლიანი / ერთიანი) აღქმა								
1	ჩემი უნივერსიტეტი ხელს უწყობს გარემოს დაცვას	1	2	3	4	5	88	99
2	ჩემს უნივერსიტეტს წვლილი შეაქვს სოციალური პრობლემების მოგვარებაში	1	2	3	4	5	88	99
2. მომსახურების ხარისხი								
1	ჩემს უნივერსიტეტს მაღალი ხარისხის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს	1	2	3	4	5	88	99
2	ჩემს უნივერსიტეტს მაღალი ხარისხის სასწავლო პროგრამები აქვს	1	2	3	4	5	88	99
3	ჩემი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი საქმეს ხარისხიანად ასრულებს	1	2	3	4	5	88	99
4	მმართველი რგოლი საქმეს ხარისხიანად ასრულებს	1	2	3	4	5	88	99
3. კმაყოფილება								
1	კმაყოფილი ვარ უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული განათლებით	1	2	3	4	5	88	99
2	კმაყოფილი ვარ უნივერსიტეტის მიერ მასზე დაკისრებული პასუხიმგებლობის შესრულებით	1	2	3	4	5	88	99

		სრულიად არ ვეთანხმები	2	3	4	სავსებით ვეთანხმები	ვარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
3	იმ უნივერსიტეტს, რომელშიც ვსწავლობ, სხვებსაც ვურჩევ (სხვებთანაც გავუწევ რეკომენდაციას)	1	2	3	4	5	88	99

დანართი 3 - სტუდენტების შესახებ ინფორმაცია (დემოგრაფია, საგანმანათლებლო ფონი)

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 5 საუნივერსიტეტო ქალაქის - თბილისი, თელავი, ახალციხე, ბათუმი, ქუთაისი - **1815-მა სტუდენტმა.** მათგან 67.9% **მდედრობითი,** ხოლო 32.1% **მამრობითი** სქესის წარმომადგენელია. რესპონდენტთა **ასაკის** ცვლადის მიხედვით, 4 ასაკობრივი ჯგუფი გამოიყო, რომლებშიც შემდეგი პროცენტული გადანაწილებაა: 21 წლის ან ნაკლები ასაკის - 64%, 22-24 წლის - 28.1%, 25-29 წლის - 6.7%, 30 წლის ან მეტის - 1.2%. გამოკითხვაში მონაწილე პირთა უმრავლესობა (73.6%) **სახელმწიფო** უნივერსიტეტის სტუდენტია, შესაბამისად მეოთხედს მცირედით აჭარბებს **კერძო** უნივერსიტეტის სტუდენტთა წილი (26.4%). რესპონდენტთა 76.4% **ბაკალავრიატის საფეხურის** სტუდენტია (პირველკურსელი 11.3%, მეორეკურსელი - 16.2%, მესამეკურსელი - 21.5%, მეოთხეკურსელი - 26.8%). გამოკითხულთა თითქმის მეოთხედი კი - **მაგისტრანტია** (პირველკურსელი - 13.3%, მეორეკურსელი - 11%). **სასწავლო მიმართულებების/ფაკულტეტების** მიხედვით გამოკითხულ სტუდენტთა გადანაწილება შემდეგია (შეუწონავი მონაცემები):

- ბიზნესი/ეკონომიკა - 20.5%
- სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები - 20.6%
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ტექნიკური მიმართულება - 20.5%
- სამედიცინო მიმართულება - 20.4%
- სახელოვნებო მიმართულება - 18%

სტუდენტთა ზოგადი მახასიათებლების აღწერისთვის ხაზგასასმელია, რომ გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (93.5%) **უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრი** არ არის. პოზიტიურ გამოცდილებაზე კი, შესაბამისად, მხოლოდ 6.5% მიუთითებს.

დანართი 4 - კონკრეტული აქტივობების უნივერსიტეტში განხორციელების სიხშირე (უსდ-ის ტიპის ჭრილში)

ქვემოთ ჩამოთვლილია დებულებები. გთხოვთ, თითოეული მათგანის შემთხვევაში მიუთითოთ, რა რეგულარობით ხდება მსგავსი შემთხვევები თქვენს უნივერსიტეტში (%)	უსდ-ის ტიპი	არასდროს / თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	რეგულარულად	ყარო პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
უნივერსიტეტი, დაფინანსების მიღების მიზნით, სხვადასხვა კომპანიასთან თანამშრომლობს	სახელმწიფო (N=1135)	6.7	12.6	21.8	17.1	6.7	3.2	31.9
	კერძო (N=680)	5.2	9.6	24.0	13.2	5.6	5.8	36.5
აკადემიური პერსონალი დაოჯახებულ და/ან მრავალშვილიან სტუდენტებს სასწავლო პროცესში ანგარიშს უწევს	სახელმწიფო (N=1135)	9.1	17.2	15.8	9.4	10.8	2.4	35.3
	კერძო (N=680)	21.1	9.8	10.0	15.0	8.6	4.6	30.9
ქართულენოვანი პროგრამებისთვის სასწავლო სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე ითარგმნება	სახელმწიფო (N=1135)	2.0	9.7	19.8	24.1	24.3	2.9	17.2
	კერძო (N=680)	5.9	8.8	21.3	24.9	22.0	2.9	14.2
უნივერსიტეტში სტუდენტებს შორის წახალისებულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია	სახელმწიფო (N=1135)	51.3	14.1	6.9	5.8	6.2	4.8	10.9
	კერძო (N=680)	51.7	11.3	10.2	5.2	2.7	6.0	12.9
უნივერსიტეტში ლექტორის მხრიდან წახალისებულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია	სახელმწიფო (N=1135)	43.4	16.5	11.4	8.5	6.8	4.3	9.1
	კერძო (N=680)	43.7	19.5	12.1	6.3	2.9	5.0	10.5
უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მისივე ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციის შესახებ გაწვდით ინფორმაციას	სახელმწიფო (N=1135)	4.6	8.3	8.3	16.8	48.7	5.5	7.9
	კერძო (N=680)	2.3	5.2	10.0	22.1	46.1	3.5	10.6
უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გაცვლითი პროგრამების შესახებ გაწვდით ინფორმაციას	სახელმწიფო (N=1135)	7.9	10.7	8.4	17.4	43.5	3.4	8.6
	კერძო (N=680)	3.8	5.4	13.3	21.7	41.9	5.8	8.1
უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დასაქმების შესაძლებლობის შესახებ გაწვდით ინფორმაციას	სახელმწიფო (N=1135)	7.6	14.2	17.8	15.9	30.6	5.0	8.9
	კერძო (N=680)	2.1	7.5	10.6	32.7	32.5	4.4	10.2
უნივერსიტეტი სრულყოფილად პასუხობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთა საჭიროებებს	სახელმწიფო (N=1135)	5.3	15.5	18.6	18.3	14.6	5.6	22.1
	კერძო (N=680)	8.5	21.7	10.8	15.8	22.9	2.7	17.5
არაქართულენოვანი სასწავლო მასალის გამო, გიჭირთ საკითხის	სახელმწიფო (N=1135)	35.2	22.6	16.6	7.0	1.1	4.0	13.5

ქვემოთ ჩამოთვლილია დებულებები. გთხოვთ, თითოეული მათგანის შემთხვევაში მიუთითოთ, რა რეგულარობით ხდება მსგავსი შემთხვევები თქვენს უნივერსიტეტში (%)	უსდ-ის ტიპი	არასდროს / თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	რეგულარულად	ყარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
გააზრება	კერძო (N=680)	38.4	22.3	19.8	5.2	1.0	2.9	10.2
უნივერსიტეტში სტუდენტებს შორის წახალისებულია ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	სახელმწიფო (N=1135)	58.4	10.9	8.8	1.8	1.0	5.7	13.4
	კერძო (N=680)	59.1	9.6	7.1	5.6	0.8	5.6	12.1
უნივერსიტეტში ლექტორის მხრიდან წახალისებულია ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	სახელმწიფო (N=1135)	54.8	14.6	7.6	4.3	2.5	3.5	12.7
	კერძო (N=680)	61.5	7.7	4.8	5.0	2.3	5.6	13.1
ლექტორი გეხმარებათ დამატებითი ლიტერატურის მოძიებაში	სახელმწიფო (N=1135)	5.4	14.8	22.1	29.3	18.7	0.4	9.2
	კერძო (N=680)	4.4	9.6	30.1	19.2	24.6	3.3	8.8
უნივერსიტეტი საკუთარი იმიჯის გაზრდაზე/პოპულარიზაციაზე ორიენტირებულ აქტივობებს ახორციელებს	სახელმწიფო (N=1135)	2.4	14.7	28.2	21.1	8.2	3.1	22.3
	კერძო (N=680)	2.3	6.9	19.6	33.4	18.6	5.8	13.4
უნივერსიტეტი სკოლებთან მხოლოდ პოტენციური სტუდენტების მოზიდვისთვის თანამშრომლობს	სახელმწიფო (N=1135)	6.4	13.6	18.1	13.2	3.5	4.3	40.8
	კერძო (N=680)	9.6	10.9	17.3	27.6	2.9	8.1	23.6
ლექტორი, სტუდენტების მოთხოვნის გათვალისწინებით, დამატებით მეცადინეობებს ატარებს	სახელმწიფო (N=1135)	9.1	27.3	24.6	12.6	3.7	3.7	19.0
	კერძო (N=680)	7.7	26.9	22.1	15.0	10.0	6.0	12.3
უნივერსიტეტი შემოსავლების მაქსიმიზაციაზეა ორიენტირებული	სახელმწიფო (N=1135)	9.6	8.4	12.7	14.2	9.3	4.8	41.0
	კერძო (N=680)	9.8	5.6	18.8	19.0	9.4	5.2	32.0
ლექტორი დასაქმების შესაძლებლობის შესახებ გაწვდით ინფორმაციას	სახელმწიფო (N=1135)	12.6	22.8	26.0	19.2	5.8	3.0	10.6
	კერძო (N=680)	12.2	18.4	22.9	22.2	9.6	3.1	11.5
ლექტორი პოტენციურ დამსაქმებელთან გიწევთ რეკომენდაციას	სახელმწიფო (N=1135)	12.5	14.7	25.0	20.6	7.6	3.4	16.2
	კერძო (N=680)	7.1	21.5	20.3	15.4	15.4	2.9	17.3
კონკრეტული სასწავლო კურსის სასემინარო / საგამოცდო დავალების შესასრულებლად სხვა კურსის ფარგლებში ნასწავლი მასალის გამოყენება დაგჭირვებიათ	სახელმწიფო (N=1135)	4.9	11.7	33.4	26.5	6.7	4.6	12.3
	კერძო (N=680)	2.5	14.6	38.2	19.2	6.7	8.4	10.4
უნივერსიტეტი საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიებებს	სახელმწიფო (N=1135)	12.7	10.8	15.9	3.8	2.8	3.8	50.2

ქვემოთ ჩამოთვლილია დებულებები. გთხოვთ, თითოეული მათგანის შემთხვევაში მიუთითოთ, რა რეგულარობით ხდება მსგავსი შემთხვევები თქვენს უნივერსიტეტში (%)	უსდ-ის ტიპი	არასდროს / თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	რეგულარულად	ყარი პასუხზე	არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა
ახორციელებს მაღალმთიან რეგიონებში	კერძო (N=680)	24.3	9.8	8.8	10.7	3.8	7.7	34.9